



ISSN—0132—6066

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

მაცნე

675-1/3
1980

ენისა
და
ლიტერატურის
სერია

1. 1980

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე



ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ენისა და ლიტერატურის
სერია

СЕРИЯ
ЯЗЫКА И ЛИТЕРАТУРЫ



თბილისი
ТБИЛИСИ

1. 1980

ჟურნალი გამოდის 3 თვეში ერთხელ
Журнал выходит раз в 3 месяца

ს ა რ ე ლ ა ძ ე ი ო კ ო ლ ე ზ ი ა: ალ. ბარამიძე (რედაქტორი),
თ. გამყრელიძე, ალ. გვახარია (მდივანი), ქ. ლომთათიძე, ე. მეტრეველი,
ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური (რედაქტორის მოადგილე)

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Барамидзе А. Г. (редактор),
Гамкрелидзе Т. В., Гвахария А. А. (секретарь), Дзидзигური Ш. В. (зам. редактора),
Ломтатидзе К. В., Метрели Е. П., Цайшвили С. С.

პასუხისმგებელი მდივანი გ. ლლონტი
Ответственный секретарь Г. А. Глonti

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19
ტელეფონი 37-24-07 телефон

ხელმოწერილია დასაბეჭდად 28.11.80; შეკვ. 3547; ანაწყოების ზომა 7×11¹/₂;
ქალაქის ზომა 70×108⁷/₁₆; ნაბეჭდი თაბახი 16,80; სააღრიცხვო-საგამომცემლო
თაბახი 15,60; უე 07295; ტირაჟი 2000;
ფასი 1 მან.

*

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

შინაარსი

ვ. ი. ლენინის დაბადების 110 წლისთავი

ნ. ჭოლოკავა, ვ. ი. ლენინი ლიტერატურის პარტიულობის შესახებ	5
ს. ეოზდანი, იდეოლოგია და სიმბოლო	9
თ. ვოგოლაძე, ეროვნული საკითხი ს. მგალობლიშვილის პროზაში	15
ი. ხოფერი, ნეკრასოვის ჟურნალი „სოვრემენიკი“ და ქართველი სამოციანელები („თერგდალეულები“)	26
თ. თევზაძე, ქართული სიმბოლისტური რომანი	38
თ. ნუცუბიძე, ფერის პოეტური ფუნქცია ქართველ და ინგლისელ რომანტიკოსთა შემოქმედებაში	48
გ. შაყულაშვილი, ძველი თბილისის პოეზია და მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული პრესა	57
ლ. ქუთათელაძე, რამდენიმე ცნობა ზაქარია გაბაშვილის ბიოგრაფიიდან	63
შ. რევიშვილი, გერმანელი ავტორები „გარდამავალი ხანის“ ქართულ მწერლობაში	72
მ. რჩეულიშვილი, შიდა და გარე სიუჟეტურ ხაზთა ერთიანობა ოლღოს ჰაქსლის „მასხრულ ფერხულში“	89
ვ. დედაბრიშვილი, ბუნების დაცვის საკითხები ხალხურ ყოფსა და ზეპირ- სიტყვიერებაში	97 ✓
ე. დოჩანაშვილი, „მცხეთური ბიბლიის“ „გამოსლვათა“ წიგნის ტექსტობრივი და რედაქციული დახასიათებისათვის	109
თ. მგალობლიშვილი, უძველეს ქართულ მრავალთავებში დაცული ზოგიერთი საკითხავის წყაროს საკითხი	123
ე. კოშორიძე, მსაზღვრელთა ექსპრესიული ფუნქციისათვის	135
ა. არაბული, თურმეობითის ანალიზური წარმოების თავისებურება ქართველურ ენათა ზოგ დიალექტში	147
ბ. ცხადაძე, -ოლა სუფიქსებიან მისდართა ერთი ჯგუფისათვის ძველ ქართულში	155
ნ. ჭანელიძე, ღერძული სიტყვის სემის ექსპლოკაცია სომატოგემებში	165
კ. დანელია, რ-ს ბგერათგანლაგების მომწესრიგებელი ფუნქციის შესახებ შეგრუტში	170

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

შ. აფრიდონიძე, „ზოგადი და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საკითხები“, 1978	179
დ. ოშიაძე, „ხორანული სპარსული ხალხური ზღაპრები“, ტ. I, 1975	186
ახალი წიგნები	191

СОДЕРЖАНИЕ

К 110-й годовщине со дня рождения В. И. Ленина

Н. Ч. Чолокава, В. И. Ленин о партийности литературы	5
С. Д. Жордания, Идеология и символ	9
Т. А. Гоголадзе, Национальный вопрос в прозе С. Мгалоблишвили	15
И. Ш. Хоперия, Некрасовский журнал «Современник» и грузинские шестидесятники («тергдалеули»)	26
Т. Д. Тевзадзе, Грузинский символический роман	38
Т. Ш. Нуцубидзе, Поэтическая функция цвета в творчестве грузинских и английских романтиков	48
Г. Н. Шакулашвили, Поэзия старого Тбилиси и грузинская пресса второй половины девятнадцатого века	57
Л. И. Кутателадзе, Некоторые сведения из биографии Захария Габашвили	63
Ш. И. Ревишвили, Немецкие авторы в грузинской литературе «переходного периода»	72
М. М. Рчеулишвили, Единство внутренней и внешней сюжетных линий в «Шутовском хороводе» Олдоса Хаксли	89
В. З. Дедабришвили, Вопросы охраны природы в народном быте и устном творчестве	97
Е. И. Дочанашвили, К текстуальной и редакционной характеристике книги «Исход» «Мцхетской Библии»	109
Т. Г. Мгалоблишвили, К вопросу об источнике некоторых «чтений» из древнегрузинских «многоглавов»	123
Е. А. Кошоридзе, Об экспрессивной функции определяющих	135
А. И. Арабули, Особенности аналитического образования заочности в некоторых диалектах картвельских языков	149
Б. А. Цхададзе, Об одной группе масдара (имени действия) с суффиксами -oi-а в древнегрузинском языке	155
Н. В. Джанелидзе, Экспликация сем опорного слова в соматизмах	165
К. Д. Данелиа, О функции звука ϕ при упорядочении распределения согласных в слове	170

Критика и библиография

Ш. Т. Апридонидзе, «Вопросы общего и иберийско-кавказского языкознания», 1978	179
Д. В. Омиадзе, «Хорасанские персидские народные сказки», т. I, 1975	183
Новые книги	191

3. 0. ლენინის დაბადების 110 წლისთავი

3. 0. ლენინი ლიბერატორის პარტიულ მოღვაწის შესახებ

მიმდინარე წლის აპრილში სრულდება 110 წელი კაცობრიობის უდიდესი გენიოსის, მარქსისა და ენგელსის საქმისა და მოძღვრების გამგრძელების, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადებიდან.

ამჟამად აღიარებულია, რომ მარქსის შემდეგ ისტორია არ იცნობს ლენინის მსგავს გიგანტურ მოაზროვნეს.

3. 0. ლენინის მთელი ცხოვრება არის მსოფლიოს მშრომელთა ინტერესებისადმი სამსახურის უბადლო ნიმუში. ლენინმა არა მარტო შეიმუშავა მოძღვრება ახალი ტიპის პარტიის — რევოლუციური პროლეტარიატის პარტიის შესახებ, არამედ შექმნა კიდევაც ასეთი პარტია — ეპოქის გონება, ღირსება და სინდისი. საბჭოთა ქვეყნის ისტორიის ექვსათეულწლოვან პერიოდში პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოურ ძმურ კავშირში შემავალმა ხალხებმა მოიპოვეს მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვებები. ამ საფუძველზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, მუშათა კლასის პარტია მთელი ხალხის პარტიად გადაიქცა. ეს სიახლე აღნიშნულია ჩვენი ცხოვრების ძირითად კანონში — საბჭოთა კავშირის ახალ კონსტიტუციაში.

ლენინიზმის იდეების ცხოველყოფილობა და სიძლიერე გამოიკვეთა და გამოიწრთო ანტიმარქსისტულ, ანტიხალხურ მოძღვრებებთან შეუთრებელ ბრძოლებში. 3. 0. ლენინმა არა მარტო დაიკვა მარქსიზმის რევოლუციური შინაარსი, რომლის წინააღმდეგაც იბრძოდნენ ოპორტუნისტები მეორე ინტერნაციონალიდან, არამედ განავითარა და ახალ უმაღლეს საფეხურზე აიყვანა მარქსის მოძღვრება კაპიტალიზმისა და პროლეტარიატის ბრძოლის ახალ ისტორიულ პირობებში. 3. 0. ლენინის ერთ-ერთ უდიდეს დამსახურებას წარმოადგენს იმპერიალიზმის ეპოქაში კაპიტალიზმის არათანაბარი ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების კანონის აღმოჩენა. ამის საფუძველზე ლენინმა წამოაყენა და დასაბუთა გენიალური დებულება ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ. უშუალოდ ამას უკავშირდება ლენინური მოძღვრება კულტურის საკითხებზე. კერძოდ, ლენინის გენიალურობის ერთ-ერთ ყველაზე ნათელ გამოვლინებას წარმოადგენს ლიტერატურის პარტიულობის კონცეფცია, რომელიც საფუძვლად დაედო ახალი ეპოქის ყველაზე პროგრესულ ლიტერატურასა და ხელოვნებას — სოციალისტურ რეალიზმს.

მხატვრული ლიტერატურისა და ხელოვნების ახალი შემოქმედებითი კოცეფცია — სოციალისტური რეალიზმი კანონზომიერად წარმოიშვა ლენინიზმის სამშობლოში, რუსეთში XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში. ეს განპირობებული იყო იმით, რომ იმპერიალიზმის ყველა ძირითადად წინააღმდეგობამ ამ პერიოდში სწორედ რუსეთში იჩინა თავი. ვ. ი. ლენინი წერდა 1905 წლის რევოლუციის წინა პერიოდში: „ისტორიამ ახლა ჩვენს წინაშე დააყენა უახლოესი ამოცანა, რომელიც ყველაზე უფრო რევოლუციურია რომელიც გენბავთ სხვა ქვეყნის პროლეტარიატის ყველა უახლოეს ამოცანათა შორის. ამ ამოცანის განხორციელება არა მარტო ევროპის, არამედ აგრეთვე (შეგვიძლია ვთქვათ ახლა) აზიის რეაქციის უალრესად ძლიერი დასაყრდენის დანგრევა რუსეთის პროლეტარიატს საერთაშორისო რევოლუციური პროლეტარიატის აენაგარდად ვახდის“ (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 5, გვ. 465).

ლენინიზმის ცხოველყოფილი იდეების ზეგავლენა საბჭოთა მწერლების შემოქმედებაზე მკლავდება ლიტერატურულ ნაწარმოებთა სახეობრივი ქსოვილის ძირითად კომპონენტებში. როგორც ცნობილია, სინამდვილის საგნებისა და მოვლენების განზოგადებულად წარმოსახვა ყოველი პროგრესული მხატვრული მეთოდის ძირითად მიზანს წარმოადგენს. მაგრამ სოციალისტურ რეალიზმში მხატვრული განზოგადება განსაკუთრებული სიღრმით და შეუმცდარობით ხასიათდება, რადგანაც იგი ემყარება ასახვის მარქსისტულ-ლენინურ თეორიას. სოციალისტური რეალიზმის მეორე ცნობილ თავისებურებას, რომელიც მას ასევე უპირატესობას ანიჭებს კაცობრიობის მხატვრული განვითარების ისტორიაში ცნობილ შემოქმედებით მეთოდებთან შედარებით, წარმოადგენს მომავლის წინასწარგანჭერების, მოვლენების განვითარების წარმოსახვის პრინციპის შეუმცდარობა, რაც აგრეთვე ლენინიზმის იდეურ არსს უკავშირდება. სწორედ ამიტომ მოუწოდებდა დიმიტრი ფურმანოვი საბჭოთა მწერლებს: „საჭიროა შევისწავლოთ ლენინიზმი — ცხოვრებისა და ადამიანურ ურთიერთობათა ღრმა და უტყუარი გაგება, უამისოდ მთელ თქვენს ნაწერებს არავითარი ფასი არ ექნება“.

ვ. ი. ლენინის მიერ წამოყენებულ ლიტერატურის პარტიულობის პრინციპს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს სოციალისტური რეალიზმის წარმომადგენლების მსოფლმხედველობის ფორმირებაზე ზემოქმედების თვალსაზრისით.

ვ. ი. ლენინი ლიტერატურის პარტიულობის პრინციპს განიხილავდა რუსეთის პროლეტარული რევოლუციის საერთო მიზანდასახულობასთან მთლიანობაში. ეს ნიშნავს ლიტერატურის პარტიულობის პრინციპის დაკავშირებას მხატვრული სიტყვის საშუალებით მასების პოლიტიკური განათლებისა და საბრძოლო მომზადების საერთო მიზანდასახულობასთან. 1905 წლის რევოლუციის პერიოდში ვ. ი. ლენინი წერდა, რომ პარტიული პროპაგანდის, აგი-

ტაციის, ლიტერატურის საერთოდ, ამოცანაა „...მასის რევოლუციურ თვითმოქმედებას ყოველთვის წინ მიუძღოდეს, შექტურა იყოს მისთვის და მთელი სიდიადით, მთელი სიმშვენიერით უჩვენებდეს მას ჩვენს დემოკრატიულ და სოციალისტურ იდეალს, უჩვენებდეს უაღრესად მოკლე, უაღრესად პირდაპირ გზას სრული, უპიველი და გადამწყვეტი გამარჯვებისაკენ“ (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 9, გვ. 127).

სტატიაში „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“ ვ. ი. ლენინს ჩამოყალიბებული აქვს პროლეტარიატთან დაკავშირებული მწერლობის ძირითადი პრინციპები. ვლადიმერ ილიას ძის აღნიშვნით, მას შემდეგ, რაც რუსეთის პროლეტარიატი გამოდის რევოლუციურ-ასპარეზზე, „ლიტერატურული საქმე უნდა გახდეს შემადგენელი ნაწილი ორგანიზებული, გეგმაშეწონილი გაერთიანებული სოციალ-დემოკრატიული პარტიული მუშაობისა“ (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 10, გვ. 36). სტატიაში აღნიშნულია, რომ, თუ, ერთი მხრივ, ლიტერატურული საქმე საზოგადოდ არ შეიძლება ინდივიდუალური, საერთო პროლეტარული საქმისაგან დამოუკიდებელი იყოს, ამასთან პარტიულობის ლოზუნგი არ გულისხმობს ლიტერატურული საქმის გაბიუროკრატიულებას. სტატიის ყურადღებით შესწავლა გვარწმუნებს, რომ ვ. ი. ლენინი პარტიულობის პრინციპზე მსჯელობისას ერთმანეთისაგან გამოიხავს პარტიულ-პოლიტიკურ, პუბლიცისტურ ლიტერატურას და პარტიულ მხატვრულ ლიტერატურას. კერძოდ, სტატიის იმ ნაწილში, სადაც მოცემულია მსჯელობა იმის შესახებ, რომ „ლიტერატურული საქმე უნდა გახდეს საერთო პროლეტარული საქმის ნაწილი“, ვ. ი. ლენინი მიუთითებს, რომ აქ „ჯერ ერთი ლაპარაკია პარტიულ ლიტერატურაზე და პარტიული კონტროლისადმი მის დაქვემდებარებაზე“ (გვ. 38). ამასთან, ცხადია, რომ ვლადიმერ ილიას ძის ეს გამოსათქვამი არ ნიშნავს, რომ პარტიულობის პრინციპი არ ვრცელდება მხატვრულ ლიტერატურაზე. რომ ეს ასეა, ჩანს იქიდანაც, რომ სტატიის მეორე ნაწილში ვ. ი. ლენინი პარტიულობის პრინციპთან კავშირში პირდაპირ ლაპარაკობს მხატვრული ლიტერატურის, ხელოვნების, თეატრის შესახებ, ეხება მსახიობის შემოქმედებითს შრომას. ამასთან კავშირში ვლადიმერ ილიას ძე თანმიმდევრულად უსვამს ხაზს, რომ ლიტერატურა, მხატვრული შემოქმედება საერთოდ, ესაა „სათუთი ინდივიდუალური საქმე“ (გვ. 38). იქვე, ვ. ი. ლენინი გენიალურად განმარტავს, რომ მხოლოდ პროლეტარიატთან მჭიდრო კავშირი იძლევა იმის მტკიცე გარანტიას, რომ მწერალი ჭეშმარიტად თავისუფალ შემოქმედად იქცეს. „ეს იქნება თავისუფალი ლიტერატურა, რომელიც კაცობრიობის რევოლუციური აზრის უკანასკნელ სიტყვას გაანაყოფიერებს სოციალისტური პროლეტარიატის გამოცდილებითა და ცოცხალი მუშაობით“ (გვ. 40). ვლადიმერ ილიას ძის ეს მოსაზრება კონკრეტდება აგრეთვე სტატიის სხვა ნაწილში მოცემული მითითებით იმის შესახებ, რომ პარტიულობის პრინციპის ვატარება ლიტერატურის სფეროში არ ნიშნავს სქემატიზმის დანერგვას იმიტომ, რომ

„პროლეტარული ცოცხალი ნაკადის შეტანა“ არ ნიშნავს იმას, რომ „ვიქადავით რაიმე ერთსახოვანი სისტემა ან ამოცანის გადაწყვეტა რამდენიმე დადგენილებით“ (გვ. 37).

ვ. ი. ლენინი საკითხის ნათელყოფის მიზნით ახასიათებს, თუ როგორი შინაარსი გააჩნია შემოქმედებითი თავისუფლების პრინციპს ბურჟუაზიულ ხელოვნებაში. ვლადიმერ ილიას ძის აღნიშვნით, ბურჟუაზიული ინდივიდუალისტების მსჯელობა ხელოვანის აბსოლუტური თავისუფლების შესახებ მხოლოდ ფარისევლობას წარმოადგენს. იცხოვრო საზოგადოებაში და თავისუფალი იყო საზოგადოებისაგან შეუძლებელია. ფულის ბატონობაზე დამყარებულ საზოგადოებაში, სადაც მშრომელთა მასებს სიღატაკე ტანჯავს, ხოლო ერთი მუშა მდიდრები უზრუნველად ცხოვრობენ, შეუძლებელია რეალური და ხამდვილი თავისუფლება. ამიტომ ვ. ი. ლენინის აღნიშვნით, ბურჟუაზიული ინდივიდუალისტების მსჯელობა აბსოლუტურ თავისუფლებაზე არის პირფერობა, რადგანაც კაპიტალისტურ სინამდვილეში მწერლის, ხელოვანის, მსახიობი ქალის თავისუფლება არის მხოლოდ შენიღბული დამოკიდებულება ფულის ტომრისაგან, მოსყიდვისაგან: „ვამხელთ ამ ფარისევლობას, ვგლეჯთ ყალბ აბრებს, — არა იმიტომ, რომ ხელში შეგვარჩეს არაკლასობრივი ლიტერატურა და ხელოვნება (ეს შესაძლებელი იქნება მხოლოდ სოციალისტურ უკლასო საზოგადოებაში), არამედ იმიტომ, რომ ფარისევლურად თავისუფალ, ნამდვილად კი ბურჟუაზიასთან დაკავშირებულ ლიტერატურას დავეპირისპიროთ ნამდვილად თავისუფალი, პროლეტარიატთან აშკარად დაკავშირებული ლიტერატურა“ (გვ. 40).

ვ. ი. ლენინის მოსაზრებები ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ ემყარება შეხედულებას მხატვრული აზროვნების სინამდვილესთან მჭიდრო კავშირის შესახებ, ა. შაპოვალოვის მოგონებით ვ. ი. ლენინი არაერთხელ მიუთითებდა, რომ „ხელოვნება თვითმიზანი კი არ არის, არამედ საშუალებაა ცხოვრების გარდაქმნისთვის ბრძოლაში“. მსოფლმხედველობის მნიშვნელობის ხაზგასმა ვლადიმერ ილიას ძემ მოგვცა პროლეტკულტის შესახებ დაწერილ რეზოლუციის პროექტში, სადაც მიუთითა, რომ საბჭოურ სინამდვილესთან დაკავშირებული მწერლობა უნდა ასახავდეს ცხოვრებას სოციალიზმის პოზიციებიდან, მარქსიზმის მსოფლმხედველობის, პროლეტარიატის ცხოვრების, არსებობისა და ბრძოლის თვალსაზრისით მისი დიქტატურის ეპოქაში, ვ. ი. ლენინის ეს სიტყვები გვიხსნის სოციალისტური რეალიზმის სინამდვილისადმი დამოკიდებულების თავისებურებას მისი განვითარების მთელ მანძილზე.

მხოლოდ ლენინიზმი, რომელიც წარმოადგენს ერთადერთ სწორ თვალსაზრისს ბუნების, ადამიანთა საზოგადოებისა და აზროვნების კანონზომიერებათა შესახებ იძლევა საფუძველს სწორად გაეიაზროთ ხელოვნებისა და ლიტერატურის სპეციფიკური თავისებურებანი.

ნოღარ ზოლოტაძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

სულხან შორაღანი

იდეოლოგია და სიმბოლო

ყველაფერი ღრმა, სრულყოფილი და მშვენიერი ენის სუბსტანციაში წარმოდგენილი. ყველაფერი ის, რამაც ვერ პოვა ენობრივი გამოხატულება, ბუნდოვანია, ემბრიონული და ინტენციის სფეროს მიეკუთვნება. მტკიცება იმისა, რომ გამოუთქმელი აზრი ჭეშმარიტებაა, გამოთქმული კი სიყალბე, უკეთეს შემთხვევაში ლამაზი პოზაა, უარესში — ამხედრება ადამიანის წინააღმდეგ. მცდარია შეხედულება, თითქოსდა სიტყვაში მოქცეული იდეა არ შეიძლება იყოს შინაგანი და სერიოზული იმიტომ, რომ, იწყებს რა იგი არსებობას სხვისთვის, წყვეტს არსებობას ჩვენს შიგნით.

მ. ჰაიდეგერის მსჯელობაში შემოქმედის, ენისა და ობიექტური სინამდვილის ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით არ შეიძლება შევუმჩნევდელი დავგრძეს ერთი რაციონალური მომენტი. ზოგჯერ პოეტის მიერ სიტყვის ხმარების აქტი ამ სიტყვით დასახელებული ფენომენის წარმოქმნის აქტის ტოლია. ეს აზრი ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოსდა ეს ფენომენი არ არსებობდა ობიექტური სინამდვილის სფეროში. ამ შემთხვევაში უნდა ვიგულისხმოთ მოცემული ფენომენის ახლებური ასახვა მოცემულ ენაში, მისი დაბადება როგორც ენაში აღბეჭდილი ფენომენისა.

ს ი მ ბ ო ლ უ რ ი ა ზ რ ო ვ ნ ე ბ ი ს ლ ო გ ი კ ა ერთია ყველა ხალხისათვის. როდესაც ჰენრი ჰოუმი მსჯელობს სიმაღლის ცნებისა და ამაღლებული ემოციების რაობაზე, შედარებისა და მეტაფორის მექანიზმის საკითხებზე, იგი გულისხმობს, რომ ყველა ამ ფენომენში არსებული იმანენტური შინაარსი ზოგადსაკაცობრიო კატეგორიაა. სიმაღლისადმი დაუოკებელი ლტოლვა, საგანთა და მოვლენათა არსში ჩაწვდომის სურვილი ახასიათებს ყველა დიდ შემოქმედს. თითქოსდა ვაჟა-ფშაველა ჰყავდა მხედველობაში ბოდლერს, როდესაც ამ სტრიქონებს წერდა:

კურთხეულია, ვისი ფიქრიც ზევით ავიდა,
ვით ტორღები განთიადზე; და ცის სტუმარი
იქიდან უმზერს მთელ ქვეყანას და იღუმალი
ვიგო ენა საგანთა და ენა ყვავილთა.

სიმბოლოს რაობის უკეთესი გაგების მიზნით მიზანშეწონილია მისი ანალიზი ორ პოლარულ დონეზე. დავიწყით საუკეთესოდან. ვაჟა-ფშაველას უნიკალობა მდგომარეობს იმაში, რომ მან, იმ რაკურსიდან, საიდანაც მისი სიმბოლური ენა ჩვენ ამ შემთხვევაში გვიანტერესებს, თავისებურად, განუმეორებელი ორიგინალობით დავვიხატა არაცოცხალ ბუნებასა და ადამიანს შორის არსებული უხილავი საერთო ნიშან-თვისებები. ერთის ნიშან-თვისება დაუახლოვა მეორეს და უფრო თვალნათლივ ჩაგვახედა ამ უკანასკნელის არსსა და მნიშვნელობაში. არაერთხელ აღნიშნულა, რომ ვაჟას მიერ პერსონიფიცირებული მთა განუმეორებელი ხატების სახით მოგვევლინება. ასეთია, მაგალითად, ერთადერთი, საოცარი სიმბოლური მოვლენა — ნისლი ფიქრია მთებია. ეს ხატი ათასნაირი ძაფებითაა დაკავშირებული, ერთი მხრივ,

მასთან აზრობრივად და ფორმალურად ახლოს მდგომ ხატებთან და, მეორე მხრივ, მთელი მისი შემოქმედების სიღრმეში არსებულ მსოფლმხედველობასთან, რომელიც ყველაზე უფრო ზოგადი განმარტებით შეიძლება აიხსნას როგორც კაცობრივობის მიმდღვრება. ვაჟასთან მთა განსაკვივრებელ ვარიაციებში მოგვევლინება — „უსაზღვრო მთების მოლოდინი...“

მთა ვაჟასათვის მხოლოდ ერთ-ერთი, თუმცა უდავოდ უაღრესად მნიშვნელოვანი, ცნებაა, რომლის საშუალებითაც მას უნდა ადამიანი სულიერი სისუბეტაისა და სიმტკიცის უმაღლეს მწვერვალებამდე აიყვანოს. „მოყვარს სიმამალღე, მით მოყვარს მთები“, — გულახდილად გვაუწყებს შემოქმედი. დეტალის არაჩვეულებრივი დანახვის უნარით მისი სტილი, რომელიც შეიძლება განისაზღვროს როგორც ტენის ფიზიონომია, მოგვევლინება ვაჟას მსოფლმხედველობის გამოხატვის ერთადერთ ფორმად. სიმბოლური მთა ვაჟას შემოქმედებაში მშვენიერია არა მარტო თავისი სიმაღლით, არამედ მშვენიერების მრავალგვარი სხვა პარამეტრებითაც: პროპორციით, ფერით, სიმტკიცითა და სიდიადით. სწორედ დეტალის, არსებითი მომენტის ასახვისა და არაარსებითის ჩამოცილების გზით აღწევს იგი უდიდეს ეფექტსა და დამაჯერებლობას:

ჭარი დამბერავს.
 ჭარი გრილგებს,
 ჩემი თეთრი თმა
 ცაში ბრიალგებს —

ამბობს ვაჟა და ერთი თითქოსდა შეუმჩნეველი შტრიხით (თოვლი მწვერვალზე — თეთრი თმა) გვიხატავს პერსონიფიცირებული მთის დიად სურათს. შეაღარეთ ამას მთის ასეთი ხედვაც: „ფეხშეუხრელად, მკვიდრად, პირდაღმეჭილი, მრისხანე სდგას კლდე. სდგას ისე, ერთფერად ზამთარ-ზაფხულს. ეს კლდე მთელი მთაა კლდედ, ქვედ გადაქცეული, პირისპირ ცისა, მზისა და დაბლა ქვეყნისა“.

და მაინც უნდა ვაღიაროთ, რომ სიმამალღის ცნება მთავარი სიმბოლური ცნებაა მთის მრავალნაირ დამახასიათებელ ნიშან-თვისებათა შორის ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში. მოწმენდილ ცასაც, მთელ სამყაროში ამ უმშვენიერეს სანახაობას, მხესაც და მთვარესაც ვაჟასთან უპირველეს ყოვლისა იმიტომ აქვს სიმბოლური მნიშვნელობა, რომ ისინი სიმაღლის ცნებას განასახიერებენ, ყველა საგანსა და მოვლენაზე მალა დგანან. ამ სიმაღლიდან ვაჟას სულიერი თვალის ყველაფერსა ხედავს და ყველაფერსა სჯის: ავსაცა და კარგსაც. მხატვრული აზროვნების მიუღწეველ მაგალითად მიგვაჩინა ჩვენ სიმბოლური მთვარე ვაჟა-ფშაველას მოთხრობაში „ამოდის, ნათღება!“. ცივსა და უკუნეთ ღამეში მგლებმა ერთ წამში სიცოცხლეს გამოასალმეს ტოტია, თავიანთი მოხუცი, დაუძლურებელი წინამძღოლი. მაგრამ შიმშილი ვერ მოიკლეს: შეეშინდათ ახლა მე არ შემპამონო და გაქცევით შეეცადნენ თავის შველს. მაგრამ ერთმანეთის შიში, შიში ფიზიკური განადგურებისა, არაფერია იმ შიშსა და კრძალვასთან შედარებით, რომელიც მგლებს მთვარის ამოსვლისას დაუფლავა. ციდან წამოსული სინათლისაგან თავის შველა შეუძლებელია: „ერთი მეორეს გაურბოდა, ჯავიანებში ჩხლაკა-ჩხლუკი ისმოდა და თან თოვლის ქურიალი... მთვარე კი ამოვიდა, ამოცურდა მალა, თითქმის შუა ცაზე ნათლად კამკამებდა და იქიდან, როგორც დარაჯი, უფროსობდა ქვეყანას მტერსა... მგლები კი გარბოდენ უგზო-უკვლოდ ტყეში და ყველას პირზე ეკრა: „განათდა, განათდა!“

ორი რამ ავსებს ადამიანის სულს მარადიულად ახალშობილი და მზარდი პატივისცემითა და მოკრძალებით: ეს არის ვარსკვლავებით მოჭედული ცა ჩვენ ზემოთ და მორალური კანონი ჩვენ. შიგნით, — ამბობს კანტი. პირველი იწყება იმ ადგილიდან, რომელიც მე მიკავია გრძნობად გარე სამყაროსთან. ის განუზომლად აფართოებს ჩემს კავშირს სამყაროთა სამყაროებთან და სისტემათა სისტემებთან. უთვლავი რაოდენობის სამყაროთა ხილვა თითქოსდა აქარწყლებს ჩემს მნიშვნელობას, როგორც ცოცხალი არსებისა, მორალური კანონის ჰერეტა კი, პირიქით, განუზომლად ზრდის მას, ვინაიდან მორალური კანონი არ განისაზღვრება არავითარი ფიზიკური ზღუდებით და უსასრულობაში გადადის. ვეჯასეული მთავარ სწორედ ის მორალური კანონია, რომლის სულიერ თვალსაც ვერასდეს გაუტრბის ყოველივე მგლური, რაც კი არსებობს ადამიანში. ეს აზრი კანტის მსჯელობაში გამომჩნეულია გონებისაკენ, ვეჯასთან კი იგი გულსაც ჰხვდება და აზრსაც. რატომ არის, რომ მიახლოებით ერთი და იმავე იდეის მქონე სხვადასხვა ნაწარმოების კითხვისას ერთ შემთხვევაში სიხარულის ქრუსანტელი გვივლის, მეორეში კი გაცილებით უფრო სრულ ემოციურ წონასწორობაში ვიმყოფებით? ჯერ კიდევ დემეტრე ფალერელი ცდილობდა განერჩია ნაწარმოებში თემა და სტილი. მისი აზრით, თემის სიძლიერე სულაც არ ნიშნავს სტილის სიძლიერეს და პირიქით. ძალიან ხშირად ამალღებული, დიადი თემა გამოხატულია უბადრუკი სტილით. „ამოდის, ნათდებაში“ თემასა და სტილს შორის აბსოლუტური ჰარმონიაა. ენობრივი ქარგა ისეთი გამჭვირვალეა, რომ მის უკან გამოკვეთილი საგნები ანკარა წყაროს ფსკერზე ჩაწყობილი კენჭებივით ხელშეშანებია: „უნამბობდა ამას? სად ან როდის? ღამეა. თოვლით გადალესილა მთა-ბარი; სულ-შეხტულია, ისე შებოჭილი, რომ დედამიწის ძვლებს ქყარიალი, ჭახჭახი გააქვს. ბუნება თითქოს კუბოში წევს, სუდარაში ვახვეულა“.

სიტყვები, როგორც პირდაპირი, ისევე გადატანითი მნიშვნელობით ნახმარნი, ასახელებენ მხოლოდ არსებით დეტალებს. ამ დეტალებზე აგებული ფსიქოლოგიური სურათი იმდენად პლასტიკურია და დამაჯერებელი, რომ თითქმის გავიწყდება, რომ სიტყვებთან გაქვს საქმე და არა საგნებთან; ძალაუვნებლად მოთხრობაში გადმოცემული მოვლენების უშუალო თანდამსწრეები ხდები. აზრისა და გრძნობის სიდიადე კულმინაციას აღწევს სწორედ იქ, სადაც მხატვარს შემოჰყავს სიმბოლური მთვარე. ერთი შეხედვით მთვარის შემოყვანა მოცემულ კონტექსტში თითქოსდა არ არის საკმარისად ინფორმაციული: იგი იმპლიცირებული იყო უკვე სათაურში და, გარდა ამისა, მოსალოდნელია მისი გამოჩენა თვით მოთხრობის შინაარსიდან გამომდინარე. სიმბოლური მთვარე უდიდეს ინფორმაციულ სიღრმეს მისი რეტროსპექტიული გააზრების შემდეგ. ამგვარი გააზრების სტიმულს კი მისი უბადლო პერსონიფიკაციის ნიშნში გვაძლევს. ამ სიმბოლოს აბსტრაქტული მოდელოც კი ერთგვარი სირთულით ხასიათდება. იგი შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ: მთვარე — ადამიანი — მორალური კანონი. ვეჯას მორალური კანონი, რომელიც მისი საკუთარი მსოფლმხედველობის ანარეკლია, შუა ცაში დაკიდებული მთვარის სიმდლეზე აჰყავს და მის ძალას მთვარის კაშკაშს ადარებს. მოცემულ კონტექსტში ეს კონკრეტული სიმბოლო მრავლისმთქმელია არა მარტო ინფორმაციის თეორიის ცნებებიდან გამომდინარე, არამედ ინფორმაციის სემანტიკური ინტერპრეტაციის რაქურსიდანაც: მას მოძრაობაში მოჰყავს მკითხველს ფანტაზია.

საოცარია ის ზემოქმედება, რომელსაც ჩვენზე ვაჟა-ფშაველას ეს შედარებით პატარა, მაგრამ ძალიან დიდი ესთეტიკური და ლოგიკური ინფორმაციის მქონე ნაწარმოები ავლენს. ერთი შეხედვით, შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ მისი მთავარი ძალა მდგომარეობს ორიგინალობაში, იმ მოულოდნელობებში, რომლებითაც იგი ასე მდიდარია. და მართლაც, არაფერი ამდაგვარი ჩვენ არ შეგვხვდრია ინგლისურ, რუსულ და ქართულ ენებზე შექმნილ მხატვრულ ნაწარმოებთა შორის. ესთეტიკური ინფორმაციის ამგვარი ინტერპრეტაცია უახლოვდება ზოგიერთი საზღვარგარეული მეცნიერის შეხედულებას, რომლის მიხედვითაც ამგვარი ინფორმაცია მხატვრული ნაწარმოებით გამოწვეული მოულოდნელობის ეფექტის გარდა სხვა არაფერია. ხელოვნების ინგლისელი თეორეტიკოსი კლაივ ბელი თვლის, რომ ფერწერაში ესთეტიკურ ინფორმაციას მხოლოდ ხაზებისა და ფერების სპეციფიკური კავშირი, განსაკუთრებული ფორმები და ამ ფორმების ურთიერთმიმართება ემსახურება¹. ეს აზრი რომ მცდარია, შეიძლება ასე დავასაბუთოთ. შევადაროთ ერთმანეთს ვაჟას „ამოდის, ნათდება!“ და მიახლოებით იმავე მოცულობის ტექნიკურად უმაღლეს დონეზე შესრულებული ეპიზოდი, რომელიც პოემის მხოლოდ პატარა ნაწილს წარმოადგენს. მისი სათაურია „მ ზ ი ს ა მ ო ს ე ლ ი ს წ ი ნ“². ეპიზოდი ასე იწყება: «О, небо, раз-верстое надо мною, — ты, чистое, глубокое! Ты, источник света!

Созерцай тебя, трепещу я от желаний божественных.

Прыгнуть в высь твою — вот моя глубина. Облечусь твоею чистотою— вот нежность моя.

Закрывает от нас Бога красота Его: то же и ты для звезд своих. Ты безмолвствуешь: таким путем вещаешь ты мне свою мудрость».

ყოველგვარი წინასწარი მომზადების გარეშე ავტორს შემოჰყავს პერსონიფიცირებული ცა, რომელიც თითქმის ყოველი მომდევნო სტრიქონის შემდეგ გარკვეული ხნის განმავლობაში გამოიკვეთება შედარებების, ეპითეტებისა და მეტაფორების თვალისმომჭრელი ფეიერვერკით. უარესად ორიგინალურია (მოულოდნელი!) მეტაფორები «Прыгнуть в высь твою— вот моя глубина. Облечусь твоею чистотою — вот нежность моя» და სხვა მრავალი. ოსტატურად არქაიზებული ენა მთელს ეპიზოდს კიდევ უფრო მატებს ამაღლებულისა და მშვენიერის ნიშან-თვისებას. მშვენიერია თავისთავად, მისი მეტაფორული გამოყენების გარეშეც, სიმბოლოს ერთი კომპონენტი: მოწმენდილი, უძირო ცა მზის ამოსვლის წინ. სხვადასხვა ვარიაციებით ეს მიმართვა ცისადმი რამდენიმეჯერ გვხვდება ეპიზოდში და მითივეა წარმოდგენილი ბოლო სტრიქონებიც. რა შეიძლება ითქვას ამ ეპიზოდზე, თუკი მას განვიხილავთ იზოლირებულად პოემისაგან? მხოლოდ ის, რომ, მიუხედავად შედარებით მარტივი სიმბოლური სტრუქტურისა (ცა — ადამიანი, აზროვნების მქონე არსება) და შედარებით აბსტრაქტული, განყენებული ზოგადი შინაარსისა (ქებათა ქება ცას?), მთლიანობაში აღებული იგი სიტყვათშემოქმედების უმაღლეს გრადცისას მიეკუთვნება. მაგრამ შევხედოთ ახლა მას მთლიანი ნაწარმოების რაკურსიდან. აქედან თუ განვიხილავთ ამ ეპიზოდს, მაშინ სიმბოლური ცა ვაცლებით უფრო რთული სტრუქტურით წარმოგვიდგება. როდესაც იმ ადგილს მივალწევთ, სადაც ავტორი ამბობს, რომ მთელი მისი ცხოვრების გზა არაფერია გარდა გაუთავებელი მოგზაურობისა ცისკენ, რომ ცასა და მას ალბათ საერთო აქვთ

¹ C. Bell, Art, Dublin, 1961, გვ. 23.

სულიერი სამყარო, რომ მისი ქადაგება—«над всеми вещами стоит небо—невинность, небо веселость...» და «эта свобода небесная и небесная эта веселость поставлена мною, подобно лазурному колоколу, над всеми вещами»—ლოცვა-კურთხევაა და არა ძრახვა, მაშინ გასაგები ხდება, თუ რას წარმოადგენს ფ. ნიცშესული სიმბოლური ცის მეორე კომპონენტი. იგი სხვა არაფერია, თუ არა ფილოსოფოსის ავადმყოფური ფანტაზიის პირველი — მისი იდეოლოგიური აზრთწყობა, მისი მსოფლმხედველობა. ნიცშეს მთელი სიმბოლური სისტემა მისი იდეოლოგიური წვენით საზრდოობს და არსებობს. როდესაც ის მიმართავს მზეს — «მნათობო უღიადესო! რა იქნებოდა შენი ბედნიერება, რომ არ გყავდეს ისინი ვისთვისაც ანათებ?!», მზეში ის თავის თავს გულისხმობს, ხოლო ელიტას—იმათში, ვისთვისაც ღალატობს. რას აყენებს ზარატუსტრა-ნიცშე ყველა საგანზე მალა წმინდა ლოგიკურ პლანში, მისი მსოფლმხედველობიდან გამომდინარე?—**ი ნ ს ტ ი ნ ქ ტ ი ს პ რ ი მ ა ტ ს ი ნ ტ ე ლ ე ქ ტ ზ ე**, და უოკებელ ლტოლვას ძალაუფლები ს ა კ ე ნ. უსაზღვრო სიძულვილს ადამიანის მიმართ: «ადამიანი ბინძური ნიაღვარია. ზღვა უნდა იყოს რომ ბინძურ ნიაღვარს შეეხო და ისეთივე არ ვახდეს». მას ასე სჯერა.

და სწორედ ამიტომ არის, რომ ახალი რაკურსიდან აღქმული ეპიზოდის ესთეტიკური ღირებულება რადიკალურ გადაფასებას განიცდის. სამუდამოდ დარღვეულია ფორმისა და შინაარსის ერთიანობა: უ მ ა ნ კ ო, მ ხ ი ა რ უ ლ ი ც ა და კ ა ც თ მ ო ძ უ ლ ე ი დ ე ო ლ ო გ ი ა ერთად ვერ მოსძვებს. ეს იდეოლოგია საზარელი მეტასტაზებით დაღვს ტექნიკურად უნაკლოდ განხორციელებულ ნებისმიერ სიმბოლოს: მთის მწვერვალზე განმარტოებულ ხეს ელვის მოლოდინში, ლურჯად გადაშლილი ცის ღიმბილს, თვალუწვედნელ უფსკრულს და თვის უორიგინალურეს ზმანებასაც კი: «Во сне, в последнем утреннем сне стоял я на некоем предгории— по ту сторону моря, с весами в руках взвешивал мир.» სხვანაირად არც შეიძლება რომ იყოს—ნიცშეს სასწორზე სიბოროტე იმარჯვებს, სიკეთე მარცხდება.

ის ესთეტიკური სიამოვნება, რომელსაც ადამიანს მხატვრული ნაწარმოები ანიჭებს, ფორმისა და შინაარსის ერთიანი ზემოქმედების შედეგია. მკითხველი არ აღიქვამს შინაარსიდან მიღებულ სიამოვნებას და ფორმიდან მიღებულ სიამოვნებას ცალ-ცალკე. ასეთი რამ მათი აბსტრაქციების შემთხვევაშიც კი შეუძლებლად გვეჩვენება. აქედან გამომდინარე, ყოველად დაუშვებელია მტკიცება იმისა, რომ ნაწარმოები შეიძლება დიდი ესთეტიკური სიამოვნების წყარო იყოს მისი მორალური, პოლიტიკური, იდეოლოგიური კლიმატის გარეშეც. მოულოდნელი სინტაქსური კონსტრუქციები, შედარებები, ყოველი სახის ტროპები, მხატვრული თვალსაზრისით არსებითი დეტალები და ინდივიდუალური სტილის სხვა ელემენტები ემსახურებიან ერთ მიზანს—შინაარსის საუკეთესო სახით გამოხატვას.

შემშარიტი მხატვრული ნაწარმოები იდეური შინაარსისა და მხატვრული ფორმის ორგანული ერთიანობაა: მასში ფორმის ყველა ელემენტი ჰარმონიანია იდეურ შინაარსთან. უფრო ზუსტად კი განუყოფელია მისგან. სიმბოლო მხოლოდ მაშინ არის გარე სამკაული მხატვრული ნაწარმოებისა, როდესაც მასში დარღვეულია ჰარმონია იდეურ შინაარსსა და სტილისტურ ტექნიკას შორის. სწორედ ამიტომ არის, რომ სტილისტური ტექნიკის მხრივ თითქოსდა მონათესავე მხატვრული ხატები და გამონათქვამები ესთეტიკურია ვაჟა-ფშა-

ველასთან, ხოლო ფ. ნიცშესთან რადიკალურ დეესთეტიზაციას განიცდის. ამიტომ არის, რომ ვაჟას ძლიერი პიროვნებაც ნიცშეს ზეკაცზე უფრო ძლიერია, მასზე გაცილებით მაღალი სფეროს ბინადარია.

უდავოა, რომ ვაჟა-ფშაველას მხატვრული აზროვნება განსაკუთრებულ გამოხატულებას პოეზებს მაშინ, როდესაც საქმე სულის სიმტკიცეს ეხება. მისი შემოქმედება უაღრესად მდიდარია ამ თემისათვის ნაპოვნი უნიკალური ხატებითა და გამონათქვამებით. ავიღოთ თუნდაც ასეთი:

შენი ჭირიმე სიკვდილო,
სიცოცხლე შენით დაფასდა.

მაგრამ ვაჟა მხოლოდ გმირი, ძლიერი პიროვნება არ არის. უპირველეს ყოვლისა, ის ბრძენია და უაღრესად კეთილი და ნაზი ბუნების ადამიანი. მისი შექმნილია „ბახტრიონი“, „მთანი მაღალნი“, „კლდე მტირალი“, მაგრამ მასავე ეკუთვნის „შველის ნუკრის ნამბობი“ და „მთის წყარო“. ამ კლდესავით მტკიცე კაცს შეეძლო ასეც ეაზროვნა: „შემეშინდა და გამომეღვიძა. გული მიკანკალებდა, შუბლზე ოფლი დამსხმოდა. ავიხედე, ნისლებით გაქედდილიყო ხეხუვი. ქორაფმა ტოტები დამკრა, აკვანი დამირწია და დამლულუნა: „ნუ გეშინიან, პატარავ, არ დამრები, არ დაიკარგებიო!“ ამ დროს, დღისით ფრთხილი და წინდახედული, ზურგზე რქებგადაყრილი „ყელყურლამაზიანი“ ირემი მოვარდა გაჩქარებით. დაეწაფა ჩემს წმინდა წყალს, დალია და გაძლა“.

ენის სუბსტანციამოია წარმოდგენილი როგორც ყველაზე უფრო წმინდა, ღრმა და სრულყოფილი, ისე ყველაზე უფრო სასტიკი და მიუღებელი. ყველაფერი ის, რამაც ვერ პოვა ენობრივი გამოხატულება, ბუნდოვანია, ემბრიონული და ინტენციის სფეროს მიეკუთვნება.

С. Д. ЖОРДАНИЯ

ИДЕОЛОГИЯ И СИМВОЛ

Резюме

В зарубежном литературоведении некоторыми исследователями принято считать, что эстетическая информация, получаемая от художественного произведения, либо от определенного его компонента, полностью определяется технической стороной объекта. Если, например, символ реализует относительно более редкую модель, улавливает сходство между далеко отстоящими предметами, то он является носителем большой эстетической информации. С нашей точки зрения для эстетики символа решающую роль играет его содержание. Если имплицуемое содержание символа идеологически неприемлемо, то какой бы оригинальной не была его структура, он не может быть носителем эстетической информации.

ი. ქავჭავაძის სახელობის თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ინგლისური ენის კათედრა

წარმოდგენა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ი. აბაშიძემ

თამარ გოგოლაძე

ეროვნული საკითხი ს. მგალობლიშვილის პროზაში

ეროვნულ მოტივს ქართულ ლიტერატურაში ყოველთვის ეკავა მნიშვნელოვანი, ხშირად—წამყვანი, ადგილი. საქართველოს ისტორიულ წარსულში ყოველთვის იდგა ქვეყნის დამოუკიდებლობის, მისი განთავისუფლებისათვის ბრძოლის პრობლემა. ამ სულისკვეთებით იყვნენ განმსჭვალულნი—ადრეული საუკუნეების პოეტები, ზოგჯერ განუზომელ სევდას რომ გრძნობდნენ ქვეყნის მძიმე ბედის გამო; რომანტიკოსები, წარსულს რომ აიდეალებდნენ და მის ისტორიაში ეძიებდნენ ხსნის გზას; 60-იანელები, პოეზიისა და პოეტის ძირითად დანიშნულებად ერის სამსახური და მის სამსხვერპლოზე საკუთარი თავის მიტანა რომ დაისახეს მიზნად. ამ მხრივ, არც ქართველი ხალხოსნები მორიდებიან „ძვირფას ხატს მშობელი ქვეყნისას“, თუმც მათი მთავარი მიზანი და ამოცანა უფრო სოციალური პრობლემის გადაჭრა იყო, მაგრამ ქვეყნის ინტერესები, მისი უფლებების დაცვა, მასზე ზრუნვა კვლავ დარჩა ძველ და განუხრელ ქემშარიტებად: „ერთი და იგივე მამულის შვილინი განირჩევიან ერთმანეთისაგან არა მამულის სიყვარულით, არამედ იმითი, თუ რომელი მათგანი მომეტებულ სამსახურს გაუწევს თავის სამშობლოს. მაშასადამე, ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა გამოვივლიოთ ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა, მისი ისტორიული მიდრეკილებანი, ტრადიციები, მისი ჩვეულებანი, მატერიალური გარემოებანი, მისი ავი და კარგი, მოკეთე და მტერი, ერთი სიტყვით მთელი მისი ავან-ჩავანი, რომ ამითი წარმოდგენილი გვექონდეს მისი ფიზიონომია, და შეძლებისა და გვარად მიეცეთ მას ხელი, ვაჩვენოთ მას გაუმჯობესების საღსარი და შევუდგეთ იმ გზას, რომელიც დააყენებს წარმატებისაკენ“, — აღნიშნავდა სტეფანე ჭრელაშვილი ხალხოსნური მიმართულების ყურნალ „იმედის“ ფურცლებზე¹. სწორედ აქ მოჩანს ხალხოსნების პროგრამაც ეროვნულ საკითხში, ისინი ეროვნულ გრძნობას ბუნებრივ, ყველა ადამიანისათვის დამახასიათებელ, აუცილებელ მოვლენად მიიჩნევენ და მხოლოდ მაშინ თვლიან მას გამოსააშკარავებლად, თუ ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესებას ემსახურება. ამიტომაც, რომ ისინი ებრძვიან ცრუპატრიოტებს, რომელთაც „იმის ნება აქვთ მინიჭებული, რომ თავისი მდიდარი სუფრიდან თითო-ოროლა ნალირნი ლუკმა, რომელიც ძაღლს უნდა რგებოდა, გადაუდგოს საწყალ ლაზარე — საქართველოს, ან თუ ფული ვერ გაუმეტებია, აქოს და ადიდოს ჩვენი პატრიოტები, სადაც კი შეხვდება, თეატრში უყვიროს ჩვენ აქტიორებს და მეტადრე აქტირისებს „ბრაუო“ და „ბისი“, შეერთებული ხმამალა ტაშის კვრასთან და მეტიც საჭირო არ არის, მისი სახელიც პანთონში გამოაჭიმება“², ასევე მიუღებლნი არიან ხალხოსნებისათვის ის პატრიოტები, რომლებიც ფიქრობენ, რომ „დიდება ივერისა“ წარსულშია დამარხული: „...საჭიროა წინ ქვერა და

¹ სტეფანე ჭრელაშვილი, მამულის შვილი, ქ. „იმედი“, 1881, №10, 11, 12, გვ. 17.

² იქვე, გვ. 94.

არა უკან ხედვა, გოდვა და ტირილი კი არა წარსულზედ, მხიარული სიმღერა კეთილ მომავალზედ³.

როგორც მ. ზანდუქელი აღნიშნავს „ჩვენ ხალხსონებს ეროვნული გაგებაც არა აქვთ ვაწრო პატრიოტული“⁴.

ამიტომაც, რომ ხალხოსანი თავის ძირითად მოვალეობად სახავს ხალხის მასებზე ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების გაუმჯობესებისათვის ბრძოლას: „რადგანაც ყოველი სარჩო მოაზოვება მხოლოდ შრომით, რადგანაც ყოველი ნივთი ვაკეთებულა მხოლოდ მუშის ზელით, ამიტომ ყველაფერი უნდა შეადგენდეს იმის საკუთრებას, ვისაც ის გაუკეთებია. მანამდის ასეთ გვარად არ იცვლის ყველა ერი ფერს, მანამ უბედურობა კაცობრიობისა კი არ იკლებს, დღითი დღე იმატებს... მე როგორც ნამდვილმა პატრიოტმა, უნდა ყოველი ღონისძიება ვიხმარო ამ აზრის დანერგვისათვის“⁵.

სოფრომ მგალობლიშვილმა თავის ადრეულ ნაწერებში სცადა ამ კუთხით დაეყენებინა ეროვნული საკითხი. ისტორიული წარსულის მოგონება მისი გმირების მიერ მიზნობრივია და მონაველის ვაჟკაცების ძალის მიმცემი. ლეგენდა-რომანში „მზეთუნახავი გული“ ს. მგალობლიშვილმა წარსულის ფონზე დავეხატა ჭეშმარიტი პატრიოტები.

ქალაქის ინტელიგენცია, მისი ყოფა, მისი ცრუპატრიოტები ავტორის სანტერესოდ დაუხატავს პატარა ნოველაში „დიდ ზალაში“ და მოთხრობაში „წითელი სარჩული“.

„წითელი სარჩული“ ხალხის მოღალატის, იუდა ლეჟიაშვილის პორტრეტია. იუდა წარმოშობით ტახტის აზნაურია. მას რუსეთში დაუმთავრებია უმაღლესი სასწავლებელი და სიამაყით ჩამოუტანია ამის დამამტკიცებელი ორი რამ: არყის ხის ჯიხნე დახვეული დიპლომი და ნიშანი, რომელიც „სწორედ ერთი გირეანქის წონა იქნება და უფრო ვირის ნალს ჰგავს, ვინემ ნიშანსა“. ასეთი მამულიშვილი ევლინება თავის ქვეყანას და მერე როგორ? ავტორი ცდილობს აჩვენოს სინიღისის ხმა, ზოგჯერ იუდას გამოფიზოვებას რომ ცდილობს. ამ კაცს ფრიად შენიღბული სახე აქვს. იგი პირადი სარგებლობისათვის გაყიდის ყველას და ყველაფერს. სწორედ ამიტომ თავის თავს სამი კურდღლის მდევრად წარმოადგენს. მისი „კურდღლები“ შეიძლება ასე გაიზიფროს: 1. ერთი მხრივ, თავის ხალხს ასიამოვნოს, წეროს გამოკვლევები ქვეყნის ისტორიაზე (წმ. ნინოს ცხოვრებაზე, ქრისტიანობის მიღებაზე), დახმარება გაუწიოს ჟურნალ-გაზეთებს, ჩემ-ჩემად იბრძოლოს ერის ინტერესების შემზღვეველთა წინააღმდეგ; 2. „მეორე მხრივ, ჩემს მთავრობას ფეხქვეშ გავერთხობი, მის წინ დადენებ-დავხორავიჭდები, თავს ანგელოზად მოვაჩვენებ. ასე თუ არ მოვიქცევი, წინ არ წაგწევენ და დერეფანში გდებით და ხოხვით სულს ამოგართმევენ“⁶. — ასე ფიქრობს იუდა და თავისი მოქმედებით ხელს უწყობს ქართველების მოსისხლე მტერს. 3. „მესამე მხრივ, არაფერს და არავის არ დავზოგავ, ყველას ცეცხლ-ნავთში გავატარებ, ვინც კი ჩემი სურვილების შესრულებას წინ გადაეღობება“⁷. იუდას მიზანია გენერლობა, წითელი სარჩულის ტარება.

³ ნ. ხ ი ა ნ ი შ ვ ი ლ ი, მცირედი რამე ჩვენს მამულიშვილობაზე, ჟ. „იმედი“, 1882, № 11—12, გვ. 53.

⁴ მ. ზ ა ნ დ უ ქ ე ლ ი, ახალი ქართული ლიტერატურა, ტ. 111, ნ. 1, ტფილისი, 1936, გვ. 40.

⁵ ტ ა ბ ა ლ ა, პოლიტიკა, ო. „იმედი“, 1881, №2, გვ. 159-160.

⁶ ს. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი, რჩეული მოთხრობები, თბილისი, 1963, გვ. 525.

⁷ იქვე.



როგორ მივიდა იუდა ამ დასკვნამდე? ამაში ს. მგალობლიშვილი ადანაშაულელებს ოჯახურ ვარემოს, მშობლებს, რომლებმაც თითქოს წინასწარ განსაზღვრეს იუდას მომავალი, დაარქვეს რა მას სახელი „იუდა“. ბუნებით გაჭინილი და ორბარი იუდა, რომელიც კეთილშობილი ადამიანის ნიღაბსაა ამოფარებული, ვერ იტანს ამ მამხილებელ სახელს და ცდილობს გადაიკეთოს იგი ხან იობად, ხან იროდად, მაგრამ „ხალხში მაინც ზოგი იუდას ეძახდა, ზოგი იროდესა“⁸. იუდა ბავშვობიდანვე გამოირჩევა ანგარიშვანობით, ვაშალებით იღვწის ქონების შესაქონად, ცოლსაც ანგარებით ირთავს. იგი დასციენის სინდისს, მის ვაგებას: „ნამუხსი, სინდისი?!... იმ ნამუხსს და სინდისს რომ მიეყვებ, რომელსაც ფილოსოფოსებმა გვიქადაგებენ, შიმშილით სული ამოგვეჭრება. ეხლა გამეფებულია სხვაგვარი ნამუხსი და სინდისი, ქვეყანა მას მისდევს, მას ადგია. სინდისი მეუბნება, ხალხს უანგაროთ ემსახურეო, სხვაგვარი სამსახური ნუ გინდაო, მაგრამ მე ამნარი სინდისი მოვდრიკე, წელში მოგვაკეცე და ახლა ასე ვალაპარაკებ: ხალხს თვალები აუბი, თვალში ნაცარი ჩააყარე, უფროსების წინ მოიკავე, ხელ-ფეხი გაულოკე. იფლიდე, იცრუე. ანგელოზად ეჩვენე, იმის წინ ქვემძრომივით იხობე“⁹, „ადამიანიც ასეა: მოხედება ცხოვრებაში; ზოგვან ქიმუნჯს წაპკრავენ, ზოგვან წკიბურტს, იქნება სახრეც მოხედეს, მაგრამ აწინდელ ცხოვრებას მაინც არ უნდა ჩამორჩე. უნდა იწიო მალა, მალა და ახვიდე სამსახურის ზემო საფეხურზე“¹⁰. იუდა ამაყად მსჯელობს ამ საკითხზე თავის მეუღლესთან, მაგრამ სულის სიღრმეში რაღაც შფოთავს და ვერ გაუგია რატომ. მისი ყოველი ნაბიჯი ვარკვეულ რისკთანაა დაკავშირებული. იუდა რისკავს და ამავე დროს შიშით კანკალებს: „ვაითუ წუხანდელი ჩემი ლაპარაკი ორბარიობად მიიჩნია და დავიღუპე; ვაითუ იმის თვალში დამეყარა არა ვარ დასახული და ისევე წუწუქ თავად დავრჩი?! ვაითუ ამხანაგებმა ჩემი ტყავის შოვნითა პირი უჩვენეს?!... მაგრამ იმათ ხომ არ იციან ჩემი იდეალი, ხომ არ იციან, თუ მე რა დევიზი მაქვს გაღმერთებული ცხოვრებაში?... მწ! ტყუილია სულთქმა, ვიში! — უნდა გამეხსნა ხომ მაინც, რაც იქნება, იქნება“¹¹. „იუდამ თავისი მოღვაწეობა“ იროდიონ პროზოორი ვოროტილოვისადმი კუდის ქიციანითა და ქართველთა სიტყვიერი განადგურებით დაიწყო, მაგრამ შემდეგ მალა ავიდა, მეხუთე კლასის მოხელის თანამდებობა მიიღო და გათამამდა. სამივე კურდღელს თავგამოდებით მისდევს, პირფერობს, ლაქუცობს და იფხორება კიდევ ხელქვეითების მიმართ. რაც უფრო წინ მიიწევს წითელი სარჩული-საქენ, მით უფრო უძლიერდება ეჭვი: ვაითუ, გაუგეს და მისი აღსასრული მოახლოებულია? მაგრამ ეს ვერ აფერხებს მას. პირველი კურდღელი მან წარმატებით დაიჭირა: „თავის სამშობლოს სალაროში ხელუქუდმა ცოტაოდენი წვლილი შეპქონდა. ამით მეგობრებს თვალეში მტერი შეაყარა, თვალეზი აუბნია და შეიძლება აღარ მისცა კბილები გაეხინჯათ იმ მოღალატისათვის, რომელსაც ის გულში ზრდიდა სამშობლოს საგმობლად“¹². მაგრამ მისი გამოცდევები, მისი მცდელობა ხომ ყალბი საფარია. ეს მაინც შეიძინევა. ამიტომ, რომ გულითადი მეგობარი აპოლოსი შეგნებულად ურჩევს: „მე თაყვანს ვცემ შენს მოღვაწეობას; შენ ერთობ წინ წასწიე ჩვენი ისტორიის საქმე, ეკ-

16. 829

⁸ იქვე, გვ. 524.
⁹ იქვე, გვ. 526.
¹⁰ იქვე.
¹¹ იქვე, გვ. 530.
¹² იქვე.

კ. მარკუსის სახ. საქ. ს. ს. ს.

ლიანი გზა ამ ისტორიისა გაკვეთილ და გაუადვილე შენს შემდეგებს „სავალი გზა“. მე პირში ჩაეჩრი ბურთს ხოლმე იმათ, ვინც შენ ცუდად გიხსენიებს, მაგრამ ისტორიის კვლევა სხვა არის, კაცური კაცობა კიდეც სხვაა: შუაში დიდი ზღვარი უდევთ; რად მინდა შენი ისტორიკოსობა, თუ დღევანდელს დღეს პირნათლად არ ემსახურები, თუ შენ ახალ თაობას ჩაჰკლავ, ენას მოჰკლავ, ენას მოჰკლავ და წმინდათა წმინდას შეუგინებ¹³.

იუდას იმისი იმედი აქვს, რომ ენას მოიქარავს, ტკბილი სიტყვით ქართველის გულს მოიგებს და დაუმტკიცებს, რომ იბრძოდა სამშობლოს საყვეთილდღეო იდეების განხორციელებისათვის. თანაც თავის მომხრეებისაგან დაცვასაც ვარაუდობს. მაგრამ დრო იცვალა, თავისუფლების ქარიშხალმა დაბერა და პირველად სამშობლოს მოღალატეებთან გასწორება მოინდომა: „პეტრე მოჰკლეს მოღალატეობისათვის, აპოლოსს გულში ჰკრეს ტყვია, ნესტორს ყუმბარა ესროლეს“¹⁴. იუდას ჯერაც დამდგარა. მან ხომ მეორე „კურდღელსაც“ ამოსდო ლავამი და ხელი შეუწყო ერის მოძულეთა საქმიანობას. იუდა ამაყად აცხადებს: „ყველგან გავგზავნე ცირკულიარები სამშობლო ენის მოსპობის შესახებ, სკოლებში გავანეთე შენი გულის სატრფო ლევიტის მეთოდი; მოთხოვნილებისამებრ შენისა გავგზავნე მეორეხარისხოვან სამრევლო სკოლებში რუსი მასწავლებლები. ერთი-ორგან სასწავლებლის გამგე მღვდლებმა წინააღმდეგობა გამიწიეს, მაგრამ მსწრაფლ ვუბანჩურე... დიდი ჯაფა და შრომა კი მჭირდება, ბევრი ოფლი დავღვარე და ძლივს შევაჩვე მღვდლები და მასწავლებლები ამ ჩვენს დიად აზრს“¹⁵. ს. მგალობლიშვილის აზრით, იუდას უფრო დიდი დანაშაული მიუძღვის ქვეყნის წინაშე, ვიდრე ბიბლიურ მეფე იროდს: „მე მოვეპრ ოციათას ბევშეს ენა, დავამახინჯე, საუკუნოდ დაუეხზე ქუთა-გონება; მეფე იროდმა თორმეტათასს ნორჩ ყმაწვილს მოუღო ბოლო, მოსრნა იგი, რომ ახლად დაბადებული ქრისტეც შიგ მოეყოლებინა; მე უარესი მოვიმოქმედე: მთელს ერს მოვაპრ ენა, მსურდა გამეხრისა იგი, ამომეგლო ფესვიც კი იმის სახსენებლისა“¹⁶. იუდა ამით გაიკაფა გზა კარიერისაკენ, მაგრამ გაუგო ორიპირობა უფროსობამ და შეიძულა იგი. თვით მისი უერთგულესი ვოროტილოვიც განუდგა იუდას და საქართველოდან გაქცეულმა, შორიდან მუქარა შემოუთვალა მას: „მე შენ უკვე აგხადე ფარდა, ყველგან გამოვფინე შენი ფლიდობის ამბავი, შენ დღეიდან გამოეთხოვე დაწინაურებას, თავის გამოჩენას. მალე შენი ქვეყანაც აგხდის ფარდას მეორე მხრიდან და პთელის სიგარძე-სივანით დაგინახავს“¹⁷.

იუდას ორიპირობა მოღვაწეობა ზომ მის სათაყვანო საქმეს ემსახურებოდა — სამოქალაქო გენერლობის მიღებას. ამასაც მიღწევა, მაგრამ საუბედუროდ ახალმა სიომ გენერლის მუნდირიც საშიში გახდა; ისედაც დაეჭვებულს, შიშით აზრი დაეძინა: „დღემდის რა კარგად მიდიოდა ჩემი საქმე, რომ იტყვიან ერბოს გულში ცურაობსო, სწორედ ვიყავი: ღვთისა და ხელმწიფის წყალობა — ერთის მხრივ, მთავრობისა და მისი ხელქვეითთა — მეორეს მხრივ, ჩემი მეგობრებისა და თათქმის ჩემის ერის პატივისცემა — მესამე მხრით: დღეს ხალხი აღელდა, ზვირთს მისდევს, ქარიშხალი მატულობს, მთელი ერი გაიმს-

¹³ იქვე, გვ. 535 (ხაზი ჩვენია).

¹⁴ იქვე, გვ. 556.

¹⁵ იქვე, გვ. 542.

¹⁶ იქვე, გვ. 548.

¹⁷ იქვე, გვ. 552.

ქველა თავისუფლების სიყვარულითა და იმის მოპოვებისათვის სისხლსა ღვრის; მსხვერპლი მსხვერპლს მისდევს, მაინც შუბლშეუჭმუხენელად მიდის წინ და ლამის მივიდეს იმ წმინდა ასულთან, რომელიც ღმერთს სიმართლასა უკავია ხელში და რომელიც არის თავისუფლება“¹⁸. ახლა უნდა ავოს იუდაძე პასუხი ჩაღწეული დანაშაულისათვის. მას მოელს შეჩვენება, განდევნა, საშინელი სულიერი მღელვარება კულმინაციას აღწევს — იუდა აპირებს თავის მოკვლას, რადგან ხალხის რისხვა მას თვითმკვლელობაზე უფრო საშიშრად მიაჩნია. აქაც არ ვაუმართლა ბედმა; დროზე ჩამოხსნეს, იუდა ვაგოცდა. მისი მოხეტიალე არსება თითქოს სახვა საზოგადო მოღალატისა, რომელსაც ყველა ზურგს აქცევს. იგი აცეთებს უკანასკნელ აღიარებას: „ჰო, მე მოღალატე ვიყავი“.

იუდა ღეჭოაშვილი გაქრა საზოგადოებრივი ასპარეზიდან, მაგრამ მას დარჩა მემკვიდრეები: ქართველობის მოსისხლე მტრები—დავით არობელიძე, „ბულანჯიანი“ ახალგაზრდა, საკუთარი შვილები, რომელთაც მამა „სამჯერ სამის დაქერას უქადაგებდა“. დავით არობელიძე რენეგატია, წარსული დიდების მომსწრე ახლა ერის მიაგერელებთან რომ აბამს კავშირს, „დავითმა გაზარდა, გააძლიერა, გაამარულა თავის არსებაში ბაცილა რენეგატობისა, უკუღმართობისა“¹⁹. ამ მაგალითით ს. მგალობლიშვილი ცდილობს დაამტკიცოს, რომ თავადაზნაურობის წრეში ადვილად შეიძლება შეიჭრეს ეს სენი. „ბულანჯიანი“ იმ ახალგაზრდობის წარმომადგენელია, რომელიც იუდას გამოუწერთნია თავის ყაიდაზე. ამიტომაც, რომ ეს ახალგაზრდა დიდი პატივით იხსენიებს იუდას: „ეს კაცი დიდებული კაცია, გენერალი კაცი... მე მაგისი გაბედნიერებული ვარ... ეგ ერთ დროს სათავეში ედგა დიად საქმესა, გვერდში უდგა იროდიონ ვოროტილოვს და ერთად შეიმუშავეს გეგმა არარუსთა ერების გადაგვარებისა...“²⁰. მაგრამ აზვირთებული ხალხის ტალღა ამათაც წალეკავს. არობელიძე რუსეთში გადაიხვეწა; ნიკიტას ჩავარდნა მოელის; ახოლოსი, პეტრე და ნესტორი დაიღუპნენ; „ბულანჯიანი“ ახალგაზრდა გაკიცხვის საგანი გახდა.

ს. მგალობლიშვილმა ამ მოთხრობაში რუსეთის მონარქიული წყობილების რამდენიმე წარმომადგენელი დახატა: ერთნი (ვოროტილოვი, პოპკა), ზიზლით რომ შეპყრებდნენ იმპერიაში შემაველ სხვა ერს, უარყოფდნენ ყველაფერს ნისას და გადაგვარების ზერხებს ეძიებენ. ამ აღამიანებს საკუთარი ქვეყნის ავ-კარგიც ვერ გაუგიათ და ევროპეიზმს აგდებით უყურებენ. მეორენი (ჩუბაროვი, რუსი მუშა) საღი თვალით შესცქერაინ ცხოვრებას, პატივს სცემენ ყველა ერს და მათს ღირსებას, უარყოფენ მშობელი ერის ცუდს, გმობენ მოღალატეებს.

იროდიონ პროხორი ვოროტილოვი მეტად თვალსაჩინოდ შექმნილი პორტრეტია სხვა ერის მოძულე აღამიანისა. იგი არ მალავს თავის განწყობილებასა და მოქმედებით ამტკიცებს კიდევ; ეძებს რენეგატებს სხვა ერში და მათვე უსევს ხალხს. ასეთია ვოროტილოვის პროგნოზი²¹: „ადგილის კურდღელი ადგილობრივ მწვეარს უნდა დააქერინო, დიად, მე მგას შევმოსავ უფლებითა. ამ უფლებით თვალებს დაუწყენებ და მოვიხმარ გაწვრთნილ ძალივითა“²². იროდიონ ვოროტილოვის სძულს ყოველივე აზიური, აღმოსავლური,

¹⁸ იქვე, გვ. 554—555.

¹⁹ იქვე, გვ. 550.

²⁰ იქვე, გვ. 563.

²¹ იქვე, გვ. 528.

²² იქვე, გვ. 529.

მაგრამ ევროპისაკენ კარის გახსნას მაინც აღმოსავლური მორჩილება ურჩევნია. ამიტომ, რომ იგი კიცხავს პეტრე დიდის პოლიტიკას და აცხადებს: „ახალი სიოსი მეშინიან. პეტერბურგის გაზეთებმა ერთობ მაღალ ტონზე დაიწყეს ლაპარაკი... მაგრამ დავიჯერო მეფე შეეღევა თვითმპყრობელობას?“²³. ვოროტილოვმა კარგად იცის, რომ თუ ახალმა სიომ დაბერა, მასაც არავინ დაინდობს. „ახალმა სიომ დაპყრა, დააზრო, გააყვითლა ჩემი ვარდი...თვით ჩემიანებმა მიხრიეს“²⁴.

ვოროტილოვს ზიზღით შეჰყურებდნენ ნოწინავე რუსი ადამიანები. მოხელე ჩუბაროვმა კარგად დაინახა ქართველი ერის ღირსებები: „წარედ ტყულის ბატონი ღეჭიაშვილი, — დაიწყო ჩუბაროვმა. ქართული ენა კულტურულია, ქართველებს მშვენიერი სიტყვაჯამული ლიტერატურა აქვთ. პოეტები? მე სიამოვნებით წამიკითხია ქართველ პოეტთა ნაწარმოებები, რუსულათ თარგმნილნი, ჯერ ერთი მარტო შოთა რუსთაველი რად ღირს!...“²⁵.

რუსი მუშისათვის ცხადი გამხდარა თვითმპყრობელობის აღსასრულის მოახლოება, ამიტომ, რომ ისიც უარყოფითად განწყობა ვოროტილოვის მიმართ და ქართველი ჩოხოსნების აზრს ამ საკითხზე უფრო სარწმუნოდ მიიჩნევს.

ერთ-ერთ დადებით პიროვნებად ამ ნაწარმოებში გვევლინება იუდას მეულე ნინო. იგი სასტიკად კიცხავს ერის მოძულეს, კარიერისტ ქმარს: „ეგ არის შენი ცხოვრების პროგრამა? აი შენი ვაჟაკობის ჭირიმე შენი... მცოდნოდა ეგ შენი საძაგელი პროგრამა, ცოლად არ გამოგყვებოდი, მაგრამ ახლა რა ექნა, რა ვუყო შეილებსა. ვაგზორედ და შენ დაგტოვო, რომ მაგ საძაგელ პროგრამაზე აღზარდო? შე უბედურო შენა!... მე ხალხის სიბრძნით ვაცემ პასუხს: ფიცი მწამს და ბოლო მაკვირებსო. მაგ შენს პროგრამას მამალივით დიდი ბოლო არა აქვს და ვაითუ ვერსად მიაფარო... იაშა, როცა შენ მაგ გზით, რასაც შენ აღგებარ, სამი კურდღელი დაიჭირო უვნებლად, სულის აუშფოთებლად, საფლაგში ჩამომძახე... მე შენს ხელში დიდი დღე არ მაქვს. არ შემიძლია შენს იუდასს ვუყურო, მუდამ მისი მოწმე ვიყო... თუ ღმერთმა ნებით არ ამომხადა სული, ძალით ამოვიხდი“²⁶. სამწუხაროდ, მწერალმა ვერ დაასრულა ნინოს სახე; მისი იუდას მიმართ წინააღმდეგობა მხოლოდ ნინოს სიკვდილით გამოხატა.

ს. მგალობლიშვილის მეფე პროტესტი ერის მოძულე რენეგატების მიმართაა მკვეთრად გამოხატული. აქვე ავტორი ერის ხსნას რევოლუციის უკავშირებს. ფიქრობთ, იგი რუსეთის პირველ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციას უნდა გულისხმობდეს, რომელმაც გამოძახილი პოვა საქართველოში და გადაჭრით გაილაშქრა ბნელი ძალების წინააღმდეგ. მართალია, ამ მოვლენას იგი რამდენადმე შეფარვით აჩვენებს, მაგრამ მოთხრობის ბოლო სტრიქონებში აშკარად გამოკვეთს ახლის გამარჯვების აუცილებლობას: „მაშინ ისე, ახლა ჩი ასეთ!.. დიას ცუდი დრო დავეიდგა: ჩვენი ბოლო ეს არის! — თავის ქნევით კაილაპარაკა ბოქალმა და ბ. ლეჟოვი წაიყვანა საგიჟეთში“²⁷.

ს. მგალობლიშვილს ახალი რევოლუციური მოძრაობა ხალხოსანთა იდე-

²³ იქვე, გვ. 544.

²⁴ იქვე, გვ. 525.

²⁵ იქვე, გვ. 525.

²⁶ იქვე, გვ. 526.

²⁷ იქვე, გვ. 563.

ბის განხორციელებად მიაჩნია. „ის თესლი დაფარული იყო, თბილ მზიანს დღეს უცდიდა. და აი დღეს ნაყოფი გამოადგინა ახალმა დრომ, ახალმა მქადაგებელმა. ქვეყანაზე კარგი საქმე არ დაიკარგება“²⁸. მკვლევარი (ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. IV, 1974) ა. კენჭოშვილი ამას ხალხოსნური წარსულის გაიდილებად მიიჩნევს, მაგრამ აქვე უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ეს მოძრაობა რევოლუციური მოძრაობის შემადგენელ ნაწილად არის აღიარებული მარქსისტულ ლიტერატურაში და ამდენად მარტო ძველი ხალხისნის გულისტკივილის გამოხატულებას არ უნდა წარმოადგენდეს.

„წითელი სარჩული“ ღრმად რეალისტური ნაწარმოებია, მასში გადმოცემული ფაქტები თუ მოქმედი პირები ავტორს უშუალო სინამდვილიდან აღუღია. დეკოვის „მოღაწეობის“ პერიოდი შეესაბამება საქართველოში ფრიად დაძაბულ ბრძოლას ქართული ენის გადარჩენისათვის სკოლებში: „ცარიზმის რუსიფიკატორული საგანმანათლებლო პოლიტიკა საქართველოში XX საუკუნის დამდეგიდანაც არ შესუსტებულა. საშუალო სასწავლებლებში სწავლება კვლავაც რუსულ ენაზე მიმდინარებდა. ქართული ენა თითქმის საბოლოოდ განდევნეს დაწყებითი სკოლებიდანაც. სკოლებში რუსული ენის სწავლების ევრეტწოდებული ნატურალური (მუნჯური) მეთოდით ფართოდ დანერგვა იწყეს, რითაც ცარიზმი ორი კურდღლის დაპერას ლამობდა: ქართველი მასწავლებლების შეცვლას დიდმპყრობელი რუსი შოფინისტებით და სწავლა-აღზრდის სრული რუსიფიკაციის განხორციელებას. ათწლიანი ბრძოლის შემდეგ მთავრობამ თბილისის თვითმპყრობელობას ჩამოართვა საქალაქო სკოლების ხელმძღვანელობა და ისინი რუსულ სკოლებად აქცია, უფრო დიდხანს ვაგრძელდა ბრძოლა ქართული სკოლებისათვის სამეგრელოში, სადაც თვითმპყრობელობა მეგრული ანბანის შექმნით და მუნჯური მეთოდის გამოყენებით ქართული ენისა და კულტურის აღმოფხვრას ცდილობდა“²⁹. თვით ს. მგალობლიშვილი აქტიურ მონაწილეობას იღებდა ამ ბრძოლაში და გადაჭრით ვმობდა ცარიზმის რუსიფიკატორულ პოლიტიკას. ავტორმა სცადა რეალური პირებისათვის აეხადა ფარდა და ამიტომ თავის გმირებს შესაფერისი პროტოტიპები გამოუძებნა.

გოროტილოვი—გოსტორგოვი, ქართველი ერის მოძულე, მისი გადაგვარების მოსურნე, სასულიერო პირი. იგი თავისი მოღაწეობით უდიდეს ზიზღს იწვევდა. ამიტომ გადაუწყვეტიათ მისი თავიდან მოშორება. შეთქმულებას მის წინააღმდეგ თურმე ს. მგალობლიშვილი ხელმძღვანელობდა. 1904 წელს გოსტორგოვი და ეპისკოპოსი ელიევი პეტერბურგში წასულან, უკან აღარ დაბრუნებულან და შეთქმულთა რისხვისაგან გადაარჩინილან³⁰.

დავით არობელიძეში ავტორი ალბათ ეპისკოპოს ესტატე ელიევს, გოსტორგოვის დამქაშსა და ერის მოლაღატეს უნდა გულისხმობდეს. პოპა—ეგზარხოსი ალექსი — „პოპად წოდებული ჩვენგან, ერთი სულელი, ანმახი, გოსტორგოვის მასხარა“³¹.

ნიკიტას სახეში ს. მგალობლიშვილი იქნება არც გულისხმობდა რეალურ პროვინციას, მისი ნიშნები იქნებ შემთხვევით დავითზე დეკანოზ ნიკიტა თალაკაძეს, რომელიც ეგზარხოსის კანცელარიაში მუშაობდა. „წითელ სარ-

²⁸ იქვე, გვ. 562.

²⁹ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VI, თბილისი, 1972, გვ. 710.

³⁰ საქართველოს ლიტ. მუზ. ფონდი, ხელნ. № 15676, გვ. 69.

³¹ იქვე.

„მე მუდამ მიაყიებდა გოგოლი. მახსოვს, როგორ გამიხარდა, როდესაც წავიკითხე, რომ ანდრეი ბელიმ ის თავის მასწავლებლად აღიარა, ბელი ხომ მაშინ ჩვენი კერპი იყო“¹, — იგონებდა შემდეგში მწერალი, მაგრამ აქვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ ქართული მწერლისათვის სიმბოლიზმის იდეური მხარე ყოველთვის უცხო იყო; „როცა ჩვენში ლიტერატურული დაჯგუფებები შეიქმნა, მე მიუხედავად „ციხეფრანკების“ სურვილისა და ბუნებრივი მოლოდინისა, მათ ჯგუფს არ მივმხრობივარ, მემარცხენეობა ვარჩიე. ამ ნაბიჯს სხვა მიზეზებიც ჰქონდა, მაგრამ მთავარი მაინც ერთი გარემოება იყო: მართალია, თაყვანს ვცემდი ფრანგული და რუსული სიმბოლიზმის კორიფეებს და ბევრად დავალებული ვიყავი, კერძოდ, სიმბოლისტური პროზისა-

¹ გ. ასათიანი: სამი საღამო დემნა შენგელაისთან, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1971, 5 ნომერები.

გან, სიმბოლოსტების იდეალიზმი არასოდეს გამოიზიარებია, რადგან, ბუნებით ყოველთვის მატერიალისტი ვიყავი².

სწორედ სიმბოლოსტისადმი ამგვარმა დამოკიდებულებამ განაპირობა დ. შენგელიას აღრინდელი რომანების თავისებურებანი. მათში ორგანულადაა შეზავებული ქართული კლასიკური რეალისტური რომანის ტრადიციები და სიმბოლოსტური, კერძოდ, ბელისეული რომანის პრინციპები.

„პეტერბურგის“ მთავარი სიუჟეტური რკალი აგებულია 1905 წლის რევოლუციასზე. გმირთა ხასიათები იხსნება ერთი ფაქტის გარშემო: შვილმა უნდა მოკლას მამა და ტრაგიკულად განიცდის ამას (აქ ყალიბდება ბელის კონცეფცია რევოლუციასზე), მაგრამ ეს გარეგნული ნიშანია მხოლოდ, ძირითადად სიუჟეტი სხვა მიმართულებით ვითარდება, კერძოდ, როგორი უნდა იყოს მომავალი რუსეთის ბედი? რა გზით იპოვის იგი თავის სახეს და ადვილს ისტორიის მსვლელობაში? მთელი ნაწარმოები გამსჭვალულია ქრისტიანულ-მისტიკური სულით; ქრისტიანული და სპირიტუალური მხედრის კულტი (ქვეყნის ხსნა, რუსეთის სახე). ანალოგიური ხასიათისაა „ვერცხლის მტრედიც“. მასში მთავარია აღმოსავლეთისა და დასავლეთის სინთეზის და რუსეთის „ბედნიერი მომავლისათვის“ საჭირო და აუცილებელი გზის ძიების საკითხი. ამ შემთხვევაში ბელისათვის ამოსავალია რუსი ხალხის მისტიკური სული, რომელიც მომავალი რელიგიური ხსნის საწყისადაა მიჩნეული („კანტიანელობა“, „პანმონღოლიზმი“, რევოლუცია აქ გაგებულია ერთიან, ხალხის დანაბეჩავებელ ძალად). ორივე ნაწარმოები წმინდა თეურგიული ხასიათისაა.

სულ სხვა პრობლემაა „სანავარდოში“. ესაა აგონია დაეიწყებაში მიმავალი კლასისა, უკანასკნელი ფურცელი ჭილაძეთა გვარის ისტორიისა, რომლის ბოლო ნაშეიერს ებილედსია ხრწნის და თანდათან თეთრი დუქით იფარება გმირული წარსულის აღწერით გავსებული მატინე.

აქ არაა არც ქრისტიანული კულტი და არც პრობლემა ქვეყნის დაღუპვისა და მისი ხსნის შესახებ. ჭაობით დატბორილი და სიცხით შეტრუსული სანავარდო არ იწვევს მკითხველის შიშს მომავალზე; რომანის ყოველ პასაჟში იგრძნობა, რომ აგერ, ტყის გადაღმა, ისმის მატარებლის კივილი და ნამდვილი ცხოვრების სუნთქვა. ახალი ხალხი მომავალში კი არ უნდა მოვიდეს, ის აქაა, ერთი ფეხის ნაბიჯზე ერთი ფეხის გადადგმა საჭირო, რომ აყვავდეს სანავარდო...

„სანავარდოს“ სიუჟეტურ რკალში ყურადღება გადატანილია უნაყოფობის ტრაგედიაზე. მწერალმა, — როგორც ა. ბაქრაძე შენიშნავს, — თავდადუნაურთა კლასის გადაშენებას არა მხოლოდ სოციალურ-პოლიტიკური საფუძველი მოუძია, არამედ სულიერიც³.

მაგრამ ამ სხვაობის მიუხედავად საერთო მაინც გამოვლინდა დ. შენგელიასა და ა. ბელის რომანებს შორის.

ბელიმდგ სიმბოლოსტური რომანი, როგორც წესი, დიდად არ განსხვავდება ჩვეულებრივი აღწერითი რომანისაგან. აქ მხოლოდ გაძლიერებულია დეკადენტური ესთეტიზმი, თემატიკაც მრავალფეროვანია, დაწყებული თავდადუნაურთა ყოფითი სურათებით (ანრი დე რენიე), დამთავრებული ბიბლიური სიუჟეტებითა და ისტორიული მოვლენებით (მერეჟკოვსკი, სოლოგუბი). ან-

² იქვე.

³ ა. ბაქრაძე, სანავარდო ანუ უნაყოფობის ტრაგედია, „ცისკარი“, 1968, № 3.

დრეი ბელიმ კი ყურადღება გაამახვილა არა თვით სახე-სიმბოლოების მეტ-ნაკლებობასა თუ ნაწარმოების შინაარსის უბრალო გაზუნდოვნებაზე, არამედ შეცვალა რომანის აგების სტრუქტურაც. მაგალითად, „პეტერბურგში“ სამი პარალელურად განვითარებადი სიუჟეტური ხაზია, სადაც სამი მიმართულე-ბით იშლება მოქმედება და მკითხველი ერთბაშად იძირება სამ სამყაროში, რომელთაც დამოუკიდებელ არსებობასთან ერთად თანხვედრის შრეებიც გაა-ჩნიათ. პირველი სამყარო რეალურია, ცხოვრებისეული. აქ ვითარდება სიუჟე-ტი, იკვრება კვანძი. მეორე — სიზმარისეული, რომელშიც ხდება ყველა ას-ტრალური ჩვენებისა თუ სიზმრების აღწერა (ამას ნაწარმოებში დიდი მნი-შვნელობა ენიჭება) და მესამე — რელიგიურ-მისტიკური, სადაც ადამიანი ღმერთს ხვდება. ეს სამყარო, თითქოს განცალკევებით არ დგას. მოქმედება აქ ხდება მიწაზე და ამავე დროს ჩვენს წარმოდგენაშიც. ამდენად მას რაღაც შუალედური, შემაკავშირებელი როლი ენიჭება გონებრივსა და რეალურ სამ-ყაროთა შორის.

მსგავსი რამ გვხვდება „სანაევარდოშიც“. რეალურ მოქმედებასთან ერთად ჩნდება მეორე სიბრტყე, რომელიც ჰინკების, ბონდოს მზეთუნახავისა და დოდო ბაყაყის საბრძანებელია თეთრ ცხენზე ამხედრებულ ბა-ტონიშვილთან ერთად. ამ უკანასკნელთა ფოლკლორულ-მითოლოგიურა მხა-რის ახსნაზე ჩვენ არ შევჩერდებით (იგი გამოკვლეული აქვს ა. ბაქრაძეს)⁴. იდეურად ბელისთან აქ დემნა შენგელაის არავითარი საერთო არ აქვს. ამ შემთხვევაში ყურადღება გვინდა გავამახვილოთ მხოლოდ პასაჟის გამოხატვის სტრუქტურულ მხარეზე, სადაც მსგავსება თვალნათლივ ჩანს: ორივე შემ-თხვევაში საქმე მრავალბუნაიან სისტემასთან გვაქვს (ვიმეორებთ, იდეური დატვირთვა განსხვავებულია — ბელისთან გამომდინარეობს თურგთა კონ-ცეფციისგან, შენგელაისთან — ფოლკლორულ-მითოლოგიური სახეებიდან).

ბელისთვის პეტერბურგი არა მარტო იმ ქალაქის სახელწოდებაა, სადაც მოქმედება მიმდინარეობს, არამედ ყველაზე პირველი და შეიძლება მთავარი სახე-სიმბოლოც. პეტერბურგი ბილწია და მრუში, ავისმომასწავებლად დას-წოლია გამორებს მხრებზე და ყოველ წუთს ახსენებს მკითხველს თავს ნაცრის-ფერი კედლებით, გრიპის ბაცილებით, სუსხითა და სიბინძურით. და, მიუხე-დავად ავტორის კილოსი, ძალაუნებურად შიშისა და მოკრძალების გრძნობას აღძრავს მკითხველში. პეტერბურგი ქალაქი-სიმბოლოა. მაგრამ განა ასევე არაა გააზრებული „ტფილისისა“ და „სანაევარდოს“ სახელწოდებანი? ორივე, მართალია, თავისებურად, მაგრამ მაინც იმასვე ნიშნავს, რასაც სიმბოლო „პე-ტერბურგი“. ტფილისიც „ავია; ტფილისმა დაცდა იცის... ის ორპირია სატევა-რივით, „მრუში და მტრის და მოყვრის დაუნდობელი“⁵. აქაც ისევე, რო-გორც „პეტერბურგში“ „ქუთრდები, პროსტიტუტები, რეციდივისტები, ვოლ-გის სანაპირო გუბერნიებიდან გადმოხვეწილი უპატრონო ბავშვები და კაცის-მკვლელები ბაცილებივით გამოხონდებიან ბნელ ჭურღმულებიდან და თვალ-ცეცებულნი მოიპარებიან შესახვევებში და ქუჩაბანდებში“. ასეთივე უბედუ-რება ტრიალებს „სანაევარდოშიც“. „სანაევარდო გახვეული იყო აორთქლებულ ხაშში და გვაღვაში... ჭაობი და ჭონჭყო... ჩამონგრეული ღობეები. დამპალი

⁴ ა. ბ ა ქ რ ა ძ ე, „სანაევარდო“ ანუ უნაყოფობის ტრაგედია, „ციცკარი“, 1968.

⁵ დ. შ ე ნ გ ე ლ ა ი ა, ტფილისი, „მნათობი“, 1927, № 1, გვ. 41.

წყლით საეცე თხრილები და შიგ ჩაწოლილი, უღლიანი ღორის ნეტარი ოხვრა“⁶.

რომანის სახელწოდებათა შორის მთავარი ის კი არაა, რომ სამივე ადგილის სახელწოდებაა (ტფილისი და პეტერბურგი — სატატო ქალაქთა სახელწოდება), არამედ ის არსებითი, ერთმანეთის მსგავსი მოვლენები და ანალოგიური სიტუაციები, რაც გვხვდება და იგულისხმება მათში. ქალაქის სახელს ყველგან ერთი და იგივე ფუნქცია აკისრია. ყოველი მათგანი „აგია“ და ამ „აგ“ ადგილებში ცხოვრობენ უბედური გმირები, რომელთა შორის ვერც გამოეყოფთ დადებით და უარყოფით პერსონაჟს.

არის კიდევ ერთი გარემოება, რაც ერთმანეთთან აკავშირებს „ტფილისსა“ და „პეტერბურგს“:

ნებისმიერი ასტრალური ჩვენება, სიზმარი, მისტიკური ხილვები თუ სხვა «პეტერბურგში» ხდება ე. წ. «ტვინის ვარჯიშის» («Мозговая игра») პროცესში. «ტვინის ვარჯიშის» დროს გვეპოვებით ჩვენ, თუ როგორ გამოდიან თავიანთ საბრძანებლიდან ფიქრები, დასეირნობენ ოთახებში და შემდეგ მოგზაურობით დალილინი ისევე თავისქალაში ბრუნდებიან. «ტვინის ვარჯიში» ბელისთან ხატვის ფორმალისტური ხერხია, რომელშიც მკაფიოდ მქლავდება მისი სიმბოლისტური ხედვისათვის დამახასიათებელი სტილი და მანერა. მსგავსი ადგილები გვხვდება «ტფილისშიც»: «მერე დგება ისევე აუტანელი სიცარიელეა ყველა აზრები მიმატოვებენ და ჩემი გონება მაშინ ემსგავსება დაბრუნულ ციხე-ქალაქს. ყველა სასწაულ-მოქმედი სიტყვები გამწირავენ . . . მაგრამ ტვინში უეცრად შემოვა ციკინათელასავით აცაცახებული წმინდა ცეცელია და უეცრად გამეტირება. რაილმა პირი დააბჩინა და დაჭრილ გორილასავით გადგებოტე პიუბიტრებზე, ჩაიღვი როიალი ჯიბეში და დავაღრჩე მისი ბლავილი»⁷ და ა. შ. გრძელდება მოლანდებანი; მორიელისა და სალამანდრას ორთაბრძოლა, ყვავი რიფსიმეს სტუმრობა, მოჩვენებები ჯვარცმაზე და სხვ.

დაბოლოს, ორივე რომანისათვის დამახასიათებელია ავტორის ოდნავ დამცინავი, ირონიული კილო, თითქოს ყველაფერი სასხვავათშორისოდაა ნათქვამი. ირონია დასაშვებო, მიღებული ფორმა იყო სიმბოლისტური ესთეტიკისათვის, სიმახინჯის აღწერასთან ერთად იგი ერთგვარად ანეიტრალდება მკითხველის განწყობილებას. ირონიული, ცინიკური დამოკიდებულება სამყაროსადმი უკმაყოფილოთა პასუხი იყო გაბატონებულ რეალობაზე.

კიდევ უფრო მეტი თანახვედრის წერტილები გააჩნია „სანავარდოსა“ და ბელის დასახელებულ ორ რომანს. პირველი, რაზეც შეიძლება ყურადღების გამახვილება, ესაა მამათა და შვილთა კონფლიქტის რთული კომპლექსი.

„პეტერბურგში“ სენატორ აპოლონ აპოლონის ძე აბლუუნოვი ბოროტების საწყისის სიმბოლოა (იგი იმ აპარატის დამცველია, რომელსაც მისი შვილი ებრძვის).

„სანავარდოშიც“ აზნაური ყარამან ჭილაძე ასევე ბოროტების სათავეა (ძველის, დრომოქმულის, სისხლდამპალის).

მათი შვილები — ბონდო და ნიკოლოზი — მამის წინააღმდეგ არიან აღმდგარნი. ორივე გრძნობს, რომ მათი უბედურება მამის სხეულიდან იწყება (ერთისთვის — შეხედულებანი, მეორისთვის — სისხლი).

⁶ დ. შენგელია, თხზულებანი, ტ. 2, თბ., 1960, გვ. 11, 31.

⁷ დ. შენგელია, ტფილისი, „მნათობი“, 1927, № 1, გვ. 50, 53, 57.



მამათა და შვილთა დამოკიდებულებაც ორივე ავტორის მიერ თითქმის ერთნაირადაა დანახული: მამები შესცქერიან შვილებს, მათში პოულობენ რაღაც ამოუცნობს და ორივეს ეჭვი ღრღნის. თავიანთი მხრავი, შვილებიც ეშვით შესცქერიან მამებს და მათში ხელავენ საკუთარი ტრავდილის საწყისს. ამასთან, შვილები იმდენად გვანან მამებს წვრილმან საციოხებშიც კი, რომ ეს მსგავსება უფრო ამძაფრებს მათ ურთიერთობას. «Николай Апполонович проклинал свое бранное существо и поскольку был образом и подобием отца, он проклинал отца, богоподобие его должно было отца ненавидеть. Николай Апполонович отца чувственно знал, до мельчайших изгибов и до невнятных дрожаний, был чувственно абсолютно равен отцу, он не знал, где кончается он и где в нем начинается этот сенатор...

Когда оба соприкасались друг с другом, то они являлись подобием двух повернутых друг на друга отдушин, и пробегал неприятнейший сквознячок.»⁸

ანალოგიური სურათია „სანავარდოშიც“: „მამასავით ხელს ისევმა ხშირად (მოდგმით თუ გამოჰყვია)...

ყარამანს მოეჩვენა, თითქმის ბონდომ მას გასცინა, ისე ნაცნობი და ნათესაური იყო ეს ხელის ვადასმა და უსიამოვნებასთან ერთად, რაღაც, მტრული გრძნობა დაებადა შვილისადმი (ეს მეორედ), მერე ხელი ჩაიჭინა“⁹.

დასახელებულ რომანებში მამათა გვარებს დიდი ხნის ისტორია აქვთ. მაგრამ ერთგან სისხლი წმინდა რჩება (აბლუუხოვები ამაყობენ თავიანთი სუფთა სისხლით), ხოლო მეორეგან იგი ვერ უძლებს საუკუნეებს და „ბერდება“. მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ აბლუუხოვთა სისხლის „სიწმინდე“ ვერ იცავს მის ნაშვიერს მონღოლური ჩვენებებიდან, რომელიც შვილს სწორედ მამის გენებით გამოჰყოლია, საუკუნეებში გაუღდამს ფესვები ჭილაძეთა მოდგმას და მატთანეც გადაივსო სახელებით, მაგრამ სწორედ ამ საუკუნეებმა „შეჰვა მათი თესლი პლაზმოიდებით და დალორწა სისხლი“, ბოლოს კი მთელი ეს ავლა-დიდება მეგვიდრეობით ბონდოს გადაეცა, რათა ამ უკანასკნელს ეზღო მის წინაპართა ცოდვები.

ამგვარად, მამაა დამნაშავე: ორივე ნაწარმოების მიხედვით მამამ მისცა სათავე ბოროტებას. შვილები მხოლოდ ამ ცოდვითა მსხვერპლნი არიან: ამით აიხსნება ის უჩვეულო ზიზღიც, რომელიც მამებისა და შვილების შეხვედრისას უცებ იჩენს თავს.

მაგრამ, აი თითქოს ყველაზე დაძაბულ მომენტში, ერთი ნათელი სხივი შეიჭრება „პეტერბურგში“. ეს ნათელი სხივი კოლიას ბავშვობაა, —ის დრო, რომლის გახსენებაც მამასაც და შვილსაც საოცარ სინანულს განაცდევინებს უკვე დაკარგულზე და ერთი წუთით მაინც გაჰფანტავს მათ ურთიერთობაში ჩამოწოლილ ნისლს. ბავშვობის მოგონებანი ორივესთვის იმ დროთა გამოძახილია, როცა მოდგმაში ჯერ არ ეჩინა თავი უთანხმოებას, როცა მათი „სუფთა სისხლი“ შედარებით ახალგაზრდა იყო.

ასევეა „სანავარდოშიც“. ყარამანიც სიამოვნებით იგონებს ბონდოს ბავშვობას, როცა იგი ჩურჩულით პირჯვარს იწერს და ენამოჩლექილი ლოცულობს. ამ დროს ყარამანს სითბოთი ევსება გული და იგი მზადაა შვილის გატანჯვისათვის მშობელ მამასაც კი შეუთვალის კრულვა: „ის ბონდო, იქ რომ

⁸ А. Б е л ы й, Петербург, М., 1935, გვ. 100.

⁹ დ. შ ე ნ გ ე ლ ა ი ა, თხზულებანი 2 ტომად, ტ. II, 1960, თბ., გვ. 41.

იყო პატარა ქულაჯით, უდრის ამ ბონდოს, აქ რომ წევს ავადმყოფი და სუსტი და ყარამანმა საოცარი სიბზო და სიბრალული იგრძნო მისდამი... ღრმად ამოისუნთქა და „შუბლში ფრთხილად აკოცა“¹⁰.

აი, ეს ორი მომენტი: პირველი—საკუთარი ხორცისადმი ფიზიოლ. გიური ზიზლი და მეორე — ჩვეულებრივი მამაშვილური სიყვარული (იგი მიზნად ისახავს პირვანდელი წესრიგის აღდგენას) განსაზღვრავს ამ რომანებში თაობათა ფრთიერთდამოკიდებულებას.

ერთგან დუღკინი ნიკოლოზ აბლუხოვს ასე ეპასუხება: «И были вы Николай Анполонович, как Дионис терзаемый...» და, მართლაც, ნ. აბლუხოვი თავისი ტანჯვით დიონისეს თუ შეედრება (თუმცა მოქმედებით სასაცილომდე დაყვანილი დიონისეა), მაშინ ბონდო ჭილაძეს კიდევ უფრო მნიშვნელოვანი საფუძველი აქვს თავისი განცდებისათვის. თანაც, თუ ახალგაზრდა აბლუხოვი მთლიანად თუ არა ნაწილობრივი მაინც გამასხარავებულია ბელის მიერ, ბონდო არათუ დაცივნის საფუძველს იძლევა, არამედ, პირიქით, უდიდეს ადამიანურ ტანჯვაზე მიგვანიშნებს.

ამავე დროს თუ „პეტერბურგში“ შვილი აბლუხოვი დიონისეს გაშარყებული მინიშნებაა, მაშინ მამამისი — აპოლონ აპოლონის ძე აბლუხოვი — უფრო დიდი შარყია დიონისეს დელფოსელი ძმის — აპოლონისა. ამ შემთხვევაში, სახელისა და მამის სახელის დამთხვევის გარდა, მსგავსებაზე მიგვანიშნებს ერთი გარემოებაც: ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, სხვა მრავალ საქმიანობათა შორის, აპოლონის სახელი დაკავშირებულია „კარებთან“, რაც იმაზე მიგვითითებს, რომ აპოლონი თავიდან შესაძლებელია კარების ღმერთი ყოფილიყო, ე. ი. ღმერთი, რომელიც ოჯახის, ქალაქის, სახელმწიფოს კარებს იცავდა ბოროტმზარახეულებისაგან¹¹. თუ ღვთაების ამგვარ გააზრებას ბელის აპოლონ აპოლონოვის დაუკავშირებთ და ამ უკანასკნელს თანამდებობასაც გაეჩხენებთ, ვნახავთ, რომ იგი იმავე მისიას ასრულებს, რასაც მისი პირველსახე. აბლუხოვი ხომ სენატორია? მეტიც, იგი უმაღლესი რანგის ბიუროკრატია და მისი მთავარი მოვალეობა სახელმწიფოს დაცვა და სახელმწიფო „კარის სამსახურია“.

აღსანიშნავია, რომ 1908 წელს ბელი წერდა: «И струны Леры натянуты на лук тетивый, чтобы стрелами Анполона—стрелами дня — разить саранчинную стаю издевающуюся над жизнью. Вернуть искусству Анполонов свет!»¹²

სწორედ აპოლონისეული კათარზისი აკლიათ ბელისა და შენგელაიას გმირებს და ამიტომ ხდება მამა შვილის ტანჯვის მიზეზი. ამიტომ არა აქვთ მათ შეილებთან ერთად მომავალი.

ხელოვნებას, — ბელის თქმით, — დაუბრუნდება აპოლონისეული სინათლე და ეს გზა სწორედ ამ დასალუბავად განწირულ ადამიანებზე გავა, რათა წინააღმდეგობათა დაძლევით დასასრულს მეტი სინათლე შევმატოს.

ეს საბედისწერო გზა განელეს ანდრეი ბელის „პეტერბურგისა“ და დემნა შენგელაიას „სანავარდოს“ გმირებმა.

ყურადღება უნდა გავამახვილოთ კიდევ ერთ გარემოებაზე: «...Да, той болезни, которая так изводит меня. Имя этой болезни еще неизвестно,

¹⁰ იქვე, გვ. 64.

¹¹ Вяч. Иванов, Дионис и прадониисийство, Баку, 1923.

¹² А. Б е л ы й, Пророк Безличия, Арабески, М., 1910, გვ. 16

ა პიზნაკი — ზნაუ. ტოსკა, გალლიცინაცია, ვოდკა, კურენიე, ჩასტაია ი ტუპაია ბოლ ვ გოლვე: ოსობე სპინნომოზგოვე ჩუვსტო: ონო — პო უტრამ. ვი დუმაეტიე ი ოინი? ი ვი, ნიკოლაი აპოლონოვიჩ — ბოლნი თოჟე. ბოლნი, პოჩი ვსე»¹³, — ეუბნება დუდკინი ობლეუხოვის ერთ-ერთ პირველ შეხვედრაზე და მათ შორის წარმოიშობა ის ქვეცნობიერი სიმპათია, რომელიც მუდამ თან ახლავთ ერთ ბედქვეშ მყოფ ადამიანებს. ამ რომანში მხოლოდ დუდკინი არაა ავად. მხოლოდ მას არ ეჩვენება წვრილთვალეობა მონგოლი, რომლისგან თავის დასაცავად ქრისტეს პოზაში ეკერის კედელს («Любимая моя поза во время бессоницы, знаете, встать у стены да и распластаться, раскинуть по обе стороны руки») ¹⁴.

დუდკინმა არაფერი იცის, მაგრამ გრძობს, რომ მის გარდა, ნიკოლოზ ობლეუხოვიც იტანება ამავ ავადმყოფობით და თურმე თვით ლიპანჩენკოსაც არა აქვს დამშვიდებელი ნერვები. ტყუილად კი არ ეუბნება ეს უკანასკნელი დუდკინს: «Все порядком устали... Все нервы, мы нервные люди!»¹⁵. მალე აღმოჩნდება, რომ ლიპანჩენკო სამხრეთიდანაა, ჰელსინგფორსიდან და აქ იგი მხოლოდ გავლითაა. ეს ჰელსინგფორსი კი ის ადგილია, საიდანაც დიიწყო მომავალი ავადმყოფობის ყველა სიმპტომი, დიიწყო გახშირებული «ტვინის ვარჯიში». ჰელსინგფორსიდან ჩამოყვამ დუდკინს პალუტინაციები, აქედანვე იწყებს «მოგზაურობას» ლიპანჩენკოც და თავისი სუსტი ნერვებითა და «ტერორისტული აქტით» ახალ საზრუნავს უჩენს ამავ დღეში მყოფ სენატორის ვაჟსაც. ასე იხლართება ამ სამ ნერვულ ავადმყოფთა ბრძოლა, რომელთა შორის ერთი ფიზიკურად ნადგურდება, მეორე — სულიერად, მესამე საგეფეში იპოვის შევებას, ხოლო გამარჯვებული არავინ დარჩება.

ნიკოლოზ აბლეუხოვი კანტიანელია და საერთოდაც გატაცებულია ფილოსოფიით. მაგრამ აი, სერიოზული ტრაქტატების კითხვის შემდეგ მას ხშირად გულმავიწყობა ეუფლება და ვერ იხსენებს, მაგალითად, რას უნდა აღნიშნავდეს სიტყვა — სიმბოლო «თავი». ამ მხრივ საინტერესოა მისი ბავშვური ზმანებებიც: «В детстве он бредил по ночам. Иногда, перед ним выясняясь, попрыгивал эластический комок. не то-из резины, не то-из материи очень страннйх миров ... разбухая до ужаса, принимал, часто видимость, став положительным шаром, все ширился, ширился, ширился и грозил-повалиться ... он округляется ... все в нем Ноллилось, ноллилось — ноль»¹⁶.

მთელ რომანში აბლეუხოვს მხოლოდ ორჯერ დაცდება საყვედური თავის ნერვებზე: ერთხელ დუდკინთან და მეორეჯერ სოფიოს ქმართან, როცა ახსნა-განმარტების დროს უჩივის ტვინის გადაღლილობასა და ფსევდოპალუტინაციებს.

ამ შემთხვევაში მას არ ტანჯავს ეპილეფსიური მოვლენები და საერთოდაც «პეტერბურგში» ეპილეპტიკი არ გვხვდება (შესაძლებელია, ამ მხრივ გამოჩალისს დუდკინი წარმოადგენდეს), თუმცა რომანის ყველა გმირი რომ დაავადებულია, ეს ცხადია.

¹³ А. Б е л ы й, Петербург, გვ. 85, (აქაც და სხვაგან გვერდები მითითებულია 1935 წლის გამოცემით).

¹⁴ იქვე, გვ. 86.

¹⁵ იქვე, გვ. 271.

იქვე, გვ. 218.

თვით სენატორი, რომელიც თითქოს ყოველივე ამისაგან დაცულია „გეომეტრიულ სხეულთა სიმეტრიით“, სწორედ ამ ახირებაში ავლენს თავის სუსტ მხარეს, რის გამოც მას ზარდამცემი „ტენის ვარჯიშისას“ ჯერ ასტრალური სიზმრები, ხოლო შემდეგ მონგოლური ჩვენებები ეწყება.

«ვერცხლის მტრედში» კი პეტრე დარიალსკია ებილევსიით დაავადებული (огненная моя страстная кровь, и кровь меня отравляет).

დარიალსკის, მართლაც, გააჩნდა რაღაც ისეთი, რაც აღამიანს მის მიმართ შიშს განაცდევინებდა: «И что-то на нас зверинное глядят из него ... ей показалось, что его голова излучает невидимое, мозг сжигающее пламя: но она не знала, что адское это пламя — его завтрашний день»¹⁷. ამ ხვალისდელ დღეს კი მოკლებულია ბელის მიერ ფსიქიკური მოშლილობით დაავადებულთაგან ყველა: ლიპანჩენკოს კლავს ჯუდეკინი და ეს უკანასკნელი გიჟდება, აბლუუხოვისს ეკარგებათ მომავლის რწმენა და უსაქმობისა და ნიპილიზმის ჭაობში ეშვებიან, ხოლო საკმაოდ გვიან გონს მოსული დარიალსკი თავისივე სექტის მსხვერპლი ხდება. ასეთია ამ ავადმყოფთა ცხოვრების ფინალი.

მაგრამ ნუთუ ასე, ბელის ანაბარა, ტოვებს ბელი თავის გმირებს? ნუთუ ვერ ხედავს გზას მათი ხანისათვის? პირიქით, მისი გმირების, მთელი ცხოვრება ცდაა მდგომარეობიდან თავის დასაღწევად. ყოველი მათგანი სხვადასხვა საშუალებით, ზურგზე აკიდებული საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილებითა და ინტერესით მიდის ერთ გზაზე, რომელიც, მათი აზრით, სიმშვიდისა და ბედნიერებისაკენ მიიმართება: ხ ს ნ ი ს გზამ კი აბოკალიფსზე უნდა გაიაროს.

ბელის პერსონაჟთა ვალერეას თავისუფლად შეიძლება ამოვეყნოთ გვერდით ქართველი დეგრადირებული თავადიშვილი „ბონდოიე ზენიანი“, რომელსაც ყველაფერთან ერთად ავტორმა ახალი ჭირი აჰკიდა და ამით უფრო ტრაგიკული გახდა მისი პიროვნება.

ბევრ საკითხში ბონდო ჭილაძესა და ბელის გმირებს — ა. აბლუუხოვსა და დარიალსკის საერთოც გააჩნიათ (ეს თავის დროზე შენიშნა ა. გაწერელიამ)¹⁸; უფრო მეტიც, ეს ერთი ტიპის სამნაირი გამოვლენაა, რომელიც ხშირად ერთ სახეში შეიძლება გავეთიანოთ, მაგრამ მათ შორის სხვაობაც იმდენად დიდია, რომ ყოველი მათგანი ბოლოს ინდივიდუალურ პიროვნებად რჩება.

თუ დარიალსკი «писал стихи, читал Канта и поклонялся он, юный нехрист, Красному знамени», ნიკოლოზ ობლუუხოვი წმინდა წყლის კანტიანელია და ასევე რევოლუციონერი (თუმცა რევოლუციონერის მნიშვნელობა არც ისე ნათელია მისთვის). ბონდო ჭილაძეც ეწაფება კანტის «წმინდა გონების კრიტიკას» და ასევე ამხედრებულია მეფის წინააღმდეგ. მანაც, აბლუუხოვის არ იყოს, კინალამ ჩაიღინა «ტერორისტული აქტი» (რუსი ხელმწიფის მოკვლის სურვილი), მაგრამ შემდეგ მასავით შეეშინდა საკუთარი თავისაც და ომერთისაც. ამის გარდა აქაც ანალოგიური ხასიათის საუბარია კანტის ნოუმენზე, სავანზე თავისთავად და სავანზე სხვისთვის, დიალექტიკაზე და ა. შ., როგორც «პეტრებურგში».

ბონდოს ბოდვა კულმინაციას აღწევს იმ დამეს, როცა მას თვალბში „შე-

¹⁷ А. Б е л ы й, серебряный голубь, М., 1917, გვ. 186.

¹⁸ ა. გაწერელია, «პეტრტიდამხიარულების შადრევანად», ვაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1971 წ., 5 ნოემბერი.

ეჩხირება“ კანტის „წმინდა გონების კრიტიკა“ ზედ წამომჯდარი ბაყაყით. რაც შეეხება აბლეუხოვს, მისი ისედაც დაძაბული ფსიქიკა უაღრესად იძაბება, როდესაც იგი თავის ოთახში დამალულ ბოძს ვერ პოულობს და ასე დგას „меж креслом и бюстом, конечно же, разумеется.— Канта“.

ბელის გმირბევით ბონდო ეპილეპტიკოსია, მაგრამ თავისი ავადმყოფობით იგი ცალკე არ დგას „სანავარდოში“. მისი ნახევარძმა გუჯუ და ტასიაც ხომ „გადარეულებია“, მაგრამ მათგან განსხვავებით ბონდოში უფრო მეტი ტრაგიზმია, რადგან ესმის ყოველივეს მიზეზი და ისიც იცის, რომ ხსნა არაა. დარიალსკის არ იყოს, ბონდოს თვალებიც შიშს იწვევენ მაყურებელში: „შემოხედვა ბლუ და უაზრო. უყურებს ყარამან და რაღაც ბნელსა და გამოუცნობს მიუხედა შვილს, მაგრამ არ იცოდა რას“¹⁹.

რომ არაფერი ვთქვათ გუჯუსა და ტასიაზე, თვით ყარამანსა და ციციხოსაც აწუხებთ პალუცინაციები. ციციხოს ეს საერთო ავადმყოფობისგან წარმოემგვა, ყარამანს კი შვილის მდგომარეობით ღრმად დამწუხრებულს, ხშირად შემოაწევება „ჰინკების მარულა“. მსგავსი პარალელების დაძებნა კიდევ შეიძლება, მაგრამ საილუსტრაციოდ ესეც კმარა.

როგორც უკვე ვთქვით, ჩვენ მიერ დასახელებული გმირები ბოლოს ერთ გადაწყვეტილებამდე მიდიან: სინამდვილით შეწუხებულნი და გზააბნეულნი ვერც ფილოსოფიაში და ვერც წესწყობილების წინააღმდეგ ამხედრებაში იბოვან შევებას და რელიგიას მიუბრუნდებიან.

ლიპანჩენკოდან სახლში დაბრუნებული ალექსანდრე დედკინი «вспомнил теперь обещание Степки с собой принести ему Трешник (интересовала молитва — Василия Великого увещательная к бесам) апокалипсис-კენ მიიწევს ახალგაზრდა აბლეუხოვიც: «засяду и буду читать ... всего этого, чувствую, у меня пробуждаются интересы к чтению: вот засяду я дома, и буду пить бром да читать «Апокалипсис»²¹. ბოლოს იგი იქამდეც მივარს, რომ აპოკალუჯიათა და გრიგორი სკოვოროდათი დაინტერესებული, აღმოსავლეთში წავა და მუმიათა შესწავლას დაიწყებს: «Николай Апполонович—тянется к мумиям. К Мумиям привел «случай». А Кант? Кант забыт»²².

იმავეს აკეთებს დარიალსკიც. კაცი, რომელიც რევოლუციონერად ითვლებოდა, სექტის მამაღმერთი გახდა და ბოლოს ამ გზას დაადგა ბონდოც: „წმ. გიორგის ხატთან თავლის სანთელი ენთო და შეესწრო მხურვალედ შლოცავს (ბონდოს. — თ. თ.)“.

ლოვინთან მუღამ გაშლილი სახარება იღო“²³.

ამგვარად, ფსიქოკური აშლილობითა და ეპილეფსიით დაწყებული ამბავი ბოლოს სახარებთა და ქრისტე ღმერთით მთავრდება. მაგრამ აქაც თავს იჩენს ისევე „აპოკალიფსი“. აპოკალიფსური მეორედ მოსვლის ჩვენებანი, რომელიც მხოლოდ ზოგიერთმა მათგანმა იგრძნო, სინამდვილეში ყველამ განიცადა საკუთარ თავზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ა. ბელი არ იტყოდა, რომ „მომავალი წინ არის“, არც დემნა შენგელაია ათქმევინებდა ბონდოს: „ახალ ქვეყანას ახალი ხალხი უნდა“ და ბონდოსაც ტყუილად არ ეშინია მათი, რადგან უკვე საკუთარი თავის დაღუპვას გრძნობს.

ბელის რომანებსა და შენგელაიას „სანავარდოს“ გმირებს არა მხოლოდ

¹⁹ დ. შ ე ნ გ ე ლ ა ი ა, სანავარდო, თხზ., ტ. II, თბ., 1960, გვ. 41.

²⁰ А. Б е л и й, Петербург, გვ. 279. ²¹ იქვე, გვ. 395. ²² იქვე.

²³ დ. შ ე ნ გ ე ლ ა ი ა, სანავარდო, გვ. 60.

ეპილეფსია უღრღნის ხერხემალს, არამედ შიში და ბოდვა აპოკალიფსისა, შიში და ბოდვა „მეორედ მოსვლისა“, თუნდაც ეს „მეორედ მოსული“ ახალი ხალხი იყოს, რომელსაც ქვეყნის გადაჩენის მისია აკისრია.

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ „პეტერბურგსა“ და „სანაგარდოს“ იდეურად სრულიად განსხვავებული ფუნქცია აკისრია. თუ ბელისთვის ხსნა არსაიდან ჩანს, „სანაგარდოს“ ავტორი ამზადებს მკითხველს მომავალი ცხოვრებისათვის.

ამავე დროს დ. შენგელაიას „სანაგარდოში“, რომელიც სიმბოლიზმისა და რეალიზმის თავისებური სინთეზია, სიმბოლისტური პასაჟები, თუნდაც „მეორედ მოსვლისა“ და „ქვეყნის ხსნის შესახებ“, განსხვავდება ბელის „მეორედ მოსვლის“ მითოლოგიურ-მისტრიკური ვერსიისაგან. დემნა შენგელაიას „მეორედ მოსვლა“ ისტორიის მიერ განწირული სოციალური ფენის აგონიაზე მიგვანიშნებს და მხსნელად გვისახავს ახალ „წვივმაგარ ხალხს“. ეს მოვლენა გაპირობებულია არა მხოლოდ ქართველი მწერლის მსოფლგანცდით, არამედ თვით ეპოქის შინაარსითაც („სანაგარდო“ დაწერილია საბჭოთა სინამდვილეში).

ამგვარად, ბონდო ჭილაძესა და ბელის გმირებს (ნიკოლოზ აბლეუხოვი, პეტრე დარიალსკი) ბევრი საერთო აქვთ, მეტიც, ისინი ერთი ტიპის სხვადასხვაგვარი გამოვლენაა. მაგრამ ამ საერთო ნიშნების მიუხედავად მათ იმდენი ზოგადინდივიდუალური თვისებები გააჩნიათ, რომ სავსებით დამოუკიდებელ სახეებად გვევლინებიან. ქართული სიმბოლისტური რომანი (დ. შენგელაია). მართალია, განიცდის ა. ბელის შემოქმედების გავლენას (და ჩვენ შევეცადეთ კიდევ გვეპოვა საერთო ნიშნები), მაგრამ მისი მხატვრულ-ესთეტიკური ფუნქცია და იდეური გადაწყვეტა სრულიად ორიგინალურია; მსგავსება, რომელიც სტრუქტურულ-ტიპოლოგიური ხასიათისაა, არ სცილდება მხატვრულ-ესთეტიკურ ფარგლებს.

Т. Д. ТЕВЗАДЗЕ

ГРУЗИНСКИЙ СИМВОЛИЧЕСКИЙ РОМАН
(ТИПОЛОГИЧЕСКИЕ ЗНАКИ)

Резюме

* Анализируя грузинский символический роман «Тбилиси» и «Санагардо» Д. Шенгелая автор усматривает типологическое сходство последнего с романами А. Белого «Петербург» и «Серебряный голубь», выявляющееся как в структурном построении сюжета, так и в воспроизведении образов и сложных взаимосвязях главных героев. Однако сходство исчерпывается художественно-эстетической функцией и не затрагивает идейную сторону произведений, где и выявляется своеобразие грузинского символического романа.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის საბჭოთა ლიტერატურის განყოფილება
წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა

თამარ ნუცუბიძე

ფერის კომეტური ფუნქცია ქართვილ და ინგლისელ რომანტიკოსთა შემოქმედებაში

(შედარებითი ანალიზი)

იმ თავისებურებათა შორის, რომლებიც განსაზღვრავენ მწერალთა ინდივიდუალობას, გარკვეული ადგილი უკავია ფერთა გამოყენებას. რომანტიზმის წარმომადგენლებისათვის დამახასიათებელია ფერთა პალიტრის როგორც ზოგადი, ასევე კერძო ნიშან-თვისებები. მათ შემოქმედებაში ფერები, როგორც წესი, ახდენენ საგანთა კონტურების ნიველირებას. დამახასიათებელია აგრეთვე მკვეთრი კონტრასტის პრინციპი. იტალიელი ხელოვნებთმცოდნე ვენტური აღნიშნავს: „სტატიკას რომანტიკულმა ფერწერამ დაუპირისპირა დინამიკა. უკიდურეს დამთავრებულობას — დაუმთავრებლობა, ჭარბ ობიექტურობას — გამახვილებული სუბიექტურობა, სიმკვრივეს — ატმოსფერო, საგნებს — სინათლის ეფექტი, გაქვავებულ სრულყოფილებას — მუდმივი ცვლილება; ფერწერის მთავარი პრობლემა გახდა ფერი, რომელმაც ბოლო მოუღო პლასტიკურ ფორმას და უარყო სკულპტურული მოდელი“¹.

ეს თვალსაზრისი, გამოთქმული გოიასა და დელაკრუას, კოროსა და ტერნერის და რომანტიზმის პერიოდის სხვა მხატვართა შესახებ, არსებითად ვრცელდება რომანტიკოს პოეტთა ფერთა მეტყველებაზეც. ლონდონის უნივერსიტეტის პროფ. ს. ტოლანსკი თავის უაღრესად ავტორიტეტულ გამოკვლევაში „ფერის საოცარი თვისებები“, აღნიშნავს, რომ სპეციალისტებს შეუძლიათ გაარჩიონ ფერთა ათასზე მეტი ნიუანსი². მაგრამ ამა თუ იმ მწერლის შემოქმედებაში არ შეიძლება მოველოდეთ ფერების გამის ასეთ ჭარბ გამოყენებას. პოეტური მეტყველებისათვის უფრო დამახასიათებელია სწრაფვა რამდენიმე დომინანტური ფერისა და მისი ნიუანსებისაკენ, ხოლო ზოგი ფერი სრულიად უგულებელყოფილია ხოლმე.

ფერთამეტყველების საკითხმა ლიტერატურათმცოდნეობაში ამ ბოლო ორი ათეული წლის მანძილზე მიიპყრო მკვლევართა განსაკუთრებული ყურადღება, თუმცა ლიტერატურასა და სხვადასხვა ხელოვნებას შორის ურთიერთობის საკითხი ყოველთვის იყო ესთეტიკის კვლევის საგანი. ინგლისური ლიტერატურის ისტორიიდან შეგვიძლია დავასახელოთ დრაიდენის ესეი „ბარალელი პოეზიასა და ფერწერას შორის“ (1695), რომელშიც იგი ლაპარაკობს ამ ორი ხელოვნების ზოგად პრინციპებზე და სპეციფიკურ ნიშნებზე. 1748 წელს ინგლისურად ითარგმნა აბატ დიუბუას ნაშრომი სათაურით „კრიტიკული ფიქრები პოეზიის, ფერწერის და მუსიკის შესახებ“.

ფერწერის თვალსაზრისით რომანტიკული პოეზია უფრო მდიდარია და მრავალფეროვანია, ვიდრე ზოგი სხვა ლიტერატურული სისტემა, მაგალითად, კლასიციზმი. რომანტიზმი, რომელმაც ლიტერატურის ისტორიაში მანამდე არ-

¹ Lionello Venturi, *Художники нового времени*, М., 1956, გვ. 54.

² С. Т о л а н с к и й, *Удивительные свойства цвета*, М., 1969, გვ. 47.

ნახული ყურადღება დაუთმო ბუნებას, ზრდის ფერთა აღმნიშვნელ ლექსიკურ მარაგს, ვინაიდან ბუნების წარმოსახვა წარმოუდგენელია ფერების გარეშე. განსაკუთრებით მდიდარია ფერების სპექტრი პეიზაჟურ ლირიკაში. შედარებით ნაკლებად გვხვდება იგი წმინდა მედიტაციურ ლექსებში, სადაც წამყვანი ადგილი უკავია „წინაგან მონოლოგს“, აღსარებას და სუსტად ისახება გარე სამყარო. მაგრამ არის მედიტაციური ლირიკის ისეთი ნიმუშებიც, სადაც იჭრება ობიექტური სინამდვილე თავისი პლასტიკითა და შეფერილობით. ასეთ ლექსებშიც გვახსენებს ფერთა გამომხატველ პოეტურ საშუალებებს.

ფერი პოეტურ მეტყველებაში რომანტიზმის აღმოჩენა როდია. მაგრამ რომანტიზმი ამ მხრივ უაღრესად მდიდარია, ვიდრე წინამორბედი პერიოდის ლიტერატურა. ასეთ ურთიერთობაშია ინგლისური და ფრანგული რომანტიზმი მე-18 საუკუნის ლიტერატურის მიმართ³. XVIII საუკუნის რუსული პოეზია ღარიბია ფერითი შთაბეჭდილებებით. XIX საუკუნის დასაწყისი კი მდიდარია ამ თვალსაზრისით, რადგან თავს იჩენს რომანტიკული მიმდინარეობა.

ქართული რომანტიზმის სათავეებთან ა. ჭავჭავაძე პირველი თვალსაჩინო ფიგურაა, რომლის ლირიკაში, მართალია არა დასრულებული სახით, მაგრამ მაინც აშკარად იჩენს თავს ახალი პოეტიკის, ახალი მსოფლგანცდის ნიშნები. ეს მომენტი ჩანს მისი ლექსების კოლორიტივც. იგი ხშირად იყენებს ისეთ ტრადიციულ ლექსიკურ საშუალებებს, როგორცაა: „მელნის ტბა“, „ბაგე-ვარდი“, „გიშერი“, „სპეტაკი“, ბაგეთა შედარება ლალთან, ლაწვებისა ვარდთან და სხვ. ამასთანავე მის ლექსებში ორჯერ გვხვდება იმ დროის დასავლურ და რუსულ პოეზიაში გაბატონებული ეპითეტი „ლავვარდის ფერი“.

სიტყვა „ლავვარდი“, „ლავვარდოვანი“ გავრცელებულია როგორც ქართულ, ასევე ინდოევროპულ ენებში. მისი ფუძე ყველა ენაში არის არაბული სიტყვა „აზულ“ — ლურჯი ცა, რომელიც აირეკლება ძვირფას თვალში. ამ თვალს ევროპულ ენებში ეწოდება „ლაზური“. ეს სიტყვა დასტურდება „ვეფხისტყაოსანში“.

შესაძლოა, ლავვარდი ქართულ პოეზიაში ზოგჯერ ინტენსიურ ცისფერს — ლურჯს აღნიშნავს. ეს ეპითეტი გვხვდება XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული რომანტიზმის სამივე დიდ წარმომადგენელთან. ა. ჭავჭავაძე ლექსში „სახე შენი“ ლავვარდის ფერს იყენებს დამოუკიდებელ ერთეულად და არა როგორც მსაზღვრელს: „მეტმან ცრემლმან ლავვარდის ფერ მალემა“. რაც შეეხება „გოგჩას“, აქ ლავვარდი — ცის ფერის ატრიბუტია („ცისა ლავვარდს“). „გოგჩა“ ა. ჭავჭავაძის ყველაზე უფრო რომანტიკული ხასიათის ლექსია, როგორც თავისი მხატვრული სახეებით, ასევე მსოფლგანცდით. ამ ლექსში ნ. ბარათაშვილის პოეზიიდან უნდა მომდინარეობდეს ცის განსაზღვრებად ლავვარდის გამოყენება, თუმცა გასათვალისწინებელია იმდროინდელი რუსული და დასავლეთევროპული პოეტური პრაქტიკაც. „გოგჩაში“ ლავვარდს ფერწერული ფუნქცია აკისრია.

ფერის აღმნიშვნელ სიტყვათაგან ა. ჭავჭავაძის ყველაზე მეტად აქვს გამოყენებული შავი ფერის აღმნიშვნელი ლექსიკა. მის ლექსებში გვხვდება სამოცამდე ასეთი ერთეული: შავი (9), წყვდიადი (3), მელნის ტბა (9), სიბნელე და ბნელი (20), თალხი (1), ღამის ფერი (1), ჩადრბურვილი (1), გიშერი (7), ბინდლებიან (1), დაბნელება (1).

³ Ellis, The Colour-Sense in Literature, L., 1931.

4. მაკენე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1980, № 1

ეროვნული კატასტროფის განწყობილებას შეეფარდება შავი ფერის სიტყვების ჯგუფი ლექსში „ოჰ, ვით გვემტყუნვა“: „ჰფარვიან ღრუბელს, ავდრის საგუბელს, წყვილიაღსა და ბნელს“. პატიმარი პოეტი წყევლის „სადგურისა ბნელსა, ყოვლით თალსსა“ („ოჰ, წარმავალნო“). მძაფრ პატრიოტულ დღაღისში „ისმინეთ, მსმენნო“ სამკვიდროს ხელმყოფა და შექმნილი ვითარების დასახასიათებლად პოეტი იყენებს მუქად შეფერადებულ სახეებს: „პირ-ბნელნი სათნი“, „დაგვახვიეს თავს ბნელნი ბურნი“ და სხვ. მაგრამ შავი ფერი, განსაკუთრებით ტრადიციული პოეტური არსენალი, ხშირად დადებითი შინაარსითაა გამოყენებული, ეს კარგად ჩანს ლექსში „სიყვარულსა შევუპყრვიარ“: „თმა გიშერო ღამის ფერო“. „მელნის ტბათა გარ-მდგომელნო მცველადა, შეენო ჰინდნო“.

რაც შეეხება სინათლისა და სითეთრის აღმნიშვნელ სიტყვათა ჯგუფს, მას, როგორც წესი, დადებითი დახასიათების და შეფერილობის განსაზღვრის ფუნქცია აკისრია. მის ლექსებში არც ერთხელ არ გვხვდება ჩვეულებრივი მეტყველებისათვის დამახასიათებელი სიტყვა — თეთრი, მაგრამ დაახლოებით 20-ჯერ გამოყენებულია თეთრის აღმნიშვნელი პოეტური ლექსიკა: ფერ-მკრთალი, ნათელი, გამკრთალი, ფერმიხდილი, მიმქრალი მნათი.

ა. ჭავჭავაძის ლირიკაში ხშირად გვხვდება ქალის დაწვია და ბავთა პოეტური ხოტბის ტრადიციული სახეები. წითელი ფერი პოეტი სამკერ აქვს გამოყენებული შემდეგი ფორმით: „ვნახე ვარდი სწითლდა“ („არვის ჰმართებს“), „სადა ვარდნი წითლად ჰღვიან“ („მას წალკოტსა მშვენიერსა“), „წითელს ღვიწხოს სარკედ ჰხმარობ“ („მემთვრალისადმი“), ასე რომ, წითელი ფერი არ შეიძლება მივიჩნიოთ დამახასიათებლად პოეტისათვის.

ა. ჭავჭავაძისთან დასტურდება მწვანე ფერის გამოყენების რამდენიმე შემთხვევა. ეს არის ბუნებისადმი ინტერესის გამოვლინების ერთ-ერთი ნიშანი. ამ ფერით პოეტი ახასიათებს ბუნების მშვენიერებას: „ველსა ვსხდეთ მწვანით შემკულსა“ („მუხამბაზი ლათაიური“), „მისის ვარდმან ფურჩენილმან, ბეზეკმან მწვანით მკობილმან, ბულბული ათრო სუნითა“ („მისის ვარდმან“); „იწურვილობდა ზამთრისა ჟამი, მწვანესა პრთოდა თრთვილის წილ წამი“ („იწურვილობდა ზამთრისა ჟამი“). განსაკუთრებული კოლორიტული ფუნქცია აკისრია მწვანეს ლექსში „გოგჩა“.

მწვანე ფერის შემოჭრა XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ პოეზიაში ბუნების თვის დაშვებებს დაუკავშირდა. რაც შეეხება ინგლისურ რომანტიკულ პოეზიას, აქ მწვანე ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული ფერია. უორდსვორთი მას იყენებს „ორჯერ უფრო ხშირად, ვიდრე რომელიმე სხვა ფერს“⁴. კიტის ყველაზე უფრო ოპტიმისტურ ლექსებში ნახსენებია ხოლმე მწვანე ბალახი, მთები და ხეები (ასეთ ლექსებს განეკუთვნება „მიძღვნა“, „ოდა ბულბულს“ და სხვ.).

ა. ჭავჭავაძის პოეზიაში რომანტიზმი ჯერ კიდევ არ არის მოცემული დასრულებული სახით, მაგრამ თავისთავად საგულისხმოა მწვანე ფერის შემოჭრა მის პოეზიაში ბუნების მოვლენათა აღწერის მიზნით. საინტერესოა, რომ პუშკინის „სპილენძის მხედრის“ თარგმანში პოეტმა «Тёмнозелёные» ასე თარგმნა: „ზურმუხტის ფერნი ბაღნი“. ზურმუხტის ფერი მწვანის აღსანიშნავად შემდეგ თავს იჩინს გ. ორბელიანისა და ვ. ორბელიანის პეიზაჟურ ლირიკაში.

⁴ Ellis, The Colour-Sense in Literature, L., 1931, გვ. 8.

ამგვარად, ა. ჭავჭავაძის ლირიკაში სპექტრალური ფერები — მწვანე და ცისფერი ახალ რომანტიკულ ტენდენციებს უკავშირდება, ხოლო უბირატესად კი გამოყენებულია შავი ფერის სიტყვათა ჯგუფი. ამ შეიძლება მივუთითოთ, რომ ბაირონის ლირიკაშიც მინიმალურად არის გამოყენებული სპექტრალური ფერები. იგი იშვიათად ხმარობს ცისფერს და, როგორც წესი, თვალების განსახლვრებისათვის («ქალს», «ჩემს შეილს», «სონეტი ჟენერვას», «სონეტი მასვე» და სხვ.) უფრო დამახასიათებელია ბაირონისთვის შავი ფერის აღნიშნული სიტყვათა ჯგუფები: Dark, Darkness, Black, Blackness და სხვ., რომელიც, როგორც წესი, სულიერი განწყობილების გამოხატვას ემსახურება. მისთვის დამახასიათებელია ასეთი გამოთქმები: ბნელი გონება, ბნელი მომავალი, სულის სიღრმეში სუფევს სიბნელე, შავ-ბნელი ბედი, ბნელი ფიქრები, ბნელი სული, ბნელია ჩემი სული და სხვ.

ქართულ ლირიკაში ა. ჭავჭავაძის, ხოლო ინგლისურ ლირიკაში — ბაირონის პოეზია წარმოადგენენ ფერთა პალიტრის მკვეთრი თვისებრივი განახლების პირველ სტადიას, რომელიც დასრულებულ სახეს სხვა პოეტთა შემოქმედებაში პოულობს. ეს იმით აიხსნება, რომ ა. ჭავჭავაძე არაა ბოლომდე დასრულებული რომანტიკოსი, ხოლო ბაირონი უოლტერ სკოტის მსგავსად „ემხრობოდა ხელოვნების გაგების უფრო ტრადიციულ გააზრებას, რომელიც ახლოს იყო განმანათლებლობასთან“⁵. შეღიმ და კიტსმა ინგლისური ლირიკის გამოხატვებში საშუალებების განახლების თვალსაზრისით უფრო დიდი როლი ითამაშეს, ვიდრე ბაირონმა.

უადრესად საინტერესოა კოლორიტის თვალსაზრისით ნ. ბარათაშვილის ლირიკა, რომელშიც იშვიათად გვხვდება ფერის აღნიშვნის ტრადიციული საშუალებანი. არც ერთხელ არ იჩენს თავს „მელნის ტბა“, ლალისა და ბაგეთა შედარება, ხოლო დაწვები და ვარდი მეტად თვისებურად არის ურთიერთდაკავშირებული: „ვარდი დაწვთვდ მყის აეფურცლა“ („ღამე ყაბახზე“), „აუწაა ტუჩნი, ვარდებრ ნაფურცლნი“. („ნა... ფორტეპიანოზედ მომღერალი“). ნ. ბარათაშვილს არა აქვს გამოყენებული არც ერთი სპექტრალური ფერი, გარდა ცისფერისა, და მხოლოდ „ბედი ქართლისას“ ცნობილ ლირიკულ გადახვევაში — „მობრბის არაგვი, არაგვიანი“ — პოეტი მიმართავს მწვანე ფერს: „არაგვი, მაგ შენს ამწვანებულ მთებს“.

უფრო უხვად არის გამოყენებული მის პოეზიაში ნეიტრალური ფერები: შავი, ბნელი, ბუნდოვანი, შუქმიზინდული, ბინდი, დაბინდული, წყვილიაღი; თეთრი, სპეტაკი, ნათელი, განანათლე, ციური, ნათლდება და სხვ. ამ სიტყვათა ჯგუფებს ხშირად არა ფერთი დახასიათების, არამედ ემოციური განწყობის ფუნქცია აკისრია. „მერანში“ პოეტი შავი ფერის საშუალებით იძლევა ყორნის უადრესად პლასტიკურ სახეს („უკან მომჩხავის თვალბედითი შავი ყორანი“), იქვე შავი ფერი არავიზუალურ მოვლენას — ფიქრს უკავშირდება: „და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღლევაო“. ანალოგიურ მოვლენასთან გვაქვს საქმე გ. ორბელიანის ლექსში „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“: „ღარ გვიბრწყინვის შავ ღრთთა ძალით ფერ წახდენილი“ და იქვე ფერწერულად არის წარმოსახული უკუღმართ აწმყოს სიმბოლო: „...და რაც დაეცა/, ის წარიტაცა/, შავმან ყორანმან, ვით უმწე მსხვერპლი“

ქართულმა რომანტიკოსებმა ნაყოფიერად გამოიყენეს ბნელისა და შავის

⁵ Н. Я. Дьяконова, Английский романтизм, М., 1978, гл. 123.

სემანტიკური შინაარსი არა იმდენად ფერითი დახასიათებისათვის, როგორც თავიანთი სულიერი განწყობილების გამოსახატავად, თუმცა შავი სიტყვების ჯგუფს, ვადატანითი მნიშვნელობით ხმარების დროსაც, მაინც შემოაქვს ლექსში გარკვეული ფერითი ეფექტი.

ასევე გამოშატეველად იყენებს ბარათაშვილი თეორიულ ფერის ეფექტს, რაც მის პოეზიაში ყოველივე პოზიტიურს უკავშირდება. შეიძლება ითქვას, რომ თეთრი ფერი ბარათაშვილის ლირიკაში იმავე ფუნქციას ასრულებს, რასაც მწვანე — კიტის ლირიკაში. კიტის ლექსებში მწვანე ფერი გამოყენებულია ისეთ პასაჟებში, სადაც პოეტს მაჟორული ტონალობა შემოაქვს. ასეთია ლექსი „ოდა ბულბულს“. ანალოგიურ ფუნქციას ასრულებს ბარათაშვილთან თეთრი ფერის სიტყვათა ჯგუფი, ე. ი. როგორც თეთრი და სპეტაკი, ასევე ისეთი სიტყვები, რომელთაც, აკად. ვ. ვინოგრადოვის გამოთქმით, თან ახლავთ „მნიშვნელობის კომბინატორული ვაფართოება“⁶. კერძოდ, ბარათაშვილის ლირიკაში ისეთი განსაზღვრებანი, როგორიცაა: მნათი, განანათლოს, ნათელი, ცისიერი, ციური, მართალია, არ წარმოადგენენ თეთრი ფერის სრულ სინონიმს, მაგრამ თეთრის ემოციურ შეგრძნებას უკავშირდებიან, და ამასთანავე, თეთრის მსგავსად, პოზიტიური შინაარსით არიან გამსჭვალულნი.

დავუკვირდეთ სიტყვას „ციური“ ბარათაშვილის ლექსებში: „კვლავ ციური ცეცხლი გარმოსიარე“ („ჩინს ვარსკვლავს“), „მამ რად ერჩევი მათ შორის და ციურთ დაედარები“, „მაგრამა მშვენიერება გაქვს, ცისიერო, უხრწელი“ („არ უციენო“), „და განისმოდა ციურთ დასთა გალობის ზარი“ („ვპოვე ტამარი“), „დამაფრქვევს ცვარს ციურს“ („ცისა ფერს“). „ციური“ ყველგან სინათლეს, სიწმინდესა და სიკეთეს უკავშირდება და უახლოვდება თეთრი ფერის შინაარსს.

იგივე უნდა ითქვას ნათელის შესახებ, რომელიც მშვენიერების თვისებად არის მიჩნეული: „მშვენიერება ნათელია, ზეცით მოსული, / რომლით ნათლდება ყოვლი გრძნობა, გული და სული“.

განსაზღვრება თეორიული, რომელიც ა. ჰავჭავაძეს არც ერთხელ არა აქვს გამოყენებული, ნ. ბარათაშვილთან განსაკუთრებულ პოეტურ დატვირთვას იძენს. ლექსში „ღამე ყაბახზედ“ პოეტის წინაშე ზმანებასავით მოვლენილი საოცნებო ქალი ერთადერთი — თეთრი ფერით არის დახასიათებული. ლექსში „ქეთევან“ ჩონგურზე მომღერალ ქალს აგრეთვე მოსაგეს თეთრი — „სპეტაკი საცემელი“. ასევე შთამბეჭდავია თეთრი ფერი ლექსში „საყურე“, რომელშიც საყურის რხევა შედარებულია თეთრი შროშანის რხევასთან.

ნ. ბარათაშვილის ლექსებში საგანთა ფერითი მომენტის განსაზღვრება მინიმუმამდეა დაყვანილი. ხშირად ფერითი ეპითეტების ნაცვლად გამოყენებულია ემოციური ეპითეტები, მაგ.: „პოი, მთაწმინდავ, მთო წმინდავ, ადგილნი შენნი/დამაფიქრებლნი, ვერანანი და უდაბურნი...“.

ასევე ლექსში „ჩინარი“ ჩინარის განსაზღვრებისათვის გამოყენებულია მრავალი ეპითეტი, მაგრამ არ არის არც ერთი ფერითი განსაზღვრება. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ეპითეტების ემოციური მხარე პოეტისათვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე წმინდა ხედვითი, ვიზუალური მომენტი. ამ ლექსის მხატვრულ ძალას, პეიზაჟის აღქმის თავისებურებას განსაზღვრავს არა „გაფერადების“ ტექნიკა, არამედ ამ პეიზაჟზე სუბიექტური საწყისის პროეცირების უნარი.

⁶ В. В. Виноградов, О языке художественной литературы, М., 1959, გვ. 228.

ის გარემოება, რომ ეპითეტთა შინაარსობრივი დახასიათება პოეტისათვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე საგანთა კოლორისტული აღწერა, ზევრს მეტყველებს ბარათაშვილის მსოფლგანცდის თავისებურებაზე. „მერანისა“ და „შემოღამება მთაწმინდის“ ავტორი სინამდვილეს გეიჰენებს უმთავრესად არა ფერითი სიუხვით, არამედ მკრთალი განათების შუქზე, სადაც ერთმანეთს უპირატესობისათვის ეცილება შუქი და ჩრდილი. პოეტი ამჩნევს ხოლმე აგრეთვე ლაყვარლოვან ცისფერს, მაგრამ ეს ფერი არაამქვეყნიურია და „ზენაართ სამყოფთა“ კუთვნილებია.

როგორც ცნობილია, ბარათაშვილის „ცისა ფერს“ თავისებური შემოქმედებითი გააქვრება-პოლემიკაა ა. ჭავჭავაძის ლექსთან „ფერსა ზნელს, ფერსა შავს“, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს რუსული რომანსის გადმოქართულებულ ვარიანტს. ორივე ლექსის თემის საფუძველს შეადგენს ფერის პოეტური აპოლოგია. მაგრამ ა. ჭავჭავაძის ლექსში ეს თემა წმინდა სატრფიალო ლირიკის ამოცანებს ექვემდებარება. რაც შეეხება ნ. ბარათაშვილს, მის ლექსში ლურჯი ფერის აპოლოგია სცილდება სატრფიალო თემატიკის ამოცანებს. ლურჯ ფერს, ყველა სხვა ფერთა შორის, პოეტი იმ მიზეზით ანიჭებს უპირატესობას, რომ იგი ცით არის „მოსრული“. ლექსში „ფიქრნი მტკვრის პირას“, „გოგინს“ მსგავსად, მტკვრის ანკარა ზვირთებში იხატება „ლაყვარდი ცისა“ (შდრ.: „ცისა ლაყვარდს“, — „გოგინა“). რაც შეეხება ლექსს „შემოღამება მთაწმინდაზედ“, აქ ლაყვარლოვანი ცა არა მხოლოდ ფერწერულადაა შეფერადებული, არამედ ცის სილურჯე ამასთანავე სიმბოლოა იდეალთა და ოცნებათა მიუწევდომლობისა.

ქართველ რომანტიკოსთაგან ნ. ბარათაშვილი სხვებზე ხშირად მიმართავს ცისფერს, ყველაზე უფრო მრავალმხრივ და ღრმა სიმბოლურ მნიშვნელობას ანიჭებს მას.

თანამედროვე ქართულ ენაში, მსგავსად რუსულისა და განსხვავებით მრავალ ინდოევროპული ენისაგან, დიფერენცირებულია სპექტრის ერთ-ერთი ძირითადი ფერის „ცისფერის“ ბაცი და მუქი შეფერილობა: ცისფერი—ლურჯი; голуби́й — синий; ინგლისურ ენაში გვაქვს სიტყვა «blue», რომელიც აღნიშნავს ცისფერსაც და ლურჯსაც. ნ. ბარათაშვილის პოეზიაში ცისფერის აღმნიშვნელი სიტყვების ჯგუფიდან გამოყენებულია ლაყვარდი, ცისა ფერი და ლურჯი.

ინგლისელ რომანტიკოსთაგან ცისფერსა და ლაყვარლოვანს განსაკუთრებით ხშირად და ბარათაშვილის ანალოგიურად შელი იყენებს. მაგალითად, ლექსში „მონბლანი“ პოეტი ამბობს, რომ მონბლანი „ისე ლურჯია, როგორც უსაზღვრო ცა“. ლექსში „ღრუბელი“ პოეტი ლაპარაკობს „ზეცის ლურჯი დიმილის“ შესახებ. ლექსში „ოდა დასავლეთის ქარს“ გაზაფხულის თბილ ნიავ-ქარს პოეტი შემოდგომის ქართა „ლაყვარლოვან დას“ უწოდებს. მასთან გამოყენებულია ასეთი პოეტური სახე: „ლაყვარლოვანი იმედი“, ხოლო „ლაყვარლოვანი ზეცა“, ისევე როგორც ბარათაშვილთან, მიჩნეულია მარადიულობის სიმბოლოად.

თუ ბაირონი და კიტისი არ იყენებენ ცისფერის პოეტურ ფორმას „ლაყვარდი“, შელისთვის იგი უაღრესად დამახასიათებელია. ეს მომენტი საერთოა ბარათაშვილსა და შელის შორის, თუმცა სხვა მხრივ ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან: ბარათაშვილის ფერთა პალიტრა ტუნწია და შუქ-ჩრდილის ეფექტზეა აგებული, შელის ლირიკა კი ნაირფეროვანია. ინგლისელ რომან-

ტიკოსთან იგი ყველაზე უხვად იყენებს ფერებს. ზოგჯერ მის ერთსა და იმავე ლექსში გვხვდება ფერის აღმნიშვნელი ორი, სამი და მეტი ეპითეტი. მაგალითად ლექსში „ოდა დასავლეთის ქარს“ პოეტი ლაპარაკობს „ყვითელ, შავ, უფერულ და მიმქრალ წითელ ფოთოლთა“ შესახებ; ლექსში „ღრუბელი“ გამოყენებულია მწვანე, თეთრი, ალისფერი, ლურჯი, ოქროსფერი.

შევეხოთ იმ გარემოებას, რომ ერთგან ბარათაშვილი ხოტბას ასხამს შავთვალეზიან ქალს—*მადლი შენს გამჩენს, ღამაზო, ქალო შავთვალეზიანო*—და ამასთანავე არანაკლები აღფრთოვანებით ეტრფის ცისფერ თვალებს: *«თვალეზში მშვენიერს ვეტრფი მე ცისა ფერს»*. აქ არავითარი წინააღმდეგობა არაა. ნ. ბარათაშვილი აქაც რომანტიკულ პოეზიასა და ფერწერაში დამკვიდრებულ ვემოციების ერთგული რჩება. XIX საუკუნის პირველი ნახევრის ფერწერაში მოხდა ქალის პორტრეტის ერთგვარი კანონიზაცია *«უპირველეს ყოვლისა ეს არის აუცილებლად ღამაზი ქალი: ქერა ქალი ცისფერი თვალეზით ანდა შავგრემანი ქალი შავი თვალეზით. ქალის სახის ეს ორი ტიპი იძენს შაბლონის ხასიათს...»*⁷. ასეთი ვითარება იყო ფერწერაში და თითქმის ასევე პოეზიაში. *«შავი ან ლავჯარდისფერი თვალეზი, შავი ან ოქროსფერი დალალები თანამეზობლობენ და იბრძვიან პირველობისათვის მრავალი რომანტიკოსი პოეტის ლექსებში»*⁸. *«Люблю я красавицу с очами лазурными»* (ბარიატინსკი); *«Я помню очи голубые»* (ბატუშკოვი). ასეთი ტაყებები დამახასიათებელია იმდროინდელი რუსული რომანტიკული პოეზიისათვის.

ამგვარად, იმაში, რომ ა. ჭავჭავაძე შავ თვალებს უმღერის, ხოლო ნ. ბარათაშვილი ამ ლექსის ანტისტილიზაციას ახდენს და სხვა ლექსში კი თვითონვე უმღერის შავ თვალებს, არავითარი წინააღმდეგობა არაა. ყველაფერი ეს ქალის პორტრეტის რომანტიკული კანონის გამოვლინებათა რიგს განეკუთვნება. ამ შემთხვევაში ქართული რომანტიზმის ფერთა სიმბოლიკა იმეორებს ზოგადრომანტიკულ პრინციპს.

ქართული რომანტიზმის დიდ სამეფოში გ. ორბელიანის ლირიკა ყველაზე მეტად არის შეფერადებული. მის ლექსებში ჰედონიზმი, მატერიალური სამყაროს ყოველგვარი გამოვლინებით ტკბობა ხშირად ძლევს პლატონურ საწყისს და, როცა პირველი იმარჯვებს მეორეზე, მის ლირიკაში ჩნდება სინამდვილის ცოცხალი, მყოფო ფერები.

წითელი გ. ორბელიანის ლირიკაში ერთ-ერთი ყველაზე უფრო „მატერიალური“ და ამქვეყნიური სილამაზის მათწყებელი ფერია. „სადღეგრძელოში“ წითელი ფერის ჯგუფის სიტყვათაგან გამოყენებულია „ვარდისფერი“ და პოეტური შედარება *«ცეცხლის ალებრივ»*: *«ცისკარმან აღმოსავლეთი ვარდისა ფერად შეღება»*, *«აენთენ ცეცხლის ალებრივ შორს გაზნულნი ღრუბელნი»*. პოეტი ამ ფერს ალეგორიულობას მოკლებულ წმინდა ფერწერულ ფუნქციას აკისრებს.

გ. ორბელიანის ფერთა გამაში, როგორც წესი, მწვანე ფერს რეალისტური, დამაკონკრეტებელი დეტალის შექმნის დანიშნულება აქვს. სამშობლოს სილამაზის ჩვენებისას პოეტი ამბობს: *«სად ველნი, ფერად ზურმუხტნი ნაზადა აღმწვანდებიან»*. იგი აქ იყენებს სიმწვანის აღმნიშვნელ როგორც ძირეულ ლექსიკურ ფორმას — *«აღმწვანდებიან»*, ასევე მის პოეტურ სინონიმს — *«ფერად ზურმუხტნი»*.

⁷ Европейский романтизм, М., 1973, გვ. 432.

⁸ Там же, გვ. 434.

ზ უ რ მ უ ხ ტ ი ს ფერი ბუნების სიმწვანის აღსანიშნავად უფრო ხშირად გვხვდება ვახტანგ ორბელიანის ლექსებში: „გამოსალმება“, „მოგონება“, „ორი სიზმარი“, „ადგილი“, „კიდევ კახეთს“ და სხვ. ასევე ხშირად იყენებს იგი ლაქვარდის ფერს.

გ. ორბელიანის პოეზიაშიც დასტურდება „ლაქვარდოვანის“ გამოყენების რამდენიმე შემთხვევა: „ოდეს ვარსკვლავი დილის წინ მსრბოლი მკრთოლვა-რებს ზეცას ლაქვარდოვანსა“ და სხვ. პოემაში „საღლეგრამლო“ გვხვდება ცისფერის საინტერესო მეტაფორული ფორმა: „სადა შევჭხართ... ღამით ვარსკვლავანს ფ ი რ უ ზ ს ა, მთოვართ განათებულსა!“

თ ე თ რ ი ფერის ჯგუფის სიტყვათაგან გ. ორბელიანის პოეზიაში გვხვდება „სპეტაკის“ გამოყენების ერთადერთი შემთხვევა: „ბუმბერაზ მთანი მღუ-მარედ ცათამდის აყუდებულნი/, ჰსხედან, ვით დევნი, სპეტაკის ყინულ გვირ-გვინით შემკულნი“. თეთრი ფერის ეფექტის შესაქმნელად ლექსში — „მუხამ-ბაზი“ იგი მიმართავს უარდესად ხატოვან მეტაფორულ ხერხს: „მრწამს, რომ ღაწვთ ზედა გადაკვერია ნუშის ყვავილი“. პოეტურ ტრადიციაში ღაწვის ფე-რი ჩვეულებრივ ვარდისფრად არის წარმოდგენილი, „ნუშის ყვავილს“ ამ შემ-თხვევაში სიწითლის ინტენსივობის შესუსტების ფუნქცია აკისრია, რაც იმაზე მეტყველებს, რომ გ. ორბელიანი არაიშვიათად მისწრაფვის ფერთი შტრი-ხის დაზუსტებისაკენ. ამას გვიჩვენებს კიდევ მეორე მაგალითი: „თოვლ-ღვი-ნო შენნი ღაწვნი“ („ს“), სადაც ღვინო წითელ ფერს აღნიშნავს, თოვლი თეთრს, ხოლო „თოვლ-ღვინო“ — ბაც ვარდისფერს. თეთრ ფერს უახლოვდე-ბა თავისი ემოციური ზემოქმედებით ისეთი განსაზღვრებებიც, როგორცაა: ნათელი, უნათლესი, ნათელმოსილი, ნათლოვანი და ა. შ.

ამგვარად, ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაში უფრო შეიმჩნევა შუქ-ჩრდილის, ნეიტრალური ფერების გამოყენების ეფექტი. იგი უფრო ნაკ-ლებდაა „გაფერადებული“, ვიდრე ინგლისელ რომანტიკოსთა პოეზია. ინ-გლისური რომანტიზმის არცერთი დიდი წარმომადგენელი არ მიმართავს იყ ხშირად თეთრისა და შავის, სინათლისა და მათ შორის გარდამავალი განათე-ბის ეფექტს, როგორც ნ. ბარათაშვილი, და არცერთი ქართველი რომანტიკო-სის პალიტრა არ არის ისე უხვი სპექტრული ფერებით, როგორც ამას ვხე-დავთ შელის ლირიკაში. არცერთ ქართველ პოეტს არ აქვს გამოყენებული „ყვითელი“ და „იისფერი“, რომლებიც გვხვდება ინგლისელ რომანტიკოსებ-თან. ქართველ და ინგლისელ (და არამართა ქართველ და ინგლისელ) რომან-ტიკოს პოეტთა შორის საერთოა ყველაზე უფრო რომანტიკული ფერის — „ცისფერის“ უარდესად ემოციური და ხშირი გამოყენება.

პოეტური ლინგვისტური და თეთრისა და შავის, შუქისა და ჩრდილის მხატვრული ფუნქცია ქართველ და ინგლისელ რომანტიკოსთა შემოქმედებაში უშუალოდ უკავშირდება მათი პოეტური ქმნილებების იდეურ-მხატვრულ ქვრივობას და მჭიდროდ არის დაკავშირებული ინდივიდუალურ თავისებუ-რებებთან, პოეტური ტრადიციების მიღების ხასიათთან და დასახულ მხატ-ვრულ ამოცანებთან.

Т. Ш. НУЦУБИДЗЕ

 ПОЭТИЧЕСКАЯ ФУНКЦИЯ ЦВЕТА В ТВОРЧЕСТВЕ ГРУЗИНСКИХ
 И АНГЛИЙСКИХ РОМАНТИКОВ

Резюме

В грузинской романтической лирике важную поэтическую функцию выполняет эффект светотени и нейтральных цветообозначений и весьма редко используются спектральные цвета, столь характерные для лирики английских романтиков.

Идентичным является использование синего и лазурного цвета в лирике грузинских и английских поэтов как признака духовной чистоты и возвышенности.

Сравнение творчества романтиков с точки зрения поэтической функции цвета тесно связано с индивидуальностью авторов и с их идейно-художественными задачами.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ქართულ-საზღვარგარეთულ ლიტერატურულ ურთიერთობათა განყოფილება

წარმოადგენს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა

გიორგი შაჟულაშვილი

 ძველი თბილისის კომუნა და მე-19 საუკუნის მეორე
 ნახევრის ქართული პრესა

აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე წერდა, რომ არც ერთ ენაზე არ არსებობს ისეთი მდიდარი ანტიმამუდიანური პოლემიკური ლიტერატურა, როგორც ქართულზეო¹. ეს პოლემიკური ლიტერატურა საზოგადოებრივი აზროვნების მრავალ დარგს მოიცავდა, მხატვრულ სიტყვასაც ეხებოდა და მის ობიექტად ხშირად ქართული საერთო ლიტერატურაც გამხდარა, რადგანაც „სასულიერო მწერლობა იმაში ხედავდა სპარსული მწერლობის ანარქელს“². მიუხედავად ამისა, ქართული ეროვნული ლიტერატურული ტრადიციების დასაცავად ჩატარებული ხანგრძლივი ბრძოლის პროცესი, რომელიც სანახევროდ აღმოსავლური მხატვრული სიტყვის იდეურ-შინაარსობრივი გავლენის წინააღმდეგ მიმდინარეობდა³, ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში მონოგრაფიულად შესწავლული არ არის⁴. მითუმეტეს, რომ აღნიშნულ პროცესს ადგილი ჰქონდა მას შემდეგაც კი, როდესაც საქართველოში აღმოსავლეთის ქვეყნების პოლიტიკური ექსპანსია შეწყდა. ამიტომაც ამ მიმართებით რომელიმე საკითხის ხელშეხება ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ პრესაში იბეჭდებოდა წერილები, რომლებშიც დაგმობილი იყო იმ გამოცემებულთა საქმიანობა, რომლებიც ე. წ. „შაურაიანი ლიტერატურის“ სახელით ბეჭდავდა აღმოსავლურ ლიტერატურულ ტრადიციებზე აღზრდილ ძველი თბილისის პოეტთა თხზულებებს. „შაურაიანი ლიტერატურა“ ეწოდებოდა მოსახლეობის დაბალი ფენებისათვის სპეციალურად გამოცემულ ლიტერატურას, რომელიც სიიაფის გამო ხელმისაწვდომი იყო მოსახლეობისათვის. ქართველი ინტელიგენცია ამ სახის ლიტერატურის მასობრივად გამოცემას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, მოსახლეობის ფართო ფენებში განათლების შეტანის დიდ საშუალებად მიაჩნდა. ამასთან ერთად ცდილობდა, რომ გამოსაცემად გამიზნული მასალა თემატიკისა და იდეის თვალსაზრისით სათანადოდ ყოფილიყო შერჩეული. „პირველი პირობა იმისათვის, რომ წიგნი გავრცელდეს საზოგადოებაში ისაა, რომ წიგნი კარგი, სასარგებლო და სასიამოვნო იყოს“, — წერდა სერგი მესხი⁵. „შაურაიანი ლიტერატურის“ გამოცემაზე დიდ მზრუნველობას იჩენდნენ მე-19 საუკუნის ქართველი საზოგადო მოღვაწენი პ. უმიკაშვილი, ზ. ჭიჭინაძე, ი. იმედაშვილი, აგრეთვე კ. გვარამაძე, ვ. აღნიაშვილი, ს. მერკვილაძე, ი. როსტომაშვილი და სხვანი⁶.

გამომცემელთა ნაწილი კი ლიტერატურის აღმზრდელითი ხასიათით, მისი ესთეტიკური ღირებულებით დაინტერესებული არ იყო და ისეთი სახის პროდუქციას სცემდა, რომელიც ქართველი ინტელიგენციის უკმაყოფილებას იწვევდა. არსებითად ეს ეხებოდა ძველი თბილისის პოეზიის ნიმუშებს.

„თვე არ გავა, რომ ჩაქუჩ-ოღლანებმა, რიჯა-ოღლანებმა და სხვა ამგვარმა ოღლანებმა თავისი პოეტური ნიჭის ნაწარმოები ერთი წიგნი მაინც არ გამოსცნენ. სწორედ გააკირეს საქმე“, — წერდა გავთი „დროება“⁷.



რეჟა-ოლღანი ძველი თბილისის პოეზიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის დავით გივიშვილის ფსევდონიმი. „ოლღანების“ მრავლობით რიცხვში წარმოდგენა იმას ნიშნავს, რომ ინფორმაციის ავტორის მხედველობაში ერთიანი ლიტერატურული სახე აქვს, რომლის წარმომადგენლებიც „ოლღანები“ იყვნენ.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართველი ინტელიგენცია ძველი თბილისის პოეზიის ერთ ნაწილს, რომლის ამოსავალიც აღმოსავლური დამწერლობითი, ხალხური და აშუღური ლიტერატურა იყო, სიმპათიით არ ეკიდებოდა. ამის მიზეზი არა მხოლოდ მის აღმოსავლურ, უცხო ფორმასა და შინაარსში, არამედ იმ ლიტერატურული შემოქმედებითი პრინციპებისა და მეთოდების ურთიერთშეთესავებლობაში უნდა ეძიოთ, რომლებსაც, ერთი მხრივ, XIX საუკუნის ქართული ლიტერატურა და, მეორე მხრივ, ძველი თბილისის პოეზია იყენებდა.

გაფორმებაც აღნიშნული ლიტერატურისა, გარდა იმისა, რომ ტექნიკურად მეტად დაბალ დონეზე იდგა, თავისთავად იწვევდა ერთგვარ რეაქციას. რა შთაბეჭდილებას შექმნიდა ასეთი დასათაურება — „ჯიბგირი ვარ“, „კინტოს გოდება“, „ქვრივი რით სჯობს ქალწულსა“, „ორთაქალაში ლოთების ქეფიფი“, „არ შეგცივდეს ბარაშკა, ქართული, სომხური და თათრული ახალი ლექსები“, „საარშიყო სარკე“ და სხვ.⁸, ან სატიტულო ფურცელზე გამოტანილი თაბახიანი კინტოს ფოტო, მოქიფეთა ღრეობის ამსახველი სურათები და ა. შ.⁹

წიგნის გაფორმების დაბალი მხატვრულ-ესთეტიკური დონე ფასს უყარავდა ზოგიერთ ისეთ პოეტურ ნიმუშსაც, რომელსაც ქართველი ინტელიგენცია უსარგებლოდ არ ჩათვლიდა.

ძველი თბილისის პოეზია არსებითად აღმოსავლური ლიტერატურის ტრადიციულ შემოქმედებით მეთოდს, მხატვრულ სისტემასა და სტილს იყენებდა, რაც თემის გადაწყვეტის ასპექტსაც განაპირობებდა. ძველი თბილისის პოეზია, განსაკუთრებით თავისი არსებობის პირველ პერიოდში, მთელ ყურადღებას უთმობდა ჰედონიზმს, სუფრის პოეზიას, სატრფიალო და რელიგიურ-სოციალურ საკითხებს. განსაკუთრებით თვალში საცემია ჰედონიზმი—ყოველდღიური დღით ცხოვრების, მომავალზე ხელჩაქნეულობის, თავდავიწყების თემა და მისი გადაწყვეტის კომმარული ფინალი: „ქვეყანა ვით სიზმარია, —/ცეცხლსა მომღებარია,/ რისთვის ვართ?... საოცარია!...“¹⁰.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, საზოგადოებრივი აზრის არაჩვეულებრივად განვითარების ეპოქაში, როდესაც პიროვნების ადგილს საზოგადოება იკავებს, როდესაც იდეები და იდეალები საზოგადოების პრაქტიკულ საქმიანობას წარმართავს და ლიტერატურას მხოლოდ ესთეტიკური ტკბობისა კი არა, აღმზრდელი ფუნქციაც ეკისრება¹¹, ზემოთყვანილ სტრიქონებში გამჟღავნებული სულისკვეთება ქართველი ინტელიგენციის დიდ ეროვნულ-პრაქტიკულ საქმიანობას ეწინააღმდეგება. მათი გულისყური იქითაა მიმართული რომ „უბრალო, მდაბიო ხალხი გონების საზრდოს თხოულობს“¹² და ცდილობს შექმნას ეს საზრდო. ამავე დროს განუტყვედელ მკითხველთან აღწევს ისეთი ლიტერატურული პროდუქციაც, რომელშიც „ერთი მოსული ჭკუა, გრძნობა, პოეზია და ჰაზრი არ მოიპოვება“¹³.

პირადი სიამოვნების კულტის აპოლოგია, სიკვდილის კომმარული განცდის სამარადისო თემის ლიტერატურული ვარიაცია, აზრის უარყოფა და

გრძნობის დომინანტი, — ეწინააღმდეგება „თერგდალეულთა“ მსოფლმხედველობას.

სუფრის პოეზია ქართულ ლიტერატურაში ეროვნული თავისებურებებით ხასიათდება. ძველი თბილისის პოეზიისათვის ეს თემაც აღმოსავლური ლიტერატურული ტრადიციებით, აზროვნებით არის ნიშანდობლივი. ისიც უნდა დაეუმატოთ, რომ აღმოსავლური მხატვრული სიტყვის, თეოლოგიური ჭკრეტის საფუძველზე გარდაქმნილი სუფრის პოეზია დროთა ვითარებაში კარგავს პირვანდელ გამიზნულობას და ვულგარულ, ფრივოლურ ხასიათს იძენს, რომელიც საფუძველშივე განსხვავდება ადგილობრივი ლიტერატურის სუფრის პოეზიის ზნეობრივი სენტენციებისაგან.

სატრფილო ლირიკის გააზრებისას ძველი თბილისის პოეზია იმდენად იყო შეზღუდული ტრადიციებით, რომ მის შაბლონურ, ტრაფარეტულ, უკვე მომავლურებულ მხატვრულ აზროვნებასა და პოეტიკას მკითხველის დაკმაყოფილება აღარ შეეძლო.

სოციალურ თემატიკას „თერგდალეულთა“ თუ მათ მემკვიდრეთა ინტერესი უნდა გამოეწვია. მაგრამ ეს ასე არ მოხდა იმის გამო, რომ ძველი თბილისის პოეზიაში სოციალური საკითხი წარმოდგენილია სუფოურ-მისტიკური თეოსოფიკოსების გზის მეორე და მეექვსე საფეხურების ე. წ. „სილატაკისა“ და „ღმერთზე დანდობის“ „მაკამებით“. ამავე დროს მას უკვე დაკარგული აქვს საწყისი არსი და გააზრებულია არასპირიტუალური, რეალური თვალსაზრისით. ეს კი იდენტური არ არის დღევანდელი გაგების სოციალური მოტივისა. ამიტომ იყო, რომ ქართული პრესა აქტიურობდა: „თუ არ გვინდა, რომ ამ გვარის წიგნების წყალობით ხალხის გონება გაირყვას, უნდა ვცვალოთ რომ იმის ტონის უფრო რიგიანი და გონიერული საზრდო მიეცეთ“¹⁴. „ახაბტელოვის მახინჯ წიგნებმა კიდევ ამ მოკლე დროში იჩინა თავი. მაგალითად, ამას წინად დაიბეჭდა მეორე გამოცემული მისი „ვარშაყიანი“ და მესამე გამოცემა ბაზრულის გამოცემისა ვითომდა „მოლა მასრადინის“ თქმულება“¹⁵.

ამის გამო ქართველი მოწინავე საზოგადოების წარმომადგენლები კონკრეტულ საშუალებებს ეძებდნენ, რომ ცოდნას მოწყურებული და გამოუცდელი მკითხველისთვის მიეწოდებინათ იაფფასიანი, მაგრამ ესთეტიკურად და შინაარსობრივად სრულყოფილი ლიტერატურა, გაეფართოებინათ წიგნის მალახიის ქსელი და სხვა¹⁶.

საყურადღებო ისიც არის, რომ ძველი თბილისის პოეზიის კრიტიკით დაბალი ფენაც გამოდის. საყურადღებოა ხელოსანი პოეტის ი. დავითაშვილის წერილი, რომელიც მას 1880 წელს გაზეთ „დროების“ რედაქციისათვის გაუგზავნია: „...ჩამოთვლილები მყავხართ ყველა მწერლები და მინდა ეგები ხალხმა გაგვიცნოთ და თავი დაანებონ სკანდარნოვებისა და მისთანების ნაწერების კითხვას“¹⁷.

ი. დავითაშვილის აზრით, „სკანდარნოვების“ პოეზია არ არის ნამდვილი ლიტერატურა და იგი ხალხისათვის არ არის განკუთვნილი. ამ წერილის ღირებულება უნდა იმ თვალსაზრისითაც შეფასდეს, რომ მისი ავტორი იმ სოციალური ფენის წარმომადგენელია, რომლის იდეებს, მისწრაფებებს, ესთეტიკურ სამყაროს, მიზნებს თითქოს გამოხატავდა ქალაქური პოეზია.

ძველი თბილისის პოეზიას ქართველ ინტელიგენტთა წრეებში არა მარტო გამოიხედვლნი, არამედ შემწყნარებელნიც ჰყავდა. ეს უკანასკნელნი იმას კი აღიარებდნენ, რომ „ოღლანების“ ლიტერატურა „გონების საზრდოს“ ვერ

იძლევა, მაგრამ მათი პოეზია ერთგვარ საფეხურად მიიჩნდათ უფრო სერიოზული სახის ლიტერატურაზე გადასასვლელად¹⁸.

ძველი თბილისის პოეზიის წარმომადგენელი უპასუხოდ არ ტოვებდნენ მათ კრიტიკას. ამას აღსატყუებს გ. სკანდაროვას ორი სატირული ხასიათის ლექსი, რომლის ადრესატები არიან სერგი მესხი და პ. უმიკაშვილი.

ს. ნესხის წინააღმდეგ ლექსის შეთხზვის მიზეზიც და საბაბიც ცნობილია. ს. მესხი ერთ-ერთი აქტიური მოწინააღმდეგე იყო ძველი თბილისის პოეზიისა. გ. სკანდაროვას ლექსიდან ეს ვითარება კარგად ჩანს:

...რა ვაწყინე, ნეტარ რას მემღერები?
...შენის შეტი სხვა არავის იწონებ,
მეცა მკითხე, ეგებ მეც არ ვიწონებ!
...არ იწონებ ჩემი სიმღერის თქმით,
შენს გაზეთში ჩემ გვარს არ აძლევ ხმაო¹⁹.

არანაკლებ აცია პ. უმიკაშვილის მისამართით შეთხზული ლექსი, რომლის სათაურიცაა „ქარაფშუტა სწავლულს“²⁰. ავტორი კიცხავს უმიკაშვილს:

...ნეტარ რაებს ზრუნავ, მითხარ ვიყოდე,
მარტო ვერას იზამ, კარგა იყოდე...
...მაგ აზრით სამშობლოს ვერას მოუტან²¹.

ლექსის შეთხზვის საბაბი და სკანდაროვა-უმიკაშვილის ურთიერთობა ჩვენთვის უცნობია, მაგრამ, რამდენადაც პ. უმიკაშვილი ერთ-ერთი აქტიური მოღვაწე იყო სახალხო წიგნების გამოცემისა, შესაძლოა კონფლიქტმა ამ ნიადაგზე იჩინა თავი. მიზეზი კი საძიებელი არ არის, პ. უმიკაშვილი მე-19 საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა იყო და მოულოდნელი არ არის, ისიც ძველი თბილისის პოეზიის აღმოსავლური ლიტერატურული პრინციპების წინააღმდეგ გამოსულიყო.

ასე რომ, აღნიშნული სალიტერატურო პოლემიკა შემთხვევითი ხასიათისა არ ყოფილა. ძველი თბილისის პოეზია აღმოსავლური მსოფლმხედველობის, ესთეტიკური ნაზრების, მხატვრული მეთოდის მეშვეობით ქართული ლიტერატურული აზროვნების ახალ ეტაპს ოპოზიციას უქმნიდა.

საინტერესო ისიც არის, რომ სოციალ-ეკონომიკურ და ინტელექტუალურ მოძრაობას ამავე პერიოდში ადგილი ჰქონდა მახლობელი აღმოსავლეთის მთელი რიგი ქვეყნების — აზერბაიჯანის, თურქეთისა და სპარსეთის ყოფაშიც. მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან ამ ქვეყნების მხატვრული სიტყვის ასპარეზზე გამოვიდა პლეადა, რომელიც თეორიულად და პრაქტიკულადაც ასაბუთებდა ძველი ლიტერატურული მეთოდისა და ფორმების უვარგისობას და გეზი რეალისტურ მეთოდზე ჰქონდა აღებული. დიდი აზერბაიჯანელი მწერალი და საზოგადო მოღვაწე მირზა ფატალი ახუნდოვი (1812—1878) მთელ რიგ შრომებში — „პოეზიისა და პროზის შესახებ“²², „კრიტიკული შენიშვნები“²³, „ქემალ-უდ-დოვლეს წერილები“²⁴, აგრეთვე თავისი მხატვრული შემოქმედებით ამტკიცებდა ტრადიციული აღმოსავლური ლიტერატურის შეუსაბამობას მე-19 საუკუნის ესთეტიკური აზროვნების მოთხოვნილებებთან. აზერბაიჯანელი საზოგადო მოღვაწის ჰასან ბეგ ზარდაბის (1837—1907) პუბლიცისტიკის განსაზღვრული ნაწილი²⁵, გამოჩენილი აზერბაიჯანელი რომანტიკოსის აბას საჰათის (1874—1918) სტატია „როგორი უნდა იყოს ახალი ლიტერატურა“²⁶ — იმის თეორიული დასაბუთება იყო, რომ

აქამდე არსებული ტრადიციული ლიტერატურული მეთოდები ვეღარ აკმაყოფილებდა მკითხველს.

„ყველასთვის ცნობილია, რომ ჩვენი ძველი პოეტების ლექსები და ბაიათები იმის გამო, რომ ეპოქას არ შეესატყვისებინან, მკითხველის გულგრილობასა და სიძულვილსაც კი იწვევენ და ვერაფრითარ შემთხვევაში აღამიანს ცოდნას ვერ მიანიჭებენ“, — წერდა საპათი²⁷.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან თურქეთში დაწყებული ე. წ. „თან-ზიმათის ეპოქა“, რომლის დიდი წარმომადგენლები ლიტერატურაში იყვნენ იბრაჰიმ შინასი (1826—1871) და ზია ფაშა (1825—1880), მოითხოვდნენ, რომ თურქულ მხატვრულ სიტყვას მიებაძა ევროპის ლიტერატურისათვის და „დაინტერესებულყო საზოგადოებრივი ცხოვრებით“²⁸, მიეტოვებინა უკვე მოძველებული ლიტერატურული მეთოდები²⁹, ბრძოლა გამოეცხადებინა სქოლასტიკური ლიტერატურისათვის³⁰, უკუეგდო ეპიგონური გზა, გაემარტივებინა სტილი და ლიტერატურა გაემდიდრებინა რეალური შინაარსით³¹.

ანალოგიურ ვითარებას ჰქონდა ადგილი სპარსულ ლიტერატურაშიც³². მაშასადამე, აღმოსავლეთის მთელ რიგ ქვეყნებში მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან დაწყებული დიდი ლიტერატურული გარდაქმნები ითვალისწინებდა ძველი, ტრადიციული მეთოდების, ფორმების, ვერსიფიკაციის, პოეტიკის ცვლილებებს. აღმოსავლური ქვეყნების ტრადიციული მწერლობის მეტ-ნაკლები შემყვიდრე ძველი თბილისის პოეზია კი მტკიცედ მიჰყვებოდა იმ გზას, რომელიც მისი წინაპრის ქვეყანაში უკვე უარყოფილი იყო. თუ რატომ იჩენდა ასეთ კონსერვატივზს ძველი თბილისის პოეზია, რამ განაპირობა ის, რომ მასში ლიტერატურულმა ცვლილებებმა მხოლოდ ნაწილობრივ და ისიც ძალზე მოგვიანებით შეაღწია, ცალკე კვლევის ობიექტია.

შენიშვნები

1. კ. კაკელიძე, ეტრუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IV, თბილისი, 1957, გვ. 125.
2. იქვე.
3. კ. კაკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბილისი, 1951, გვ. 445-446; ეტრუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IV, თბილისი, 1951, გვ. 110-133.
4. ამ ხარვეზს ნაწილობრივ ავსებს დ. ლაშქარაძის შრომა „ევროპეიზმის პრობლემა ქართულ ლიტერატურაში“, თბილისი, 1977. წერილში საუბარია მხოლოდ ძველი თბილისის პოეზიაზე, თორემ აღმოსავლური ლიტერატურის უარყოფა თუ მის წინააღმდეგ გამართული პოლემიკის მასალები ქართულ პრესაში ბევრად მეტია, ვიდრე აქ მოხმობილი მასალა.
5. ს. შენსი, წიგნების გავრცელება ჩვენში, გაზეთი „დროება“, 1871, № 21.
6. ვ. მათეიძე, ქართული სახალხო წიგნების შემდგენელ-გამომცემელი, თბილისი, 1977.
7. გაზეთი „დროება“, 1878, № 124.
8. ან. განჯისკარელი, ჯიბგირი ვარ, თბილისი, 1905; მისივე, კინტოს გოდება, თბილისი, 1904; დ. გივიშვილი, ქვრივი რით სჯობს ქალწულსა, ტფილისი, 1912; გ. სკანდარნოვი, მსუნაგი კაცის ცხოვრება, ორთაქალაში ლოთების ქვედა, ტფილისი, 1879; მისივე, საარშოყო სარკე, თბილისი, 1912; გ. მათეიძე, მათეიძე, არ შეგვიდგეს „ბარაშკა“, ქართული, სომხური და თათრული ახალი ლექსები, ტფილისი, 1910.
9. გ. სკანდარნოვი, კინტო საქულის შიქსტა და ბაიათები, ტფილისი, 1908.
10. გ. სკანდარნოვი, ალავერდი-იახშოლი, სუფრაში სათქმელი სიმღერა და სხვა სალხინო ლექსები, ტფილისი, 1912.

11. მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული სოციალ-ეკონომიური, ლიტერატურული თუ საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების რთული და საინტერესო გზა ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში კარგად არის გამოკვლეული და შესწავლილი. ამდენად, ზედმეტად მიგვიჩნია საილუსტრაციო მასალის მოხშობა თუ სათანადო ლიტერატურის მითითება.
12. გაზეთი „დროება“, 1877, № 181.
 13. იქვე.
 14. გაზეთი „დროება“, 1878, № 124.
 15. გაზეთი „ივერია“, 1899, № 263.
 16. გაზეთი „დროება“, 1871, № 19, 21; 1877, № 181.
 17. ი. ლ ა ვ ი თ ა შ ვ ი ლ ი, სრული კრებული, თბ., 1951, გვ. 195-224.
 18. ჟურნალი „მნათობი“, 1869, № 12, გვ. 5-8; გაზეთი „დროება“, 1875, პ. წულუკიძის პო-
ლემიკური ხასიათის წერილი „ვეფხისტყაოსნის“ იადფასიანი გამოცემის გამო.
 19. გ. ს კ ა ნ დ ა რ ნ ო ვ ა, საარშოო ჩანგი, ტფილისი, 1912, გვ. 17-18.
 20. გ. ს კ ა ნ დ ა რ ნ ო ვ ა, ხუმარა მესტიერე, ტფილისი, 1913, გვ. 18-19.
 21. იქვე.
 22. М. Ф. А х у н д о в, Эсэрлэри, Бақы, 1851, т. II, გვ. 220-221.
 23. იქვე, გვ. 153.
 24. იქვე, გვ. 17-18.
 25. გაზეთი „Хәјәр“, 1906, № 6;3. Б. Г е ю ш о в, Мировоззрение Г. Б. З а р д а б и, Баку, 1962, Ф. Г а с ы м з а д а, XIX эср Азербайҗан эдбииаты тарихи, Бақы, 1966, გვ. 431-435.
 26. Аббас С а й һ а т, э с а р л а რ ი, т. II. Бақы, 1976, გვ. 7-8.
 27. იქვე.
 28. В а п а r l i, Resimli Türk edebiyati tarihi, გვ. 264.
 29. X. К а м и л о в, Общественные мотивы в турецкой поэзии, М., 1969, გვ. 5-21; Л. О. А л ь к а е в а, Очерки по истории турецкой литературы, 1908-1929, М., 1959, გვ. 3-18; Н. А. А й з е н ш т е й н, Из истории турецкого реализма, М., 1968, გვ. 16-50.
 30. İsmail N a b i b, Türk Teceddüt edebiyatı tarihi, İstanbul, 1925.
 31. Alı Canı r, Türk edebiyatı antolojisi, İstanbul, 1934, გვ. 9—12.
 32. М. С. Б р а г и н с к и й, Д. С. К о м и с с а р о в, Персидская литература, М. 1963.

Г. Н. ШАКУЛАШВИЛИ

ПОЭЗИЯ СТАРОГО ТБИЛИСИ И ГРУЗИНСКАЯ ПРЕССА ВТОРОЙ ПОЛОВИНЫ ДЕВЯТНАДЦАТОГО ВЕКА

Резюме

На страницах грузинской прессы второй половины XIX века часто публиковались материалы, отвергающие ашугскую поэзию старого Тбилиси.

Подобное неприятие было вызвано не столько восточным оттенком этой поэзии, сколько тем художественно-творческим методом, который использовался поэтами старого Тбилиси и который не отвечал требованиям, предъявляемым художественной литературе грузинской интеллигенцией.

В тот период литературу стран Ближнего Востока определяла воспитательная функция, и по мнению грузинской интеллигенции, это было главным назначением художественного слова.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთ-მცოდნეობის თურქოლოგიის განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა

ლილი ჭუთათელაძე

რამდენიმე ცნობა ზაქარია გაბაშვილის ბიოგრაფიიდან

ზაქარია გაბაშვილი (ხუცესად და მოძღვრად წოდებული) საკმაოდ ცნობილი პიროვნებაა ქართული ეკლესიის ისტორიასა და საერო მწერლობაში: პოლემისტის, მკვერმეტყველის, მოქადაგისა და საეკლესიო მოღვაწის შესახებ სხვადასხვა დროის მკვლევართ არავრთხელ გამოუთქვამთ თავისი აზრი. ზაქარია ხუცესის დიდ განათლებაზე მიუთითებდა იოანე ბატონიშვილიც, როცა წერდა: „ძველთა ფილოსოფიისა სწავლასა გამოცდილი და ღმრთისმეტყველებისადა მიწეენილი, მწვენიერი რიტორი და უცხო მოქადაგე...“ [1, 159].

ლიტერატურის ისტორიაში განსაკუთრებით ვრცელადაა წარმოდგენილი და დახასიათებული განხეთქილება ანტონ პირველსა და ზაქარია მოძღვარს შორის, რომელიც საბოლოოდ ზაქარიას დამარცხებით დამთავრდა. დაუნდობელ მებრძოლსა და შეურიგებელ პოლემისტს თავი იმერეთისათვის შეუფარებია. სოლომონ პირველს იგი სამეფო კარის მოძღვრად დაუნიშნავს.

თბილისიდან გაძევებული ზაქარია, უეჭველია, შვილებსაც თან გაიყოლებდა (ბესიკს უფრო მოგვიანებით ეწია იგივე ბედი, სახელდობრ 1777 წელს მანაც იმერეთის სამეფო კარს მიაშურა) [2, 116-117]. ჭუთათელაძისა და გელათში ჩანან იოსებ, ნიკოლოზ, ოსე და ბესიკი.

ზაქარია მოძღვრის გენეალოგიის დადგენის ცდა მოცემული აქვს გიორგი ლეონიძეს ერთ წერილში [3, 349], სადაც ზაქარიას შვილებად დასახელებული არიან: იოანე (მიტროპოლიტი), ოსე (კალიგრაფი), ბესიკი (პოეტი), ანტონ, ზაქარია. შემდეგ, როცა იგივე ნაშრომი, შეესებულო, ცალკე წიგნად გამოსცა [2, 11], მან ცვლილებები შეიტანა. ზაქარია მოძღვრის შვილებიდან ანტონი ამოიღო, ხოლო ზაქარიას ნაცვლად დოსები ჩასვა, რაც საბუთების მიხედვით სავსებით მართლდება. ზაქარია გაბაშვილის ვაჟთა შორის იოსებიც არის და ოსეც¹. მხოლოდ არ ჩანს იოანე მიტროპოლიტი. იგი გიორგი ლეონიძეს დასახელებული ჰყავს სულის საოხად შექმნილი თხზულებების „სურინდისისა მიმართ განბჭობას“ მიხედვით, რომლის ანდერძშიც ვკითხულობთ: „დაესრულა შეწევნითა ღმრთისათა აპრილის ე, წელთა ჩლოთ [1779]. იოანეს მიერ გაბაშვილისა ხუცეს-მონაზონისა აღიწერა“ (A—609).

როგორც ვხედავთ, ამ ხელნაწერის აღმწერი თვითონ არის ხუცეს-მონა-

¹ უნდა აღინიშნოს, რომ იოსებ და ოსე სამეცნიერო ლიტერატურაში იხსენიებიან ერთ პიროვნებად. მაგალითად, სერგი ვორბაქე წერს: „ზაქარიას მეორე შვილის—იოსების (ოსე) „ანბანთქება“, რომელიც ავტორს თეიმურაზ მეფის ასულს—ელისაბედისათვის მიუძღვნია...“ (S-1512, გვ. 51-53) [9, VIII]. გიორგი ლეონიძის ნაშრომში ვკითხულობთ: „...ბესიკთან ერთად სამწერლო სარბილზე ზაქარიას ოჯახიდან კიდევ ცნობილი იყო იოსებ ანუ ოსე გაბაშვილი, ავტორი პოპულარული „ანბანთქებისა ბატონიშვილის ელისაბედის სამჭებრად“ (2, 42). ეს „ანბანთქება“, მართლაც, იოსებს ეკუთვნის და არა ოსეს. ამევე წიგნში გიორგი ლეონიძეს, როცა გაბაშვილების გენეალოგიას აღვწეს, სამართლიანად მასში იოსებიც შევყავს და ოსეც [2, 11].

ზონი იოანე გაბაონელი და არსად არ არის მინიშნებული, რომ იგი იყო შვილი ზაქარია ხუცესისა (გაბაშვილისა)?

გ. ლეონიძის მიერ შედგენილ გენეალოგიაში ზაქარიას შვილთა შორის არ ჩანს ნიკოლოზ (დეკანოზი). ოსე გაბაშვილი (ზაქარიას ძე) კი რუსეთიდან გაგზავნილ თავის წერილებში სხვადასხვა პირთა მიმართ არა ერთხელ იხსენიებს ძმას — ნიკოლოზ დეკანოზს, მაგალითად: ერთ-ერთ წერილში ანა დედოფალთან მას აღნიშნული აქვს: „... ნიკოლოზ გარდაცვალა, ჩემი ძმა, დეკანოზი, ესე მეექვსე ანუ მეხუთე წელი არს, მე ახლა შევიტყვე; და შვილნი მისნი ცხოვრებენ ზოგნი ქალაქს და ზოგნი იმერეთს. მამული ისევ აქუსთ, რომელიც დაუტევეთ და სცხოვრობენ“ [4, 12931-ბ]. მეორეგან, ოსეს წერილში გრიგოლ ზურაბის ძე წერეთელთან, ვკითხულობთ: „... სოფლოურმან ჩვეულემაქმან თვისი არა დაივიწყა და ამისთვის მომივლინა მკუდროებასა ჩემსა (ასტრახანს — ლ. ქ.) გაწირული ქურციე, შვილი ჩემი ანასტასია, რომელმანცა აღმავსო ცრემლითა და ტირილითა, და აღმძრა ცრემლმან ქურციესამან, და ამას მივეც ხვედრებული ჩემი, რაიცა მაქუნდა. ვინათგან ძმისა ჩემისა ნიკოლოზის დეკანოზის შვილთა დაუტევეს სიყვარული და სწავლა მამისა...“ [4, 12929-ბ].

ოსე სთხოვს გრიგოლ წერეთელს, დაეხმაროს მის ქალს, ქვრივ ანასტასიას, მიაღებინოს მამის წილი მამული, რომელსაც დაპატრონებთან მისი გარდაცვლილი ძმის ნიკოლოზ დეკანოზის შვილები და დაუვიწყრიათ მამის დარიგება-სწავლანი.

კიდევ ერთი წერილი ოსე გაბაშვილისა დავით წულუკიძესთან — იმავე საკითხზე: „...შევესაკუთრე კვალად ძმას—ნიკოლოზს დეკანოზს და ყოველივე მიუტყვევო რასაც სამართლით შევეუდიოდო. გარდა ამისა, რაც ხვედრებული მამული მაქუნდა, იმასვე ჩავებარე და ესე შვილნი ორნი ასულნი ჩემნი ანასტასია და ეკატერინა და ჩემი ძმისწული ნინა [ოსების შვილი?], ვითარცა თანასწორნი შვილთა მისთანი...“ [4, 12928-ბ].

მამასადამე, როგორც ოსეს წერილებიდან მოყვანილი ადგილები მიუთითებს, ზაქარია გაბაშვილს ჰყოლია კიდევ ერთი ვაჟი ნიკოლოზ (დეკანოზი).

რამდენიმე წლის წინათ XIX ს-ს დამდეგს გადანუსხულ ავგაროზში (S—5157) [10,137] წავაწყდით ავგაროზის შედგენილობისათვის უჩვეულო, ორიგინალურ ტექსტს. იგი ეხება ზაქარია ხუცესის (გაბაშვილის) გარდაცვალებას, რაც საგანგებოდ ზემოაღებული ტონითაა აღწერილი. ზაქარია გაბაშვილის ბობოქარ ცხოვრება-მოღვაწეობას ვინც არ იცნობს, ამ თხზულების მიხედვით, მას წმინდანად წარმოიდგენს: „...ხოლო ზემო თქმული ესე წინამძღვარი (სილიბისტრო—ლ. ქ.), რომლის მიცვალებაა წინასწარც იხილა ამან წმიდამან (ზაქარია მოძღვარმა—ლ. ქ.) და აღმოსთქუა...“

ზაქარია მოძღვრის გარდაცვალებას მისი აღმწერი „აღწოდება“-ს არქმევს იმის გამო, რომ ზაქარია მას დაღუპების უმაღლეზეცად აყვანილად, „აღწოდებულად“ მიაჩნია.

გარდაცვალების უკმს ზაქარია მოძღვრის „ხედვათა“ აღმწერლად ტექსტის ბოლოს გელათის სამღვდლოებაა დასახელებული: „... აღიწერა ერთხმო-

² ამასთან დაკავშირებით აღნიშნვის ღირსია ერთი გარემოება: იოანე გაბაონელი მისგან გაღწერილი თხზულების ავტორს არ ასახელებს. სინამდვილეში „სკანდისისა მიმართ განბუკობა“ იგივეა, რაც ზაქარია გაბაშვილის სახელით ცნობილი „განზრახვათა წიგნი“ (S-5156).

ბითა და ერთსიტყვითა ამა საკვირველებისა თვალით მხილველთ, გაენათს შეკრებულთა წმინდათა სამღვდელთათაა“. ჩანს, თხზულება შეუქმნიათ, თუ მაშინვე არა, მისი მიცვალების ახლო ხანებში. დასახელებული თხზულების შექმნაში მონაწილეობს ზაქარიას ძმისწულიც: „...და მე, უღირსსა ძმის ძესა მისსა, წარწერილისა წაიკითხუს მიბრძანებდა...“

სასიკვდილო სარეცელზე ზაქარია ხუცესს, ამ თხზულების მიხედვით, გამოეცხადებთან სამნი მღვდელმთავარნი — ვასილი (დიდი), გრიგოლ (ღმრთისმეტყველი) და იოანე ოქროპირი, სპირიტონ საკვირველმოქმედი და თვით იესო ქრისტეც კი.

„გენათს შეკრებულთა სამღვდელთა“ მომავლადევი მოძღვარი, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, წმინდანობის ხარისხამდე აპყავთ და სასწაულებრივად მოუბარი ზაქარიას «აღსრულებამა» ზეცად «აღწოდებად» უჩნთ.

დიდი ხნის წინ მოპოვებულ ამ თხზულებაზე დაწვრილებითი საუბრის საჭიროება განაპირობა ტექსტში სიზუსტით დასახელებულმა ზაქარიას გარდაცვალების თარიღმა და მისი წლოვანების აღნიშვნამ. ამასთანავე, დაკრძალვის ადგილმდებარეობაზე ზედმიწევნით მითითებამ — მისი უფროსი ვაჟის იოსების გვერდით: „...ვინაჲდან იხილა რაჲ ესე საკვირველებითი აღსრულებამა ქრისტესმიერმან დიდისა გენათისა მიტროპოლიტმან ეფთჳმიოსს...“ შეკრიბნა სამღვდელონი და ესრეთ სასოებით დამარხა ყოვლად ღირსი ესე ხუცეს-მოძღვარი, ძისათვისა, სასურველისა იოსების თანა დასავლეთის კარის წინარე, ჩრდილოეთით კერძო...“

როგორც ამ ამონაწერიდან ჩანს, ზაქარიას ძე იოსები (და არა იგივე ოსე) გარდაცვლილა და ველათს დაკრძალული ყოფილა მამაზე ადრე.

კიდევ იოსების შესახებ ტექსტიდან: „... და კჳალად სთქუა (ზაქარია მოძღვარმა—ლ. ქ.): აჲა წმიდანი მოწამენი მოვიდნენო, და წიგნი მრავალბეჭდოანი მოართუშს... ამან წმიდამან (ზაქარიამ. — ლ. ქ.) მიუგო: ორმეოცთა მოწამეთა ბეჭედი აკლისი. მცირე ხნის შემდეგ იგინიცა მუნ გამობრწყინდნენ და მათ მიერ მოღებულისა ეპისტოლესა აღმბეჭდულად გამოჩნდნენ, რომლისა შორის იხილა ძეცა თვისი, პირუტყლგარდაცვლილი და მემამორემან სიხარულით ხმა-ჰყო: „აჲა, ბუნებითი ძე ჩემი იოსებ, რომელი აღრაცხილ არს და დაწიაღებულ შორის მოწამეთა...“

ზაქარია მოძღვარს თავისი „პირველგარდაცვლილი“ ძე ორმეოც მოწამეთა შორის ეჩვენა. ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესოა იოსების, ზაქარიას შვილის, მამაზე ადრე გარდაცვალება და, მაშასადამე, არსებობაც. ვინღაა ოსე? ოსეც ზაქარია მოძღვრის შვილია, ცნობილი კალიგრაფი, რომელსაც რუსეთში მიმოწერა ჰქონდა ანა იმერეთის დედოფალთან (ორბელიანის ქალთან).

როგორც უკვე აღვნიშნა, «აღწოდების» ტექსტში ზაქარია მოძღვრის პიროვნება (არა მხოლოდ ზაქარიასი, მისი უფროსი ვაჟის იოსებისაც) წმინდანობის შარავანდელთაა მოსილი. ზაქარია დაჯილდოებულია წინასწარხედვითაც. ასეთი ამალღებული წარმოდგენა ზაქარია გაბაშვილის პიროვნებაზე შეიძლება აიხსნას არა მხოლოდ პირადი გავლენიანობით და უნარით, არამედ იმითაც, რომ იგი საკმაოდ მიღებული და დაფასებული იყო სოლომონ I-ის კარზე, იგი ხოტბას ასხამდა იმერეთის მეფის ვამირხას, დავით აღმაშენებლის ერთ-ერთ მემკვიდრედ, მისი ხმლისა და დროშის ღირსეულ მატარებლად სახავდა [5].

განსახილველი თხზულება დაწერილი უნდა იყოს, როგორც ვთქვით, ზა-
5. მაცნე, ვნისა და ლიტერატურის სერია, 1980, № 1

ქარია მოძღვრის აღსრულების უმაღლეს ან მის ახლო ხანს, ყოველ შემთხვევაში, 1784 წლამდე (სოლომონ I-ის სიცოცხლეში).


ზაქარია გაბაშვილის გარდაცვალებისა და დაკრძალვის ადგილის შესახებ მკვლევართა სხვადასხვა აზრი არსებობს. პლატონ იოსელიანის ცნობით, ზაქარია გარდაიცვალა 1780 წლის ახლოს და მარხია თბილისში, ვერის „ლურჯ მონასტერში“ [6, 39; 2, 22]. იოანე ბატონიშვილით: ზაქარია განისვენებს იმერეთში („კალმასობა“), ხოლო უფრო ზუსტ ცნობას იძლევა ოსე გაბაშვილი ანა დედოფალთან მიწერილ წერილში:

„სრულად სოფელი დაუტევე და გენათის მონასტერსა მივმართე და დავესადგურე (იგულისხმება ცოლისა და შვილების დახოცვის — 1812 წლის შემდეგ.— ლ. ქ.), მუნ დამარხვა მენება მამა ზახარიასთან“ [2].

ზაქარია ხუცესის (მოძღვრის) დაბადების დროდ 1705 წლის, ხოლო გარდაცვალებისა — 1780 წლის ახლო ხანებია მიჩნეული. ზუსტი თარიღების დასადგენად მივმართით ზაქარიას აღსრულებაზე შექმნილი თხზულების ანდერძს: „...დამარხა (ეფთჳში გენათელმა.— ლ. ქ.) ყოვლად ღირსი ესე ხუცეს-მოძღვარი ძისა თჳსისა იოსებისა თანა დასავლეთის კარის წინარე, ჩრდილოეთით კერძო“. „ხოლო აღსასრული მიიღო წელთა სამეოცდაათხუთმეტთა მქონებელმან, თვესა ფებერვალსა ვ, ქრისტეს აქათ ჩღზბ“ [1782]. „აღიწერა ერთხმობითა და ერთ სიტყუთა, ამა საკრველებისა თვალით მხილველთ, გაენათს შეკრებულთა წმინდათა სამღვდელთათა“.

ამრიგად, გაირკვა, რომ ზაქარია ხუცეს-მოძღვარი გარდაცვილია 1782 წლის 6 თებერვალს, 75 წლის ასაკში, ე. ი. იგი დაბადებულია 1707 წ.

ზაქარია გაბაშვილის გენეალოგია (გ. ლეონიძის მიერ შედგენილი, მცირე შესწორებით) ზემოთ მოყვანილი საბუთების მიხედვით ასე უნდა წარმოვიდგინოთ:



* * *

ლიტერატურაში დღემდე არ ყოფილა ცნობილი, რა მისიით იმყოფებოდა კალიგრაფი ოსე გაბაშვილი რუსეთში, ვიდრე არ გამოქვეყნდა ოთარ კასრაძის სტატია „წარსულის ფურცლები“ [7]. დასახელებული ნაშრომის ავტორის მიერ საქართველოს სსრ ცენტრალურ სახელმწიფო ისტორიულ არქივში მიკვეთული იქნა მასალები (ცსსა, საქმე № 8835), რომლებიც გვაცნობენ ოსე გაბაშვილისა და გვართ უცნობი ზაქარია არქიმანდრიტის რუსეთში გადასახლების მიზეზს. როგორც ო. კასრაძის დასახელებულ სტატიაშია მოთხრობილი, ზაქარია არქიმანდრიტი ხელმძღვანელობდა საჩხერეში ზურაბ წერეთლისეულ სტამბას, რომლის გამმართავიც თვითონ იყო. ბეჭდავდა საეკლესიო წიგნებს. აი, იქ შეემთხვა მას, შეიძლება ითქვას, გაუთვალისწინებელი უბედურება, რამაც ოსე გაბაშვილთან ერთად ჯერ თბილისის საპატიმროში, ხოლო საბოლოოდ ბელგოროდის მონასტერში ჩაექტა.

ჩვენს ხელთ არსებულ უცნობ თხზულებასთან («აღწოდებაჲ») და ო. კასრაძის სტატიასთან დაკავშირებით გავგეინდა სურვილი არქივში დაცული დასახელებული მასალის (№8835) გაცნობისა. შეიძლება ითქვას, რომ ეს სქელტანიანი საქმე შეეისწავლეთ კიდევაც. მასში არა ერთი და ორი ფაქტია საინტერესო, რომლებიც ბევრ საკითხს პვენს შუქს და რომელთა გათვალისწინება ამ დარგში მომუშავე მკვლევართ დასჭირდებათ და გამოადგებათ.

ვინაიდან ო. კასრაძე და, ალბათ, არც სხვა ვინმე, ზაქარია არქიმანდრიტისა და ოსე გაბაშვილის კანონსაწინააღმდეგო მოქმედების კვლევას არ დაუბრუნდება, ამიტომ მინდა მეტი სიზუსტე დავიცვა ოსეს დანაშაულის ხარისხის ჩვენებაში (ოსესი იმიტომ, რომ იგი უფრო ცნობილია ქართული ლიტერატურის ისტორიაში), თანაც მივუთითო მის უკანასკნელ ადგილსამყოფელზე, გარეთვე აღვნიშნო ზაქარია არქიმანდრიტის გარდაცვალების დრო და ადგილი.

ოსე გაბაშვილს დიდი უბედურება სწვევია 1812 წ. მომსრველისა სენისაგან გარდაცვლია მეუღლე — რიფსიმე 35 წლის ასაკში და მასვე ჟამს, მიყოლებით შვიდი შვილი 1 წლიდან 15 წლის ჩათვლით (გიორგი, ელისაბედ, დიმიტრი, ბესარიონ, იოანე, ებრაქსია და ევსტატი). ამასთან დაკავშირებით ოსე ერთ-ერთ წერილში აღნიშნავს: „...ოდეს უბედურება შემემთხვია მომსრველისა გამო სენისა და არარაჲ დამიტევა; და მოვედ ბრძანებითავე ჩემისა უფლისა მეუფისა და გელმწიფისათამან (!) ეკლესიად (გელათს, — ლ. ქ.) და აღვაშენე კელინი და მუნ ვიყავ მცხოვრები მარტო; და შევესაკუთრე ძ მ ა ს ნ ი კ ო ლ ა ა ო ს დეკანოზს...“ [4, 12928—b].

ვიდრე ოსე გელათში დამკვიდრებოდა, მისთვის, როგორც კალიგრაფ-მწიგნობრისათვის, დაუწერიანებათ წერეთლებისათვის სოლომონ მეორისაგან მამულების ბოძების სიგელი. მასში არ ყოფილა შეტანილი სახლთუხუცესის, ზურაბ წერეთლის, ძმის ბერის სახელი. ეს ახალი დოკუმენტი წინათ არსებულთ აუქმებდა; მამასადამე, ბერსა და მის შვილებს იმერეთის უკანასკნელი მეფის ბოძებულში წილი აღარ ედებოდათ. ბერის ვაჟს — იოანეს გადაუწყვეტია შექმნა ახალი საბუთისა, რომელშიაც უნდა ჩაწერილიყო მამის — ბერის სახელი. სიგელს ბეჭდით დაბეჭდვაც ესაჭიროებოდა. იოანე წერეთელს სტამბის ოსტატი დავით ზუბაშვილი ბეჭდის გამოჭრაში დაუყოლიებია. დავით ზუბაშვილს ეს ხელობა მამისაგან ჰქონია ნასწავლი. ისინი განდობიან ზაქარია არქიმანდრიტსაც, როგორც ამავე სტამბის ხელმძღვანელს [7].

ზაქარია არქიმანდრიტი რომ მეფის ყალბი ბეჭდის მოჭრის საქმის კურსში იყო, ამაზე მეტყველებს მთავარი დამნაშავის იოანე წერეთლის ჩვენება: „...მესტამბე დავით ზუბაშვილი დავითანხმე სამეფო ბეჭდის დამზადებაში, რომელიც ორივემ ერთად გამოვჭერთ სპილენძზე. ბეჭედს ვაჩვენებდით არქიმანდრიტ ზაქარიას: იგი გვიწუნებდა, ვერ ხედავდა მსგავსებას ნამდვილ სამეფო ბეჭედთან. ბოლოს, როცა ბეჭედს მიეცა სპირო სახე, წავედი იერომონახ ოსე გაბაშვილთან, რომელსაც მანამდეც არა ერთხელ ვთხოვდი დაეწერა ყალბი სიგელი, რადგან დედანი ჩემს ნათესავებთან ინახებოდა, [რომელიც] დაწერილი იყო მისივე ხელით. ოსე გაბაშვილმა ბევრჯერ მითხრა უარი, მაგრამ ბოლოს დათანხმდა და დაწერა ჩემს მიერ მომზადებული შავის მიხედვით. მან არ იცოდა, რომ მე მაქვს სამეფო [ყალბი] ბეჭედი“.

რიგით მეორე, უშუალოდ სიყალბის ჩამდენ დავით ზუბაშვილის ჩვენება ასეთია: „...გვაკეთე სოლომონ II ყალბი ბეჭედი თხოვნითა და შუამდგომლობითა ქუთათის ოლქის წმ. გიორგის მონასტრის არქიმანდრიტ ზაქარიას და შორაპნის მახრის თავადის ივანე ბერის ძის წერეთლისა, რომელთაც გამომიძახეს რაჭიდან სოფ. წყალწითელაში, ამ არქიმანდრიტის (ზაქარიას. — ლ. ქ.) სახელში და მიზნოდნენ მე გამეკეთებინა ზემოთ ხსენებული ბეჭედი, ზუსტად ისეთი, როგორც განსვენებულ მამაჩემს ჰქონდა გაკეთებული მეფისათვის...“

დავით ზუბაშვილმა უარი თქვა ბეჭდის გამოჭრაზე, არცოდნაც მოიშველია და რაჭაში გაემგზავრა უკანვე. შემდეგ იგი დაბრუნდა საჩხერეში თავის სამუშაოზე — სასტამბო ნიშნების დასამზადებლად.

„...1817 წლის ივლისში, კვირაცხოვლობას, ზაქარია არქიმანდრიტმა წამიყვანა, — განაგრძობს მესტამბე ზუბაშვილი, — თავის ბინაში — საჩხერეში ხსენებული სამეფო ყალბი ბეჭდის გასაკეთებლად, სადაც დამხვდა თავადი ივანე წერეთელიც; სადაც დაეწყეთ ბეჭდის სპილენძზე ამოკეთა არქიმანდრიტთან ერთად, და როგორც მას ჰქონდა ნამდვილი მეფის ბეჭედდასმული სიგელები... სამუშაო დავაშავრეთ ორი თვის შემდეგ... არქიმანდრიტმა თავის სკივრიდან ამოიღო ძველებური თურქული ქალაღის დაუწერიელი ფურცელი, მისცა თ-დ ივანე წერეთელს და უთხრა მელანი წაესვა ბეჭედზე... ქალაღის ფურცელზე გამოვიდა ბეჭდის კარგი გამოსახულება. ის ქალაღი ივანე წერეთელმა შეინახა ჯიბეში, ბეჭედი კი გააფუჭა ჩაქურჩის ცემით. თვით ივანე წერეთელმა მითხრა: ამ ქალაღით მივდივარ ახლა გელათის მღვდელთან ოსე გაბაშვილთან, რომ ვთხოვო დამიწეროს ამ ქალაღზე, მამაჩემის — ბერი წერეთლის სახელზე, უკანასკნელი მეფის — სოლომონის სიგელი იმ მამულზე, რომლის ნაწილი ახლა უჭირავს ბიძას გენერალ-მაიორს ზურაბ წერეთელს და ბიძაშვილს ქაიხოსრო წერეთელს...“

ყველა ჩვენებლდან ჩანს, რომ ოსემ არ იცოდა სიგელის შედგენის სრული სიყალბე, უკეთ, სამეფო ყალბი ბეჭდის არსებობა.

ზაქარია არქიმანდრიტის ჩვენებით, მან უარი უთხრა ბერის ვაჟს — იოანეს გარეულიყო ამ საქმეში, თუმცა იმასაც აცხადებს, რომ მას არ დაუშლია მესტამბე ზუბაშვილისა და ივანე წერეთლისათვის მუშაობა...

„...ისიც მართალია, რომ ორჯერ თუ სამჯერ მათ მე მაჩვენეს (ბეჭედი მუშაობის პრაქტისში. — ლ. ქ.), რომ არ ყოფილიყო ცუდი და ყოფილიყო კარგი. იყო ცუდი და მე მათ ვუთხარი: ეს არ ივარგებს, ცუდია. ეს არის ჩემი დანაშაული. დამნაშავე ვარ იმაშიც, რომ ქალაღი მიზნოდნენ და მივეცი ივანეს.“

სხვა დანაშაული არა მაქვს...“ როგორც ამ ჩვენებიდან ჩანს, და იგი ყველაზე დამაჯერებელია, ზაქარია არქიმანდრიტი არ უშლიდა ყალბ ბეჭედზე მუშაობას სტამბაში და უმოწყობდა კიდევაც, ბეჭედი ჰგავდა თუ არა ნამდვილს. ოსეს ჩვენებები არ მოგვყავს, რადგან სხვა დამნაშავეთა ნალაბარაქვეი უკეთ აცხადებს მის, დანარჩენ სამთან შედარებით, ნაკლებ დანაშაულს.

ო. კასრაძის დასახელებულ სტატიაში ერთი პატარა უზუსტობაა: „...ამით უსარგებლია ზურაბის ძმისწულს, ბერის შვილს — იოანეს, ფარულად შესულა სტამბაში და დავით ზუბაშვილის დახმარებით სოლომონის ხელმოწერილ საბუთში თავისი სასარგებლო ტექსტი ჩაუმატებია, ამასთანავე მოუჭირა ყალბი სამეფო ბეჭედი და დოკუმენტი იმით დაუმოწმებია...“ [7, 189].

მეფის ხელმოწერილ სიგელს სტამბაში რა უნდოდა? იგი, როგორც მასალებიდან ვიცით, ხელთ ჰქონდათ ზურაბ და ქაიხოსრო წერეთლებს. გარდა ამისა, ბერის შვილს — იოანეს ფარულად შესვლა, შეპარვა რად დასჭირდებოდა სტამბაში, როცა მისი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად მასთან მუშაობდა თვით მესტამბე ზუბაშვილი, ნამუშევარს კი უმოწყობდათ სტამბის ხელმძღვანელი ზაქარია არქიმანდრიტი? თანაც, არსებულ ნამდვილ სიგელში კი არ ჩაუმატებია იოანეს საჭირო ტექსტი, არამედ ოსე გაბაშვილისათვის დაუწერიანება ახალი, სუფთა ქაღალდზე, გელათში. ოსეს დანაშაულიც ეგ არის, მიუხედავად იმისა, რომ ბეჭდის მოჭრაზე მან არა იცოდა რა.

არქივის დასახელებულ დიდტანიან საქმეში არც ერთხელ არ არის ნახსენები ზაქარია არქიმანდრიტის გვარი. მისი ვინაობა გაურკვეველი რჩება. მაგრამ ის ხომ ვიცით (ო. კასრაძის დასახ. სტატია), რომ იგი სტამბას ხელმძღვანელობდა საჩხერეში, ბეჭდავდა საეკლესიო წიგნებს, ეწეოდა კულტურულ საგანმანათლებლო საქმიანობას [8, აღწ. 96, 97, 100...].

ეგების საინტერესო იყო მისი გარდაცვალების თარიღისა და დაკრძალვის ადგილის ცოდნაც.

ესა საქმიდან ვიცით, რომ ნამდვილი ყალბისმქნელები, იოანე წერეთელი და მესტამბე დავით ზუბაშვილი, იმდროინდელი „მართლმსაჯულების“ მეოხებით განთავისუფლდნენ, ხოლო თითქმის უდანაშაულო ოსე გაბაშვილი და განთავისუფლებულებთან შედარებით ნაკლებ დამნაშავე ზაქარია არქიმანდრიტი დაისაჯნენ სამაგალითოდ: 1820 წ. გადასახლებულ იქნენ ბელგოროდში, წმ. და საკვირველმოქმედის ნიკოლოზის სახელობის მონასტერში. ზაქარია არქიმანდრიტი უცხო ქვეყანასა და მკაცრ პირობებში 3 წელი იცოცხლა.

ოსე გადმოგვცემს: „...უფალმან ჩემმან მოძღუარმან არხიმანდრიტმან ზახარია აქა ყოფასა შინა იცოცხლა მწუხარებით სამი წელი და შემდგომად გარდაიცვალა ამასვე მონასტერსა შინა, ქრისტესის ჩყავ [1823] წელსა, ნოემბრის ით დღესა, ორშაბათსა, შუალანისასა; ხოლო ყოვლად სამღუდელმან ამა საღრუბენოსისა [საგუბერნიისისა] არხიერმან ვლადიმერ, მოსრულმან თუსით სამღრთო კრებულთურთ ამა მონასტრად, წესი აუგო, შენდობის წიგნი წაუკითხა, უწირა თუსის კრებულთ და ამ მონასტრის კრებულთ და ესრეთ დამარხა ამასვე მონასტერსა შინა საკურთხეველისა, დღესასწაულსა ყოვლად წმიდისა ტაძრად მიყუანებისასა, დღესა ოთხშაბათსა“ [4, 12934-ბ].

ორიოდ სიტყვა ოსეს გზების შესახებ ზაქარია არქიმანდრიტის გარდაცვალების შემდეგ. მიგმართოთ ისევ ოსეს წერილს ანა დედოფალთან: „...იმდენი სიცოცხლე გაქუს და მე ცხოვრება, რამდენი მწუხარება მე. ყიზლარს გამოვიარე: ჯერეთ სნეულებითა ციებისა და შემდგომად აქ ყოფითა. მე მსურდა,

პირველითგან რომ წამოგვეყვანეს, თქვენთან ზღუბა (პეტერბურგში. — ლ. ქ.) და ხომ არ მოხდა. მერმეთ მენება შინ გაშვება, არც ეს იქმნა, და მერმე აღვირჩიე ქართველებში მოსვლა არა ყიზლარს, არამედ ასტრახანს; და უწმიდესსა სინოდს ვსთხოვე: რახან აღარც ერთი ინებეს, ასტრახანს დასადგურება ებოძებინა პრაგონი. გამომისტუმრეს ასტრახანს საშინელს სიცხეებში ფოშტით. გაიხელ ასტრახანს, არც იყო ქართველი მღვდელი, არც ბერი და არც ვინ ვიხილე სხვა. და პავლე, ასტრახანის არქიერმან, აქ გამომისტუმრა. ავათ შენი მტერია, ავი საჩემ[ო] ადგილი ეს იყოს. ჩოდოლი, სნეული, მოსაწყენი; სიცხე ზაფხულში საშინელი და ზამთარი ცივი. ორივე ყბები მოშწვა სიცივეში. მონასტრის ქება რაღა მოგახსენო, ამ სივლახავე მონასტერი და ღარიბი და საწყალი არსად გამოგონია და არც მინახავს და არც... აქ, მონასტერში, დამასადგურეს, შუა ბაზარში არის. ასე ფოლორცი არც ქარვასლა მინახავს, მერწმუნე. ჩემი გამოსავალი თეთრის ეს არის, აქ ყოფაში იქნება ასე მეორე წელი, ერთი თუმნის მშოველი არ ვიყო. რამდენს მე ვნანობ ბელლო[რო]თისგან წამოსვლას, მაგრამ ვინდა მყავს გამომხსნელი და ყურის მგდები? გარნა მიეცი მოთმინებასა და სიკვდილსა თავი... [4,12931-ბ].

ზაქარია არქიმანდრიტის გარდაცვალების შემდეგ ოსეს ბელგოროდში, სადაც არც ერთი ქართველი არ ეგულებოდა, მწარე სიმარტოვე უგრძენია და ასტრახანში გადაყვანა უთხოვია, უეჭველია თანამემამულეებთან შეხვედრის იმედით. როგორც ვხედავთ, არც ეს გამართლებია და ბელგოროდიდან წამოსვლა სანანებლად გახდომია.

მაშასადამე, ოსეს უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილი ასტრახანი ყოფილა, რომელ წელს გარდაიცვალა, ცნობილი არ არის, ვიცით მხოლოდ, რომ მისი მიმოწერა ანა დედოფალთან 1826 წელს შეწყვეტილა.

ოსე გაბაშვილს, მიუხედავად ცხოვრების მძიმე პირობებისა, მნუსხელობითი მოღვაწეობა ასტრახანშიც არ შეუწყვეტია. იგი ანა დედოფალს სწერდა: „...გებრძანათ ქართლის ცხოვრების აღწერა კიდევ. თქვენვე იცით, მე შენს ბრძანებას აღვასრულებ და თუ გამომიგზავნით ქართლის ცხოვრებას დედნად, ვეცდები, ღუთით, მალე აღვიწერო და აღვასრულო ბრძანება თქვენი...“ [4, 12931-ბ].

ოსე გაბაშვილმა, მრავალი სიმწარის განმცდელმა, თავისი სიცოცხლე დაასრულა გადასახლებაში — ასტრახანს, იმავე ქალაქში, სადაც მისი ქვეყნის დიდი წინაპრები: ვახტანგ VI და თეიმურაზ II განისვენებდნენ.

ლიტერატურა

1. იოანე ბატონიშვილი, „კალმასობა“, ტ. II, კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით, თბილისი, 1948.

2. გ. ლეონიძე, ბესიცი, თბილისი, 1953.

3. გ. ლეონიძე, ბესიცი, „ლიტერატურის შტაინი“, 3—4, 1942.

4. გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმის ფონდი.

5. ლ. ქუთათელიძე, ზაქარია გაბაშვილის რიტორული თხზულება და მისი დაწერის თარიღი, ავად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XIX-B, 1956.

6. П. Носелиани, Описание древностей города Тифлиса, 1866.

7. ო. კასრაძე, წარსულის ფურცლები, „განთიადი“, 1977, № 2.

8. ქართული წიგნი, ბიბლიოგრაფია, ტ. I, 1941.

9. ბესიცი, ს. რ. გორგაძის რედაქციით, ტფილისი, 1912.

10. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, კოლექცია S, ტ. VII, 1973.

ლ. ი. კუთათელაძე

НЕКОТОРЫЕ СВЕДЕНИЯ ИЗ БИОГРАФИИ ЗАХАРИЯ ГАБАШВИЛИ

Резюме

В статье дано несколько новых сведений из биографии Захария Габашвили, извлеченные из неизвестного сочинения о его кончине. Означенное сочинение составлено священнослужителями Гелатского монастыря и внесено в Авгар (S—5157). Текст выполнен в возвышенном тоне и сам З. Габашвили своими видениями возведен в степень (ранг) святого. В колофоне составителями текста названы духовные лица Гелати (непосредственным составителем является, как видно, племянник Захария). Сочинение характеризуется весьма своеобразным стилем и гиперболизацией личных качеств Захария Габашвили.

Особого внимания заслуживает точная дата кончины З. Габашвили (1782 г.), не известная в научной литературе, а также сведение о месте его погребения — Гелати, — рядом с могилой старшего его сына Иосифа. До сих пор в научной литературе было принято мнение, что Иосиф и Осе являются одним и тем же лицом. По данному тексту выясняется, что сыновьями З. Габашвили были и Иосиф и Осе (каллиграф).

В статье дана попытка восполнить генеалогию З. Габашвили. В результате изучения материалов выясняется, что у него был еще один сын — Николоз (протоиерей).

Здесь же представлены некоторые детали из жизни Осе Габашвили, в частности, названо последнее место его пребывания — город Астрахань; даны также сведения о дате кончины архимандрита Захария (основателя и руководителя типографии в Сачхере) в городе Белгороде и описание места его погребения.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კე-
კელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის არქეო-
გრაფიის განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა
აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ე. მეტრეველმა

შოთა რაჭვიშვილი

გერმანელი ავტორები „გარდამავალი ხანის“
 ძარბულ მწიგნობრში

XVIII—XIX საუკუნეთა მიჯნის ქართულ მწერლობაში, რომელსაც პირობითად „გარდამავალი ხანის“ მწერლობას უწოდებენ, მხატვრული სიტყვის ბევრი მესვეური ეპიგონობის გზას ადგა და ძველი მოტივების გადამღერებას უნდებოდა, თუმცა ზოგიერთი პოეტი მაინც ახერხებდა ინდივიდუალური ხმის შენარჩუნებას¹. ყოველივე ამასთან ერთად წარმოებდა დიდი მთარგმნელობითი მუშაობა, რის შედეგადაც ქართული მწერლობა იცებოდა რუსული და უცხოური, კერძოდ, ფრანგული და გერმანული, ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებით. დღეს უკვე რამდენადმე შესწავლილია ფრანგულიდან შესრულებული, საკუთრივ, კორნელის, რასინისა და ვოლტერის, თარგმანების ხასიათი, იდეური შინაარსი და მხატვრული ფორმა². მაგრამ იგივე შეუძლებელია ითქვას გერმანული მწერლობიდან გადმოღებული ლიტერატურული ნიმუშების თაობაზე. ამ უკანასკნელთა თავისებურება, შეიძლება ითქვას, ჯერჯერობით სრულიად შეუსწავლელია. და ეს მაშინ, როცა გარდამავალი ხანის მწერლები თარგმნიდნენ გერმანული ლიტერატურის გამოჩენილ წარმომადგენელთა საუკეთესო ქმნილებებს. ქართველი მკითხველი იმ პერიოდში გაეცნო დიდ გერმანულ განმანათლებლებს ვილანდსა და კლოპშტოკს, აგრეთვე—კრონეკსა და კლაისტს, უცსა და ჰალერს, კრამერსა და ბრავეს: გაეცნო უღარესად პოპულარული სათავადასავლო რომანების ავტორს ქრისტინა ჰაინრიხ შპისს. ყველა ამ მწერალთან ერთად ქართველობა ეზიარა დიდი გერმანელი და ნიდერლანდელი ჰუმანიტი მწერლის ერაზმ ფონ როტერდამის იდეების სამყაროს.

გერმანული ლიტერატურის ნიმუშების გადმოქართულების ფაქტი ფიქსირებულია ხელნაწერთა აღწერილობაში, ასევე ლიტერატურის ისტორიის მკვლევართა შრომებში³, მაგრამ მეცნიერული კვლევის საგნად ჯერ კიდევ არ ქცეულა თავისთავად ნათარგმნი პროდუქციის ხასიათი ან ხარისხი და, ამდენად, დღემდე გაურკვეველია, თუ სახელდობრ რითი დაინტერესდა ქართველობა გერმანელთა ქმნილებებით, ან რამდენად ესიტყვებოდა ქართველობის სულისკვეთებას გერმანული პოეტური ნიმუშების იდეური სამყარო და მხატვრული ფორმა.

გერმანული ლიტერატურიდან პოეტური თარგმანები შესრულებულია გიორგი ავალიშვილის (1769—1850) მიერ და გავრთიანებულია კრებულში შემდეგი სათაურით: „ახალი ჰსწავლა დატკობად სიცოცხლითა, პოემა ოთხთა წერილთა შინა, ქმნილი უფლისა უცისა, თანაშეერთებითა უმჯობესთა თხზულებათა ბარონისა დე კრონეკისა, ღალერისა, კრამერისა, კლოპშტოკისა, ვილანდისა და კლეისტისა, უდიდებულესთა ნემეცურთა მწერალთა, თარგმნილი უცხოთა ენისაგან, მოსკოვა, 1799“⁴.

გავეცნოთ აქ ჩამოთვლილ მწერლებს და ვნახოთ რას წარმოადგენს მათი შემოქმედება ან როგორია ქართულად თარგმნილი მათი თხზულებანი.

1. იოჰან პეტერ უცი (Johann Peter Uz, 1720-1796) განმანათლებელთა ეპოქის მნიშვნელოვანი ანაკრონტული პოეტი. სტუდენტობის დროს იგი პალეონ დაუახლოვდა მოწინავე ლიტერატორების ჯგუფს და გახდა ჯერ «მსუბუქი პოეზიის» მნიშვნელოვანი მესეყური, ლექსის ფორმის, კერძოდ რითმის, უდიდესი პატივისმცემელი, ხოლო შემდეგ — ცნობილი გერმანელი ავტორი, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა მშობლიური ენის გასაწმენდად და პოეზიის მექანიზმის დასაუფლებლად.

ლექსების წერა უცმა დაიწყო 1743 წლიდან, ხოლო პირველი კრებული «ლირიკული ლექსები» (Lyrische Gedichte) გამოაქვეყნა 1749 წელს. ოთხი წლის შემდეგ გამოსცა კომიკური ეპოსი «სიყვარულის ღმერთის გამარჯვება» («Der Sieg des Liebesgottes», 1753). უკვე უცის აღრინდელი ლექსები ცხადყოფდნენ ავტორის მდიდარ პოეტურ წარმოდგენებს, სალექსო ფორმისა და პოეტური ენის სინატიფეს.

მაგრამ საბოლოოდ უცის შემოქმედება მაინც ვერ თავსდება «მსუბუქი პოეზიის» ეიწრო ჩარჩოებში. აღრინდელი პერიოდის ანაკრონტული ლექსების აღვილს თანდათან იკავებენ ეთიკურსა და პატრიოტულ თემებზე, აგრეთვე ფილოსოფიურ საკითხებზე დაწერილი ქმნილებები. უკვე ლექსი «დათრგუნვილი გერმანია» («Das bedrängte Deutschland», 1746) ცხაყოფს, რომ უცი იჭრება მსუბუქი პოეზიისათვის უცხო, ღრმა პრობლემების სფეროში. უცის პოეზია ამიერიდან დატვირთულია სოციალური თემატიკით. ავტორი კიცხავს ომის მოთავეებს, პრივილეგირებულ თავადებს და უცხოქვეყნიური და არისტოკრატიული ჩვევებისადმი ბრძალ მიმბაძველებს. ლექსში «პატრიოტი» და სხვა ავტორი კიცხავს გერმანელი თავადების საბრძოლო პოლიტიკას, რომელიც აღრმავებდა განხეთქილებას თვით გერმანელთა შორის და ხალხს კიდევ უფრო საშინელი გასაჰირისაყენ უბიძგებდა. უცმა უარყო ალექსანდრიული ლექსი და გადავიდა უფრო მოქნილ, ცოცხალ სალექსო ზომაზე. ოდაში «თეოდიცია» (Theodicee, 1755) პოეტურ ენაზე თარგმნის ლაიბნიცისა და ვოლფის ფილოსოფიის ძირითად დებულებებს⁵.

ქართელი საზოგადოებისათვის ცნობილია უცის პოემა «ცდა ხელოვნებაზე, მარად ბედნიერი იყო» («Versuch über die Kunst, stets fröhlich zu sein», 1760), რომელსაც თარგმანში ეწოდება «სწავლა დატკობხად სიცოცხლისა». ალექსანდრიული ლექსით დაწერილი პოემა აღრინდელი ბაროკოსა და კლასიციზმის სტილის თავისებური ნაზავია. პოემაში გაგრძელებულია დიდაქტიკური პოეზიის ნამდვილად ჰუმანისტური ტრადიციები. ამ პოემის დაწერამდე უცი გართული იყო ფილოსოფიური პრობლემებით, ემარჯებოდა მეტაფიზიკური აზროვნება. ფილოსოფიური პოეზიის სფეროში მოპოვებული წარმატება ავტორმა ოსტატურად გამოიყენა «ცდაში ხელოვნებაზე»; ქრისტიანი ადამიანის ლეთისმოსაური იდეები მასში გადმოსცა ნატიფი პოეზიის ბრწყინვალე ფერებით.

უცის პოემა შედგება ვინმე იერუსალიმის სახელზე დაწერილი ოთხი ბარათისაგან. მათგან პირველში პოეტი სთხოვს თავის მეგობარს, გაიხსენოს ერთად გატარებული სასიამოვნო საღამოები ერთ-ერთი ციხე-კოშკის ბაღში გერმანიის სამხრეთ-აღმოსავლეთით. დღის მომხიბლავ სიმშვენიერეს იქ ენაცულებოდა ღამის მომაჯადოებელი სილამაზე და განმარტოებულ ყოფაში შვებას პოულობდნენ სათნო სულები. შემდეგ პოეტურ ბარათში განვითარებულია ავტორისეული ფილოსოფიური მოსაზრებანი: კეთილდღეობა და ბედნიერება

სურს ყველას. ადამიანთა კმაყოფილება განიზომება მათი ღვთისმომოწმებით. ვისაც სურს იკემოს ცხოვრებისეული განცხრომა და სიტკბო, მან უნდა ამრავლოს სულის მარგებელი საქმეები, შეიმსუბუქოს დარდი და შეიმციროს სევდა, ბედნიერებას ეზიაროს სიბრძნისა და სიკეთის მეშვეობით, საკუთარი ვნებებისა და სურვილების ალაგვით. ადამიანმა უპირატესობა უნდა მისცეს ნამდვილ სიკეთეს; სათნოება ადამიანის ღიღების საგანია, თავისუფლება — მისი ჯილდო. ადამიანი კეთილი უნდა იყოს შინაგანად. ბრძენი ყოველთვის კმაყოფილია და ბედნიერი.

ადამიანის სხეული იშლება და იხრწნება, ხოლო სული მისი ღვთაებრივია და უკვდავი. ადამიანმა უნდა იზრუნოს სულის ცხოვრებაზე და არა ხორცის სიამოვნებაზე. სულიერი განცხრომა ბუნების კანონია და ადამიანის არსებობის მიზანი. კეთილი ბუნება ადამიანს ჰკვრის სიხარულს. დაბოლოს განვითარებულია ის აზრი, რომ ადამიანი გაურბის ცხოვრებისეულ ნეტარებას, რათა დაიცხროს საკუთარი სურვილები და ამით სიმშვიდე და სიხარული მოიპოვოს. „ისწავლე, — გვაუწყებს უცი, — დასტკბე ნაბოძებით, რომელსაც შენ გიგზავნის გულმოწყალე ზეცა. ცხოვრებით დატკბობის ხელოვნება არის ნაცადი საშუალება იყო ბედნიერი“. ესაა საერთოდ ამ ბარათის მთავარი იდეა, რომლის ფრაზეოლოგიამ თავი იჩინა უკვე პოემის სათაურშიც.

მეორე ბარათში ლაპარაკია ბოროტის აუცილებელ ძლევასა და კეთილის საბოლოოდ გამარჯვებაზე, როგორც ბუნების გარდაუვალ კანონზე. ბუნების ხმისადმი მიყურადებით ვიგეგმებთ სულიერი დაცხრომის ტკბილ ნაყოფს. ჰემამარიტებისა და ყოვლის შემძლეობის განსაცდელად საჭიროა უხეში სიმკაცრის თავიდან აცილება; საუკუნოდ ჩაიბრვა თვინიერსა და ზომიერ სიამოვნებაში.

მესამე ბარათში ლაპარაკია ღმერთის მნიშვნელობაზე ადამიანის ცხოვრებაში. ადამიანს არაფერი ჰკვრის იმდენ სიხარულსა და სიმშვიდეს, ვიდრე იმისი გაფიქრება, რომ ამ ქვეყნად არსებობს ყოვლად ბრძენი და ყოვლად კეთილი ღმერთი, რომელიც განაგებს მოკვდავთა ხვედრს და მთელ სამყაროს. ადამიანი არ დაიღვება ღვთაებრივი შემწეობისა და დახმარების მოლოდინში.

მეოთხე წერილში ლაპარაკია ბედნიერების შეუძლებლობაზე უბედურებათა და შეჭირვებათა ქაშს. წუთისოფელი საგამოცდო ვადაა, უკეთესი ხვედრი გველის მხოლოდ მყობადში. უღრტვინველად უნდა ავიტანოთ ცხოვრებისეული უბედურებანი, წუთიერი სიკეთის დაკარგვა და მოყვასთა განრიდება ჩვენგან. ღმერთისადმი რწმენა გვიცავს სიკვდილის საშინელებისაგან. სიკვდილი ადამიანის ხსნაა და გრძელ სოფელში არსებობის დასაწყისი. გარდაცვალება კეთილი მეგობარია, რომელიც გვითანამგზავრებს აღთქმულ ბედნიერ მხარემდე. ფრთხილი გრძნობიერება შიშითა ძრწის მის წინაშე. ურწმუნოსა და მანკიერ თავისუფალ მოაზროვნეს უსკდება გული. მათგან განსხვავებით, ქრისტიანი სულსა ლევს სიხარულით, სიკეთისადმი რწმენა მასში აბათილებს ყოველგვარ შიშს. ქრისტიანი არა ძრწის იმ დროს, როცა სული თავისუფლდება ხორციელი ბორკილებისგან და როცა ჰემამარიტად ფასდება ადამიანის მიერ გაკეთებული საქმეები.

სულ ბოლოს ნათქვამია: ადამიანმა უნდა იცოდეს, როგორ მიიცივლოს მშვიდობიანად. „ჯერ არს, რათა ვსცნათ ჰსწავლა მოკვდომისა კეთილ-შემთხვევით, ქრისტიანებო, — რათა ვიცხოვროთ ბედნიერად და განსვენებით უცი თვლის, რომ ესაა ერთადერთი ჰემამარიტი სიხარული, რომელსაც ეძიებს მორწმუნე ადამიანი. „აჰა მხოლოდითი იგი ჰემამარიტი სიხარული, რომელსა-

ცა ეძიებს ძე სარწმუნოებისა!“ იგი და მხოლოდ იგი უმსუბუქებს მძიმე ხეტიალს მიწიერ მომლოცველებს. „იგი აღამსუბუქებს სიმძიმითა მეგზაურებასა ქვეყნიერთა ბილიდრიმთასა; იგი, უკუტანყოფი, მოიყუანს მათ უკუდავებისა მიმართ“⁶.

ამგვარად, ლაპარაკი სამყაროში ადამიანის მდგომარეობაზე და ღმერთის რწმენის აუცილებლობაზე, უცის პოემაში, მთავრდება ამქვეყნიური ყოფის გმობითა და საიქიო ნეტარი ცხოვრების აღიარებით, სიცოცხლით დატკობა შესაძლებელია მხოლოდ კეთილად გარდაცვალების ფილოსოფიის ცოდნით და ღმერთის მართლმსაჯულების სამართლიანობის აღიარებით.

უცის პოემა საინტერესოა აგრეთვე ავტორისეული პოლიტიკური შეხედულებების განვითარების თვალსაზრისითაც. დემოკრატიაზე მასში მინიშნებაც კი არაა; და ეს ბუნებრივია. უცი ლაპარაკობს მხოლოდ ანარქიასა და მონარქიაზე. ამ ორთაგან პირველი სახელმწიფოებრივი ფორმა, ანარქიული მმართველობა, ავტორისათვის ყოვლად მიუღებელია, რაკი მასში „მშფოთვარე უმთავრობობა, მოქმედებს გონებისა და სინდისის წინააღმდეგ“ და რაკი ამის გამო მანკი თითქმის ყოველთვის დაუსჯელი რჩება. ანარქიისაგან განსხვავებით, მდგომარეობა კარგია მონარქისტულ წყობაში. მონარქიას მართავს ბრძენი მეფე და მასში ყველაფერია იმისათვის, რომ სიკეთეს მიეზღას თავისი, ხოლო ბოროტება შესაფერისად დაისაჯოს.

«ცდაში ხელოვნებაზე» უცი ეპაექრება ეპიკურეს მატერიალური ტკობისა და ჰედონისტური განცხრომის ფილოსოფიას; მოძღვრებას იმის თაობაზე, თითქოს ადამიანის ბედნიერება ცხოვრებისეული სიამტკბილობით დაკმაყოფილებაშია, უცი არ იწყნარებს ეპიკურეს მოძღვრებას, ხოლო თავის მხრივ იმ აზრისაა, რომ კმაყოფილება მიიღწევა სწორედ ხორციელ სიამოვნებაზე ხელის აღებით; შინაგანი სიხარულის («innere Freude»), შინაგანი სულიერი კმაყოფილების მიღებით, რაც ვლინდება სიბრძნესა და სიკეთესთან ერთად. ვისაც ბედნიერება სურს, მან უნდა ჩაჰქოლოს და დათრგუნოს საკუთარი ვნებები; იფიქროს სულის საუკუნო ნეტარებასა და უკვდავებაზე. სიკვდილი ადამიანს შიშის ნაცვლად უნდა ჰგერიდეს სიხარულისა და ბედნიერების გრძნობას.

2. იოჰან ფრიდრიხ ფონ კრონეგკი (Johann Friedrich von Cronnegk, 1731-1758). გერმანული განმანათლებლური მოძრაობის ზომიერი ფრთის მნიშვნელოვანი წარმომადგენელია. იგი წერდა ზნეობის დამრიგებლური სულისკვეთების სტატიებსა და დიდაქტიკურ ლექსებს, სულიერ საგალობლებსა და ლიტერატურულ წერილებს, აგრეთვე პიესებს. მან პრემიაც კი დაიმსახურა კლასიციზტური ტრაგედიისათვის «კოდრუს» («Codrus», 1797), რომელშიც იქადაგა მაღალი მოქალაქეობრიობის კეთილშობილური იდეა. აქვს კომედია «მიუნდობელი» («Der Misstraurische»), მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანია «ქრისტიანული ტრაგედიის» საუკეთესო ნიმუში, დაუმთავრებელი ქმნილება «ოლინტი და სოფრონია» (Olint und Sophronie, 1764)⁷. ამ პიესის გამო «ჰამბურგის დრამატურგიაში» ლესინგი თავს დაესხა კრონეგკს. «ქრისტიანულ ტრაგედიაში» მან მართებულად დაინახა ცრუმორწმუნეობის მთელი სკოლა, რომელიც ადამიანს მიჯნავს სინამდვილისგან, აბლაგვებს მასში რეალური საჭიროებისა და მისწრაფებების გრძნობას, გარდა ამისა, «ოლინტსა და სოფრონიაში» ლესინგმა დაინახა გოტშემდის კლასიციზმის ტიპური წარმომადგენლის ყოვლად ნიშანდობლივი პიესა.



კრონეკის თხზულებათაგან ქართულად ითარგმნა «განმხოლოება» («Ein-samkeiten»), რომელშიც ჩაქსოვილია დაობლებული გულის გრძნობები. მას საფუძვლად დაედო სამწუხარო ფაქტი მწერლის ბიოგრაფიიდან. 1757 წელს კრონეგს გარდაეცვალა დედა, რომლის მიმართ მგრძნობიარე შვილი განსაკუთრებული სინაზით იყო გამსჭვალული. და აი, პოეტი დასტირის უსაყვარლესი დედის სამარეს, იხსენიებს მას, როგორც სერენას, პოეტი ისეა დათრგუნვილი უბედურებით, რომ შვებას ვერაფერში ხედავს, მისი სევდა აღსავესა სასიამოვნო ფიქრებით, მგრძნობიარე გული პოეტის წიგნს წაიკითხავს სიამოვნებით, ხოლო კეთილი სული — აღმოაჩენს საჭირო საზრდოს. თავად კრონეკი გარდაეცვალა დედის სიკვდილიდან ერთი წლის შემდეგ. პოეტის შემოქმედებიდან არა ჩანს, რომ მას ჰყოლოდეს ვინმე სატრფო; ქალური სინაზის განსახიერებას, სიყვარულს და სიბოძის იგი ხედავს მხოლოდ სერენას სახეში. შეძრწუნებული პოეტი თავს იმით ინუგეშებს, რომ დედა წავიდა სულეთის ქვეყანაში, კარგსა და ლამაზს სამყაროში, რომლის ბინადარიც უნდა მომავალში გახდეს თავად მგოსანიც.

პოეტი უხმობს მუხას, რათა მოველინოს მას და მსცეს შეწევნა ბუნების სილამაზის შესაქებად. იგი მარტოა თავის კაეშნიან ფიქრებთან. სერენა იქცა მიწად და მას ველარ გამოაღვიძებენ მეგობართა მიერ დანთხელი მღუღარე ცრემლები. სერენამ პოვა მარადი განსვენების ადგილი სულების ქვეყანაში და ამდენად ბედნიერია. უბედურია სწორედ ჯერ კიდევ სამზეოზე დარჩენილი მისი შვილი. პოეტი გმობს ამქვეყნიურ ამოებას და ხარობს იმისი გახსენებით, რომ გრძელს სოფელში არსებობენ ნამდვილად ნეტარი სიციცხლით. ამქვეყნიური მაცდური სანახაობა, ამოება მთავრდება ადამიანის გარდაცვალებით და ახალი სანახაობის დაწყებით. პოეტს სურს მალე გადასახლდეს იმ მყუდრო ადგილას, სადაც არ ისმის მიწის ბინადართა განწირული ვნაისი, სადაც შვებასა და მოსვენებას პოეებს ყოველი. პოეტი მზადაა შეწყვიტოს აჯა და გოდება. მაგრამ იგი ვერ მოიშლის ცრემლთა დენას, რადგანაც მასში ხედავს დარდის შემსუბუქების და სულის დამშვიდების უებარ საშუალებას.

სერენაზე მოგონებებიდან, რომელიც პირველი სიმღერის თემაა, პოეტი გადადის მასთან გასაუბრებაზე. დიალოგი დედის აჩრდილთან უკვე პოემის მეორე სიმღერის თემაა. დედის აჩრდილს პოეტი ესაუბრება ამქვეყნიური ცხოვრების ამოებაზე. აჩრდილი ცდილობს დაამედოს მგოსანი მომავალი ცხოვრების ბედნიერებით, მაგრამ, ამასთანავე, — შეუღმსუბუქოს თვით წუთისოფლის უბედურება. ამისათვის თურმე საჭიროა ადამიანი განმარტოვდეს ბუნების წიაღში და დასტკბეს მისი მშვენიერებით. დაბოლოს პოეტი იხსენებს იმ ფაქტს, რომ ღმერთი მთელი ბუნების მომცველია, ხოლო ადამიანი შექმნილია მისივე მიერ, როგორც მისი მსგავსი და შესაფერისი.

ქართულად თარგმნილია კრონეკის პოემის მხოლოდ პირველი სიმღერა, რომელშიც დამუშავებულია სერენაზე მოგონებების თემა. პოემის საერთო განწყობა ამ სიმღერაში ძირითადად უკვე მოცემულია და ამიტომაც, ვფიქრობთ, მთარგმნელმა საჭიროდ აღარ მიიჩნია მეორე სიმღერის გადმოქართულება.

პირველი სიმღერის დასასრულს პოეტი მიმართავს საკუთარი სინდისის უკვდავ ხმას: «მე მსურს გრძნობა და მოთმინება უბედურებისა ჩემისა» (ich will mein Unglück empfinden und Leiden); რომ ამ ქვეყნად მეუფებენ ვნებანი, «ხოლო სათნოება მკვიდრ არს საცხოვრებელსა სერენისსა» (die Ruh

wohnt dort, bei Serenen»). პოეტს სურს მოსვენება პოვოს ამ ქვეყნად. იგი არ დაარღვევს საკუთარი ჩივილით ირგვლივ გამეფებულ სიმშვიდეს. პოეტი დაღმდება, მაგრამ არ დასცხრება «ცრემლთა დათხევად» («Weinen wer dich».) ცრემლის დაუნთხველად იგი ვერაფერში პოვებს საკუთარ ვაებათა შემსუბუქებას. დაბოლოს: «ესვეთიართა სახითა კეთილმორწმუნეთა მოთმინება მყუდრო და მშვიდი მწუხარებათა შინა ჰზის მარმარილოესა საფლავსა ზედა და დაუცხრომელად უპყრიეს ხელითა თვისითა ტვირთი უბადრუკებათა» (გვ. 115-116).

პოემაში მთლიანად კრონეგკი უმღერის ბუნებასა და სიყვარულს, მეგობრობასა და გარდაცვალებას, აგრეთვე, მარად ცხოვრებას გრძელ სოფელში. პირად განცდებს კრონეგკმა მისცა განზოგადებული მნიშვნელობა. თავისი სულისკვეთებით და გააზრებით კრონეგკის პოემას ბევრი რამე აქვს საერთო ნოკალისის „ჰიმნებთან ლამისადმი“. სატრფო ქალიშვილის, სოფიო კიუნის გარდაცვალებით დასევდიანებული ნოვალისი გმობდა ამქვეყნიურ ცხოვრებას და ყოველნაირად აადეალებდა საიქიო ყოფას. როგორც ნოვალისისათვის, ასევე კრონეგკისათვის ნიშანდობლივია იაკობ ბემეს მისტიკური სულსკვეთება ბემეს მსგავსად კრონეგკი ბედნიერებას ხედავს მხოლოდ რეალური სინამდვილის გმობაში, დღის წინაშე ღამის ვაიდვალებაში, სიცოცხლის წინაშე სიკვდილისათვის უპირატესობის მიჩნევაში. ამქვეყნიურ ცხოვრებასთან შედარებით კრონეგკი უპირატესობას აძლევს საიქიო ყოფას და, ამდენად, ადიდებს გარდაცვალებას, როგორც მიწიერი ცხოვრების დამთავრების და სამუდამო განსასვენებელში მოხვედრის საშუალებას. სერენასადმი პოეტის მიმართებაში ჩანს კრონეგკის მისტიკური ეგზალტაცია. პოემა საერთოდ დაწერილია სპირიტუალისტური სულისკვეთებით. კრონეგს სწამს ადამიანური ყოფის უსაზღვრება, რის გამოც მის პოემაში ყველაფერი ატარებს მისტიკურ ხასიათს, ყველაფერი ადასტურებს იმ თეზას, რომ სიკვდილი არის ადამიანის გამარჯვება საკუთარ თავზე. გარდაცვალება თრგუნავს ყველაფერს, ხოლო თვით სიკვდილს სძლევს ქრისტიანობა, რომელიც ადამიანს უღებს სიყვარულისა და მარადიულობის სამყაროს კარიბჭეს.

3. ქართულად ითარგმნა აგრეთვე გ. ჰალერის (G. Haller) პოემა «სასუფეველი ღმრთისა». გერმანული ლიტერატურა იცნობს ათზე მეტ მწერალ ჰალერს, მაგრამ მათ შორის არც ერთ ისეთს, რომლის სახელი იწყებოდეს გ.-თი (ან «ჰ»-თი). ჰალერთა უმეტესობა მეცხრამეტე და მეოცე საუკუნის მკვიდრნი არიან; ხოლო მეთვრამეტე საუკუნის დასასრულისათვის, როცა ქართულად ითარგმნა «სასუფეველი ღმრთისა», ცნობილი იყო ალბრეხტ ფონ ჰალერი (1703—1777) და მისი შვილიშვილი—კარლ ლუდვიგ ჰალერი⁹. ამდენად, გადმოქართულებული ლექსი უნდა განეკუთვნებოდეს ან პაპა, ან შვილიშვილ ჰალერს¹⁰. ჩვენთვის ხელმისაწვდომ წიგნსაცავებში არ აღმოჩნდა ამ ორი ჰალერის თხზულებათა ისეთი სრული გამოცემა, რომელშიც მოთავსებულ იქნებოდა ჩვენთვის ამჯერად საინტერესო პოემა.

ამ პოემის ავტორი, ჩვენი მეტად გაუბედავი და ფრთხილი ვარაუდით, უნდა იყოს მაინც ალბრეხტ ფონ ჰალერი, შვეიცარიული წარმოშობის გერმანელი პოეტი და ღვთისმეტყველი, გეტინგენის უნივერსიტეტის პროფესორი, ბოტანიკის, ფიზიკისა და ანატომიის სფეროში დაწერილი ფუნდამენტური გამოკვლევების ავტორი. პოემა „სასუფეველ ღმრთისა« თავისი იდეური სამყაროთი მეტად ახლოს დგას ჰალერის სხვა ისეთ ცნობილ ქმნილებებთან,

როგორცაა: „აზრები გონიერებასა, ცრუმორწმუნეობასა და ურწმუნოების თაობაზე“ (1729), „ადამიანური სიკეთეების სიყალბე“ (1730), „ნაირგვარი ჩვევები“ (1731) და, განსაკუთრებით, „ბოროტების წარმოშობის შესახებ“ (1734)¹¹.

მაგრამ, საბოლოოდ, მაინც გაურკვეველი რჩება, რომელი ჰალერია: ალბრეხტი, კარლ-ლუდვიგი თუ სხვა. ერთი რამ კი ცხადია: პოემის ავტორი ჰალერია და მისი ჰალერობა დადასტურებულია რუსულ თარგმანშიც, რომელსაც ჩვენ ორიგინალის მაგივრად დავეყრდენით¹².

ჰალერის ქართულად თარგმნილი პოემის — „სასუფეველი ღმრთისა“ მთავარი იდეა გადმოცემულია უკვე პირველსავე სტრიქონებში, სადაც მოცემულია მეუფის ქება-დიდება. ღმერთის გარემომცველი სერაფიმები, თურმე, შიშითა ძრწიან შემოქმედის დიდებულების წინაშე, ადამიანი კი, შემმართველი და გაბედული, მათგან განსხვავებით, არ იღებს ყურად საყოველთაო საგალობელს და თავისი მოქმედებით ხელს უშლის მეუფეს, რომლის წინაშეც იგი მხოლოდ არააობაა. და ჰალერი შესთხოვს ყოვლის შემქმნელს, არ გაანადგუროს ცოდვილ ადამიანთა ჯილაგი. მთელი თავისი სიცოცხლე ადამიანი დადის ცოდვათა და დაბნეულობათა გზით, ეს მართალია, მაგრამ როცა დგება სიკვდილის ეამი, სული გამოისყიდის ხორციელ ცოდვებს და ეზიარება მარად ნეტარებას. როგორც ოდესმე, მომავალშიც ღმერთი იქნება ნეტარების წყარო. მორწმუნეთა შორის მისი ღვთაებრივი მადლი აღძრავს სიხარულს; ყველას ნათლივ გადაუშლის საყოველთაო კეთილდღეობის საბრძანებელს.

ღმერთის ვანდიდების შემდეგ ჰალერი გადადის ადამიანის შექებაზე. თავის მსგავსსა და საკადრის ქმნილებას, ადამიანს ღმერთმა მისცა ნეტარებით დატკობობის უნარი. სხვებისთვის თვალშეუდგამი, ღმერთი პირადად ყველაფერს ხედავს. ადამიანმა უნდა მიაყაროს მზერა და მიაყურალოს, თუ სურს დანახოს და მოისმინოს ღმერთი. მისი ხმა ადამიანამდე აღწევს მეხის გრგვინვისა და ფრინველთა გალობის სახით. რომელ ქვეყანაშიც არ უნდა წავიდეს ადამიანი, მას ყოველთვის თან ახლავს ღმერთი.

წელიწადის სხვადასხვა დროს ქმედითი ღმერთი გვევლინება სხვადასხვა-ნაირად. მის ნაკვალევზე ბიბინებს ბალახი და იფურჩქნება ტყე, ბუნება იმოსება მწვანე სამოსით. ღმერთის ნება-სურვილით ურთიერთს ენაცვლება წელიწადის დროები. ზამთარი თითქოს ყველაფერს იავრქმნის და აპარტახებს, ნამდვილად კი ბუნება მხოლოდ იძინებს, რომ შემდეგ ისევ გამოივლიძიოს. ღმერთი არ ისურვებს ქვეყნად მხოლოდ მარადი ზამთრის, ან გაზაფხულის სუფევას.

ამ ღვთაებრივ ჰარმონიაში, ჰალერის აზრით, დისონანსი შეაქვს მხოლოდ ადამიანს. მის ხელში ფუჭდება ყველაფერი კარგი, რაც გამოდის შემოქმედის ხელიდან. ღმერთის მიერ წინასწარი გაფრთხილების მიუხედავად, ადამიანი ცოდავს და ზოგჯერ მისი დანაშაული იმდენად დიდია, რომ მეუფე იძულებული ხდება დასაჯოს იგი და მისი მთელი თაობები, მოუვლინოს მათ ომები. არც ერთი იმპერია არ შექმნილა ღმერთის ნება-სურვილის გარეშე; არც რომელიმე სამეფო დანგრეულა მისი თანხმობის გარეშე. იგი გვაძლევს ხან პუტრის მოსავლით მდიდარ, ზოგჯერ — გვალვიანსა და მოუსავლიან წლებს. ჩვენ ვიცით მისი მადლიცა და რისხვაც.

დაბოლოს, ავტორი მოუწოდებს მკითხველებს, დახარონ თავები ღმერ-

თის სიძლიერის წინაშე, მუხლმოდრეკილებმა თაყვანი სცენ ყოვლად ძლიერს. მაშინ მადლიანი ღმერთი ისევ დაგვაბერტყავს თავისი წყალობის კალთას.

პოემის დასასრულს ჰალერი დიდებით ესალმება იმ ბედნიერ დღეს, როცა დადგება ყველა ხალხისათვის ნეტარი დრო, როცა მთელი სახელმწიფოები ჰოირთვებიან ზეთისხილის რტობით, როცა ღმერთის ნება-სურვილით შეწყდება სისხლისმღვრელი ომები, ქვეყნად დამყარდება მშვიდობა, ბოლო მოეღება შფოთსა და ბოროტებას. პოეტი მიმართავს ღმერთს: „ყოვლად უზენაესო! განსაცხადენ უკანასკნელ ყოვლითა დიდებითა შენითა! ჰშთამოვედ ზეცით და მიჩვენე შენი ყოვლისაშემძღებლობა! სახედღელენი შენნი მოჰსწყლავნ საცივიტრობითა განხეთქილებასა, მიჰენვარებასა და მკუთლლობასა! და მოეფარვიან საოცრებანი ესე ქუესკენლთა შინა უფესკრულისათა! უბრძანე ანგელოზსა აღმსაბოძსა გარდადებად მახვილისა თვისისა, და რქუ მას: „კმა არს! შურისძიებულ ვარ მე! მშვიდობა ჰფლობდინ“ (გვ. 142).

ჰალერის პოემაში გამეორებულია ოდითგამდელი ჰიმნი ღმერთისადმი, როგორც ყოველივეს შემქმნელისა და გამგებელისადმი, მაგრამ აქვე შეიზიარება გარკვეული სიახლე: ღმერთი, პოეტის თანახმად, არაა ბუნების საზღვრებს მიღმა მდგარი უსახო საწყისი; იგი არაა ბუნებისადმი დაპირისპირებული ძალა; ღმერთი არაა ბუნების არც შემქმნელი და არც პირველი ბიძგის მიმცემი. ღმერთი გათქვევდილია თვით ბუნებაში, საერთოდ ყველაფერში. იგი ბუნებაშია და ბუნება მასშია, ღმერთში.

ამგვარად, ჰალერის კონცეფციის სიდიადე და სიახლე მის პანთეისტურ ღმერთშია; მაგრამ ჰალერი მაინც არაა ბარუხ დე სპინოზას პანთეისტური ფილოსოფიის ორთოდოქსული მაღიარებელი. ჰალერი უმალ რჩება გერმანელი მოაზროვნისა და პოეტის ანგელუს სილეზიუსის (1620—1677) შეხედულებათა ტყვეობაში. ჰალერისათვის უცხოა ტრადიციული თეოლოგიის მორალური ნორმები და რეაქციული რელიგიის დოგმები; უცხოა ლაპარაკი ადამიანის არარობაზე. მისი შეხედულებანი პანთეისტურია და ამდენად გამომხატველი რელიგიის პროგრესული ფრთისა. აგრძელებს რა პანთეისტური ღმერთის დახატვაში ანგელუს სილეზიუსის და, რამდენადმე, სპინოზას ფილოსოფიური მოძღვრების ხაზს, ჰალერი დამსახურებულად ხდება დიდი გოეთეს სახელოვანი წინამორბედი. ჰალერმა ხელი შეუწყო პანთეიზმის ჩამოყალიბებას იმ თავისებურ რელიგიურ საბურველად, რომლის შიგნით იმალებოდა ზოგიერთი ფილოსოფოსის მატერიალიზმი.

4. უცის და, განსაკუთრებით, კრონეგკის თხზულებათა გაცნობის შემდეგ რაიმე სიახლეს არ წარმოადგენს მრავალრიცხოვანი რომანების ავტორის კარლ გოტლობ კრამერის (Carl Gottlod Cramer, 1758-1817) პოემა «აღღვომა მკვდართა», რომელშიც ლაპარაკია ხორცის მოკვდაობასა და სულის უკვდავებაზე.

ნიადაგი მიიბარებს ადამიანის სხეულს და მას ისევ მიწად აქცევს, — ნათქვამია პოემაში, — ხოლო სული შეერწყმის უკვდავებას. ჰირსიუფალთა ცრემლების ფრქვევისას სული იქნება მარადიულობაში. წარმდგარი ღმერთის წინაშე. ღმერთი იქნება მისი შემწე განკითხვის ეამსაც. მაშინ ადამიანს მოეკითხება ყოველი ცოდვა და დანაშაული, ჩადენილი მისივე ხორცის კარნახით. რწმენა ყოვლად სრულყოფილისადმი ადამიანს ვაჰყვება საუკუნეებში, მეუფის შემწეობით თვინიერდებიან მოკვდავის მტრები; სიბოროტე მუნჯდება და შური ქრება. ღმერთის გამარჯვებით ითარგუნება სიყვდილი. წუთი-



რი ტანჯვის საფასურად ღმერთი გვანიჭებს საუკუნო სიხარულს და ნეტარებას. ახლოდგება მსოფლიოს სამსჯავრო, რის შედეგადაც განახლდება მიწა. მანამდე კი ადამიანმა უნდა იბრძოლოს, ღირსეულად შეხედეს განახლებულ ცხოვრებას, დღენიადაც მამაცად ერკინებოდეს ცდუნებას. ადამიანმა უნდა განიწმინდოს საკუთარი სული დიდების მოსაპოვებლად. მიწისაგან შექმნილ არსებას არ ძალუძა ჩაწვდეს ყოვლად უზენაესის განჩინებათ, არ შეუძლია გაიგოს, თუ ნამდვილი მორწმუნეთობისათვის როგორი ნეტარება ელის მას მარადიულობაში.

კარლ კრამერი წერს: „მოკუდაო! შენ ხარ ჯერეთ ქვეყანადვე, ნუ დაუტყვებ უწინარეს დროასა სარბიელსა შენსა, და იქმენ ღირს ახლისა ცხოვრებისა—დიდებულისა აღდგომისა ახოვანსა მხედარსა თანა აქს (მართებს.—შ. რ.) ბრძოლა განსაცდელთა შინა, ძლევის შემოსად და ბრძოლად პირისპირ მტერთა, უწინარეს, ვიდრე მის წინამთხრობელისა ხმა განაცხადებდეს მას მიძლეველად: შენ მოუთმენლად გსურს შესვლა დღესასწაულებითსა საზოგადოებასა შინა; სათნოებითგან იწყე ყოველივე და აღასრულენ დაურღვეველად შეკრულებანი შენნი; და განსჰსწმიდე სული შენი მიღებისათვის დიდებისა მის, რომლითაცა იგი ოდესმე დამტკბარ იქმნების“.

„მაშინ შეერთდები შენ ჩვენ თანა, მაშინ ჰსცნობ მას, რაასაცა სფერის სიშორისა არავითარითავე ენითა, არავითარითავე ძმობითა განცხადებად შესაძლებელ არს. არა არს კაცი, რომელიმცა წარემატა მას შინა. თვით იგი, რომელიცა გარდამოხდა ქვეყანად, რათა თქვენ გიღალადოთ მესისა, — თვით იგივე არა რასსამე დავიფარავს თქვენ. არსება მიწით შენაწევრებული ვერა მისწყობების საზღვართა ყოვლად უზენაესითასა, და არა ძალ-უძს შემცნება, თუ ვითარი ნეტარება წინათვე განმზადებულ არს საუკუნოდ განათლებულთა მართალთათვის» (გვ. 154—155)¹³.

5. გარდამავალი ხანის მკითხველები ფრიდრიხ გოტლიბ კლოპშტოკს (Friedrich Gottlieb Klopstock, 1724-1803) გაეცნენ მისი ცნობილი ოდიო «გაზაფხულის ზეიმი» («Die Frühlingsfeier»), რომელსაც ქართულად ეწოდება «ღმერთი ნიაჭქარსა შინა».

კლოპშტოკი აუზნებდრდა სასახლის კულტურას და მოითხოვა ეროვნული სულეერი საგანძურის შექმნა. მაგრამ ყოველივე ამასთან ერთად, მისი შემოქმედება ატარებს პიეტეზმის სულისკვეთებას, გარკვეულ რელიგიურ კონცეფციას და ცრუსათნობას. რელიგიურ გრძნობებზე კლოპშტოკი ლაპარაკობს თვით ბუნების დიდი მოვლენებით მიღებული განცდების გადმოცემისას. ამ მხრივ საინტერესოა ოდა „გაზაფხულის ზეიმი“, რომელშიც ავტორი ლაპარაკობს ჭექა-ქუხილის მიმართ ღვთისნიერი ადამიანის დამოკიდებულებაზე, მის გრძნობათა და შერატყნებათა მთელ სამყაროზე; მის ფიქრებზე შემოქმედის სიღიადესთან დაკავშირებით.

პოეტი დღაღდებს: «არა მსურის მე, რათა შთავიდვა სოფელთა უკუანესა; არა მსურის ფრინვა კეთილშეზავებულთა მათ კერძოთა შინა. სადაცა პირველქმნილნი შეილნი ნათლისანი ღრმითა კეთილმოწიფებითა ქვედაცემულნი უგალობენ». (Nicht in den Ozean der Welten alle Will ich mich stürzen) და სხვ.).

პოეტი ქება და დიდებას უძღვნის შემოქმედს. ღმერთმა მიუტევოს ცრემლები მომტირალსა და უშწურო არსებას, განუფანტოს ყოველგვარი ეშვი და ცხადად უქციოს ჭეშმარიტება, აუწყოს სიკვდილის შავბნელი ველი. და შემ-

დეგ პოეტი აღწერს ჭეჭა-ჭუხილს და წვიმის მოსვლას, როცა „ცა შთამოუტეობს მთელთა მდინარეთა ქვეყანასა ზედა“¹⁴, მაგრამ ესაა წვიმა, რომელიც გაცოცხლებს გამოფიტულ დედამიწას. რაკი სინესტე შეისრუტა, დედამიწა გაიფურჩქნება ყოველგვარი სიუხვით. დაბოლოს პოეტი აღწევს „მოკვდავთ“, რომ ამ წყალობას ადამიანისათვის გზავნის ღმერთი, მყოფი არა უკუნეთსა, და ქარაშოტში, არამედ ჰაერის წყნარსა და საამურ რხევაში. „აჰა, ღმერთი მყოფი თქუენ შორის არა ბნელსა და ნიავ-ქარას შინა, არამედ მობერვასა შინა წყნართა და საჰამოთა ქართასა, რომლისაცა ქუეშე გამოისახა ნახევარსფერო სოფლისა — შვიდფეროვანი ირისე“ (გვ. 163—164)¹⁵.

6. გოეთემდელ გერმანულ მწერლობაში ღირსშესანიშნავი მოვლენაა ქრისტოფ ვილანდი (Christoph Martin Wieland, 1733-1813) შემოქმედება. ვილანდმა მშობლიურ ლიტერატურაში უდავოდ დადებითი როლი ითამაშა, მაგრამ ახალგაზრდობაში ერთხანს მოექცა პირფერული, პატრიარქალური ღვთისმოსაობის იდეების გავლენაში. საკუთარი პოეტური ნიჭის სიდიადე მან დაამტკიცა ვალექსილი ეპოპეა «ობერონით», თუმცა იგი უმალ პროზაული ქმნილებითაა ცნობილი. «აზღვრეტების ისტორიისა» და «ავათონის» ავტორს აქვს რელიგიურ-ლიტერატურული საგალობლებისა და პოემების ციკლი, რომელთაგან გამოირჩევა «ქრისტიანის შეგრძნებანი» («Empfindungen eines Christen», 1755). მასში გაერთიანებულია ერთი თემის გარშემო დაწერილი ოცდაათი საგალობელი; ხოტბის საგნადაა ქცეული ღმერთსა და მესიასთან დაკავშირებული დიდებული საქმეები: მეუფის უსასრულობა, მის მიერ ანგელოზების შექმნა, შემდეგ ანგელოზთა მავგვარი ადამიანების გამოძერწვა და სხვა. პოეტი აღიღებს ღმერთს ბუნების მშვენიერების, საკუთრივ, გაზაფხულის სილამაზის ცქერის დროს; აღიღებს თვით იმ კეთილი საქმეებისათვის, რომელთაც სწეული ფანტაზია ბოროტებად მიიჩნევს. ღმერთისა და ქრისტეს განდიდებასთან ერთად აქვეა მოცემული ხოტბა ბუნებისა და ადამიანისადმი, როგორც ღმერთის ყველაზე უფრო სრულყოფილი ქმნილებებისადმი¹⁶.

მწერლობის ისტორიაში „ქრისტიანის შეგრძნებანი“ ნაკლებად შესწავლილი ძეგლია. აღნიშნულია მხოლოდ. რომ ვილანდი მასში ფანტაზიური სიმკვეთრით ესმის თავს ანაკრენტელი პოეტების ჰედონიზმს, უწოდებს მათ „ბახუსისა და ვენერას გაშმაგებულ თაყვანისმცემლებს“, ამტკიცებს, თითქოს ისინი ყოველთვის მზად არიან დასცინონ ყოველივე ამაღლებულსა და წმინდას, და მათ იმაში აღანაშაულებს, თითქოს ისინი ახშობენ ახალგაზრდობის რელიგიურ აღტკინებას¹⁷. ვილანდის რელიგიური შეცოდებანი გააკრიტიკა ლესინგმა. ვილანდმა იღო ყურად ეს კრიტიკა და მალე გადავიდა განმანათლებელთა საერთო თემატკაზე.

ქართველ მთარგმნელს „ქრისტიანის შეგრძნებანიდან“ ამოუღია ორი თავი და მათთვის, როგორც ურთიერთისაგან დამოუკიდებელი ქმნილებებისათვის, ცალკე სათაურები მიუცია. პროზაულ სადიდებელ სიმღერათაგან პირველის სათაურია „დილეული გალობა“, მეორესი — „გალობა მშვენიერებასა ზედა გაზაფხულისასა“. ორივე ჰიმნი ერთი და იგივე თემის პოეტური ვარიანტია.

„დილეული გალობაში“ პოეტი დაღაღებს: აღმოსავლეთიდან აღმომხდარი მზის შუქზე, როცა ღრუბლები განიფანტნენ, ნახევრად გამოღვიძებული მშვენიერი ბუნება თავს ანებებს თვლემას და ესალმება აერორას — განთიადის ქალღმერთს, ციურ სიკეთეთა წყაროს. მზის სხივების ამ ციაგნში ვლინდება 6. მა ც ნ ე, ვნისა და ლიტერატურის სერია, 1980, № 1



ნება-სურვილი ღმერთისა და თვით შემოქმედის; იფურჩქნებიან მცენარეები; სასიამოვნოდ მოჟღერებულე ჩიტები უგალობენ ყოველად უზენაესსა და ძლიერს. ამ ბედნიერი დღით ადამიანი უნდა ცხოვრობდეს ღმერთის სიყვარულით. მოკლეა ამ ქვეყნად ადამიანის ცხოვრება, მაგრამ დიდია იმ ქვეყნად მისი ნეტარებით არსებობის შესაძლებლობა.

და პოეტი იმედოვნებს: მალე დასრულდება მისი მოგზაურობა „ველურსა ამას ველსა ზედა“ და შევა სხვა სოფელში, რომელშიც აღარ იქნება დრო; რომელშიც განცხრობათა საუკუნეები რბიან როგორც წამები; და ყოველი საუკუნე აღინიშნება „ახლითა ნეტარებითა“; ყოველივე ეს „უფროვე სრულჰყოფს სულსა ჩვენსა, თვითოეული უიწროვს შეგვაერთებს ჩვენ ღმერთისა თანა“ (გვ. 173—174).

მეორე ნაწყევტს — «გალობა მშვენიერებასა ზედა ვაზაფხულისასა» — პოეტი იწყებს ყოველად უზენაესისადმი მიმართული სადიდებელი სიტყვებით: «სახიერება მისი დაუსრულებელ არს, წყალობანი აღმოუვსებელი». შემდეგ განდიდებულია ვაზაფხული, რომელიც ადამის მოდემას აძლევს სარჩოს; ვაზაფხულს მოსდევს სიხარული, რითაც იცვება და იტვირთება ყოველი არსების გული. ღმობიერმა ღმერთმა მიანიჭა ბუნების სილამაზით დატკბობის უნარი. «გარნა ბედნიერ არს კაცი იგი, რომელიცა ნუგეშინისცემულ იქმნების ზეციერთა საქმეთა მიერ ხელთა შენათა, რომელიცა გაქებს შენ დღე და ღამე ბაგითა თვისითა, გულითა თვისითა — ყოვლითა ცხოვრებითა თვისითა». («Aber selig sei der Mensch, der sich an deinem Werken ergötzet, und dich Tag und Nacht lobet!»)¹⁸.

«ნეტარ არს ქრისტიანე იგი, რომელიცა ყოველთა მწუხარებათა თვისთა აღიმსუბუქებს მხოლოდას ღმრთის მიერ» (გვ. 178: «selig ist der Christ, dessen Freude der Herr ist»).

7. მეთვრამეტე საუკუნის 40-60-იანი წლების მწერლობის მნიშვნელოვანი წარმომადგენელი ვეაღ ქრისტიან ფონ კლავისტი (Ewald Christian von Kleist, 1715-1759). კენისბერგის უნივერსიტეტში იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მან ვერ შესძლო ხელი მიეყო მისთვის საყვარელი შემოქმედებითი საქმიანობისათვის. პომერანიის გალარიბებული აზნაურული ოჯახის ნაშიერისათვის შეუძლებელი გახდა შესაფერისი სამოქალაქო სამსახურის შოვნა, რის გამო ოფიცრად მსახურობდა ჯარში ჯერ დანიის და შემდეგ პრუსიის მხედრიონში, საკუთრივ, ფრიდრიხ მეორის არმიასში, თავისი სიცოცხლე კლავისტმა დაამთავრა გმირულად 1759 წელს, 44 წლის ასაკში. კიუსტრინთან ბრძოლაში მიიღო მძიმე ჭრილობა, რომელიც მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა. ლესინგმა მძიმედ განიცადა ნიჰეირი მეგობრის ნაადრევი სიკვდილი.

ლექსების წერა კლავისტმა დაიწყო მეტად ადრე და ჯეროვანი ხარკი მიუზღა „მსუბუქ პოეზიას“. სულ მალე მან გადაინაცვლა ფილოსოფიური და აღწერილობითი პოეზიის სფეროში. მაგრამ კლავისტის სულიერი სწრაფვა, — დამტკბარიყო ბუნების სილამაზითა და პოეზიის სინატიფით — ცუდად ესადაგებოდა სამხედრო სამსახურსა და ყაზარმულ ცხოვრებას. პოეტს სულ უფრო მეტად უძლიერდება მძიმე სულიერი განცდები. საცოლის დაღატმა, — მდიდარ პარტნიორზე უსიყვარულოდ გათხოვებამ, — კლავისტის ხასიათს საბოლოოდ მისცა მეღანქოლიური და რამდენადმე მიზანთრობული იერი, რამაც თავი იჩინა აგრეთვე მხატვრულ ქმნილებებში.

ლესინგის რჩევითა და ზეგავლენით კლასიკმა დატოვა აღწერილობითი ხასიათის პოეზია და გადავიდა პოეზიის უფრო ქმედით გვარებზე, ეპოსსა და დრამაზე. მის თხზულებათაგან ყველაზე მეტად ცნობილია ლექსები და ჰეგზამეტრებით დაწერილი პოემა «გაზაფხული» («Die Frühling», 1749). ნამდვილი პოეტური სურათების ჩვენებით, უკვე ცნობილი აღწერილობითი პოეზიის შემოქმედებითი ხერხების მომარჯვებით მასში გაიდევლებულია ბუნების სილამაზე წელიწადის ყველა ოთხივე დროში. პრუსიის არმიის ოფიცერი კლასიტი არ იყო ომის თავყანისმცემელი. მან დამაჯერებლად აღწერა ომის საშინელებანი. ომის დღენიადაგი საფრთხით შემოფოთებული პოეტი თავადებს ომისათვის მზადებასა და დამპყრობლურ პოლიტიკაზე ხელის აღებისაკენ მოუწოდებს. თავიანთი ხმლებიდან მათ ნამგლები უნდა გამოსქედონ და სახლში მეტი განათლება შეიტანონ. აქვე პოეტი აღიღებს მიწათმოქმედების მადლიან შრომას და მეცნიერის კვლევით საქმიანობას¹⁹.

ფეოდალური წყობისადმი მძაფრი კრიტიკული დამოკიდებულების მიუხედავად, კლასიტი დროდადრო ხოტბას ასხამს პრუსიის არმიას და თვით ფრიდრიხ მეორეს. იგი საერთოდ არ გაუბოღა აქტუალური პრობლემების დამუშავებას, თუმცა პოლიტიკური პოეტი კლასიტი არასოდეს არა ყოფილა.

კლასტიის ქმნილებათაგან ქართულად თარგმნილია ლექსი «არისტი» («Arist»), რომელსაც თარგმანში «მდრტვინეული კაცი» ეწოდება. თავისი ხანგრძლივი მოგზაურობის დროს არისტმა, — ვკითხულობთ ლექსში, — ვერც ერთხელ ვერ იხილა მზე. იგი იყო «დახშულ ბნელითა ღრუბლითა» («Die Sonn' war in Dunkel versteckt»). ხან შმაგი ქარები დაჰქროდნენ, ხანაც მდინარეები ეღვრებოდნენ მიწას. არისტის სული იყო დასევდიანებული, როგორც ბუნება («Die Seel' Arists war finster, wie die Luft»). იგი ამაოდ ელოდა მზის სხივების ხილვას ცის ტატინობზე («Er hoffte umsonst die Sonne wieder um am Firmament zu sehen, die daraus verschwunden Schien»). სულმოკლეობის გამო იგი ბრაზობს, დრტვინავს და ჩივის, რომ დედამიწაზე ხან უკუნია და ხან თავიარა ცეცხლია აბრიალებული. ასე აგარქვებდა იგი თავის მდრტვინვარებას, რომ უცებ მიწაში, მის ფეხებთან, ისარი დაერკო: «უგუნურო! ჩამოსძახათ ზევიდან უხილაგმა ძალამ, ... რას ემდღერი? ეს ბასრი ისარი განგვიმირაგდა გულს, რომ კეთილმოქმედ წვიმას არ დაესუსტებინა დაჰიმული მშვილდი; დაესხენ ქვეყნის წესრიგის გმობას, განელდეს შენი რისხვა, განიწმინდოს შენი ცთომილებანი. როგორ გაბედე საკუთარი თვალებით გეხილა საოცარი ჯაჭვი მთელი სამყაროსი, ჩასწვდომოდი ზეცის საიდუმლოებას?

გასწი, სულმოკლევ, და გწამდეს, რომ იგი, რომლის ხმაც გესმის ქართა მხუილში და რომელსაც ხედავ შენს თავზე დატეხილი მეხის გაელვებაში, შენთვის იღვწის და ზრუნავს შენი სიცოცხლის შენარჩუნებისათვის!»²⁰

კლასტიის ეს აზრი თარგმანში გადმოცემულია შემდგენიარად: «მოვედ, სულ-მცირეო! და გრწმენინ, რომელ-იგი, რომლისაცა ისმენ საშუალ ნიავ-ქართა და ჰხედავ ელვათა შინა მბრწყინავთა თავსა ზედა შენსა, განიზრახავს შენთვის და ჰზრუნავს დაცვისათვის ცხოვრებისა შენისა» (გვ. 180).



გარდამავალ ხანაში გერმანულიდან თარგმნილი ნიმუშების წინასწარმა გულდასმითმა გაცნობამ შესაძლებლობა მოგვცა წამოვავყენოთ რამდენიმე მოკრძალებული მოსაზრება:

თარგმნილი ნიმუშების ავტორები არიან ერთი ქვეყნისა და ერთი თაობის მგონებები, მთლიანად მეთვრამეტე საუკუნის მესვეურები. თუმცა მათგან მომდევნო საუკუნეში გადმოაბიჯეს ვილანდმა (გარდაიცვალა 1811 წ.) და კლასტიმა (გარდაიცვალა 1817 წ.), მაინც თარგმნილ ნიმუშთა ავტორები არიან ერთ-სა და იმავე ისტორიულ ვითარებაში მცხოვრებნი და საკითხებიც, რომლებიც მათ აწუხებთ, ერთი და იგივეა. თავიანთი პრობლემატიკით და საკითხების გადაწყვეტის ნაირობით ეს ავტორები განეკუთვნებიან ლესინგის ეპოქას, რომელთაც, ამასთანავე, ბევრი რამე აქვთ შემორჩენილი წინამორბედი საუკუნისათვის ნიშანდობლივი დაცემულობის სულისკვეთებიდან. თარგმნილ ნიმუშებს ახასიათებს იდეების ანალოგიურობა და თვით ერთფეროვნება. სხვადასხვა ავტორის ქმნილებები ძირითადად ერთმანეთს ჰგავს. აბსოლუტური იდეატურობა მათ შორის, რა თქმა უნდა, გამოირიცხულია, მაგრამ ურთიერთთან მსგავსება მაინც თვალშესადგამია.

ნათარგმნმა ავტორებმა მეტ-ნაკლებად ხარკი მიუზღეს იმყამად გერმანიაში გავრცელებულ ე. წ. რელიგიურ პოეზიას. მისი წარმომადგენელი მისტიკოსი პოეტები ცხოვრების აზრს ეძებდნენ რელიგიურ-ფილოსოფიურ განმარტოებაში, იდეალისტურ მოძღვრებაში და სულის პირველადობის სპირიტუალისტურ აღიარებაში. მათ სურდათ ხალხის ინტერესებიდან გამოეთიშათ ქმედითი ბრძოლისა და შემართების იდეა. დაემძიმებინათ მისი შეგნება ნაირგვარი დამლუპველი ცრურწმენებით; რელიგიური პოეზიის მესვეურები მკითხველებს მოუწოდებდნენ ამქვეყნიურ ყოფაზე ხელის აღებისა, ღმერთისადმი სიყვარულის იდეით დატვირთვისა და საიქიო ცხოვრების აღიარებისაკენ. ღრმად დარწმუნებულნი იმაში, რომ განუზომელია იმქვეყნად ადამიანის ნეტარებით არსებობის შესაძლებლობა, ვილანდი აღიღებს ღმერთსა და ბუნებას, რომელშიც, თურმე, ვლინდება შემოქმედი. ადამიანის ბედნიერებისათვის, გვარწმუნებს კლასტი, ზრუნავს მხოლოდ ღმერთი. კლოპშტოკისა და ჰალერის აზრით, ღმერთი ყოველივეს სათავეა, ხოლო მასთან კავშირი სულის სიმშვიდის მოპოვების უტყუარი შესაძლებლობა. უდიდეს ბედნიერებას, — გვარწმუნებს უცი, — ადამიანსა ჰგვრის სწორედ ღმერთისადმი რწმენა, შეჭირვებათა ჟამს გამოირიცხულია ამქვეყნიური ნეტარება, უკეთესი ხედარი ადამიანს ელის მომავალში და გრძელს სოფელში. მათი შემოქმედებიდან მთლიანად გამოთიშულია სატრფიალო თემატიკა და საერთოდ ჰედონიზმის კულტი. თარგმნილი ავტორები დიდად არიან დავალებულნი ანგელუს სილვენიუსის მხრივ. მის მიერ მწერლობაში დანერგილმა მისტიკურმა აღტკინებამ და სარწმუნოებობითა ფანტიზმმა ფართო გაქანება და გავრცელება პოვა უცისა და კრონეგკის, კლოპშტოკისა და ვილანდის, აგრეთვე სხვათა შემოქმედებაში.

გერმანიის სამხრეთ რაიონებში ოცდაათწლიანი ომის გამო, ხოლო ჩრდილოეთის კუთხეებში — შავი ჭირის ეპიდემიით მოსახლეობის დიდი ნაწილის გაყლტამ განაპირობა ის ფაქტი, რომ ბევრი მწერლის შემოქმედებაში დაისადგურა გულგატეხილობამ, გარდაცვალების თემამ და თვით ეპიტაფიის

ქანრმა. თარგმნილი ნიმუშები ერთგვარად ქადაგებენ ცხოვრების უზარობას, ყოველივე ამქვეყნიურისადმი ვულგატეხილობასა და უნდობლობას, ნერგავენ სულით დაცემულობას. ამქვეყნიურ ცხოვრებაში უცი და კრონეგკი ხედავენ მხოლოდ ამაოებას, გარემომცველ სინამდვილეს მიიჩნივენ დაბნეულობად, ცრემლებისა და გოდების მწვავე ხედრად, ისინი ლაპარაკობენ ყოფისა და სინამდვილის არარობაზე, ქვეყნის სიმუხთლუზე, აღამიანთა სულიერ გაპარტანებასა და საზოგადოების ეთიკურ დაკნინებაზე. კრონეგკისა და კრამერის, აგრეთვე უცის, ქმნილებებში ლაპარაკია გარდაცვალებასა და მოუსაველოთში გადასახლებაზე. მაგრამ პოეტებს სიკვდილისა არ ეშინიათ, რაკი—რელიგიური სულისკვებით აღზრდილებს—გარდაცვალება მიიჩნიათ ამქვეყნიურ ტანჯვათაგან თავის დაღწევისა და მარად ბედნიერ სასუფეველში გადასახლების ერთ-ერთ საშუალებად. სულეთი კრონეგკისათვის ბედნიერების სამყაროა, სულთა ქვეყანა—მყუდრო სავანე, რომელშიც აღამიანი ეზიარება სრულ განსვენებას. აღამიანის გარდაცვალებით, — ფიქრობს უცი, — იწყება მისივე არსებობა ნეტარ ქვეყანაში. სიკეთისადმი რწმენა აღამილებს მორწმუნე პიროვნებას. გარდაცვალება სულს განთავისუფლებდა ხორციელი ბორკილებისაგან. უდიდესი ნეტარება მოიპოვება ხორციელ სიამტკბილობაზე ხელის აღებით. გარდაცვალების გარდუვალობის შეგნება და საკუთარი მოკვდაობის აღიარება აღამიანს იმთავითვე ანიჭებს უდიდესი ბედნიერებისა და სიხარულის გრძობას.

და მიიჩნევს, ამ ერთგვარი რელიგიური საბურველის მიუხედავად, თარგმნილი ნიმუშებისათვის უცხო არაა: ანდრეას გრიფიუსისა და ლესინგისათვის ნიშანდობლივი დიდი ჰუმანიზმი, გარკვეული ოპტიმიზმი და, საერთოდ, ფართო მოქალაქეობრივი პათოსი; წუხილი ქვეყნის დაქსაქსულობისა და გერმანული სულის დაფლეთილობის გამო; ჩაგვრის და უსამართლობის კრიტიკა. ჰალერი, მაგალითად, ამ ქვეყნად ხედავს მხოლოდ უფოთს, ბოროტებასა და არეულობას, სისხლისმღვრელ ომებს, იგი ოცნებობს ქვეყნად მარადი მშვიდობის დამყარებაზე. ომის საფრთხით შეუფოთებული კლასიტი თავადებს დაცხრომისა და მშვიდობისმოყვარე პოლიტიკის გატარებისაკენ მოუწოდებს. პოეტები აიდეალებენ პატრიარქალურ ცხოვრებას ბუნების წიაღში, ზიზლით ლაპარაკობენ ქალაქის ცივილიზებულ ყოფაში გამოვლენილ მანკებზე, ქადაგებენ ზომიერებას, როგორც სიკეთის აუცილებელ წინაპირობას. პოლიტიკაში ეს პოეტები, კერძოდ უცი, უპირატესობას აძლევენ გონიერ საფუძველზე აგებულ მონარქისტულ წყობას, ხოლო ფილოსოფიაში — პანთეიზმს, პროგრესულ მიმდინარეობას რელიგიის შიგნით. ღმერთი, ჰალერის თანახმად, ბუნების კანონების თავყრილობაა, ბუნებასთან ერთადერთი მთელის შემქმნელი და წარმომადგენელი. ჰალერმა ყველაფერი გააკეთა ურთიერთთან სულისა და მატერის წინააღმდეგობათა პანთეისტური შერიგებისათვის. ესაა სიხალე ჰალერის ნაზრევში და ასეთი თეზისის წამოყენებით პოეტი გახდა ერთი წინაპართაგანი იმ მოძღვრებისა, რომლის თანახმად არ არსებობს დუალიზმი ღმერთისა და სამყაროს შორის.

თარგმნილი ნიმუშების ეს ფილოსოფიური, პოლიტიკური და რელიგიური შეხედულებანი მემკვიდრეობით მიიღეს რომანტიზმის თავკაცებმა — ნოკალისმა და შატბრანმა, აგრეთვე მათმა სახელოვანმა მესვეურებმა როგორც ევროპაში, ასევე რუსეთსა და ჩვენში .

გარდამავალი ხანის წამყვანი ქართველი მწერლების დაინტერესება გერ-

მანული პოეზიის ასეთი ნიმუშებით და მათი გადმოთარგმნა გამოწვეული იყო სწორედ იმდროინდელი საზოგადოების დაძაბული და გართულებული პოლიტიკური მდგომარეობით. თარგმნილი ნიმუშების თემატიკა, დემოკრატიული პათოსი და პანთეისტური წარმოდგენები მახლობელი აღმოჩნდა ქართული კლასიკური პოეზიის უდიდეს ტრადიციებზე აღზრდილი მთარგმნელისათვის. ამაზე მეტყველებს გიორგი ავალიშვილის ორიგინალური ქმნილება — იამბოკოდ თქმული „ხმა ცოდვილისა ღმრთისადმი“ (1838), რომელშიც ავტორი ცდილობს ყოველ ქეშმარიტ ქართველს გაუმხნეოს სული, ჰუმანური სათნოებითა და ლმობიერებით აუტოკოს გული, დაუტკბოს გრძნობა და სულიერი საზრდო მისცეს მის კაცთმოყვარეობითს განზრახვასა და წადილს.

როგორ გამოეხმაურა ქართველობა გერმანელი ავტორების ნიმუშებს? ჯერჯერობით ჩვენ ვერ მივაკვლიეთ რაიმე ცნობას იმის თაობაზე, თუ როგორ შეხვდა მკითხველი საზოგადოება ნათარგმნ ნიმუშებს. ჩვენთვის ძნელია ლაბარაკი თვით თარგმანების ხარისხზე, მაგრამ თუ გავიხსენებთ იმ გარემოებას, რომ გამოცემული და რედაქტორი წიგნისა — „ხმა ცოდვილისა ღმრთისადმი“—ილია ჭყონია მეტად მაღალი აზრისა იყო „ხელოვან ოსტატისაგან ნიჭიერად მონაგარებულ“ კრებულზე, მის მხატვრულ ღირსებებზე, მაშინ ისიც უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ ოსტატობას და სინატიფეს გ. ავალიშვილი არც გერმანული ლიტერატურიდან ნათარგმნ ნიმუშებს მოაკლებდა²¹.

გარდამავალი პერიოდის ქართველობამ, როგორც აღინიშნა, ჯეროვანი ინტერესი გამოიჩინა აგრეთვე იოახიმ ვილჰელმ ფონ ბრავეს, ქრისტიან ჰაინრიხ შპისისა და ერაზმ ფონ როტერდამის მიმართ. ბრავეს საკითხი რამდენადმე გარკვეულია²². რაც შეეხება ორ დანარჩენს, ისინი სრულიად შეუსწავლელნი არიან და ამიტომ მათზე მსჯელობიდან ამჯერად ვიკავებთ თავს, რაკი გვინდა შპისისა და როტერდამისადმი ქართველობის დამოკიდებულება ცალკე გამოკვლევების საგნად ვაქციოთ.

შენიშვნები

1. კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბილისი, 1969, გვ. 481.
2. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბილისი, 1958, გვ. 697-701; კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1969, გვ. 479-480; გ. მ. იქაძე, ვოლტერის თხზულებათა ქართული თარგმანები („ალზირა“ და „ზაირა“), კრებული: ლიტერატურული ურთიერთობანი, წ. II, თბილისი, 1969, გვ. 252-264; მ. ისივე: პიერ კორნელის „სინა“-ს ქართული თარგმანისათვის, კრებული; ძველი ქართული მწერლობა და რუსთველოლოგიის საკითხები, წიგნი V, თბილისი, 1973, გვ. 182—189 და სხვ.
3. ტ. რუხაძე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVIII სს., თბილისი, 1960, გვ. 238-239.
4. კრებული დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, ფონდი H, № 209.
5. E. Petzer, Johann Peter Uz, Ansbach, 1930.
6. უ. ი. სწავლა დატკობად სიცოცხლისა, ხელნაწერი H-209, გვ. 78. ქვევით ფრჩხილებში ყველგან მოთხოვნილი იქნება ამ ხელნაწერის გვერდები.
7. პიესაში ნაჩვენებია, თუ ქრისტიანული სარწმუნოებისათვის როგორ სწრაფენ თავს-პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის დროს იერუსალიმში, სულთან ალადინის კარზე მყოფი სახელოვანი რაინდი ოლნტი (მას ერთხანს სარკინოზად იცნობდნენ), მისი სატრფო, ქრისტიანი ქალიშვილი სოფრონია და მასშივე უიმედოდ გამიწურებული სპარსეთის პრინცესა კლორინდა. ეს უკანას-

კენილი ოლინტს სთავაზობს საკუთარ ხელსა და ტახტს, თუკი ქრისტიანი რაინდი მოსურვებს გახლდეს მისი თანამეცხედრად.

8. Cron egk, Johann Friedrich von Sämtliche Schriften, Bd. II, Calsryhe, 1776, გვ. 41-78.

9. იხ. «Deutsche Literatur-Lexikon von Wilhelm Kosch», Bd. I, Bern, 1959, გვ. 805-806.

10. გ. პალერის შესახებ არაფერია ნათქვამი არც თეოლოგის პროფესორის გოტჰოლდ ბოეტერხერის მიერ საგანგებოდ თეოლოგებისა და კულტის მსახურებისათვის დაწერილ გერმანული მწერლობის ისტორიაში (იხ. Gotthold Boetticher, Deutsche Literaturgeschichte, Hamburg, 1906) და არც დიდ კრებულში: «Ich bin bei euch aille Tage». Leipzig, 1903), რომელშიც თავმოყრილია საერთოდ რელიგიურ თემაზე გერმანულ მწერალთა მიერ დაწერილი ანუ მნიშვნელოვანი ქმნილებები. ჩვენთვის საინტერესო პოემა მოხსენებულად კი არაა გ. ეგოროვას ბიბლიოგრაფიულ მიმოხილვაში: Произведения швейцарских писателей на русском языке, კრებულში: «Литература Швейцарии», М., 1969, გვ. 403-412.

11. Albrecht von H a i l e r, Versuch Schweizerischer Gedichte, Göttingen, 1748.

12. კრებული: У ц и, Наука наслаждаться жизнью, перевод с немецкого, М., 1799: Г. Г а л л е р-«Царство божие», გვ. 252-276, перевод Петра Победоносцева.

13. რაკი ჩვენთვის ხელმისაწვდომ წიგნსაცავებში ვერც კრამერის პოემის ორიგინალი მოვიძიეთ, ამიტომ ამ შემთხვევაშიც ქართული თარგმანი შევეჭვრეთ პეტრე პობედნოსცევიძელ რუსულ თარგმანს; К. К р а м е р, Воскресение мертвых, в кн.: У ц и, Наука наслаждаться жизнью, М., 1799, გვ. 275-279.

14. კლოპშტოკის ამ ოდას გულისხმობდა ლოტე, მას შემდეგ, რაც ქუხილმა და წვიმამ ჩაშალა მეჯლისი: „მე ცრემლით დანაშულ თვალებში ჩაეხედე—მან ხელი ხელზე შემახო და მეუბნებოდა კლოპშტოკი. წამსვე მომავინდა კლოპშტოკის ოდა“ (გო ე ტ ე, ახალგაზრდა ვერტერის ენებანი, ტფილისი, 1928, გვ. 33.).

15. Klopstocks Werke in einem Band, Berlin und Weimar, 1971, გვ. 45-49.

16. W i e l a n d Christian Martin, Gesammelte Schriften, Bd. II, Berlin, 1909, გვ. 336-404

17. История немецкой литературы, т. 2, გვ. 20, М., 1963, გვ. 180.

18. ქრ. მ. ვილანდის დასახ. წიგნი, გვ. 350.

19. Ewald von K l e i s t, [Die Frühling, კრებულში: Annemarie Aner, 'Landschaft der Dichter, Dresden, გვ. 161-164.

20. K l e i s t Ewald Christian, Sämtliche Werke, Zweiter Theil, Berlin, 1805, გვ. 53.

21. ილია ტყონია აღნიშნავს: „უშთავრესი ღარსებანი ამ თორმეტ-მარცვლოვანის, პლასტიკის მხრივ უნაკლებო იმპიკიოთ დაწერილის ქმნილებებისა არის ის ძალა-დაუტანებელი, ცხოველი და უზადო გრძნობა, ის უხვად მოოქვილი პოეტურნი ხატებანი და შედარებანი და, ბოლოს, ის ზოგან მარტივი და თავმდაბალი, ზოგან თამამი და აზოვანი კილო, რომლითაც თავიდან ბოლომდე გამსჭვალულია მისი ყოველივე ჰამანი, ყოველივე ხანა, ყოველი ტუპი“ (წინასიტყვაობა გ. ავალნივილის წიგნისა „სხმა ცოდვილისა ღმრთისადმი“, თბილისი, 1884, გვ. 11).

22. ტრ. რ უ ხ ა ძ ე, ძველი ქართული თეატრი, თბილისი, 1949, გვ. 257-262.

III. РЕВИШВИЛИ

НЕМЕЦКИЕ АВТОРЫ В ГРУЗИНСКОЙ ЛИТЕРАТУРЕ «ПЕРЕХОДНОГО ПЕРИОДА»

Резюме

На рубеже XVIII—XIX веков, в так называемый «переходный период», в грузинской литературе велась большая переводческая работа. Уже изучены образцы переводов с русского и французского языков, но до сих пор совершенно не исследованы переводы сочинений немецкой литературы.

В представляемом труде предметом анализа является характер,

идейная направленность и художественная форма переведенных Г. Авалишвили следующих произведений: «Наука наслаждаться жизнью» Иоганна Петера Уца, «Уединение» Иоганна Фридриха Кронегка, «Бог в буре» Фридриха Готлиба Клопштока; отрывки из поэмы Христофа Мартина Виланда «Чувствования христианина», «Ропщущий человек» Эвальда Христиана фон Клейста, а также «Царство божие» Гамлера и «Воскресение мертвых» Карла Готлиба Крамера.

Переведенные произведения характеризуются аналогичностью и однообразием идей. В них слышатся отзвуки «религиозной поэзии», чувствуется отречение от земной жизни и стремление к одиночеству, недоверие ко всему земному и общественному. Но, несмотря на религиозную оболочку, им не чужд гуманизм, определенный оптимизм и вообще глубокий гражданский пафос. Переживания этих поэтов вызваны расчлененностью страны и немецкого духа; они (поэты) критикуют угнетение и несправедливость, идеализируют патриархальную жизнь на лоне природы и издеваются над пороками цивилизации. В политике они отдают предпочтение опирающемуся на умственное начало монархическому строю, а в философии — пантеизму: отрицают дуализм между богом и вселенной, проповедают идеи, которые позже были подняты на щит основоположниками романтизма.

Заинтересованность грузинского переводчика этими произведениями немецкой поэзии была вызвана социальной осложненностью политического положения того времени. Тематика этих переводов, демократический пафос и пантеистические представления были близки автору переводов, воспитанному на великих традициях грузинской классической поэзии.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერმანულ-
ლი ფილოლოგიის კათედრა

წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსმა ა. ბარამიძემ

მარიამ რამულიშვილი

შიდა და გარე სიუჟეტურ ხაზთა ერთიანობა ოლღოს ჰაქსლის
„მასხრულ ფერხულში“

ოლღოს ჰაქსლის (1900—1950 წწ.) ნაწარმოებების პოეტოლოგიური პრინციპი ძალიან ხშირად სათაურშივე იგრობოდა. აქაც რომანის სათაურს „Antic Hay“ (სიტყვასიტყვით: მასხრული, გროტესკული ფერხული) სიმბოლური მნიშვნელობა აქვს. მასში ჩანს მწერლის თვალით დანახული პირველი მსოფლიო ომის შემდგომდროინდელი ინგლისის საზოგადოების მაღალი ფენის სულიერი და ზნეობრივი განწყობა, აგრეთვე სინამდვილის მხატვრული აღქმის ავტორისეული პრინციპი. ამ სიმბოლოთი ადამიანთა მთელი ცხოვრება მასხრულ ფერხულად წარმოგვიდგება: არაფერს არა აქვს აზრი, გაუფასურებულია ყველა ღირებულება. ეს არის საშუარო, სადაც ბატონობს ის უხილავი ძალა, ადამიანს ბედის ხელში თოჯინად რომ აქცევს. ამავე დროს სათაურშივე ჩანს ჰაქსლისათვის დამახასიათებელი გმირთა სახეების შექმნის ერთ-ერთი ძირითადი ხერხი — გროტესკი¹ და ერთგვარად ნაწარმოების სიუჟეტურ-კომპოზიციური აგების თავისებურებაც. ყოველივე ეს „ფერხულის“ ცნებას ეყრდნობა (ფერხული, როგორც ცნობილია, წარმოადგენს ხელისხელაკადებულ ადამიანთა წრიულ კეკვას). რომანის პერსონაჟები მასხრულ ფერხულში ჩაბმული სატირების მსგავსად უაზროდ ტრიალებენ ლონდონის ქუჩებში. 1920 წლის ლონდონი ერთ დროსა და ერთ სივრცეში აერთიანებს ამ მასხრული ფერხულის გმირებს — გამბრილს, შირაუტერს, როზის, კოლმენს და სხვებს.

რომანში ეს სიმბოლო „მასხრული ფერხული“ სხვადასხვა მხატვრულ სახედ და სიმბოლოდ იშლება. თითქმის ყველა გმირი რომელიმე ცხოველის ასოციაციას იწვევს. რომანს ჰყავს თავისი კარნავალური ეშმაკი და კარნავალური მასხარა. სიუჟეტი გადატვირთულია კარნავალისათვის დამახასიათებელი გადაცემებით და მოულოდნელი შეხვედრებით, რომელნიც აღსავსეა უცნაური სიტუაციებით.

სათაურშივე გამოვლენილი მხატვრული ხედვა აღვიძებს გარკვეულ ქანრულ ტრადიციას, რომლის ძირები ღრმად იჭრება კარნავალურ ფოლკლორში. აღსანიშნავია, რომ მოდერნისტულ რომანში ქანრის მსოფლმხედველურ ასპექტს ეძლევა ტრადიციის საპირისპირო ნეგატიურ-ნიჰილისტური ელერადობა, მასში ერთდროულად შენარჩუნებულია, თან გარდაქმნილია ქანრის შინაგანი არსი.

როგორ ელინდება ზემოხსენებული ქანრული ტრადიცია ჰაქსლის ამ რომანში?

„მასხრული ფერხული“ გამოხატავს მოდერნიზმის გარკვეული მიმდინარეობისათვის დამახასიათებელ მხოლოდ ნიჰილისტურ სულისკვეთებას, თუ რამდენადმე მაინც უპირისპირდება მას?

თოჯინის მოტივი თოჯინის ტრაგედიაა მხოლოდ, რომელსაც არავითარი

¹ აღსანიშნავია, რომ თოჯინის მოტივი გროტესკის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილია.

გამოსავალი არა აქვს, და ნიღაბი კი მარტო სიცარიელის სიმბოლოა, თუ ჰაქსლის თვალთ აღქმული სამყარო, მასხრული ფერხულის უაზრო ტრიალში რომ ჩაბმულა, თვითონვე შეიცავს თავისი აღდგენის შესაძლებლობას?

ამ საკითხების გარკვევა წარმოადგენს წინამდებარე წერილის მიზანს.

„მასხრული ფერხულის“ სამყარო, ერთი შეხედვით, ჩინშია მომწყვედურული. სიუჟეტი წრეში ტრიალის შთაბეჭდილებას ტოვებს. აღსანიშნავია, რომ წრეში ტრიალის შეგრძნება რომანის მნიშვნელოვანი სივრცობრივი, აგრეთვე დროული და აზრობრივი განზომილებაა: უმიზნოდ ტრიალებს რეკლამა პიკადილიზე, ბრუნავენ შიროუტერის დამაგრებელი ველოსიპედის ბორბლები, ტრიალებენ მოქმედი პირები რესტორნიდან გამოსასვლელ მრგვალ კარებში. წრეში ტრიალებენ მასხრული ფერხულის გმირები სამეჯლისო საღამოზე. ზედმეტად გამნიშვნელოვანებულია ტაქსის წრიული მოძრაობა ლონდონის გარშემო, როზის ოდისეა მასხრული ფერხულის გმირებს შორის და ა. შ. მასხრულ ფერხულში ჩაბმული ადამიანები დაუსრულებლად ხედებიან ერთმანეთს ხან წინასწარი შეთანხმებით, ხან შემთხვევით. რომანი მთავრდება ისევე ერთ-ერთი მომავალი შეხვედრის მინიშნებით. გაუთავებელ შეხვედრებს სიმბოლური მნიშვნელობა აქვს რომანში, რადგან ამ შეხვედრების დროს აშკარად იგრძნობა ადამიანთა ერთმანეთისაგან გაუცხოება. იმართება დიალოგები ჭეშმარიტი კომუნიკაციის, კონტაქტის გარეშე. თავისი ხასიათით ამ დიალოგებს შეიძლება ანტიდიალოგებიც კი ვუწოდოთ.

საერთო ფერხულის ნაწილად აღიქმება ერთადერთი ჭეშმარიტი დიალოგიც გამბრილსა და ემილის შორის. მათი შეხვედრის ეპიზოდის დასაწყისი და დასასრული მასხრული ფერხულის სამყაროს უშუალო ნაწილია. გამბრილი რაბლეზიური გმირის ნიღბით („ძლიერი მამაკაცი“) მიდის გამოფენაზე, რათა გაიცნოს და მიიზიდოს თავგადასავლის მოყვარული გოგონები. მისი ვაბურძგნული ბაკენბარდები და ფართომხრებიანი კოსტიუმი ახალგაზრდა ქალების ყურადღებას იპყრობს. გოგონების ხიბლითი მათი გაცნობის საბაბი ხდება. ემილის უცნაური საიდუმლოც (რამდენიმე თვის წინათ გათხოვილი ემილი ისევე ქალიშვილად დაბრუნდა სახლში) ამ სამყაროს უშუალო ნაწილია. გამბრილი ემილის შეხვედრა ისევე მოულოდნელად მთავრდება, როგორც დაიწყო. ეს არის თითქოს დასაწყისის დასასრული. გამბრილი ემილისკენ მიმავალ გზაზე მოულოდნელად გადაყრება მაირა ვივიუს, რომელიც რომანში „ქალბატონ არარად“, ამოკების სიმბოლოდ იხსენიება და იწყება მისი კლოუნადა. მასხრის ნიღაბს ამოფარებული გამბრილი თანმიმდევრულად ამდაბლებს, უარყოფს, ამასხარავენს თავის დამოკიდებულებას ემილთან, რაც ფაქტიურად მისთვის საკუთარი „მე“-ს უარყოფას უტოლდება.

გამბრილისა და ემილის დიალოგი — სულიერი კონტაქტი უარყოფილია რომანის სიუჟეტის შემდეგ ეპიზოდებში, პაროდირებულია ყველა თვალთახედვით, როგორც XX საუკუნისათვის შეუძლებელი, მიუღებელი იდეალური ურთიერთდამოკიდებულება, როგორც შემთხვევითი გადმონაშთი. რომანის გმირთა და თვითონ მთხრობელის თვალთახედვითაც ის ისეთივე ანაქრონიზმად აღიქმება, როგორც რენის მიერ დადგენილი ლონდონის მაკეტი ან შემთხვევით შემორჩენილი მყუდრო ქუჩა ქალაქის უზაგულში — თავისი შოთხების გუნდითა და ჭადრის ხეებით. ამ ეპიზოდს თვით მასში მო-

² დიალოგის ცნება აქ გაიგეებულია სულიერი კონტაქტის ცნებასთან.

ნაწილად გმირებიც კი აღიქვამენ როგორც ზმანებას, მოჩვენებას, ილუზიას, მიუხედავად იმისა, რომ მას მკვეთრად გამოხატული ქრონოტიპი აქვს—ლამით გამბრილთან სახლში. ილუზორული და შემთხვევითი, XX საუკუნისათვის არატიპური ხასიათი ამ ეპიზოდისა, აგრეთვე ნომდევნო კონტრასტული ეპიზოდი, სადაც მისი უარყოფა, დამდაბლება ხდება, მასხრული ფერხულის საერთო სისტემაში, შინაგან ლოგიკაში მოაქცევს მას, იმ სისტემაში, რომელშიაც ყველა დადებითი განცდა თუ მოვლენა მხოლოდ იმიტომ შემოდის, რათა უარყოფილ იქნეს, დაგვარწმუნოს ყოველივეს უფასურობაში.

„მასხრული ფერხულის“ გმირები სტატიკურები არიან, არ ვითარდებიან. ისინი ისეთ განზოგადებულ, სიმბოლურ ფიგურებად აღიქმებიან, რომელნიც საერთო ფერხულში ერთხელ და სამუდამოდ არჩეული დევიზით მონაწილეობენ.

ამ ფონზე გამოიყვეთება ცენტრალური ფიგურის — გამბრილის ცხოვრების გზა, რომელიც რომანის ჩაკეტილ, „მომრგვალებულ“, წრიულ, ცალსახა მთლიანობას სხვანაირად გავგაზრებინებს, სხვა კუთხით დაგვანახებს. გამბრილის გზა, ერთი მხრივ, ნეგატიურად აღქმული მასხრული ფერხულის ცენტრალური სიუჟეტური ხაზია, რომელსაც ნაწარმოების გარე სიუჟეტური ხაზი შეიძლება ვუწოდოთ. მეორე მხრივ კი ეს არის მისი სულიერი ცხოვრების განვითარების გზა, რაც გაიაზრება, როგორც რომანის შიდა სიუჟეტური ხაზი.

რომანის გარე სიუჟეტური ხაზი იწყება გამბრილის გზით (ის ანებებს სანსახურს თავს, იწყებს „ცხოვრებას“) და მთავრდება მისი და მაირას ერთად ლონდონის გარშემო ტაქსით უაზრო ტრიალით. აქვე მინიშნებაა გამბრილის მომავალი გზისა, რაც ფაქტიურად წრიული ტრიალის გაგრძელებას უნდა ნიშნავდეს. მაგრამ გამბრილის ეს გზა აღიქმება როგორც საკუთარი თავისგან გაქცევის სხვადასხვა საშუალების ძიება. მის მოქმედებას, მოძრაობას მხოლოდ მექანიკურ-სივრცობრივი ხასიათი აქვს. აღსანიშნავია, რომ ამ სიუჟეტურ ხაზში გამბრილის ხასიათის, ბუნების შეცვლა მხოლოდ გარეგნულად ხდება. განიერი, ფართომხრებიანი ტანსაცმელი, აგრეთვე მიწებებული წვერი „რბილ და მელანქოლიურ“ გამბრილს „სრულყოფილ მამაკაცად“ გადააქცევს, ხოლო კოჰლობით სიარული კი მასხარად. მასხრის ნიღაბი მისთვის ყოველგვარი პასუხისმგებლობის მოცილების საშუალებაა.

როგორც აღვნიშნეთ, რომანის შიდა სიუჟეტურ ხაზს ქმნის გამბრილის შინაგანი ცხოვრების გზა, რომანში მისი შინაგანი მეტყველების საშუალებით რომ ვლინდება. სხვა გმირთა შინაგანი მეტყველება ქმნის ფონს, რომელზედაც გამბრილის გზა გამოიყვეთება.

გმირთა შინაგან მეტყველებაში ერთი ადამიანის სწრაფვა მეორე ადამიანისაკენ, სულიერი კონტაქტის, დიალოგის სურვილი (სოციალური ინსტიქტი) წარმოვიდგემა როგორც ადამიანის არსებითი, თანდაყოლილი თვისება. ამ ფონზე გარე სიუჟეტური ხაზის ყოვლისმომცველი ნიჰილისტური სულისკვეთება, ყოვლისმომცველი ანტიდიალოგი გაიაზრება როგორც ადამიანის ამ თანდაყოლილი სულიერი ინსტიქტის მარცხის შედეგი. ეს აზრი მისწრაფვის გმირთა შინაგან მეტყველებაში ტექსტობრივი გამოვლენისაკენ და ზოგ შემთხვევაში თავს იჩენს გარე სიუჟეტურ ხაზშიც ცალკეული სიმბოლოების სახით.

მასხრულ ფერხულში ტრიალებს მაირა, გამბრილის მეგობარი ქალი, რომელიც „ტრაგიკულ ნიღაბად“, „ქალბატონ არარად“ იქცა მას შემდეგ, რაც ხუთი წლის უკან ომში საყვარელი ადამიანი დაკარგა. მისი ოცნება—ადამიან-

თა ცხოვრება პარალელური ხაზების მსგავსად მიდიოდა, რომ გამოირიცხოს ამ ხაზთა შეხების შესაძლებლობა, შებრუნებული სახეა მაირას აუხდენელი ნატერისა — იზოვოს ტოლი, მილწიოს კონტაქტის უმაღლეს სახეს — სიყვარულს. იგივე ინსტინქტია ირონიზებული გამბრილის ოცნებით³ — გაიცუნოს „მილიონობით სულიერი მეგობარი“ ყოველდღიურად. აქვეა როზიც, რომლის სწრაფვამ ოჯახური იდილიისაკენ მარცხი განიცადა. ის მხოლოდ მაშინ ვახდა იდეალი თავისი მეუღლისათვის, როდესაც სრულიად დაკარგა მასთან კონტაქტის დამყარების სურვილი, და მიხვდა, რომ ურთიერთობის დროს მთავარია იყო «A perfect example of non-existence». აქვე ტრიალებს ლიპიატიც, მთელი ცხოვრება რომ ცდილობს ჩაახშოს თავისი ქეშმარიტი ხმა და მოიხრგოს ხელოვანის ნიღაბი. მისი ძლიერ განვითარებული სოციალური ინსტინქტი ყველაზე კარგად მკლავდებდა რომანის ბოლოს — მაირასთვის განკუთვნილ წერილ-აღსარებაში. იგივე შეიძლება ითქვას სხვა პერსონაჟების შესახებაც.

გარე სიუჟეტურ ხაზში ეს ინსტინქტი ისევე ირონიზებული და პაროდირებულია, როგორც სხვა წარსული ღირებულებები; სიკეთესა და სიმბოროტეს შორის განსხვავება, პასუხისმგებლობისა და მოვალეობის შეგრძნება, სამყაროს ჰარმონიული აღქმის უნარი, სიჩუმის სიკეთე და სხვა. ამ ინსტინქტის ირონიზება უკავშირდება მოდერნისტული რომანის სხვა თემებს, როგორცაა; ბუნებასთან დაშორების ავადმყოფური განცდა, ცივილიზაციის უარყოფითი გავება და ა. შ.

სოციალური ინსტინქტის უფასურობის შეგრძნება გმირებს აუცხოებს საკუთარი თავისგან, აღამიანი უარყოფს თავის „მე“-ს, თავის არსს და ცდილობს იქცეს ნიღბად; მისი შინაგანი ხმა არასოდეს არ გამოდის გარეთ. გმირთა შინაგან მეტყველებაში სოციალური ინსტინქტის წამიერი გაუღებება გაიაზრება როგორც ნიღბის ჩამოვარდნა; ნიღაბი სწრაფადვე უბრუნდება თავის ადგილს. აღამიანი ამ სამყაროში ჯერ კიდევ მთლიანად არ არის დაუფლებული თავის ნიღბს. ნიღბის ქვეშ არის არა არაა, არამედ უარყოფილი, დათრგუნვილი „მე“. ნიღბის ჩამოვარდნისას გმირთა შინაგანი სამყაროს წამიერი გაუღებებაც კი საკმარისია, რომ აღვიქვათ თითოეულის ითაკა, რომელზეც დაბრუნების იმედი აღარავის არა აქვს და არც არავინ ცდილობს. მაგრამ, აღსანიშნავია, რომ უარყოფილი და დათრგუნვილი, ის ჯერ კიდევ მაინც არსებობს. მასხრული ფერხულის წვერებიდან მთლიანად ნიღბადქცეული მხოლოდ მერკაპტანია, რომელიც გაიგივებულია თავის „უალრესად დახვეწილ ბუდუართან“ და „ზედმიწვენილ ზუსტ სიტყვასთან“.

ნაწარმოების გარე სიუჟეტურ ხაზში არის აშკარა სიმბოლო „შოშიები“. ეს სიმბოლო ლეიტმოტივად გასდევს მთელ რომანს და ნაწარმოების ფარულ აზრს გამოავლენს. შოშიების გუნდი დანახულია უფროსი გამბრილის თვალით. ამ ჩიტების აღქმისას წამოწეულია მათი განსაკუთრებული გუნდური ინსტინქტი, უსიტყვო კომუნიკაციის, უფროსი გამბრილის სიტყვით რომ ვთქვათ, „ტელეპათიის“ უნარი. უფროსი გამბრილისთვის შოშიების გუნდი სიმბოლოა ცოცხალ არსებებს შორის პირდაპირი, უშუალო კომუნიკაციის შესაძლებლობისა. მისი აზრით, აღამიანმა ეს უნარი მხოლოდ იმიტომ დაკარგა, რომ

³ ამ ორი გმირის სურვილი ნაწილია ამ რომანისთვის დამახასიათებელი „ოცნების“ ტიპისა, რომელსაც შეიძლება პირობითად ანტიოცნება ვუწოდოთ. ჰაქსლის შემდეგ რომანებში ანტიოცნება ანტიუტოპიის სახეს იღებს.

სიკოცხლის უმეტეს ნაწილს ის უსულო საგნებთან ატარებს. აღსანიშნავია, რომ შოშიების გუნდი, ისევე როგორც უფროსი გამბრილი, თავისი არსებით წარსულ ღირებულებებს მიეკუთვნება. არ უნდა იყოს შემთხვევითი, რომ ისინი რომანში მხოლოდ საღამო ჟამს გვხვდებიან.

ნაწარმოების სიღრმისეული აზრი სხვანაირად გავგაზრებინებს რომანის ერთადერთ დიალოგს — გამბრილსა და ემილს შორის. გარე სიუჟეტურ ხაზში ეს დიალოგი, როგორც აღვნიშნეთ, ერთ-ერთი ანტითეზური დაპირისპირების⁴ წყვილს წარმოადგენს. ნაწარმოების საერთო ფონზე კი ამ ორი გმირის შეხვედრა თავისი ინტენსიურობით, მიუხედავად ხანმოკლეობისა, თავისთავად, დამოუკიდებელ მნიშვნელობას იღებს, გამოეყოფა თავის ანტითეზურ წყვილს, სიმბოლოს დონემდე მალღდება და უპირისპირდება რომანის ფართო მხატვრულ სივრცეს—ე.წ. ანტიდიალოგურ სამყაროს. ის მიიზიდავს რომანში მოცემულ ყველა დადებით გაცდას, უარყოფილ ღირებულებას, დათრგუნვილ შეუძლებელ „მე“-ს ანუ კომუნიკაციის, კონტაქტის, დიალოგის აწ უკვე აღარარსებულ უნარს. გარე სიუჟეტურ ხაზში გამბრილისა და ემილის შეხვედრა დავიწყებას ეძლევა, ქრება, როგორც „სანიღები“ (რომელიც რომანში სასრული დროის სიმბოლოდ გვევლინება). მას არ მოჰყვება არავითარი შედეგი — მასხრული ფერხული გრძელდება.

რომანის მთლიანობაში კი (რაც გარე და შიდა სიუჟეტური ხაზების ერთიანობით იქმნება) ის უკავშირდება „დიდ დროს“, იჭრება მომავალში, როგორც ადამიანის პოტენციური შესაძლებლობების სიმბოლო, როგორც ნატურის ასრულება. ამ დიალოგს გაცვაართ კონკრეტულიდან, 1920 წლის ინგლისიდან — ადამიანთა სინამდვილისაკენ საერთოდ. გამბრილისა და ემილის დიალოგი წარმოადგენს ერთგვარ ბიძგს, რომელსაც ნაწარმოების ცენტრალური ფიგურა გამბრილი წრეში უაზრო ტრიალიდან, ავტომატური მოქმედებიდან გამოჰყავს. ეს კონკრეტული შედეგი ამ დიალოგს რეალობას ანიჭებს და მას აწმყო დროის ერთ-ერთ რეალურ შემადგენელ ნაწილად ხდის⁵.

როგორც აღვნიშნეთ, გამბრილის შინაგანი ცხოვრების ხეცა, შინაგანი დინამიკა ქმნის ნაწარმოების შიდა სიუჟეტურ ხაზს, რომელიც გარე სიუჟეტურ ხაზთან უშუალო კავშირით ვითარდება. შიდა სიუჟეტური ხაზი გამოვლინდება გამბრილის შინაგანი მეტყველებით, რომელიც წარმოადგენს შინაგანი დიალოგისა და ანტიდიალოგის თანმიმდევრულ მონაცვლეობას.

შინაგან დიალოგსა და ანტიდიალოგს⁶ განსხვავებული სტრუქტურა აქვთ რომანში. შინაგანი დიალოგის პოლემიკური ხასიათი განაპირობებს მის სინტაქსურ და აქცენტურ აგებულებას. შინაგან დიალოგში გამბრილი ერთმანეთს უპირისპირებს სახარების ბატონ პელვისა და დედამისისეულ გაგებას,

⁴ „მასხრული ფერხულის“ პოტიციის მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს დაპირისპირებულ წყვილთა მოცემა: აწმყო—წარსული, სიჩუმე—ხმაური და სხვა. გარე სიუჟეტურ ხაზში მოცემული ხატები და მოვლენები გაქცევილებულ ანტიფეხებს ქმნის, განსხვავებით „ქარნავალიზებული“ ლიტერატურისათვის დამახასიათებელი ამბივალენტური ხედვისაგან, რომელიც მოვლენას მთლიანობაში აღიქვამს.

⁵ მნიშვნელოვანია, რომ გამბრილ-ემილის დიალოგი კულმინაციას სრული დემილის დროს აღწევს. „დიდი დროს“ სიმბოლოდ „მდინარე“ გვევლინება.

⁶ შინაგანი დიალოგი წარმოგვიდგება როგორც გმირის საუბარი თავის „მე“-სთან, თავის არსთან, ანტიდიალოგი კი როგორც გმირის საუბარი თავის ნიღბთან, სტატუკურ გმირებთან. ეპიზოდური ხასიათის გამო, შინაგანი დიალოგი აღიქმება, როგორც ნიღბის ჩამოვარდნა.



აწმყოსა და წარსულს; ის ეძიებს „ღმერთის“, „სიკეთის“, „მოვალეობისა“ და „პასუხისმგებლობის“ გრძნობების ახალ მნიშვნელობებს. მისი შინაგანი მეტყველება საესეა კითხვისა და ძახილის ნიშნებით, პირობითი და გამყოფი შეკითხვებით, ელიფსური წინადადებებით, დანაწევრებული და ფრაგმენტული სინტაქსით. საკითხის მუდმივი გადაუჭრელობა, მუდმივი ეჭვი აძიებებს გამბრილს ეძიოს გამოსავალი, რეალურად შესაძლებელი სიტყვა.

ანტიდილოგის შინაგანი სტრუქტურა მშვიდია და თავდაჯერებული. ის საესეა არა კითხვის ნიშნებით, ეჭვით, არამედ, ბატონ პელვისა და მერკაპტანისეული „რწმენით“, „სინათლით“. ამ მხრივ საინტერესოა რომანის პირველი თავი, რომელიც იწყება გამბრილის შინაგანი დიალოგით და მთავრდება შინაგანი ანტიდილოგით. შეუძლებლობა, ერთი მხრივ, აწმყოში „რწმენის“ და „სიკეთის“ არსებობისა, მეორე მხრივ კი, მუდმივად ეჭვით ცხოვრებისა — ბადებს გამბრილისათვის არსებობის ერთადერთ შესაძლებელ ფორმას— ირონიას, გროტესკს, პაროდის, ერთადერთ შესაძლებელ სიტყვას — მასხრულს. გამბრილის შინაგანი ანტიდილოგი წარმოადგენს თავის თავთან გაუცხოების დასაწყისს, რაც შემდეგ სხვებისაგან გაუცხოების საფუძვლად გვევლინება.

გამბრილი ტოლთან შეხვედრამ, ინტენსიურმა პოზიტიურმა განცდამ დაარწმუნა თავისი შინაგანი ხმის რეალობაში. მან ემილისთან ურთიერთობისას აღმოაჩინა თავისი საკუთარი განდევნილი „მე“. გამბრილის შინაგანი დინამიკა უშუალოდ გამოვლინდა შიდა სიუჟეტური ხაზის საშუალებით, რომელიც მთავრდება გამბრილის შინაგანი დიალოგით. რომანის ბოლო თავში მოცემულ გამბრილის შინაგან დიალოგს აღარა აქვს პოლემიკური ხასიათი. აქ აღარაა ეჭვი, მერყეობა. გამბრილისათვის რაღაც დასრულდა და ნათელი გახდა. ამ დიალოგში ერთ აბზაცადაა გავრთიანებული ყველა მის მიერ განდევნილი ღირებულება, რომელიც მას აწმყო დროისათვის შეუფერებლად მიაჩნდა. ის წარმოადგენს ერთგვარ პასუხს რომანის პირველი თავის შინაგან დიალოგში დასმულ შეკითხვებზე. ემილისთან ურთიერთობამ გამბრილი დაარწმუნა წარსული განდევნილი ღირებულებების რეალობაში, მიუხედავად მათი მხოლოდ ეპიზოდური გამოვლინებებისა (ამავე რიგს მიეკუთვნება უფროსი გამბრილის მოქმედება, რომელიც გამბრილისათვის აშკარა სიკეთის სიმბოლოდ იქცა: უფროსი გამბრილს მეგობრის სიყვარულმა საკუთარი თავი დააეციყა. მან ვალში ჩაეარდნილი პორტიუხის წიგნების გამოსასყიდად გაყიდა ლონდონის მაკტი, რომელიც მისი განუხორციელებელი ოცნების სიმბოლოს და სიამაყეს წარმოადგენდა). გამბრილი ფიქრობს წავიდეს ლონდონიდან და რომელიღაც სასტუმროში დაწეროს იმაზე, რაც აღარდებს, რაზეც ფიქრობს, მიუხედავად იმისა, რომ ის დაწმუნებულია არავინ დაიჯერებს მის გულწრფელობას და „ვიდაც, საპირფარეოში კითხვისას, ალბათ დაცინებს კიდევ“.

გარე სიუჟეტური ხაზის თითქმის ბოლოს, რომელიც მალე მოსდევს გამბრილის შინაგან დიალოგს, არის ერთადერთი სიტყვა გამბრილის სულიერ დინამიკას რომ გამოავლენს. ეს არის გამბრილისა და მაირას დიალოგში ნახმარი «tomorrow» („ხვალ“), რომელიც პირდაპირი მნიშვნელობით გამოიყენება (განსხვავებით გამბრილის ადრინდელი მასხრული სიტყვიდან), უპირისპირდება მაირას «tomorrow»-ს, აწმყოში რომ არის ჩაკეტული, და მხოლოდ წრიული ტრიალის გაგრძელებად აღიქმება. გამბრილისთვის „ხვალ“ არის საკუთარი „მე“-ს გამოვლენის შესაძლებლობა. გამბრილის მთლიანი დაბრუნება თავის თავთან რომანის

ტექსტობრივი სტრუქტურის გარეთაა, მაგრამ აქ არის საწყისი და მისი რეალობის შეგარძნება. გამბრილის დაბრუნება საკუთარ თავთან — სამყაროს აღიარებას, მიღებას უტოლდება, მოასწავებს იმ სამყაროს მიღებას, რომელიც მისთვის უკვე დიალოგისა და ანტიდიალოგის, სულისა და სხეულის, სიკეთისა და სიბოროტის ერთიანობას წარმოადგენს. ეს განცდა უპირისპირდება ნიჰილისტურ სულისკვეთებას.

თავის მხრივ გამბრილის მომავალი გზა ამბივალენტურად აღიქმება. ერთი მხრივ, გარეგნულად ის გაიაზრება, როგორც ესეკეპიზმის ერთ-ერთი საშუალება⁷ (ასე აღიქვამს მას, მაგალითად, მაირა ვივიში: „წადი“ ლონდონიდან — ეუბნება ის გამბრილს, „ეს ხშირად შევლის“), და, მეორე მხრივ, — გამბრილის გზა, რომანის ერთადერთ დიალოგთან ერთად, სცილდება ნიჰილისტური სულისკვეთებით გამსჭვალულ წრეს, იჭრება მომავალში.

ჩიხში მოქცეული სამყაროს სტატიკური გმირები ქმნიან ერთგვარ ფონს, რაც გამოკვეთავს დინამიკურ ცენტრალურ გმირს — გამბრილს. გმირის ეს დიაბოზ⁸, დაუსრულებლობა, რაც მთელი რომანის დიაბოზის საფუძველს წარმოადგენს, აღიქმება როგორც ჩიხში მოქცეული სამყაროს წრიული ტრიალის ერთგვარი გარღვევა.

ამრიგად, „მასხრულ ფერხულში“ ამ ორი სიუჟეტური ხაზის ერთიანობა ქმნის ნაწარმოების კომპოზიციას. ეს არის ის დონე, ის უმძლესი მხატვრული სტრუქტურა, რომელზედაც ვლინდება ნაწარმოების სიღრმისეული აზრი.

რომანის მთლიანობა, განსხვავებით ცალკეული ხატებისა და მოვლენებისა, რომელნიც გაქვავებული ანტითეზის წყვილებს წარმოადგენენ, როგორც ვხედავთ, დინამიკურია. ეს უკანასკნელი ძირითადად ვლინდება დიალოგური და ანტიდიალოგური სამყაროების შეჯახებაში, ერთიანობაში, რაც თავის მხრივ წარმოადგენს სხვა სტატიკური დაპირისპირებების გაერთიანების საფუძველს.

უანრის შინაგანი არის გამოვლინდა რომანის მთლიანობაში, რომელიც შეიცავს დაპირისპირებების მოხსნისაკენ სწრაფვას.

აღსანიშნავია, რომ ჰაქსლის მომდევნო რომანებში ზემოხსენებული ამბივალენტური არის ორ ხაზად გაიშალა — იგულისხმება ჰაქსლის ორი რომანი „ჰეკიანი ახალი ქვეყანა“ და „კუნძული“. „ჰეკიანი ახალი ქვეყანა“. არის ლოგიკურ ბოლომდე დაყვანილი ანტიდიალოგი, სადაც სოციალური ინსტინქტის „შესაძლებლობა ძირშივეა აღმოფხვრილი, რადგან ხელოვნურად, წამლენებისაგან გაჩენილ ადამიანებს არ შეიძლება ჰქონდეთ თანდაყოლილი ინსტინქტი მეორე ადამიანისაკენ სწრაფვისა. ამ რომანს ანტიუტოპიას უწოდებენ. მეორე რომანი „კუნძული“ სამყაროს მაქსიმალური ჰარმონიის გამოვლენას ემსახურება.

ჰაქსლის „მასხრული ფერხული“ მიეკუთვნება მოდერნისტული რომანის განვითარების იმ ხაზს, სადაც ნიჰილიზმი არ არის ყოვლისმომცველი მსოფლშეგარძნება. „მასხრული ფერხულის“ ჩიხში მოქცეული სამყარო თვითონვე შე-

⁷ აღსანიშნავია, რომ „გზა“, როგორც ესეკეპიზმის ერთ-ერთი ფორმა, ირონიზებულია შიროუტერის უგზო გზით, გზით, რომელიც არსად არ მიდის, რადგან დამატებულ ველისიპველზე მკდომი მეცნიერი თავის უცნაური ცდის ჩატარებისას მხოლოდ დროსა ფარავს.

⁸ გამბრილი აგრეთვე რომანის ერთადერთი გმირია, რომელიც მიისწრაფვის სამყაროს ერთიანობის, პარმონიულობის შეგარძნებისაკენ. სამყაროს მთლიანობა გამბრილისთვის სულისა და სხეულის ერთიანობაში მდგომარეობს. სხვა გმირებთან ეს მოტივი მხოლოდ პაროდირებული და ირონიზებული ფორმით გვხვდება.

იცავს თავისი აღდგენის შესაძლებლობას. აქ აწმყო ისეა წარმოდგენილი, რომ მასში უკვე აშკარად იგრძნობა შესაძლებელი მომავლის პოზიტიური ჩანასახი.

М. М. РЧЕУЛИШВИЛИ

ЕДИНСТВО ВНУТРЕННЕЙ И ВНЕШНЕЙ СЮЖЕТНЫХ ЛИНИЙ В «ШУТОВСКОМ ХОРОВОДЕ» ОЛДОСА ХАКСЛИ

Резюме

По нашему мнению, в «Шутовском хороводе» Олдоса Хаксли выделяются две сюжетные линии: внутренняя и внешняя. Единство этих двух линий и создает композицию произведения. Это та наивысшая художественная структура, на уровне которой выявляется глубинный смысл произведения. Целостность романа, в отличие от отдельных образов и явлений, составляющих устойчивые, неизменные пары антитез, динамична. Динамичность проявляется, главным образом, в столкновении, в единстве диалогического и антидиалогического миров, что, в свою очередь, является основой единения иных стилистических противопоставлений.

Внутренняя сущность жанра выявляется в целостности романа, которая содержит в себе стремление к снятию противопоставлений.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისურ-
რი ფილოლოგიის კათედრა
წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსმა გ. ჭიბლაძემ

ბ ა შ ა დ ე ა ბ რ ი შ ვ ი ლ ი

 ბუნების დაცვის საკითხები ხალხურ ყოფასა და
 ზემკირსიტყვიერებაში

ბუნების დაცვა ამჟამად დიდმნიშვნელოვანი პრობლემაა, არა მარტო ცალკეული ქვეყნებისა და სახელმწიფოებისათვის, არამედ საერთაშორისო მასშტაბითაც. ამ პრობლემას საბჭოთა კავშირში დიდი ყურადღება ექცევა. საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკამ უმაღლესი საბჭოს სესიებზე მიიღო ბუნების დაცვის კანონი. უქანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე მოწვეული იყო 400-ზე მეტი საერთაშორისო კონგრესი და კონფერენცია ბუნების დაცვის საკითხებზე. დღეისათვის ბუნების დაცვა საერთაშორისო პრობლემა გახდა და ამავე დროს ნომერ პირველ პრობლემად.

ზოგიერთი მეცნიერის დებულება, თითქოს ბუნების დაცვისა და მისი რესურსების რაციონალური გამოყენების პრობლემა წამოიჭრა დედამიწაზე ადამიანის გაჩენასთან ერთად — არ შეიძლება ჩაითვალოს მართებულად. საზოგადოების განვითარების გარიყრაჟზე, როდესაც მოსახლეობა დღევანდელთან შედარებით გაცილებით ნაკლები იყო და ბუნების რესურსებზე მოთხოვნილებაც უმნიშვნელო იყო, ადამიანი არ ფიქრობდა ბუნების რესურსების დაცვაზე. ბუნების სიმდიდრეთა დაცვის პრობლემა და მათი რაციონალური გამოყენების საკითხი წარმოიქმნა ადამიანთა საზოგადოების განვითარებისა და ბუნებრივ სიმდიდრეზე მოთხოვნილების ინტენსიურ ზრდასთან დაკავშირებით. ეს ყველაფერი კარავადაა ასახული და დღემდე შემონახული ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში და ქართულ წერილობითს ძეგლებში.

ანტიოქიის საეკლესიო მსოფლიო კრების ძეგლისწერის ქართული თარგმანის ბოლოში შენახულია შემდეგი დიდმნიშვნელოვანი ცნობა: „ესეცა გუესმა ქვეყანასა სომხითისასა და ქართლისისა რომელნიმე სუმბულ სარქისს მსახურებენ და რომელნიმე მაცოთურთა მათ სახლისა ანგელოსთა უწოდენ და მსახურებენ სახელ კერპთა და რომელნი უჩინოთა ჰმსახურებენ სადაცა სახლად. გინა გარე ველთა, ანუ სადაც კლდის პირთა, ანუ ხეთა და რომელნიმე უფლის ციხელთა ჰმსახურებენ და რომელნიმე ბორანიას ეშმაკთა თაყუანის სცემენ კერპთა რამე თუ ეშმაკნი არიან“¹.

ამ ცნობაში ის არის საყურადღებო, რომ სომხითისა და ქართლში მრავალ წარმართულ ღვთაებათა გარდა ხეებსაც ემსახურებოდნენ.

მრავალი მოდგმა განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე თაყვანსა სცემდა ხეს და ეს კულტი ბევრგან დღესაც ცოცხალია. უძველეს თქმულებებსა და ზღაპრებში ხეები მშობლებად ითვლებიან. ეს შეხედულება ძველი სინამდვილის ანარეკლია. მრავალ მოდგმას სწამდა თავისი წარმოშობა ამა თუ იმ ხისაგან. ფრიგიელების თქმულებით, მათი წინაპარი ნუშის ხისაგან დაიბადა. ეგვიპტურ ლეგენდაში, ვაჟი თავის გულს აკაციის ყვავილებში მალაცს და, როდესაც იმისი ცოლის დაქინებით ხესა ჭრიან, კვდება. „გილგამეშის“ თქმუ-

¹ ივ. ჟ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, ტფილისი, 1928, გვ. 82.

ლებაში ხუმბაბის სიციცხლე დაკავშირებულია ნაძვის არსებობასთან. ვილგამეში ჭრის ნაძვის ხეს და ხუმბაბი კვდება. საბერძნეთში მუხა მიაჩნდათ მოდგმის წარმოშობად. მრავალი ქართული ზღაპარი ადასტურებს ადამიანთა ხისაგან წარმოშობას: „ალვის ხე რომ წამოიქცა, ნეტავ დედავ რაო? — შვილო შენი ტანი არის, ვაი შენს დედასო“.

„დღესაც ბევრი მოდგმა, როგორცაა: დრამარები, იურკასები, სიუ, ბაზიტები და სხვ., თავიანთ წინაპრებად ხეებსა თვლიან. ამ ხეთათყვანისცემას ორი მთავარი ფაზისი ჰქონდა: თავიანთ სცემდნენ ჯერ როგორც ღვთაებას, შემდეგ კი — როგორც ღვთაებათა სიმბოლოს. ეს ორივე მომენტი, როგორც საერთაშორისო, ისე ქართულ ფოლკლორში მრავალ თქმულებასა და ზღაპარში გვხვდება“².

კერძოდ მუხის თაყვანისცემა ბევრგან იყო გავრცელებული. დღესაც პალესტინაში არის „სამღვთო მუხნარი“, რომელსაც ვთაყვანებთან. ე. წ. აბელის საფლავიც (ლიბანის მთებში) საღვთო მუხებით არის შემორტყმული. სილეზიაში, ტიტინგიაში, საბერძნეთში და სხვ... ბევრგან არის შენახული საღვთო მუხნარი, რომელიც შეუვალაია. საქართველოში ხომ ასეთი ადგილები მრავალია: რკონი, ჭყონდიდი, მუხრანი, დიდმუხა (ფრონის ხეობაში), ქურმუხი (საინგილო), ოფურჩხეთი (ქუთაისის მახლობლად), კორკმულა (იკორთის მახლობლად), ლაშარის გორი და სხვ.³... ხეთა მსახურების ცნობები შენახულია ქართულ საისტორიო ძეგლებში: „სანახებსა ქართლისასა, ქალაქსა მას, რომელსა ეწოდების ურბნისი, სადა იგი იხილა ერთ უცხო და უცხოთა ღმერთთა მსახურნი, რამეთუ თაყვანის ცემდეს იგინი ღმერთად, მათდა ცეცხლსა, ქვასა და ძეღთა“⁴.

საქართველოში და მის მეზობელ ხალხთა შორის მეტად გავრცელებული ხის კულტის შესახებ არსებობს ძველი საისტორიო წყაროების როგორც წერილობითი ცნობები, ისე ხალხში დღემდე დაცული ხის თაყვანისცემა.

ხეთა მსახურების არსებობას ძველ საქართველოში ადასტურებს ბიზანტიელი ისტორიკოსის პროკოპი კესარიელის ცნობა: აფშილები და აფხაზები „ჩვენ დრომდის თაყვანსა სცემენ ტყეებსა და ხეებსა, იმიტომ რომ მათ ხეები გულუბრყვილოდ ღვთაებად მიაჩნიათ“⁵.

აფხაზები დღესაც მოწიწებით უფრთხილდებიან საღმრთოდ განკუთვნილ „ხატის ტყეებს“ და ღვთაებასავით შეპლალადებენ მუხის ხეს. ამასთანავე მათ ახლაც მტკიცედა სწამთ ტყეების ღმერთი, რომელსაც ისინი უწოდებენ „მიზიტხუს“. ყოველ გაზაფხულზე მთიელი აფხაზები დიდი ამბით პირველ ყვავილობას (მანგჩ-ჩეკან) დღესასწაულობდნენ ხოლმე. სახლები მწვეან ბალახითა და ყვავილებით ჰქონდათ მორთული. წინა ღამეს ახალგაზრდა ქალები მოხუც დედაკაცთა მეთაურობით სიმღერითა და თოფის სროლით მიდიოდნენ ტყეში ხუთყურა ყვავილის საპოვნელად. ყმაწვილი ბიჭები კი ხაზინის საძებნელად მიდიოდნენ. მზე ამოანათებდა თუ არა, ყველანი სიმღერითა და სვან-გებო წესით ყვავილებით მორთულ სოფელში ბრუნდებოდნენ. წინ მოუძლოდ მთხუცი, თავზე მუხის ფოთლების გვირგვინით შემკული, რომელიც საზვარაკო ირემზე იჯდა, უკან ქალები და კაცები მოსდევდნენ. ყოველ ქალს

² ე. კ. ტ. ე. შ. ვ. ი. ლ. ხალხური პოეზია, 1961, გვ. 401.

³ იქვე, გვ. 402.

⁴ ქართლის ცხოვრება, ბროსეს გამოცემა, 1849, გვ. 73.

⁵ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, ტფილისი, 1928, გვ. 86.

ყვავილი, ან ხის ტოტი უნდა მიეტანა და იმ სამსხვერპლოს ფეხით დაედო, რომელზედაც „მიზიტხე“ ღმერთისათვის ზვარაკი უნდა შეეწირათ, შესაწირავს მოპყვებოდა ხოლმე ჯირითობა და ყაბახი და ვინც გაიმარჯვებდა, სამსხვერპლოსთან მდებარე ყვავილი ერგებოდა“⁶.

განსაკუთრებით ყურადღების ღირსია აგრეთვე აფხაზური დღესასწაული „ამშაპ“, რომელიც აპრილის დამდეგს იცოდნენ. 16 დღის განმავლობაში დღესასწაულის წინ ხალხი მარხულობდა, ღვინოსაც კი აღარ იკარებდა და ცდილობდა ზნეობრივად განსპეტაკებულიყო. სამი დღით ადრე ცოდვათა მონანიება იწყებოდა. წინა დამეს მამასახლისის მეთაურობით მთელი სოფელი აიშლებოდა და მიეშურებოდა ტყისაკენ, სადაც სათაყვანებელი საღვთო მუხა იდგა. ისინი ლოცულობდნენ და ემთხვეოდნენ მუხას, შემდეგ მიუბრუნდებოდნენ მამასახლისის და აღსარებას ამბობდნენ⁷.

ღღესაც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მრავალი ხე, ხევნარი და ტყე წმინდად არის მიჩნეული და თაყვანისცემის ობიექტს წარმოადგენს.

„ფშავის სამლოცველო-ხატების გარშემო მდებარე ტყეები წმინდაა და შეუვალი — იქიდან ნაფოტის გამოტანა არ შეიძლება. საუკეთესო ტყე ხევსურეთში ხატისაა. უმეტესად ხატი მშვენიერ მაღლობ ადგილას ასვენია და გარშემორტყმულია მალაღ წმინდა ხეებით“⁸.

არსებობს გადმოცემა, რომ კახეთში სოფელ აწყურის წმ. გიორგის და ალავერდის ეკლესიების ადგილზე ძველად წმინდა ტყეები ყოფილა გაშენებული⁹.

სვანეთში — კალის საზოგადოებაში გვხვდება ასწლოვანი ხეებით დაფარული ადგილები. ეს ტყეები წმინდა და შეუვალია. სვანის რწმენით, აქედან ნაფოტის გამოტანაც კი ღვთის რისხვის გამომწვევია: მოაღწენს უჩვეულოდ მსხვილ სეტყვას. წმინდაა აგრეთვე წმ. კვირიკეს მონასტრის ფიჭვნარი. მხოლოდ ეკლესიის საჭიროებისათვის, წისქვილის ან ხიდის ასაგებად თუ მოსჭრიან აქ ხეებს. მულახის საზოგადოებაში საეკლესიო ტყეა, რომელსაც სვანები „ხელამის“ უწოდებენ. აქ ხის მოჭრის უფლება არავის აქვს. მის განაპირას დგას ნაძვის ხე, რომელსაც სვანები თაყვანსა სცემენ. მასზე პირჯვარს იწერენ და შესაწირავი მიაქვთ. ასეთი სალოცავი ხეები სვანეთის სხვა ადგილებშიაც არის¹⁰.

ვახუშტი გადმოგვცემს, რომ მის დროს აფხაზები მიცვალებულებს ჩაცმულებს და იარაღსმულებს კუბოთი ხეებზე დგამდნენ. ეს ცნობა ვეიდნებაუმს აფიქრებინებს, რომ ამ ჩვეულებას კავშირი უნდა ჰქონდეს ხის კულტთან. უკანასკნელ დრომდე მეხით მოკლულს აფხაზები ხეებზე ტოვებდნენ, ვიდრე გვამი არ გაიხრწნებოდა. მხოლოდ ამის შემდეგ კუბოს ჩამოიღებდნენ ხიდან და ძვლებს მიწას მიიბარებდნენ¹¹. აფხაზების შესახებ საყურადღებოა დუბროვინის დაკვირვებანი: „აზაზგი თაყვანსა სცემს ზოგაერთ ხეს, ლოდებს, ხევნარს და ტყეებს და უწოდებს მათ ანასკარანის“ (აკრძალულს, შეუვალს)¹².

⁶ იქვე, გვ. 87.

⁷ იქვე.

⁸ უ რ ბ ე ლ ი, ეთნოგრაფიული წერილები „ივერია“, 1886 წ.

⁹ ვ. ლ ო მ ი ა, ხის კულტისათვის საქართველოში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, III, 1927, გვ. 168.

¹⁰ იქვე.

¹¹ იქვე.

¹² იქვე.

ქართულ ხალხურ წესებს საქართველოს ყველა კუთხეში დღემდე შეუნახავთ ხეთა მსახურების ნიშნები. შემორჩენილ შელოცვებში გვხვდება მუხა როგორც საღვთო მკურნალობის ძალის მქონე: „მსგავსო ასპიტისაო, ნაშობნო იქედნეთაო, რომელი გამოხვედ ხევთა ღრმათაგან, მუხათა ძირთაგან, ძირი შენნი წამლად დაწუნე და განვაქარნე ქარსა მას ნიავექარისა“¹³.

ე. წ. ხატის ტყეებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მუხას. ცაცხვის, უთხოვარს და აკაკის. უკანასკნელ ხანებამდე ეს ხეები თუ ტყე შეუვალი იყო, წყაროს მოტეხაც კი არ შეიძლებოდა აქ, თორემ ხატი გარისხდებოდა, „დაპკრუნჩხავდა“. დღესაც ბევრგან არის მომშველელ მთის წვეროებზე შეჩენილი ქოჩორი. ეს საღვთო ხეებია, რომელნიც ვაკაფვას გადაურჩნენ შეუვალობის გამო. საინტერესო თქმულება არის ჩაწერილი კახეთში. ვ. თამარ-შვილის მიერ — „წმინდა მუხა“: „მუხა წმინდაა, იმისი შეშა ხატისა, ნუ გავარისხებთ პირმცინარს. იქიდან არც შეშის გამოტანა შეიძლება და არც რკოსი. ერთმა გაჭირვებულმა გლეხმა გადასწყვიტა შეშის გამოტანა, მაგრამ დასწვდა ერთ დიდ ტოტს... ხმელი ტოტი წმინდა გიორგის განრისხებულ ხატად იქცა, პირიდან ცეცხლსა ჰყრიდა პირმცინარი... „ამბობენ, ყოველ ახალწლის განთილზე წმინდა მუხის გარშემო ვილაც მოხუცი, თავშალმობილი უცლის და გულში ცემით მუხასა სთხოვს შვილის სასჯელის პატიებას... წმინდა გიორგი პირმცინარო, შენ აბატიე უნებლიეთ ცოდვა ჩემ ზურისაო“¹⁴.

შეუვალი იყო არა მხოლოდ საღვთო ხე, არამედ იმას შეკედლებულიც. გაჭირვების დროს ხეს მიჰმართავდნენ თავის შესაფარებლად. აკადემიკოს შიფნერის აზრით, აფხაზეთში ვინც თავს წმინდა ტყეს შეაფარებდა, თუნდ ავაზაკი ყოფილიყო, ხელშეუხები იყო. ეს წესი იცოდნენ კავკასიის მთის სხვა ხალხმაც: ყაბარდოელებმა, ჩაჩანმა, ლეკმა, ოსმა და სხვა. ტყის ამგვარი მნიშვნელობის მახვენებელი უნდა იყოს ოსური ლეგენდა „ხეთაჯი-კოხის“ შესახებ, როდესაც მტრისგან დევნილ დაქანცულ ხეტაღს თავის დაღწევის იმედი ვადაუწყადა, უეცრად ტყიდან ხმა მოესმა: „ტყისკენ, ხეტაღ, ტყისკენ!“ ღონემიხდილმა ხეტაღმა უპასუხა: „ხეტაღს უკვე აღარ შეუძლია ტყემდე მიღწევა, თვით ტყე მოვიდეს მასთან საშველად“. და ასეც მოხდა, უეცრად ხეტაღს ტყე შემოერტყა და მტრებისგან იხსნა. ეს ტყე მას აქეთ იწოდება ხეთაჯიკონ, ე. ი. ხეთაჯის ბუჩქი. ეს ტყე შეუვალია, არც ხილი და არც შეშა აქედან არ გაიტანება¹⁵.

ხეესურებასა და ფშაველებს დღესაც სწამთ, რომ არსებობს განსაკუთრებული მუხის ანგელოზი. ფშაველ-ხეესურთა დიდებასა და ლოცვაში ყოველთვის ითქმის ხოლმე — „დიდება მუხის ანგელოზს“. ქართლში, ჭავჭავთვაში, გარეკახეთში — პატარძელში — კოტომანზე ორი დიდი მუხა დგას, იმათი ხელის ხლება არ შეიძლება, თავისი ანგელოზი ჰყავთ (ცნობა ეკუთვნის გ. ლეონიძეს)¹⁶.

ქართლში სოფ. რკონში არის ე. წ. ცაცხვის წმ. გიორგი. სალოცავი აქ თვით ცაცხვია, რომელსაც საგანგებო თაყვანსა სცემენ. ბებერი ცაცხვის ხის ტოტები ფართოდაა გადაშლილი, სამხრეთ-დასავლეთით მდინარე თემის ნაპირს ეფინება. ცაცხვის ძირში ასვენია ქვა-ხატი. ადგილობრივ მლოცავთა

¹³ ე. კ. ტ. ე. ტ. ი. შ. ვ. ი. ლი, ხალხური პოეზია, თბილისი, 1961, გვ. 402.

¹⁴ „დროება“, 1909 წ., № 1.

¹⁵ ე. კ. ტ. ე. ტ. ი. შ. ვ. ი. ლი, ხალხური პოეზია, თბილისი, 1961, გვ. 403.

¹⁶ იქვე, გვ. 404.

ცნობით ეს ქვა-ხატი აქ ამ ასიოდე წლის წინათ მოუტანიათ. ქვაზე ამოქანდაკებულია წმინდა ცაცხვის ხე და ღვთისმშობელი ფიქსაციით: „ცაცხვის წმინდა გიორგი“ და „სახე ღვთისმშობლისა“¹⁷.

როგორც ცაცხვი, ისე მის გარშემო მდებარე ახალგაზრდა ტყე, რომელიც შედგება სხვადასხვა ჯიშის (უმეტესად რცხილის) ხეებისაგან, დღესაც მიჩნეულია წმინდა ტყედ. ამ შეუვალი ტყის საზღვარი ძველად უფრო შორს უნდა ყოფილიყო¹⁸.

ხსენებული ფაქტების მიხედვით ცხადია, რომ მუხასა და ცაცხვს განსაზღვრული მნიშვნელობა ჰქონია საზოგადოდ, კერძოდ საქართველოში, და ეს მნიშვნელობა რელიგიური ხასიათის ყოფილა. იგივე მნიშვნელობა აქვს ჩვენში დღემდე შემორჩენილ წესს — ბზაზე, იფანზე, აკაკიზე, უთხოვარზე, კაკალზე, წაბლზე და სხვა ხეებზე ჯიხვისა თუ ირმის რქების ჩამოკიდებას, ღაზლის ძაფის შემოვლებას. ფერადი ნაჭრების მიბნევას¹⁹.

საინგილოში არსებობს ქურ-მუხის წმ. გიორგის ხატი. ძველად აქ ტაძარი ყოფილა ღვთისმშობლისა, მაგრამ ხატი კი წმ. გიორგის სახელით არის დარჩენილი (ისევე როგორც რკონში, გერისთავში და სხვ...). ამიტომაც 1894 წ. განახლებულ პატარა ეკლესიას წმ. გიორგის სახელი მისცეს (ეს პატარა ეკლესია „დღის საყდრის“ სახელით დარჩა). იქვე არის მიმოფანტული საღვთო ხეების გვუფები, რომლებსაც ინგილოები „საყდრებს“ უწოდებენ და „მომაკვდინებელ ცოდვად მიაჩნიათ, რომ ვინმემ იქ ხე-ტყე მოსჭრას და იმით ისარგებლოს“. აქაც ხეებს სწირავენ ყაქს, წითელ კვერცხებს, ხილს, ნაზუქებს და სხვა²⁰.

საქართველოში მუხა ღრუბელთ ბატონთან არის დაკავშირებული. სვანეთში საღვთო მუხნარიდან ხის გამოტანა არ შეიძლება, სეტყვა მოვარ. გარე კახეთში, სოფ. პატარძელში დღემდე შენახულია შეიღმისობა. ეს არის წვიმის დღე. მამის მღერიათ: „შვიდ მაისის წვიმა, თმა კოჭამდინა“. ეს წესი ქართლშიც იცინა. გარე კახეთში ამ დღეს მოხუცებსა და ბავშვებს გაჩაღებული აქვთ ფერხული: „ზე-მყარელო“ და „მუმილი მუხასა“ (ცნობა ეკუთვნის სოფ. პატარძელელ გლეხს ივ. მესხიშვილს)²¹. მუხა ჩვენში წყალთანაც იყო დაკავშირებული. ამ მხრივ საგულისხმო არის აფხაზების წარმოდგენა „წყლის დედის“ შესახებ. „ძლიერ ხშირად გაიგონებთ აფხაზისაგან ამგვარ საუბარს: პა ძმაო, მე მძლია წყლის დედამ და ამიერთგან თქვენს საზოგადოებას აღარ ეკუთვინია... ამ დღეებში შევედი ცხენით გაუვალ, ყრუ ტყეში. უცბად ვრთ დიდ მუხასთან დაეინახე დადგმული ტაბლა. ტაბლაზე იდგა სარკე და სანთელი. წინ იჯდა წყლის დედა“²².

მუხის წყალთან დაკავშირება კი გულისხმობს ცეცხლთან დაკავშირებასაც, რადგან ღრუბელთ ბატონი ცეცხლთა მფრქვეველიც არის (ელვა, მები), ყველგან, სადაც მუხის კულტი იყო ძველად, გაუქრობელი ცეცხლიც იცოდნენ. სვანეთში „ლამარიობას“ ცეცხლს ანთებენ მხოლოდ ხეების ხახუნით,

¹⁷ ვ. ლ. ო. მ. ი. ა., ხის კულტის შესახებ საქართველოში, საქართველოს მუზეუმის მოამბე, III, 1927, გვ. 165.

¹⁸ იქვე, გვ. 165.

¹⁹ ვ. კ. ო. ტ. ე. შ. ე. ლ. ი., ხალხური პოეზია, თბილისი, 1961, გვ. 404.

²⁰ იქვე.

²¹ იქვე, გვ. 407.

²² იქვე.



ასანთის ხმარება არ შეიძლება (ცნობა ეკუთვნის აკად. გ. ჩიტაიას). „რადგან ცეცხლი ჩნდებოდა მუხის ნაჭრების ერთმანეთზე ხახუნით, შესაძლებელია, ძველ არიელებს ეგონათ, რომ მზე დროგამოშვებით ცეცხლს საღვთო მუხისაგან სესხულობდეს. სხვანაირად რომ ვთქვათ, შესაძლებელია მიაჩნდათ ცეცხლის აუზად, საიდანაც დროგამოშვებით ცეცხლს იღებდნენ მზის გამოსაკვებად. XV საუკუნის სერბულ-ბულგარულ ხელნაწერში ასეთი კითხვა-პასუხი არის: — რას უჭირავს მიწა? — წყალს, წყალი? — ცეცხლს; ცეცხლი? — მუხას²³.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს მეგრული კალანდასათვის დამახასიათებელი ჩიჩილაკი, რომელიც მხოლოდ დასავლეთ საქართველოშია გავრცელებული. ჩიჩილაკს თხილის ჯოხისაგან აკეთებდნენ და მისივე ტოტებით ამკობდნენ, შეიძლება ამ ხეს მზის თაყვანისცემასთან ჰქონდეს რაიმე კავშირი, მითუმეტეს, რომ თხილის ხეს ჩვენში სხვა შემთხვევაშიც სცემდნენ თაყვანს. მაგალითად, აფხაზები მას წმინდა ხედ თვლიდნენ და კვერებით ულოცავდნენ. სახალწლო ჩიჩილაკს სამეგრელოში ამკობდნენ სუროს, დაფნის, თუთისა და რცხილის ტოტებით. ყველა ეს მცენარე ხალხის რწმენით რომელიმე მნათობ-ღვთაებასთან იქნებოდა დაკავშირებული. ეს ხეები დიდ მუხასთან ერთად წარმოადგენენ წმ. ხეივანს, სადაც მნათობის თაყვანისმცემელი ხალხი ლოცულობდა და მათ ტოტებს მრავალი შესაწირავით ამკობდა. ამგვარად, მეგრულმა ჩიჩილაკმა, როგორც მზის ღვთაების სიმბოლომ, სამკაულებად გამოიყენა იმ მცენარეთა ტოტები და ხილთა ნაყოფი, რომლებსაც დიდ მუხასთან ერთად ჩვენი წინაპარნი შორეულ წარსულში თაყვანსა სცემდნენ²⁴.

აღსანიშნავია, რომ იმ რწმენებმა და წარმოდგენებმა მცენარეთა გაღმერთების შესახებ, რომლებიც იქმნებოდა საუკუნეების მანძილზე, გამოხატულება პოვეს შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანსა“ და ხალხის პოეტურ ენაში. მსოფლიოს მრავალ ხალხში ცნობილი ხეთა მსახურების ჩვეულება, რწმენა საღვთო ხეთა, ტყისა, მინდვრისა და ყვავილთა მფარველისა, რასაც ადამიანთა საარსებო მოთხოვნილება განსაზღვრავდა, ის ნიადაგი იყო, რაზედაც აღმოცენდა და განვითარდა მცენარეთა სიმბოლიკა. ამ თვლსაზრისით საინტერესოა ეთნოგრაფ ვერა ბარდაველიძის გამოკვლევები. მისი გამოკვლევებით დასტურდება საქართველოში ალვის ხის კულტი. ამ კულტმა გამოხატულება პოვა აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა დროშის სახელწოდებაშიც: ალვა, ალვის ხე, ალვის ტანი. ალვის ხე „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა განუყრელი სიმბოლოა. ქართველი ხალხის მეტყველებაში დამკვიდრებული ბალის, ყვავილების, იის, ვარდისა და სხვათა სიმბოლიკა ყოველთვის სასიამოვნო განწყობის, ნათელი წარმოდგენების, ახალგაზრდობის, სიხარულის, სიღამაზისა და სიყვარულის გამოსაცემად არის მოშველიებული²⁵.

თავდაპირველად ადამიანის წარმოდგენით ბალახებს, ხე-მცენარეებს და სხვათ შეუძლიათ მეტყველება და მფარველობაც. ამგვარმა წარმოდგენებმა ასახვა პოვა ზეპირსიტყვიერების სხვადასხვა ენაში, მათ შორის ზღაპრებში. სენაურ ჯადოსნურ ზღაპრებში განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი კაკლისა და წაბლის გაღმერთებას. კაკლისა და წაბლის ზებუნებრივად წარმო-

²³ იქვე, გვ. 408.

²⁴ ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბილისი, 1941, გვ. 299.

²⁵ ქართული ფოლკლორი, ტ. III, თბილისი, 1969, გვ. 160.



დგენა შეიძლება ეკონომიკური მიზეზებითაც აიხსნას, ვინაიდან დასახელებული ხე-მცენარეები ოდითგანვე წარმოადგენენ ადამიანის არსებობის ერთ-ერთ საშუალებას²⁶. აკად ნ. კეცხოველი აღნიშნავს, რომ „...კაკლის ხე ერთად სასარგებლო და ნაყოფიერია. ერთი ხე შემოსავლით ერთ კარგ ძროხას უდრის. მისი ნაყოფი 50—70%-მდე ფრიად გემრიელ ცხიმს შეიცავს და ჩვეს მრავალ რაიონში (განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში) ცხოველური ცხიმი (ერბო, კარაქი) სავსებით შეცვლილი იყო ნიგვზის ზეთით. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ კაკალი მასობრივად არის გავრცელებული ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში, როგორც შემოსავლის ერთ-ერთი წყარო. ეტყობა, საქართველოში ოდითგანვე იყო კაკლის ხის კულტი. სვანეთში არსებობს ასეთი სახის რწმენა: ვინც კაკლის ხეს სამასალედ იხმარს, იმ ოჯახში შთამომავლობა ამოწყდება, ვერ გაიხარებსო. ჩვენი აზრით, ამდაგვარი რწმენის არსებობაც ეკონომიური ფაქტორებით უნდა აიხსნას“²⁷.

საინტერესოა პლასტიკური ხელოვნების მონაცემების გათვალისწინებაც: დუდონის ძევესს (იუპიტერს), რომელიც რელიეფად არის მოცემული ანტიკურ ფულზე, თავზე მუხის ფოთლების გვირგვინი ადგია; მეორე ფულზე — ძევესის არწივა გამობატული, ირგვლივ მუხის ფოთლების გვირგვინი აქვს, მესამეზე — მუხის ფოთლების გვირგვინი თვით ძევესს ხელში უჭირავს და სხვ. საგულისხმოა ამ მოტივის კვალი ქართულ ორნამენტებშიც²⁸.

ხეთა თაყვანისცემასთან დაკავშირებული მოვლენები, მითები და ლეგენდები, სამწუხაროდ, კრიტიკულად დადგენილი არ არის და ამდენად ჭირს მათი ინტერპრეტაცია, — ახსნა იმისა, თუ პირველყოფილი რელიგიის რა მომენტებს შეიცავენ ისინი. როგორც ცნობილია, ხის კულტის განვითარების პროცესში არსებობს სამი საფეხური თაყვანისცემისა: 1. ხე ან ტყე წარმოდგენილია სულიერ არსებად და ამდენად მათ შეუძლიათ ადამიანს ვნება ან სიკეთე მოუტანოს; 2. ხე ან ტყე წინაპართა სულის სადგომია; 3. ხე ან ტყე თავშესაფარია უზენაესი ღვთაებისა. ასეთი მიდგომით ხის კულტის განხილვა საქართველოში არ წარმოებულა. ნაკლებად ვიცით, არის თუ არა ჩვენი ისეთი ხე, ხევნარი, ან ტყე, რომელსაც ხალხი არ ემსახურება, როგორც განსაკუთრებული ძალის მქონეს. ამგვარი წარმოდგენის მაყვადენებელი უნდა იყოს აფხაზური „ხის სალოცავი“. მარიამობა დღეს აფხაზის ოჯახში ცხეება იმდენი პატარა კვერი, რამდენი მამაკაციც არის ოჯახში. ამ კვერს ოჯახის უფროსი წაიღებს მახლობელ ქორფა ხესთან (თან ბავშვებიც მიჰყვებიან), ფეხს მიადგამს მას და ლოცულობს: „ხეო, შენი მადლი და სიკეთე მომანიჭე... ხიდვან უვნებლად ჩამომიყვან, ნედლ ტოტზე შევსდგე — გამიმარდეს. ხელზე შევსდგე — გამინედლდეს“ და სხვ. საქართველოში ხეთა თაყვანისცემასთან დაკავშირებულ ჩვეულებათა განხილვას უნდა მივყავდეთ ხის კულტის განვითარების მესამე საფეხურთან, როდესაც წმინდა ხე წარმოადგენს უზენაესი ღვთაების სადგურს²⁹.

საქართველოში ხეთა თაყვანისცემასთან ერთად არსებობდა ცხოველთა

²⁶ იქვე.

²⁷ ნ. კ ე ც ხ ი ვ ე ლ ი, კულტურულ მცენარეთა ზონები საქართველოში, თბილისი, 1957, გვ. 324.

²⁸ ვ. კ ო ტ ე ტ ი შ ვ ი ლ ი, ხალხური პოეზია, თბილისი, 1961, გვ. 409.

²⁹ ვ. ლ ო მ ი ა, ხის კულტისათვის საქართველოში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, 1927, გვ. 171.



თაყვანისცემა. ივანე ჯავახიშვილის გადმოცემით, ხევსურები თაყვანსა სცემენ ერთ ღვთაებას, რომელსაც „ანატორი“ ჰქვია. არავითარი ცნობა არ მოპოვება იმის შესახებ, თუ სახელდობრ რომელ ღვთაებად არის მიჩნეული ეს „ანატორი“ ხევსურეთში? მაგრამ ამის გასარკვევად საყურადღებოა ერთი ჩვეულება, რომელიც შენახულია სამეგრელოში. დიდმარხვის წინა დღეს მეგრელები იხსენიებენ ხოლმე ერთ ღვთაებას, რომელსაც „უინი ანთარი“ — ზენა ანთარი ეწოდება. დილა აღრიან სიმინდის ღვებლის დიდ ოთხკუთხა კერს ამზადებენ და ვახშმად კერაზე აცხობენ. მას სახლის უფროსი რამდენიმე ოთხკუთხ ნაჭრად ყოფს და შემდეგ ლოცვას წარმოთქვამს: „ზენა (ზეციერო) ანთარო, ბატონო გამარჯვებულო! ჩემი საქონელი შენ მომიშენე“ და სხვ. ვინც ამ მოვალეობას პირნათლად ასრულებს, იმას სწამს, რომ მისი საქონელი და ყანები ზარალისგან დაზღვეულია ერთი წლის განმავლობაში³⁰.

ახლა სამეგრელოში ყველა დავიწყებული აქვს „ანთარის“ მნიშვნელობა და აღარაფერ იცის, თუ რა ღვთაებაა იგი, მაგრამ ჩვენითვის ცხადია, რომ მეგრული „ანთარი“ და ხევსურების „ანატორი“ ერთი და იგივე ღვთაება უნდა იყოს. ამ ღვთაების სახელი შენახულია აფხაზურშიც, სადაც ეს სიტყვა გვხვდება „აითარ“-ის სახით. პ. გიორგაძის სიტყვით, აფხაზების მითოლოგიაში პირველი ადგილი უჭირავს სწორედ ამ საქონლის ზედამხედველს „აითარ“-ს³¹.

წინათ, რასაკვირველია, სარწმუნოებრივი თქმულებები უკეთ ახსოვდათ და ღვთაებათა მნიშვნელობაც კარგად იცოდნენ. ამით აიხსნება ალბათ, რომ ზენანას სიტყვით „აითარ“ შინაური საქონლისა და მოსახლეობის მფარველ ღვთაებად ითვლებოდა. სწორედ მას ევედრებოდა ყველა, ვისაც უნდოდა, რომ მისი საქონელი გამრავლებულიყო და ნადირს არ გაეფუჭებინა. ამ ცნობებიდან ჩანს, რომ „აითარ“ მარტო სახელით კი არ უღრის მეგრულს „ანთარ“-ს და ხევსურულ „ანატორ“-ს, არამედ მნიშვნელობითაც³².

ანატორის გარდა ხევსურებს დღესაც სწამთ, რომ ნადირთ თავიანთი მფარველი ღვთაება ჰყავთ, ურომლისოდაც მონადირე ნადირს ვერც მოკლავს და ვერც ვერას დააკლავს. ხევსურები ამ ნადირთ მფარველ ღვთაებას „ოხოპინტე“-ს ეძახიან. მათი წარმოდგენით ოხოპინტეს „ნადირთ მწყემსობა“ აქვს ჩაბარებული. მას „ნადირთა სულნი“ და „ნადირთ მწყემსი“-ს წოდებულულებაც ეკუთვნის. ამასთანავე ოხოპინტე „საფარველ-დადებული“, ე. ი. უხილავი, არის. მონადირე მას „თვალთ ვერ ნახავს“³³.

მონადირე რომ ხელცარიელი არ დარჩეს, ამიტომ უნდა „ოხოპინტეს ნადირობის დროს სრუ მუდამ სთხოვას გამარჯვებას“, როდესაც მონადირე ჯიხვს მოსაკლავად მიეპარება, უნდა უეჭველად ჯერ ასეთი სავედრებელი წარმოთქვას: „ნადირთ მწყემსო ოხოპინტე, შენ გეხვეწები, მამეცი ჯიხვის თავი, მომაკლეი! სულნი ხო შენია ნადირთანი?“. მხოლოდ ასეთი ლოცვის შემდგომ შესაძლებელია, რომ „ნადირთ მწყემსმა“ — ოხოპინტემ მონადირეს ჯიხვი მოაკლევინოს. ასეთი რწმენა მარტო ხევსურეთში არ არის დაცული, არამედ სა-

³⁰ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, ტფილისი, 1928, გვ. 76.

³¹ იქვე, გვ. 77.

³² იქვე.

³³ იქვე, გვ. 78.



ქართველოს ზოგიერთ სხვა თემშიაც. ვარეკახეთში ამ ღვთაებას „ნადირთ მწყემსის“ მაგიერ „ნადირის ანგელოზს“ უწოდებენ³⁴.

ნადირთ მწყემსის ოჩოპინტეს სახელი რომ ახალი არ არის და წინათ მართლ ერთი პატარა ქართველი ტომის — ხევსურების ან კახთ კუთვნილება კი არ ყოფილა, არამედ მიუღ ქართველ ერს უნდა სცოდნოდა ეს სახელი, ამას ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ ოჩოპინტე, ანუ უფრო აღრინდელი ფორმით აღებული „ოჩოპინტრე“, სულხან-საბა ორბელიანსაც ჰყავს დასახელებული. მისი ცნობით ოჩოპინტრეს „ცრუ მონადირენი ნადირთ წინამძღვრად იტყვიან“³⁵.

X საუკუნეში ოჩოპინტრე საქართველოში ადამიანის საკუთარი სახელიც ყოფილა: ტაოს განთქმულ მფლობელს დავით კურაპალატს 998 წელს მამლანის წინააღმდეგ გაგზავნილი ჯარის უფროსად დაუნიშნავს გაბრიელ ოჩოპინტრესძე. ეს გარემოება უკვე ამტკიცებს ოჩოპინტრეს მრავალსაუკუნოვან ხნიერებას³⁶.

მონადირეობა ადამიანთა ორგანიზებული შრომის ერთ-ერთ უძველეს ფორმას წარმოადგენს. ჯერ კიდევ შუა პალეოლითის ხანაში იწყება მონადირეობის, როგორც საზოგადოებრივი შრომის ფორმის, ინტენსიური განვითარება და იზრდება მისი მნიშვნელობა კაცობრიობის ისტორიაში. ზედა პალეოლითის ბოლოდან, მშვილდ-ისრის აღმოჩენის შემდეგ ნადირობა საზოგადოებრივი შრომის წამყვან ფორმად იქცევა, შემდგომ ეპოქებში კი, როდესაც იწყება განვითარებას მიწათმოქმედება, ხოლო ნადირობის მეშვეობით საფუძველი ეყრება მესაქონლეობას, მონადირეობა კიდევ დიდხანს ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას³⁷.

დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე და მის მახლობლად ნაპოვნი ენეოლითის, ბრინჯაოსა და რკინის ხანის არქეოლოგიური ძეგლები უხვად შეიცავს ნადირობის ამსახველ მასალებს; ეგრეთ წოდებული კავკასიური ხელოვნების უძველესი ნიმუშებისათვის დამახასიათებელია სამონადირეო მოტივები. ნადირობის სცენები და კომპოზიციები ხშირად გვხვდება ქართული სახვითი ხელოვნების განვითარების შემდგომ საფეხურებზედაც. მონადირეობის უძველესი ტრადიცია საქართველოში და მისი დიდი მნიშვნელობა ქართველ ტომთა ისტორიასა და კულტურაში დადასტურებულია მრავალი ისტორიული ცნობითა და ძეგლით, ეთნოგრაფიული მასალითა და სპეციალური გამოკვლევით³⁸.

ნადირობა საქართველოში ოდიითვე „წმინდა“ საქმედ იყო მიჩნეული. ასევე „წმინდად“ ითვლებოდა სანადირო ადგილები და ზოგიერთი ნადირიც. სანადიროდ წასვლის წინ მონადირე ვალდებული იყო ტაბუთების რთული სისტემა დაეცვა, რათა ნადირობის სიწმინდე არ შეეღახა. „ასეთი წარმოდგენის საფუძველზე, — აღნიშნავს ა. რობაქიძე, — მონადირეს, ცრუმორწმუნე მონადირეთა წრეში განმტკიცებული შეხედულებით, სასტიკად ჰქონდა აკრძალული სანადიროდ წასვლის წინა დღეებში ყოველგვარი ლანძღვა-გინებისა და უშვერი სიტყვების წარმოთქმა. ეს ჩვეულება მეტ-ნაკლებად ახასიათებდა საქართველოს ყველა კუთხეს“³⁹.

³⁴ იქვე, გვ. 79.

³⁵ იქვე.

³⁶ იქვე, გვ. 79.

³⁷ ე. ვ ი რ ს ა ლ ა ძ ე, ქართული სამონადირეო ეპოსი, I, თბილისი, 1964, გვ. 5.

³⁸ შ. ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ხელოვნების ისტორია, I, თბილისი, 1944, გვ. 30.

³⁹ ა. რ ო ბ ა ქ ი ძ ე, კოლექტიური ნადირობა, თბილისი, 1960, გვ. 161-163.

მადლობის ნიშნად ნადირთ ღვთაებას სწირავდა მონადირე მოკლული ნადირის გულ-ღვიძლს. წმინდად მიჩნეული მოკლული ნადირი მონადირის განსაკუთრებული გაფრთხილებისა და პატივისცემის საგანი იყო. ნანადირევით დაბრუნებულ მონადირეს ფეხზე ადგომით მისალმებოდა ყველა. მონადირისა და მოკლული ნადირისადმი ამგვარი დამოკიდებულება არ იყო შემთხვევითი. აქ შეიძლება გავიხსენოთ ბალადა სვანი მონადირე თაბი გომთელისანის მიერ მოკლული ვეფხვის შესახებ. მონადირეებს ვეფხვი შემდეგი სიტყვებით დაუტირებიათ:

რომ არ მოგვეკლა შენი თავი,
 ნეტავ შენ მაივრად შეილი მოგვეკლა!
 რომ არ მოგვეკლა შენი თავი,
 ნეტავ ისევ ჩენი სახლი დაგვეწვა!
 რომ არ მოგვეკლა შენი თავი,
 ნეტავ ჩენი ღედ-მამა დახოცილიყო!
 რომ არ მოგვეკლა შენი თავი,
 ისევ ჩენი თავი მოგვეკლა.

ასეთი იყო წესი ძველად, — დასძენს მთქმელი, — რამდენი ზოლიც ჰქონდა ვეფხვის ტყავს, იმდენნაირი დატირება უნდა თქმულიყო⁴⁰.

მოკლულ ვეფხვს ხევსურეთში ვაჟის ტანსაცმელს ჩააცმევდნენ, გვერდით იარაღს დაუწყობდნენ და დაიტირებდნენ⁴¹.

რელიგიის ისტორიის ცნობილი მკვლევარი სოლომონ რენაჟი წერს: „თუ აუცილებელი ვახდებოდა ისეთი ცხოველის მოკვლა, რომელიც ჩვეულებრივ ტაბუს წარმოადგენდა, მოკლული ცხოველის წინაშე ბოდვის მოხდა იყო საჭირო — ტაბუს დარღვევის გამო ჩადენილი დანაშაულის შესარბილებლად. ათინაში წმინდა ხარის დაკვლის შემდეგ დანას, რომლითაც ხარის კლავდნენ, ზღვაში აგდებდნენ, ხოლო რიტუალურად დაკლული ტაბუირებული ცხოველი დაიტირებოდა. ასე დასტიროდნენ, ჰეროდოტეს სიტყვით ზეესისადმი შეწირულ ცხვრებს“⁴².

ბეხუანოსები არ კლავენ ღომს ისე, რომ ბოდვში არ მოუხადონ, ხოლო მკვლელმა განწმენდის ცერემონია უნდა შეასრულოს. ასეთსავე ბოდვის სთხოვენ მოკლულ დათვის ჩრდილო ამერიკაში და ჩრდილოეთ აზიის ხალხები⁴³.

საქართველოში ზოგიერთი გარეული ცხოველის მიმართ (დათვი, მგელი, ჯიხვი, ვეფხვი და სხვა). გავრცელებული ტაბუ მიგვითითებს ამგვარ ჩვეულებათა გარკვეულ იდეოლოგიურ საფუძვლებზე, ტოტემისტური წარმოდგენების გადმონაშთთა არსებობაზე⁴⁴. ამასვე მოწმობს საქართველოს მრავალ კუთხეში გავრცელებული წესი ნადირობის დროს დახოცილი ნადირის რიცხვის რეგლამენტირებისა და მასთან დაკავშირებით თოფის „დასვენებისა“ და „განწმენდის“⁴⁵ ჩვევა.

⁴⁰ ე. ვ. ი. რ. ს. ა. ლ. ა. ძ. ე, ქართული სამონადირეო ეპოსი, თბილისი, 1964, გვ. 27.

⁴¹ იქვე.

⁴² იქვე.

⁴³ იქვე, გვ. 28.

⁴⁴ Кагаров Е., Культ фетишей, растений и животных в древней Греции, СПб, 1913.

⁴⁵ ა. რ. ბ. ა. ქ. ი. ძ. ე, კოლექტიური ნადირობის გადმონაშთები რაჭაში, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის გამოცემა, თბ., 1941, გვ. 173.

ამ წარმოდგენების მიხედვით, გარეულ ნადირს თავისი მცველი, პატრონი ჰყავდა, რომელზედაც იყო ძირითადად დამოკიდებული მონადირის „იბლი-ანობა“ ნადირობის დროს. მოკლული ნადირი მისი „გამჩენის“, „ნადირთ პატრონის“ მოცემულია. რამდენ ნადირსაც მოკლავს თავის სიცოცხლეში მონადირე, იმდენი დაუხვდება საიჭიოს, მაგრამ ამ მხრივ მას ზომიერების დაცვა სჭირდება, რომ ზედმეტი მსხვერპლით, სიხარბით არ გააჯაგროს ნადირთ პატრონი და ამით მისი გულსწყრომა არ დაიშასხუროს⁴⁶. ასეთ წარმოდგენებს ხშირად მონადირეთა საუკუნოვანი გამოცდილება ედო საფუძვლად. ამგვარი შეზღუდვა ნადირის ზედმეტი განადგურებისაგან გადარჩენასაც უწყობდა ხელს.

ჩრდილოეთის ხალხის რწმენით ცხოველთა და მცენარეთა ცალკეულ სახეს თავისი პატრონი ჰყავს. ტუნგუსებს სწამთ, რომ ყოველ ადგილს, განსაკუთრებით კი სამონადირეო ადგილებს, თავისი პატრონი ჰყავს ისევე, როგორც ნადირს⁴⁷. ამასთან დაკავშირებით მეტად საინტერესოა ვახუშტის ცნობა: „ბაზიერთუხუცესი ამისი ხელისა იყო: სრულიად ბაზნი, ბაზიერი, მეძალენი, ძალენი, ტყეთა და ველთა მცველნი, სანადიროთა მეფისათა“⁴⁸. საქართველოში მონადირე შეზღუდული იყო მოკლული ნადირის რაოდენობის მხრივ და ვალდებული იყო სიწმინდის დაცვასთან დაკავშირებული ტაბუ დაცევა.

მონადირეობის ქართული ღვთაების პრობლემას ეხება თავის მონოგრაფიაში მიხ. ჩიქოვანი. მიხ. ჩიქოვანის მასალებით, სენათში ნადირი ოთხ ჯგუფად არის დაყოფილი: 1. შიშველი მთის ნადირი (ირემი, შველი, არჩვი, ჩიხვი), რომელსაც ქალღმერთი დალი მფარველობს; 2. ტყის მხეცები (დათვი, მელა, კვერნა, მარჩვი), რომელთაც ტყის ანგელოზი (ცხეკემ ანგელევზ) მფარველობს; 3. მეელი, რომლის საქმეს წმ. გიორგი (ჯგრაგი) განაგებს; 4. ფრინველები და თევზები, რომელთაც აფსატი მფარველობს. ყველა მათი უფროსი ბერ შიშველიში — შიშველი მთის უფალია. საინტერესოა, რომ ანალოგიურ წარმოდგენებს ჩვენ კავკასიის მრავალ ხალხში ვხვდებით⁴⁹.

არქეოლოგიურმა მონაპოვრებმა დაგვიდასტურა საქართველოში ცხოველთა კულტის არსებობა, რომლის შესახებ ცნობები ფანტასტიკურმა ზღაპრებმა შემოგვინახეს. ამ მხრივ ხელოვნების ისტორიაში მეტად საყურადღებო ფაქტად ითვლება სვეტიცხოვლის ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე დაცული, სიმეტრიულად განლაგებული ორი ხარის რელიეფური გამოსახულება, რომელთაც მხოლოდ მანდიანობის საკულტო ნიშნები ახასიათებს, შუბლზე მკვეთრად ამოკვეთილია ნიშანი, რომელიც სხენებული კულტის აღმასრულებლებს ჰქონდათ⁵⁰.

ძირითად გამწევ ძალად საქართველოში უძველესი დროიდან ხარი ითვლებოდა. იგი მშრომელ ადამიანებთან ერთად ეწეოდა ცხოვრების მძიმე ჭაპანს. ქართველი ხალხი „დედამიწის მადლთან“ ერთად იფიცებდა „ხარის

⁴⁶ ე. ვ. ი. რ. ს. ა. ლ. ა. ძ. ე., ქართული სამონადირეო ებოსი, თბილისი, 1964, გვ. 28.

⁴⁷ В а с и л е в и ч Г., Некоторые данные по охотничьим обрядам и представлениям тунгусов. Журн. «Этнография», 1930, № 3, გვ. 63-64.

⁴⁸ ვ. ა. ხ. უ. შ. ტ. ი., ქართლის ცხოვრება, ტ. IV, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, 1973.

⁴⁹ მ. ჩ. ი. ქ. ვ. ა. ნ. ი., მოქაქული ამირანი, თბილისი, 1948, გვ. 62.

⁵⁰ შ. ა. მ. ი. რ. ა. ნ. ა. ნ. შ. ვ. ი. ლ. ი., ქართული ხელოვნების ისტორია, I, თბილისი, 1944.

ქედს“. ქართველი ხალხის წარმოდგენით: „რითი უნდა იარსებოს ადამიანმა და ხარის რქებიითაო“. აფხაზებს სწამთ, რომ ჩვენი მშვენიერი სამყარო დგას უშველეველი ხარის რქებზე. საინტერესოა ხალხში გავრცელებული თქმა: „ხარიდან არის ხალხი; თუ ხარი არ იქნება, არც ხალხი იქნება; ხარია ჩვენი საპიროება, პურს ეგენი გვაჭმევენ“⁵¹.

ქართველი ხალხის რწმენით, დიდ უბედურებად ითვლება ხარის დაწყევლა. ერთი თქმულების მიხედვით, ილორის წმინდა გიორგიმ რქამოჭედილი საზვარაკო ხარის დაწყევლისათვის მონაზონი ქვად აქცია. მართლაც, ხარი გლეხკაცის მარჯვენა ხელს წარმოადგენდა.

წარმართული წარმოდგენები დიდხანს ცოცხლობდნენ ქართველ ხალხში. ბევრი მათგანი დღესაც გადმონაშთის სახით გვხვდება საქართველოს ცალკეულ კუთხეებში. ძველი წარმოდგენების გაქეცების, დაეიწყებისა და ადამიანთა იდეოლოგიური ცხოვრებიდან ამოშლის პროცესი მეტად ხანგრძლივი და რთული იყო. ამ გზაზე ბევრი ქართული წარმართული წარმოდგენა უკვალოდ დაიკარგა, ბევრმა კი სახე იცვალა, ძირფესვიანად იქნა გადააზრებული. მათი ნაწილი შერჩა ქართულ ხალხურ სიტყვიერებას, მუსიკას თუ ქორეოგრაფიას. აქ ისინი სახეთა მხატვრულმა სრულყოფამ და შთამბეჭდავმა ძალამ გადაარჩინა.

⁵¹ მ. გ. გ. შ. ი. ძ., ქართული ხალხური ტრანსპორტი, თბილისი, 1956, გვ. 99.

В. З. ДЕДАБРИШВИЛИ

ВОПРОСЫ ОХРАНЫ ПРИРОДЫ В НАРОДНОМ БЫТЕ И УСТНОМ ТВОРЧЕСТВЕ

Резюме

Фольклорный материал Грузии содержит факты и примеры бережного отношения людей к природным богатствам.

В грузинских рукописях имеются данные о том, как люди боготворили растения и животных.

В настоящей работе приводятся фольклорные материалы, связанные с вопросом охраны природы.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოტანიკის კათედრა

წარმოდგენა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ნ. კეცხოველმა

ილიანი დოქტორის მიხედვით

 „მცხეთური ბიბლიის“ „გამოსლვათა“ წიგნის ტიპოგრაფიკი
 და რედაქციული დახასიათებისათვის

„მცხეთური ბიბლია“ (A—51), მკვლევართა აზრით, მთელ რიგ შემთხვევებში ბიბლიის ტექსტის უძველეს ქართულ თარგმანებს შეიცავს. ეს ხელნაწერი რედაქტირებულია XVII—XVIII სს-ში სულხან-საბა ორბელიანის მიერ. ქართული ბიბლიის ეს რედაქცია უკვე რამდენიმე წელია ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს. ამ ხელნაწერის რედაქციული და ტექსტობრივი შესწავლის მიზნით ჩვენ ცალკეულ წიგნებს შეძლებისდაგვარად გამოწვლილით ვუდარებთ ბიბლიის სხვა ქართულ რედაქციებს, ბერძნულ, სომხურ და ებრაულ (რუსული თარგმანის საშუალებით) ტექსტებს¹. ჩვენი განხილვის საგანი უკვე იყო „მცხეთური“ ხელნაწერის მოსეს ხუთწიგნეულის „დაბადების“ წიგნის ტექსტი. ამ წიგნის ტექსტის შესწავლამ გამოავლინა მთელი რიგი სტილისტური, სინტაქსური, მორფოლოგიური, სემანტიკური ხასიათის „ბერძნულ-მეზო“. ბერძნული დედნის გავლენის კვალი ტექსტის ენის ყველა სფეროში ვლინდება².

ამჯერად ჩვენი შესწავლის საგანია „მცხეთური ბიბლიის“ მოსეს ხუთწიგნეულის მეორე წიგნი — „გამოსლვათა“. ამასთან სათარგმნ წყაროზე დამოკიდებულების გარდა ჩვენი მსჯელობის საგანი იქნება ის რედაქციული სირთულეც, რომელიც ამ წიგნის დაკვირვებული შესწავლის შედეგად გამოვლინდა.

მცხეთური ხელნაწერის წიგნი „გამოსლვათა“ გაცილებით უფრო რთული შედგენილობისა აღმოჩნდა, ვიდრე „დაბადების“ წიგნი. ამ წიგნის რედაქციული არაერთგვაროვნება მკვლევარებს როგორც სათარგმნ წყაროსთან მიმართების თვალსაზრისით, ისე ძველი აღთქმის სხვა ქართულ ხელნაწერებთან მიმართების თვალსაზრისითაც. ჩვენ ჯერ განვიხილავთ მცხეთური ხელნაწერის ამ წიგნის ტექსტის მიმართებას სხვა ქართულ ხელნაწერებთან და შემდეგ სათარგმნ წყაროსთან მიმართების საკითხის განხილვაზე გადავალთ. როგორც მოსალოდნელი იყო, ტექსტის დანაწევრება, ფენებად დაყოფა, რომელიც მიიღება ერთი თვალსაზრისით ანალიზის შედეგად, არსებითად ემთხვევა იმ დანაწევრებას, რომელსაც გვაძლევს მეორე თვალსაზრისით ანალიზი.

1. „მცხეთური ბიბლიის“ „გამოსლვათა“ წიგნის მიმართება სხვა ქართულ ხელნაწერებთან. „გამოსლვათა“ წიგნის ტექსტი „მცხეთური ბიბლიის“ (S) გარდა დატულია შემდეგ ქართულ ხელნაწერებში: ოშკურ ანუ ათონურ 978 წლის ნუსხაში (O); კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის H—1207-ში (A), ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის № 28 ხელნაწერში (k); 1669 წლის იესე ბედისმწერლის მიერ გადამწერილ ხელნაწერში A—179 (C). ეს წიგნი არის აგრეთვე ბაქარის მიერ 1743 წელს მოსკოვში გამოცემულ ბიბლიაშიც. ძველი აღთქმის სხვა ძველ ხელნაწერებში „გამოსლვათა“ წიგნი არა გვაქვს.

ბ. გივინეიშვილი და ც. კიკვიძე „შესაქმის“, „გამოსლვათა“ და „ლევი-

ტელთა“ წიგნების ძველ ქართულ ხელნაწერებს სამ რედაქციად ყოფენ: G — ოშკური რედაქცია — შედარებით სრულად არის წარმოდგენილი ოშკურ ხელნაწერში; D — გელათური რედაქცია — წარმოდგენილია გელათურ ხელნაწერებსა და G-ში (A—179) და Q რედაქცია — წარმოდგენილია ჩვეულებრივ Ak ნუსხებით, ზოგჯერ S-ითაც³.

ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა მცხეთური ხელნაწერის (S) „გამოსლვათა“ წიგნის დიდი რედაქციული სირთულე. აქ წარმოდგენილია ზემოთ გამოყოფილი სამივე რედაქციული ფენა. ამასთან, ჩვენი აზრით, ბ. გიგინეიშვილისა და ც. კიკვიძის მიერ გამოყოფილი მესამე Q რედაქცია თავის მხრივ არაერთგვაროვანია, მასში სხვადასხვა ფენები გამოიყოფა. S-ის „გამოსლვათა“ წიგნი ჩვენ რედაქციულად კიდევ უფრო რთულად წარმოგვიდგება. სხვა ხელნაწერებთან და ბერძნულ, სომხურ, ებრაულ წყაროებთან შედარების საფუძველზე ჩვენ მასში გამოვყოფთ ოთხ ფენას, რომელთაგან მეორე კიდევ შეიძლება დაიყოს ქვეფენებად. ჩვენი დანაწევრება ასეთია:

1. პირველ ფენას შეადგენს პირველი შვიდი თავი. აქ S ზუსტად მიჰყვება A და k-ს და უმნიშვნელო ვარიანტული სხვაობა აქვს O-სთან. მკვეთრი სხვაობაა C-სთან. ამრიგად, აქ C და Q რედაქციები ახლოს დგას ერთმანეთთან, D — გელათური რედაქცია კი მათგან დიდად სხვაობს. ამ მონაკვეთს, როგორც ქვემოთ ვუჩვენებთ, ატყვია ბერძნული დედნის კვალი.

2. მეორე ფენას ქმნის ტექსტი მე-8 თავიდან მე-12 თავის 37-ე მუხლამდე. ეს მონაკვეთი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. იგი კვლავ იდენტურია A და k ხელნაწერებისა, მაგრამ ძლიერ არის განსხვავებული O-საგან და კიდევ უფრო C-საგან. ამრიგად, აქ Q რედაქცია (Ak) შორდება ოშკის (C) და გელათურ (D) რედაქციებს. ამასთან, ეს ნაწილი შორდება ბერძნულ და სომხურ ტექსტებსაც. ამ ფენაში ორი ნაწილი უნდა გამოიყოს: მე-8 თავი და მე-9—12 თავები. ყველა ეს თავი შორდება ბერძნულ-სომხურ ტექსტებს და ოშკურ და გელათურ რედაქციებს, მაგრამ მათგან მე-8 თავი შინაარსობრივ სიახლოვეს ამჟღავნებს ებრაულ ტექსტთან. დანარჩენ თავებზე (IX—XII) ამის თქმა არ ხერხდება. IX—XII თავებში წარმოდგენილი ტექსტები O-საგან, C-სა და ბერძნულ-სომხური რედაქციებისაგან განსხვავებულ ადგილებში უფრო ვრცელია. აქ წარმოდგენილია ზედმეტი წინადადებები, ლექსიკური ერთეულები, რომელთა შესატყვისებს ვერ ვპოულობთ სხვა რედაქციებში⁴. S-Ak-ს ამ თავისებურ რედაქციას ერთადერთი პარალელი ეძებნება ძველ ქართულ ლექციონარებში⁵. ეს ლექციონარები არსებითად ერთი რედაქციისაა და წარმოდგენილია ოთხი ხელნაწერით — პარიზის, ლატალის, სინას და კალს ხელნაწერებით. როგორც ნ. მელიქიშვილმა აჩვენა, ამ ლექციონარების ტექსტი საერთოდ ახლოს დგას ოშკის ბიბლიის ტექსტთან, მაგრამ „გამოსლვათას“ საკითხავების მე-12 თავის 1—24-ე მუხლები პარიზის, ლატალის, სინას ლექციონარებში დაშორდა ოშკის ხელნაწერს. მეოთხე ლექციონარი — კალას ლექციონარი ამ მონაკვეთშიც ოშკის ტექსტს მიჰყვება. ნ. მელიქიშვილმა დაადგინა პარიზის, ლატალის, სინას ლექციონარების მე-12 თავის 1—24-ე მუხლების სიახლოვე S, A და k ხელნაწერებში წარმოდგენილ ტექსტთან. ამრიგად მე-8—12 თავებიდან მე-12-ს 1—24-ე მუხლებს პარალელი ეძებნება ლექციონარების ტექსტში. სავარაუდოა, რომ „მცხეთის ბიბლიის“ ამ ფენის დანარჩენი ტექსტიც (მე-9, 10, 11 თავებიც) იმავე რედაქციიდან მომდინარეობდეს, საიდანაც მე-12 თავი. ძველი ქართული ბიბლიის ეს თავისებუ-

რი რედაქცია განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, რადგან იგი შორ-
დება ბერძნული სეპტანტისა და სომხური თარგმანის ტექსტს. ბიბლიის ეს ძვე-
ლი ქართული რედაქცია, როგორც ჩანს, თავისთავადი სახით არ შემონახუ-
ლა, შემოინახა იგი სხვა ხელნაწერების ხარვეზების შევსების გზით. სხვადა-
სხვა ბიბლიურ ხელნაწერში ამ რედაქციის ტექსტის გამოვლენისას ძირი-
თად კრიტერიუმად, ვფიქრობთ, უნდა მივიჩნიოთ ბერძნული სეპტანტისაგან
დამორება და სხვა რედაქციებთან შედარებით ტექსტის სივრცეზე და მრავ-
ალსიტყვაობა.

სათარგმნ წყაროზე დამოკიდებულების თვალსაზრისით ამ ნაწილშიც
(მე-9—12 თავებშიც) ბერძნული დედნის გავლენის კვალი შეიმჩნევა.

3. მესამე ფენას ქმნის ტექსტი მე-12 თავის 37-ე მუხლიდან 30-ე თავის
21-ე მუხლამდე. ამ მონაკვეთში „მცხეთა“ (S) გამოიყო როგორც ომკურ რე-
დაქციას (O ხელნაწერს), ასევე 4 რედაქციას (A და k ხელნაწერებს) და გახ-
და C-ს (A — 179), ე. ი. გელათური (D) რედაქციის, იდენტური. ეს მონაკვე-
თი ძალიან ახლოს დგას გელათურ რედაქციასთან, რომელიც სავესეა მიმდევ-
ბური და ინფინიტური კონსტრუქციებით, ხელოვნური გამოთქმებით, ბერძ-
ნული გამოთქმების კალკებით, უთარგმნელად დატოვებული ბერძნული სიტ-
ყვებით. ცნობილია, რომ ს. ს. ორბელიანს ხელთ ჰქონდა გელათური ბიბლია და
რედაქციულად გადაუშუშავევბია იგი⁶. „მცხეთურ“ ხელნაწერში ეს ნაწილი,
რომელიც გელათური რედაქციის A—179 (C) იდენტურია, გელათური რედა-
ქციიდან არის მასში შეტანილი.

4. მეოთხე ფენას ქმნის ტექსტი 30-ე თავის 21-ე მუხლიდან ბოლომ-
დე. ეს ნაწილი ომკურ ხელნაწერთან საერთო რედაქციისაა ვარიანტული სხვა-
ობით, 36—39 თავების გამოკლებით. ამ ნაწილში გაქრა ბერძნული დამოკი-
დებულების კვალი, რომელიც ასე ძლიერ იგრძნობოდა წინა თავებში და თავ-
ი იჩინა სომხურ წყაროზე დამოკიდებულებამ.

ახლა წარმოვადგენთ მასალას, რომელიც სათარგმნ თუ სარედაქციო წყა-
როს გავლენას გვიჩვენებს. ამ თვალსაზრისით ზემოთ გამოყოფილი პირველი
ორი ფენა (VIII თავის გამოკლებით) — I—VII და IX—XII თავები — შე-
იძლება ვავაერთიანოთ როგორც ბერძნული გავლენის მქონე, მეორე ფენაში—
XIII—XXX თავებში ეს გავლენა გაცილებით უფრო საგრძნობი ხდება. ამ-
რიგად, აქ საქმე გვაქვს ბერძნული ტექსტიდან თარგმნის სხვადასხვა ხარისხ-
თან. ტექსტის მესამე ნაწილი XXXI თავიდან ბოლომდე სომხური წყაროს
გავლენის კვალს ატარებს. განვიხილოთ ტექსტის ჩვენ მიერ გამოყოფილი ნა-
წილები ცალ-ცალკე და ვუჩვენოთ, რაში მდგომარეობს უცხო წყაროს ქარ-
თულ თარგმანზე გავლენის არსი.

I ნაწილი (I—XII თავები)⁷. ა) ამ ნაწილში საკმაოდ ხშირია მიმდევ-
ბური და ინფინიტური კონსტრუქციები, რომლებიც არ არის დამახასიათებე-
ლი ქართული ენისათვის, ბერძნულში კი ფართოდ არის გავრცელებული. ისე-
ვე როგორც „დაბადების“ ტექსტში, აქაც ეს კონსტრუქციები ბერძნული ორი-
გინალის გავლენის შედეგად მიგვაჩნია. მოვიყვანთ ასეთი კონსტრუქციების
ნიმუშებს:

ა) 1. SC. ჰრქუა უფალმან მოსეს მიმართ მე ტყუე ღმან. AOK. ჰრქუა
უფალმან მოსეს. P. ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა, .B. ხოლო ჰრქუა
უფალმან მოსეს, მეტყუელმან,

Εἶπεν δὲ ἄρτιος πρὸς Μωσῆν λέγων

խօսեցաւ սէր ընդ մովսիսի' և սսէ გმსლ. 6₁₀

2. S. და ეტყოდა უფალი მოსეს და აპრონს მეტყუელი. OBKP. ეტყოდა უფალი მოსეს და აპრონს და ჰრქუა. A. და ეტყოდა უფალი მოსეს და აპრონს. C. და თქუა უფალმან მოსეს და აპრონის მიმართ მეტყუელმან.

Καὶ εἶπεν ἄρτιος πρὸς Μωσῆν καὶ Ἀαρῶν λέγων.

և. խօսեցաւ սէր ընդ մովսիսի և ընդ Ահարոնի' և սսէ გმსლ. 7₈

ბ) „მცხეთურ ხელნაწერში“ ვხვდებით ქართულისათვის უჩვეულო სიტყვებს, რომლებიც ბერძნული შესაბამისი სიტყვებისა და გამოთქმების კალკებად წარმოგვიდგება:

1. SC. ჰრქუა უფალმან მოსეს მიმართ. AKOB. ჰრქუა უფალმან მოსეს

Εἶπεν δὲ ἄρτιος πρὸς Μωσῆν

խօսեցաւ սէր ընդ մովսիսի გმსლ. 6₁₀

2. S. მოდით და ვისიბრძნოთ დამვობად მათდა, ნუუკუე განმრავლდენ. C მოდით ვისიბრძნოთ დამვობად მათდა ნუსადა განმრავლდენ. OAK. მოვედით და დავიმორჩილნეთ იგინი, ნუუკუე განმრავლდენ. B. მოვედით და მოვიგოთ გონიერება, ნუუკუე განმრავლდენ. P მოვედით და ვიზრახოთ მათდა ზედა, რაათა ნუუკუე განმრავლდენ.

დენთე თნ *κατασφιλμα: αυτισε μηποτε πλησθη.*

სიკიქ ნჰარხიყოქ ხნჯ ზიგა, ფიგე რაქმანაიქნ

Ухитримся же против него чтобы он не умножился. გმსლ. 1₁₀.

ამ მაგალითში S-ის „ვისიბრძნოთ“ მეტად ხელოვნურია. ბერძნული ზმნა *κατασφιλμα* ნიშნავს: სოფიზმებით დამარცხებას, მახვილგონიერი მსჯელობით მოწინააღმდეგის დაბნეას. მცხეთური ბიბლიის მთარგმნელი აკეთებს ამ სიტყვის ზედმიწევნით თარგმანს მისი ძირის მნიშვნელობის შესაბამისად და აწარმოებს ხელოვნურ ზმნას „ვისიბრძნოთ“⁸.

3. S. და ვისაკვირველო მე მას ეამსა შინა ქუეყანა იგი ძეთა ისრაჴლისათა. OB. და ვიდიდო მე მას ეამსა შინა შორის საცხოვართა მთეგუბტელთასა.. AK. და ვადიდო მე მას ეამსა შინა ქუეყანა იგი ძეთა ისრაჴლისათა. C. და ვისაკურველო მე შორის საცხოვართა მეგუბტელთასა და შორის საცხოვართა ისრაჴლთასა. P. და ვიდოდი მე შორის ცხოვართა ძეთა ისრაჴლისათა.

και παραδοξασω εγω ες τω καιρη θεωνω...

և. არარჩე և აგრანჯიქი ხ მქუ საჯანენ

საბა ასწორებს A-ს: ვადიდო-ს ხაზი აქვს ვადასმული და ზემოდან აწერს: ვისაკვირველო. გმსლ. 9₄.

ბერძნული ზმნა *παραδοξασω* ნიშნავს: გასაოცრად ქცევას, გაოცების, ვაკვირვების საგნად ქცევას⁹.

სომხურ ტექსტში ეს სიტყვა აღწერილად არის გადმოცემული:

Արարից և აგრანჯիქი „გყოფ მე საკვირველებას“. „მცხეთური ბიბლიის“ ქართულმა მთარგმნელმა კი ბერძნული სიტყვის კალკა წარმოადგინა და მიიღო საკმაოდ ხელოვნური სიტყვა „ვისაკვირველო“, მსგავსად ზემოთ განხილული „ვისიბრძნოთ“-ისა.

II ნაწილი (XIII—XXX თავები). ა) ამ ნაწილში გაცილებით უფრო ხშირად ვხვდებით მიმღეობური და ინფინიტური კონსტრუქციების ხმარებას, ვიდრე I—VII—IX—XI თავებში. მასალა ისე დიდია, რომ ჩვენ არ მოვიყვანთ შესაბამის მაგალითებს და დავკმაყოფილებით ამ კონსტრუქციათა ხმარების ადგილებზე მითითებით. ზემოთ განხილული გამოთქმა: „პრქუა... მეტყუელმან“ გვხვდება „გამოსლვათას“ ამ ნაწილის შემდეგ ადგილებში: 13; 13₈, 14, 14₁₂; 18₆; 19₂₃; 20₁ და ბევრი სხვა.

გვხვდება ამ ტიპის სხვა გამოთქმებიც:

1. SC. რამეთუ არა წმიდა ყოს უფალმან მომღებელი სახელისა ამისისა ამოსა ზედა. O. არა მოილო სახელი ღმრთისა შენისა ამოსა ზედა. B. არა მოილო სახელი უფლისა ღუთისა შენისა ამოსა ზედა.

Ὁς γὰρ μὴ ἀπαρτίσῃ κήριος τὸν λαμβάνοντα τὸ θυμα ἀπὸς τοῦ ματαιῶ.

მჩ ათნოგოსი განთან თხანს ასათხოი ქი ქ ქირაქ ანთოსყ გმსლ. 20₇.

2. SC. არა ყოფისათჳს საფლავთასა ეგვბტეს. OB. არა იყოა ეგვბტეს საფლავები. AK არამცა იზოვა ჩუენთჳს სამარები ქუეყანასა ეგვბტისასა.

παρὰ τὸ μὴ ἰσάρευσιν μνημάτα ἐν γῆ Αἰγύπτω.

იე გიქინ გირიგმანჲ ქირქინ სეჩათაყიყ. გმსლ. 14₁₁

მსგავსი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება. ამ ტიპის კონსტრუქციათა ხმარების სიჭარბით „გამოსლვათას“ XIII—XXX თავები მკვეთრად გამოირჩევა როგორც პირველი, ისე მესამე ნაწილისაგან. დამახასიათებელია, რომ ბიბლიის სხვა ქართული ხელნაწერების შესატყვის ადგილებში პირიანი ზმნა არის წარმოდგენილი.

ბ) „მცხეთურ ბიბლიის“ ამ ნაწილში ხშირად ვხვდებით ქართულისათვის უჩვეულო გამოთქმებსა და სიტყვებს, რომლებიც ბერძნული შესაბამისი გამოთქმების კალკებად მიგვაჩნია:

1. SC. და თქუა უფალმან მოსესს მიმართ მეტყუელმან. OB. ეტყოდა უფალი მოსესს და პრქუა. AK სიტყუად იწყო მოსესსა და პრქუა.

καὶ ἐλάλησεν κήριος πρὸς Μωσῆν λέγων.

სე სთისყაო თქრ ონჲ მოქსიხი ხ თსქ გმსლ. 14₁

„პრქუა... მიმართ“, „იტყოდა... მიმართ“ ტიპის გამოთქმებს ამ ნაწილში ხშირად ვხვდებით ბერძნულის *πρὸς* . . . *λέγων* ტიპის გამოთქმათა ფარდად. იგი წარმოდგენილია ტექსტის შემდეგ ადგილებში: 14₁₂, 14₁₀, 18₁₇, 30₂₉... „პქუა მისსა მიმართ“ ტიპის გამოთქმები ქართული ენისათვის არ არის ბუნებრივი და სხვა ხელნაწერებში მას ენაცვლება „პრქუა მას“, „გეტყოლით შენ“ და მისთ. ბუნებრივი გამოთქმები.

გ) ბერძნული სიტყვის კალკად მიგვაჩნია „წინავიდოდა“ ფორმაც, რომელიც მცხეთური გამოსლვათას ტექსტის მე-14 თავშია წარმოდგენილი ბერძნული *προσῆγγεν*-ის ფარდად.

1. SC. და ფარაო წინავიდოდა. OB. და ფარაო მოვიდოდა. AK და ფარაო წარმოუძღუა.

Καὶ φάραω προσῆγγεν.

სე სნაო მოთ ფარაონ. გმსლ. 14₁₀.

ასევე ბერძნულის კალკად მიგვაჩნია. მცხეთური ტექსტის „სამმდგომნი“ — ბერძნული *τριστατάς* (*τριστός* „სამმაგი“, *ἵστατός* „მდგომი“). ოშკურ ხელნაწერსა და ბაქარისეულ გამოცემაში შესაბამის ადგილას „ერისთავსა“ და „მთავარს“ ვპოულობთ.

2. SC. აღიხუნა ექუსასნი ეტლნი რჩეულნი და ყოველი ცხენი მეგვპტელთა სამმდგომნი ყოველთა ზედა. A. და თანა წარილო ეტლები რჩეული ექუსას და ჰუნები მრავალი სამსამი სსპარაზენისა მისგან. K. და თანა წარილო ეტლები რჩეული ექუსას და უნები მრავალი სამსამი სპარაზენისა მისგან. O. აღივთ ექუსასი ეტლი რჩეული თვისი და ყოველი ცხენები ეგვპტისა და ერისთავები ყოველსა ზედა. B. აღავთ ექუსასი ეტლები რჩეულნი თვისი და ყოველი ცხენები ეგვპტისა და ერისთავები ყოველთა ზედა.

Καὶ λαβὸν ἐξακείσῃ ἀρματα ἐκλεχτὰ καὶ πᾶσαν τῆν ἑπσον τῶν Αἰγυπτίων καὶ τριστάτας.

სე ჭათი ქვე წარჩერ ჭარს რწარსა და დამწინაწი სრქარსა სეჩყოთველიყ, ყაყათააქენსა ხიქარაქ ამწინიყონ. გმსლ. 14;

3. SC. რჩეული მკედრები სამმდგომნი დაანთქნა ზღუასა მეწამულსა. B. რჩეული მკედრები და მთავრები და სპარაზენები დაინთქნა ზღუასა მას მეწამულსა.

Ἐπιλέκτους ἀναβάτας τριστάτας κατεπόντισεν ἐν ἐρσοῖς Θαλάσσης.

ყრწარსა რსბელიყ და ყაყათააქენსა რწყოქენსა ხიქარაქ გმსლ. 15,

დ) არის შემთხვევები, როდესაც ბერძნული დედნის სიტყვა უთარგმნელად არის შესული მცხეთურ ხელნაწერში. ასეთია, მაგალითად, მცხეთური ხელნაწერის „ეპავლეოს“ ბერძნული *ἐπαύλειος*¹⁰-ის შესაბამისად ოშკისა და ბაქარის ტექსტებში მის ფარდად წარმოდგენილია „ლელე“, ხოლო A და K-ში „უბე“.

1. SC. პოვნეს ივინი... და ცხენნი მათნი და ლაშქარი მისი წინაშე ეპავლეოსა პირის-პირ ველსეფონსა. OB. პოვნეს ივინი... და მკედრები და ყოველი ერი მისი წიად ლელესა მას პირის-პირ ბელსეფონსა. A. დაპყრენ ივი... უბებსა მას წინაშე ბელსეფონისა. K. დაიპყრენ ივი... უბებსა მას წინაშე ბერსეფონისა.

καὶ ἐπρόσαν ἀπτόν... καὶ οἱ ἰππεῖς καὶ ἡ στρατὶα ἀπτόν ἀπέβαναν τῆς ἐπαύλειος ἐξ ἐγαντίας Βεελεσეφον.

სე ყარწყინ ყრწათა... და რსბელიყ და ყრფ ნორა ყანყიმანსა ნანყრომანსა რწყოქარ რსბელიყონაქ გმსლ. 14,

2. SC. და მიიქცენ და წყობა-ყონ წინაშე ეპავლეოსსა საშუალ მაგდალოსა... O. მიიქცენ და განეწყენენ ივინი წინაშე ლელესა შორის მაგდალოსა. B. მიიქცენ და განეწყენენ ივინი წინაშე ლელესა შორის მაგდალოსა AK. მიიქცენ და დაიბნაყონ წინაშე უდაბნოსა მას შორის ზღვისა მის...

Καὶ ἀποστρέψαντες στρατοπέδουςάτωςαν ἀπέβαντι τῆς ἐπαύλειος, ἀνὰ μέσον Μαγδάλου.

სე ყარწყინსა რწანაჩხეყინსა ყქმ ყანყიმანსა ნანყრომანსა რწყოქარაქ...

ასევე უთარგმნელად არის დატოვებული ბერძნული *τό πέταλον* „ფილა“.

3. S. და ჰქმნა პეტალი ოქროსადა. AKC. და ჰქმნენ პეტალი ოქროსა წმიდისა. B. და ვქმნენ განქედლილი, თხელად ოქროსაგან წმიდისა.

Καὶ ποιήσεις πένταλον χρυσοῦν καμάρων.

ხ. არასყხის ჭიქხიჲნი ცოხიცი სრრცი გმსლ. 28₃₈

И сделай дощечку из золота. გმსლ. 28₃₈

ასევე უთარგმნელად არის შესული მცხეთურ ტექსტში ბერძნული „საწ-
ყაული“.

4. SC. შეკრიბეს სათანადოა ორ წილად ორი ღ ო მ ო რ ი თითმან. AK. შეკრიბეს საზრდელად წესი იგი ორი წილი მრჩობლი სა წყ ყ ა უ ლ ი ერთმან. O... იგი საზრდელად ორი წილი, მრჩობლი სა წყ ყ ა უ ლ ი ერთმან. B. შეკრი-
ბეს წესი იგი საზრდელად ორი წილი მრჩობლი სა წყ ყ ა უ ლ ი ერთმან.

συνέλεξαν τὰ ἕξοντα ὄσπλαξ, ὄσο γομορ τῶ ἔνι.

ძიოიყხეჲნი ფყეტანს ყრქინ ყრქოთ ჯაფი ათ ძი ძი

Собрали хлеба в...вое, по два гомгра на каждого. გმსლ. 16₂₂

ასეთივე სახითაა გადმოსული ჩვენს ტექსტში ბერძნული მითათჯ „დაქი-
რაეებულე“. ოშკისა და ბაქარისეულ ტექსტში კი ამ სიტყვის თარგმანია წარ-
მოდგენილი.

5. SC. ხოლო უკუეთუ მიზ დ უ რ ი იყოს, ეყოს მას ნაცულად მიზდისა
მისისაჲ. OBAK. უკუეთუ სასყიდლით დადგინებული იყოს, სასყიდლისა
მისისა წილ იყავნ მისა.

Ἐὰν δὲ μισθωτὸς ἦ, ἔσται ἀντὶ ἀντὶ τὸν μισθὸν ἀντὸν.

Ապա եթէ ի վարձու առեալ իყէ ընդ վարձու իւրոց իղիցի նա.

А если наемник он; то пусть будет это на счет платы его. გმსლ. 22₁₅.

აქვე შეიძლება მოვიყვანოთ პოდირი ბერძნული **πιοძჳრჳ** „გრძელი სამო-
სელი“.

6. SAKC. და ჰქმნა ქუეშეთ საცუმელი პ ო დ ი რ ი ყოვლად უაკინთო-
ვანი. B. და ჰქმენ შესასხმელი ფერკთა ყოვლად იაკინთონისა.

Καὶ ποιήσεις ἑπὶπέντην ποδῆρη ἄκκινθιον.

ხ. არასყხის ეთოაკის აცღუნაიორი ნამათი ჯაყოთაკ გმსლ. 28₃₁

7. SAC. და ქვანი სარდიონნი და ქვანი საწახნაგებელნი სამვართათს
და პ ო დ ი რ ი ს ა. O. და ქვაჲ სარდიონნი და ანთრაკები გამოსაქანდაკებულად,
სამვართათს და საწუვეთა. B. და ქვა სამარაგდონნი, და ანთრაკები, გამოქანდა-
კებულად და სამვართათს და საწვეველთა.

Καὶ λίνθους σαρδῶν καὶ λίνθους εἰς τῆν γλυσφῆν εἰς τῆν ἐπωμίδα καὶ τὸν
ποδῆρη.

ხ. საკანს სარფჩინისა ხ საკანს ფრცი ჯ ყირბ ქაქაჲსინ ხ ფაღუნაიორნი.
გმსლ. 25₇

8. SCA შესამოსელნი, რომელნი უქმენნ მკერდისა ზედა და სამვარო
და პ ო დ ი რ ი. B. და ესე სამოსელნი არიან რომელნი უქმენ მას სამკერდე,
და სამვრე და ფერკთა სასხმელი სამოსელი ფესუშდი...

Αἶ στολαί. Ἄς ποιήσῃσιν τὸ περιστερίδιον καὶ τῆν ἐπωμίδα καὶ τὸν ποδῆρη.

ხ. აჲი ორჩინაკ აკათამიდანანაჲნი' ფირ ათნჩიჲნი ფაღნ ნაიორნი, ხ ფა-
კას' ფოთიქ ხ ფანაჲრ. გმსლ. 28₄

ბაქარის ბიბლიაში ეს სიტყვა გადმოცემულია როგორც „შესასხმელი

ფერტა“: ამ მცდარი გაგების წყარო უნდა იყოს *პაძე, პიძე* სიტყვასთან ბგერობრივი სიახლოვე¹¹. ასევე უნდა გავიგოთ ოშკური ბიბლიის „საწვევ“.

ამ მონაკვეთში ბევრი ნასესხები სიტყვა სწორედ ბერძნულიდან შემოსვლის კვალს ატარებს; წარმოდგენილია რა არა იმ ფორმით, რომლითაც იგი გავრცელდა ძველ ქართულ ლიტერატურაში, არამედ ფორმით, რომელიც ბერძნული დაწერილობის ტრანსლიტერაციას ემსგავსება. ასეთებია, მაგალითად: საჰფირონი საფირონის ნაცვლად. ზმურნი მურის ნაცვლად.

9. SCKA. ვითარცა ნაქმარი ქვისა საჰფირონისა. BO. ვითარცა ქმნულებაჲ ალიზისაჲ ანთრაკი საფირონი.

შსე: ზჳციონ პღშთი შაჰჳეიროს.

ჩჳრჩი ყჳიჳრბაბ აჳჩისაჳი ჳაჳჩიჳაჳი გმსლ. 24¹⁰, 28¹⁸

10. SAC. და შენ მოიხვეენ სულნელი ყუავილი ზმურნისა რჩეულისა OB. და შენ მოიღე სულნელთაგან ყუავილთა მურისაგან რჩეულისა.

Καὶ σὺ λαβὲ ἤνθηματα, τὸ ἄνωθις σμῦρνης ἐκλεχτηῆς.

სე ჳო ას ჳჳე ჳათჳჳა ანთჳთანი ბაჳჩიღ ონთჳრ ოჳრინსისაჳი გმსლ. 30²³.

ე) ზოგჯერ „მცხეთურ“ ტექსტში ბერძნულიდან ნასესხებ სიტყვას ვხვდებით, მაშინ როდესაც სხვა ნუსხებში საკუთრივ ქართული სიტყვაა წარმოდგენილი ასეთებია:

ს. კალამი — OB. ლერწამი.

1. SAC. და შენ მოიხვეენ... კალამი სულნელთა. OB. და შენ მოიღე... ლერწამი სულნელი.

Καὶ σὺ λαβὲ... καλᾶμου ἐσθῆμας.

სე ჳო ას ჳჳე... ჳათჳნჩიჳჳეჳ ოანთიჳ გმსლ, 30²³, 25³¹, 32³³, 33³⁴, 35³⁵

SAC. სიკილა — BO. სასწორი.

2. SCA და შენ მოიხვეენ სულნელი ყუავილი ხუთასი სიკილა. BO. და შენ მოიღე სულნელთაგან ყუავილთა ხუთასი სასწორი.

Καὶ σὺ λαβὲ ἤνθηματα, τὸ ἄνωθις πεντακοσίους σιχλίου.

სე ჳო ას ჳჳე ჳათჳსი ანთჳთანი ოჩნე ოაჳჩიჳ ოჩიჳ. გმსლ. 30²³

SAC მიპრონი — BO ნელსაცხებელი.

3. SAC. და ჰქმნე იგი ზეთი საცხებელი წმიდაჲ მიპრონად მიპრონობითად ნაკელოვნებად მე მიპრონისად. O. და ჰქმნე იგი ზეთად საცხებელად წმიდად ნელსაცხებელად მენელსაცხებელთაგან კელოვნებისათა. მენელსაცხებელთაგან ნელსაცხებელთაგან B.

Καὶ ποιήσεις¹² αὐτὸ ἕλαιον χρῆσταις ἄγιον, μύρον μαρψικὸν τέχνη μαρψιν.

სე არათჳსი ოაჳნ ჳე ობოჳან აროჳქხან ჳე ოჩიჳჳე ოთ აროჳსოჳი ოაჳაჳიჳრბაჳ. გმსლ 30²⁵

SA. ტრაპეზი — BOC. საკურთხეველი.

4. C. და საკურთხეველსა ყოვლად დასაწველთასა. SA. და ტრაპეზისა ყოვლად დასაწველთასა. O. და საკურთხეველსა მას მსხუერპლთასა. B. და საკურთხეველსა მას საკმეველისასა.

Καὶ τῆς τραπεζᾶν καὶ πάντας τὰς σκεύη αὐτῆς.

სე ოჩიჳჳან ოჳჳაჳიჳჳე გმსლ. 30²³

SAC. პორფირი — BO. ძოწეული. ასევე უთარგმნელად არის დატოვებული მცხეთურ ხელნაწერში — პორფირი — BO ძოწეული.



6. SAC. ჯაკინთი, პორფიოი ძოწეული ორკეცი. O. იაკინთჲ და ძოწეული და მეწამული მრჩობლი. B. იაკინთე და ძოწეული და მეწამული მრჩობლი.

Και ἰάκυνθον καὶ πορφύραν καὶ ἰακύνθον ἑπισπυον.

სა ჯაკინთაჲს და პორფირაჲს და იაკინთაჲს გმსლ. 28^{გვ}, 26^{1,27}, 16²⁸, 28^{9,15}.

3). დაბოლოს, რამდენიმე ადგილი ავლენს ბერძნულ ტექსტზე აშკარა დამოკიდებულებას, რადგან ეს ადგილები შესაძლებელია გავიაზროთ მხოლოდ როგორც შესაბამისი ბერძნული ტექსტის არასწორი გაგების შედეგი:

1. SC. და პოენეს იგინი დაბანაკებულნი ზღუს კიდესა და ყოველი ცხენი და ეტლები ფაროსი და ცხენნი მათნი და ლაშქარი მისი. OB. და პოენეს იგინი ზღუსასა მას ზედა დაბანაკებულნი და ყოველი ჰუნეები და ეტლები ფაროსი და მკედრები და ყოველი ერი მისი.

AK... ეტლებითა მით ჰუნებითა მოადგეს და შევიდეს.

Και ἐπὸς αὐτὸν... καὶ παῖα ἦ ἵππος καὶ τὰ ἄρματα φαραῶ καὶ οἱ ἵπποι καὶ ἡ σφραγὶς αὐτοῦ.

სა ვაჰინ ვნითა... ამხნაჲნი ხრქიარჲ და კარჲ ფარაონი, და საბხაჲ და კარჲ ზორა გმსლ. 14^გ

აქ მთარგმნელმა არია ერთმანეთში სიტყვები: ἵππος, ὁ „ცხენი“ და ἵπποι; ἵπποι მრავლობითი რიცხვია ἵπποι, ზედ-დან „მხედარი“. OB-სა და სომხურში ეს სიტყვა სწორად არის გაგებული: „მკედრები“, *სახსარჲ*; SC-ში კი ნაცვლად მკედრებისა წერია „ცხენი“, რაც აზრობრივად არ უხდება წინადადებას. ასევე მთარგმნელის შეცდომა უნდა იყოს 21-ე თავის მეორე მუხლის „ნიჭი“.

2. SC. უკუეთუ მოიგო მონაჲ ებრაელი, ექუს წელ გმონებდეს შენ, ხოლო მეზედესა წელსა განვიდეს თავისუფალი ნიჭითა. AK. უკუეთუ მოიგოთ მონა ებრაელი ექუს წელ გემონებოდეს... განვიდეს შენგან თავისუფალი. O. უკუეთუ მოიგო მონაჲ ებრაელი, ექუს წელ გმონებდეს შენ, ხოლო მეზედესა წელსა განვიდეს შენგან თავისუფალი მტად. B. უკუეთუ მოიგო მონა ებრაელი ექუს წელ გმონებდეს შენ ხოლო მეზედესა წელსა განვიდეს შენგან თაჯ-ს-უფალი.

Ἐὰν ἀχίθη παῖδα Ἰβραῖον, ἐξ ἕτη ὄσπυσε: αὐ. τῷ δὲ ἐξ ὄσπυ ἕτε ἀπελευθερεται: ἕτε ἕτε ὄσπυ ὄσπυ.

ესმე ვნისეხა ძათაჲ სერაქიყი. ვქის ამ ძათაქიყეჲს და, და კამჩინ ვმხსრიყი ვნაყეჲს აკათა ღრი:

Если купить раба Еврея: шесть лет пусть служит он, а в седьмое пусть выйдет на волю даром. გმსლ. 21^გ.

როგორც ვხედავთ, აქ ლაპარაკია იმის შესახებ, რომ შექმნილი, ნაყიდი მონა უნდა ემონებოდეს ექვს წელიწადს, ხოლო მეშვიდე წელს უნდა წავიდეს თავისუფალი უსასყიდლოდ, მუქთად. აკ. შანიძის მიერ გამოცემულ ოშკის ბიბლიაში ამ მაგალითში სწერია: „...განვიდეს შენგან თავისუფალი მეტად“. ეს სიტყვა აკ. შანიძეს სქოლიოში აქვს ჩატანილი და წერს: „ასეა: ალბათ თავდაპირველ ტექსტში იყო მეტად, რაც ნიშნავს ძვ. ქართულში — უფასოდ. ბაქარის ბიბლიაში ეს სიტყვა სულ არ არის. ბერძნულ და სომხურ ტექსტებში კი არის: *ὄσπυ, ἄρη*, რაც ნიშნავს უფასოდ, ე. ი. მათი მნიშვნელობა იგივეა, რაც მეტადისა — უფასოდ, უსასყიდლოდ მუქთად.



მხოლოდ მცხეთურ ხელნაწერშია: განვიდეს თავისუფალი ნიჭითა. საიდან გაჩნდა აქ სიტყვა ნიჭითა? ჩვენ მიერ მოტანილ მაგალითს ეს სიტყვა აზრობრივადაც არ უდგება. საქმე იმაშია, რომ ბერძნულში *ნაყაძ* — ნიშნავს — უფასოდ, უმიზეზოდ, უბრალოდ. *ჩ ნაყაძ* — კი ნიშნავს — საჩუქარს. აშკარაა, რომ მცხეთური ხელნაწერის მთარგმნელს თუ რედაქტორს ეს ორი სიტყვა ერთმანეთში აურევია, მცხეთური ბიბლიის ნიჭი სწორედ იმავეს ნიშნავს, რასაც ბერძნული *ჩ ნაყაძ*. მაგრამ ბერძნულში სწერია არა *ჩ ნაყაძ* (როგორც S-ის ამ ნაწილის მთარგმნელს, თუ რედაქტორს ჰგონია), არამედ *ნაყაძ*. ამ შეცდომის საფუძველზე გაჩნდა მცხეთურ ხელნაწერში სრულიად უადგილოდ ნიჭი“.

3. S. წყობა ყვეს ანათომს შინა უდაბნზოდ მიმართ. O. და დაიბანაკეს. ათომს უდაბნოსა მას თანა. B. და დაიბანაკეს **ოთომს** უდაბნოსა მას თანა. A. და დაიბანაკეს **ოთომს** პირის პირ უდაბნოსა მას.

Βεταραιοπεμβαταχ εν Οθηι παρζ τήν ξερησιον.

რანასხეან კიჭიმ თა ანაყათინ.

И расположились станом в Ефаме в конце пустыни. გმსლ. 13₂₉.

აქ მოყვანილ მაგალითში გეოგრაფიული სახელი **ოთომ**, ათომ (მცხეთური ტექსტის გარდა) ყველგან ნარს გარეშეა. ვფიქრობთ S-ის ანათომ არის ბერძნულის *ენ ოთეი*, სადაც *ენ* წინდებული ფუძისეულად არის მიჩნეული.

III ნაწილი (XXX თავის 21-ე მუხლიდან ბოლომდე). ეს მონაკვეთი როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სომხური წყაროს გავლენის კვალს ატარებს. ასეთ გავლენას ვხედავთ ჩვენ შემდეგ მაგალითში:

1. S. აპა-ეგერა მიწოდებებს სახელით ბესელიელ, ძე ურისი, რომელი-იგი არს ოვრაი ტომისაგან იუდასი. O. აპა-ესერა მიწოდებებს სახელით ბესელიელ, ძე ორისი, რომელი-იგი არს ორეანი ტომისაგან იუდასისა. B. აპა ეგერა მიწოდებებს სახელით ბესელიელ ძე ურისი ძე უროვასი ტომისაგან იუდასისა. C. აპა უწოდე სახელით ბესელიელს ურისსა ძისა ურისსა ტომისა იუდასა. A. აპა უწოდე სახელით ბესელიელს ორისსა ძისა ორისსა ტომისა იუდასასა. K. აპა, უწოდე სახელით ბესელიელს ძისა ბეორისსა ტომისა იუდასსა.

Ἰθαε ἀνακλήηται ἐξ ὀνήματος τὸν Βεσελιηλ τὸν τῶν Ουρησιον τὸν ἀρ τήε ψαλήε ιαβδ.

Անաուդիկ კანთანე კიჯხესაլ է իմ գրեսելիქլ գորինան, գორիկ იկրայլ կագեք կագայլ.

Смотри, я назначаю именно Веселила, сына Урии, сына Ора, из колена Иудина. გმსლ. 31₂.

ამ მაგალითში ყურადღებას იპყრობს საკუთარი სახელი ორ. იგი ყველგან, გარდა „მცხეთური“ ტექსტისა, ორ-ის სახით არის წარმოდგენილი. „მცხეთურ“ ტექსტში კი ვაქვს ოვრაი. ჩვენი აზრით, მცხეთის ბიბლიის ამ ადგილის ოვრაი ზუსტი გადაღებაა სომხური *იკრავლ*-სი. სომხურშიც ამ საკუთარი სახელის სახელობითი ბრუნვის ფორმა არის *იკრ*, სადაც ბერძნული *ა* სრულიად კანონზომიერად გადმოცემულია *იკ* კომპლექსით. რაც შეეხება *აქ* დაბოლოებას, იგი ნათესაობითი ბრუნვის ფორმის დაბოლოებას წარმოადგენს. „მცხეთურმა“ ხელნაწერმა ეს ფორმა მიიჩნია სახელის ფუძედ

და გადმოიღო ამ სახით (ოვრად) ქართულში. ასევე ოშკის ო რ ე ა ნ ი ც მიღებული უნდა იყოს სომხური *արქსან* -ისაგან, სადაც *ხან* სომხურის კუთვნილების გამომხატველი აფიქსია. **ო** და **უ**-ს აღრევა კი ძველ ქართულში არცთუ იშვიათი მოვლენაა.

ო ვ რ ა ფორმის სომხური წყაროს გავლენით წარმოშობის სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტიც, რომ S-ის „გამოსლვათას“ იმ ადგილებში, რომლებიც ზემოთ ბერძნულთან დაკავშირებულად მივიჩნიეთ (17₁₀, 12) ეს საკუთარი სახელი ო რ ფორმით არის წარმოდგენილი. 31-ე თავის 21-ე მუხლიდან მცხეთურ ხელნაწერში თითქმის აღარ გვხვდება ბერძნულში გავრცელებული მიმღობური და ინფინიტური კონსტრუქციები. ყურადღებას იპყრობს ის გარემოებაც, რომ მთელი რიგი სიტყვებისა ამ მონაკვეთში განსხვავებულად იწერება. ჩვენ ამას იმით ვხსნით, რომ ბერძნული ტექსტი აღარ ახდენს გავლენას მთარგმნელზე თუ რედაქტორზე. ჩვეულებრივ, როდესაც ქართულ ტექსტს, კერძოდ მცხეთურ ხელნაწერს, ემჩნევა ბერძნულ წყაროზე დამოკიდებულება ბერძნული უ-ნი გადმოცემულია ხოლმე უ-თი. ასეა ეს „გამოსლვათა“ წიგნის იმ ნაწილში, სადაც უხვად არის წარმოდგენილი სხვადასხვა სახის ბერძნულზე, იქნება ის მიმღობური და ინფინიტური კონსტრუქციების ხმაარება, უთარგმნელად დატოვებული ბერძნული სიტყვები თუ სიტყვის მცდარად გვების ნიადაგზე წარმოშობილი ბერძნულზე. მაგ., ასეთია: ერუთრა — ჰრუპრძე, ვაკნთი — აკაკუშიძე, ბერილონი — მერსკისი, ებ. ამეთვსოს — მუჰუთაძე, ლევრი — ლეურისი, ზმერნი — შმურისი და სხვა. მაგრამ იქ სადაც აღარ ჩანს ბერძნულზე დამოკიდებულება, ამ სიტყვების დაწერილობაც იცვლება. მაგ., რომელიმე იაკინთი, რომელიც „გამოსლვათა“ წიგნში 25-ე თავის მეოთხე მუხლიდან გვხვდება ჭერ უ ი ა კ ი ნ -თ ო ს სახით: 25₄; 26₁; 4; 14; 36; 27₁₆; 28₅; 8; 15; 31; ხოლო 31-ე თავიდან წარმოდგენილია ი ა კ ი ნ თ ა დ: 31₅; 35₂₇; 36₈; 35; 37; 38₂₈; 31; 39 2; 3; 5; 8; 19; 20; 22; 3. როგორც ვნახეთ, II ნაწილში (XIII—XXX თავებში) არის ბევრი ბერძნული სიტყვა, რომელთაც საკუთრივ ქართული ეკვივალენტი მოეპოვებათ, მცხეთურ ხელნაწერში კი უთარგმნელად არიან დატოვებული. XXXI თავიდან ამ სიტყვათა ფარდად ქართულ სიტყვებს ვპოულობთ: „ძოწველია“ წარმოდგენილი 31₄-ს პორფირის ფარდად, 25-ე, 26-ე, 28-ე მუხლების ბ ი ს ო ნ ი ს ფარდად 36-ე თავის მე-11 მუხლში წარმოდგენილია „ზეზი“; XIII—XXX თავების ტ რ ა პ ე ზ ი ს შესატყვისად გვაქვს „ტაბლა“ (31₈, 35₁₃, 38₃₀, 39₂₀).

აღსანიშნავია ისიც, რომ „გამოსლვათა“ წიგნის XXXVI—XXXIX თავები მცხეთური ხელნაწერისა სექტუაგინტას ტექსტს აღარ წაჰყვა (და კარგად წაჰყვა სომხურ წყაროს). ა. ვ. შანიძე სწერს: „ამჟამად ათონური ბიბლიის ტექსტი იცემა ისე, როგორც ხელნაწერშია წარმოდგენილი. დაკლებული ადგილების შევსებაზე ხელი ავიღეთ, რადგანაც შევსება არსებითად არც შეიძლება. იმიტომ რომ მცხეთური ხელნაწერი ბიბლიისა — მთლად თუ არა, უმეტესად მაინც — სხვა რედაქციისაა და ალაგ-ალაგ მისი ტექსტი (მაგ., გამოსლვათა წიგნის უკანასკნელი თავები 36, 37, 38, 39) ისეა დალაგებული, როგორც ებრაულში და არა როგორც ბერძნულ პებდომეკონტაში“¹². მცხეთური ხელნაწერი მთლიანად ასეა დალაგებული სომხური წყაროს მეშვეობით¹³. და საქ-



მე ეხება აქ არა მხოლოდ ამ თავების დალაგებას, არამედ მათ დამოკიდებულებასაც უცხო წყაროზე. ასე მაგალითად: S. და ქმნა ბესელიელ კილობანი იგი სკულისაჲ ძელთაგან უღბოლველთა, ორ წყრთა და კერძო-სივრცე მისი, და წყრთა და კერძო -სივრცე მისი, და წყრთა და კერძო სიმაღლე მისი და შემოსა იგი ოქროათა წმიდითა შინათ და გარეთ. და აქმნა მას კიღენი ოქროსანი გარემოას გამოსლ 37_{1,2}.

O-ს აკლია ამ თავის დასაწყისში სამი მუხლი. შესაბამის ბერძნულ წყაროშია: *Καὶ ἐποίησεν Βεσελεηλ τὴν κίψατὸν καὶ κἀτεχρῶσασεν αὐτὴν χρῆσι(φ) κἀμῆρεθ̄* შათშენ კაი ჰჯაშენ (38_{1,2}).

მცხეთური ხელნაწერი გაცილებით ვრცელია, ასევე ვრცელია სომხური წყაროც. მცხეთური ხელნაწერის ტექსტი სიტყვა-სიტყვით მიჰყვება სომხურ ტექსტს: — *სა არარ რხსიქსქ ღთაყანაჲსჳს კანქათა ქათქიჲ ქიქიოჲ კანყნიოჲ ხ ჰ ქიქიოჲ ღერქანოქქინ ზიორა ხ ჰ კანყნიოჲ ხ ჰ ქიქიოჲ ღქანოქქინ ზიორა. ხ ჰ კანყნიოჲ ხ ჰ ქიქიოჲ ღერარქოქქინ ზიორა. ხ აჲათხაჲ ḡნა იიქიოჲ სრქიოჲ ზნერქიოჲ ხ ართაქიოჲ: სს არარ ზნა ბნიითა იიქიოჲ ჯარღანაჲსქი: 37_{1,2}*

И сделал Веселиил кавчег из дерева ситтим; два локтя с половиною длина его, и полтора локтя ширина его, и полтора локтя высота его. И облажил его чистым золотом изнутри и снаружи, и сделал к нему вокруг него золотой венец (37_{1,2}).

აქ ებრაული, სომხური და ქართული ე. ი. მცხეთური ხელნაწერი ერთ და იმავე რედაქციას წარმოადგენს.

ამ მონაკვეთში მცხეთური ხელნაწერის სომხურ წყაროზე დამოკიდებულებას გვავარაუდებინებს ისიც, რომ აქ გვხვდება სომხურთან საერთო ხმარების ლექსიკაც: ბანაკი — *ბანაკი* 32_{17, 19, 26, 27}; 33_{7, 8, 11}; ხარისხი — *სარქისი* 31₉; 35₁₁; 23, 24, 28; 35₃₀ 36₂₃; 24, 26, 30, 36, 38; 37_{3, 8, 10, 15}; 38_{17, 19, 30, 31}; 39₃₉; 40₁₆; ფელიცი — *ფიქიქი* 36_{11, 14, 12, 15, 16, 17}; ბუნი — *ბონი* 37₁₇; ამ მონაკვეთში მამაკაცის საკუთარი სახელები აბრაამ და არონ ქართულში ჰავთია გადმოცემული სომხურის მიმხრობი ფორმით: აპრონ — *სარონი* 31_{21, 22, 25}; 32₃₁; 34_{19, 19, 30, 35}; აბრაჰამ — *სერანამ* 33₁ და ა. შ.

ამრიგად, მცხეთური ბიბლიის (S) „გამოსლვათა“ წიგნი მეტად რთული შედგენილობისა აღმოჩნდა რედაქციულად. მასში გამოიყო რამდენიმე რედაქციული ფენა, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან როგორც სათარგმნი წყაროს თვალსაზრისით (I—XXX თავები, VIII თავის გამოკლებით, ბერძნული წყაროს გავლენის კვალს ატარებს, ხოლო XXXI—XXXX თავები სომხურისას) და სათარგმნის მეთოდისა და ხარისხის თვალსაზრისით I—XII თავებში სათარგმნი წყაროს გავლენა ნაკლებ თვალსაჩინოა, XIII—XXX თავებში კი სათარგმნის ხარისხი გაცილებით დაბალია, ბერძნულის გავლენა გაცილებით უფრო ნათელია.



შენიშვნები და დამოწმებანი

1. გამოვეყენეთ შემდეგი გამოცემები: Septuaginta, Id est Vetus Testamentum graecae iusta LXX interpretes, ed. A. Rahlfs, v. I, Stuttgart, 1935; The Old Testament in greek According to the Septuagint, ed. H. B. Swete, Cambridge, 1909. **საბაბაძაძის ანუ ქათანას წიგნი სურსკთასკარანსევი ქინსიხიქი** 1805 და 1666 წ. ამსტერდამს გამოცემული ვოსკანის ბიბლია. Священные книги Ветхаго завета в переводе с еврейскаго текста, т. I, Берлин, 1913.
2. ი. ე. დოჩანაშვილი, „მცხეთური ბიბლიის“ დაბადების წიგნის ბერძნობები, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1978, № 2.
3. ბ. გ. ი. ნ. ე. ი. შ. ვ. ი. ლ. ი. ც. კ. ი. კ. ვ. ი. ძ. ე, შესაქმის, გამოსვლათა და ლექსებათა შიგნით ქართული ვერსიები, „მრავალთავი“, II, თბილისი, 1971, გვ. 36.
4. პ. ინგოროყვას შენიშვნული აქვს S და A ხელნაწერების რედაქციული სირთულე. მისი აზრით S და A-ს „გამოსვლათა“ წიგნი ორი განსხვავებული რედაქციის გაერთიანებას, წარმოადგენს. ნაწილი შეიცავს ქართული ბიბლიის არქაული ვერსიის პირველი რედაქციის ტექსტს, ხოლო ნაწილი არსენი ივალთიელის ტექსტს. ი. ბ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, ტ. IV, თბილისი, 1978, გვ. 332, შენიშვნა 1 და 4; გვ. 339, შნშ. 2, და 3.
5. ლექციონარების ტექსტი გამოსაცემად მოახზადა ნ. მეღვიმევილა. ვსარგებლობთ მისი სადღესტავო ნაშრომით: ხუთწიგნული ძველი ქართული ლექციონარების მიხედვით (ტექსტი და გამოკვლევა), თბილისი, 1974. ♣
6. პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, ტ. IV, გვ. 339.
7. VIII თავის გამოკლებით. ამ თავის ტექსტის წინასწარმა შედარებამ ბერძნულ, სომხურ და ებრაულ ტექსტებთან გამოავლინა მისი მეტი სიახლოვე ებრაულ ტექსტთან.
8. Древнегреческо-русский словарь, составитель Н. X. Дворецкий, Москва, 1958, გვ. 909.
- 9 W. P a r e, Grichisch-deutsches Handwörterbuch, II ტ. 1838, გვ. 477. Wunderbar machen, zum Gegenstand der Bewunderung machen LXX.
10. *ἐπιστῆς, ἠδῆ* — поместье, двор, сельская вилла или хижина, стойло; вообще жилище. Древнегреческо-русский словарь, М., 1958.
11. თ. ც. ე. ი. შ. ვ. ი. ლ. ი. ე. ბიკიელის წიგნის ძველი ქართული ვერსიები, თბილისი, 1976, გვ. 255—256.
12. წიგნი ძეგლისა აღმტუმისანი, ტ. I, ნაკვეთი 1, გვ. VII, გამოსცა ა. შანიძემ, თბილისი, 1947.
13. ილია აბულაძე, ქართული ბიბლიის ძველი ხელნაწერის რამდენიმე ფურცელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XVIII, 1941, გვ. 151.

Е. И. ДОЧАНАШВИЛИ

К ТЕКСТУАЛЬНОЙ И РЕДАКЦИОННОЙ ХАРАКТЕРИСТИКЕ КНИГИ «ИСХОД» «МЦХЕТСКОЙ БИБЛИИ»

Резюме

Книга Исход т. н. «Мцхетской Библии» (отредактированной С. С. Орбелиани версии грузинской Библии) является неоднородной с редакционной точки зрения. Сравнение с другими древнегрузинскими библейскими рукописями¹ и греческим, армянским и еврейским

¹ А — рукопись Н — 1207 Ин-та рукописей им. К. Кекелидзе, К — рукопись № 28 Кутаисского историко-этнографического музея; С — рукопись А — 179 Ин-та рукописей; О — ошская или афонская рукопись; Б — Библия, изданная царевичем Бакаром в Москве в 1743 г.; S — «Мцхетская Библия» рукопись А—51 Ин-та рукописей.



текстами позволяет выделить в этой книге четыре редакционных слоя: 1. Первый слой составляют первые семь глав. Представленный тут текст совпадает с редакцией, которая имеется в А и К, имеет незначительные варианты отличия от О. Установлены следы влияния греческого оригинала. 2. Второй слой составляет текст с VIII главы по XXXVII стих XII главы; совпадает опять с А и К, но значительно отличается от О и С. Значительно отличается и от греческих и армянских текстов. Из этих глав VIII проявляет близость с еврейским текстом; IX—XII главы из грузинских версий Библии находят параллель только в древнегрузинских лекционариях Парижа, Латаля, Сины. Эти главы также проявляют следы влияния греческого оригинала. 3. Третий слой — с XXXVII стиха XII главы по XXI стих XXX главы; тут S отличается от АК и О и близок с С, т. е. с гелатской версией грузинской Библии. Эта редакция характеризуется изобилием гречизмов. 4. Четвертый слой: с XXI стиха XXX главы до конца книги. Эта часть относится к той же редакции, что и О с незначительным вариантным отличием. В отличие от первых трех слоев тут имеются арменизмы и нет гречизмов.

В статье дается подробная характеристика каждого из четырех означенных редакционных слоев и приводится материал, свидетельствующий о греческом (первые три слоя) и армянском (четвертый слой) источниках переводов соответствующих редакций.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არმენოლო-
გის კათედრა
წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
მისწევრ-კორესპონდენტმა ე. მეტრეველმა



თ ა მ ი ლ ა გ ა ლ ო გ ლ ო ფ ი ლ ი

უძველეს ქართულ მრავალთავებში დაცული ზოგიერთი საკითხავის წყაროს საკითხი

უძველეს ქართულ კრებულებში „მრავალთავებში“ დაცულია IV საუკუნის ცნობილი სასულიერო ავტორის კირილე იერუსალიმელის ჰომილიათა (სიტყვები „ვანცხადებისათვის“) ძველი ქართული თარგმანები. ეს ჰომილიები შემონახულია ასევე ქრისტიანული აღმოსავლეთის მრავალ ენაზე (ბერძნული, პალესტინური სირიული, არაბული, კობტური და სომხური).

უძველეს თარგმანთა განხილვისას გამოიყო საკითხავთა ორი რედაქცია: 1. არაბული, კობტური; 2. ბერძნული, ქართული, სომხური და პალესტინური სირიული ტექსტის ფრაგმენტები.

არაბული და კობტური ვერსიების შესწავლის შედეგად აღმოჩნდა, რომ საქმე გვაქვს ისეთ რედაქციასთან, რომლის წყაროდაც არ შეიძლება ჩაითვალოს დღეისათვის ცნობილი ბერძნული რედაქცია. ბერძნული რედაქციისაგან ორივე ეს ვერსია სხვაობს არა მარტო საკითხავთა რაოდენობითა და რიგით, არამედ შედგენილობისა და სიუჟეტის მხრივაც. ყოველივე ამის გამო არაბული და კობტური თარგმანი ცალკე რედაქციად გამოიყო, როგორც სრულიად დამოუკიდებელი და განსხვავებული მეორე რედაქციის სხვა უძველესი თარგმანებისაგან.

ქართულ ენაზე არსებული ტექსტების წყაროს დადგენის მიზნით აუცილებელი იყო მეორე რედაქციის თითოეული ვერსიის გათვალისწინება. კირილე იერუსალიმელის „სიტყვათა“ პალესტინური სირიული ვერსია ჯერ კიდევ არ არის მთლიანად შესწავლილი, გამოქვეყნებული ტექსტები ფრაგმენტურია. ამის გამო, სამწუხაროდ, არ მოხერხდა მთლიანად ქართული ტექსტის შედარება პალესტინურ სირიულ თარგმანთან. ფრაგმენტებთან შეპირისპირებისას კი ქართულში არ აღმოჩნდა არავითარი კვალი პალესტინური სირიული ვერსიის გავლენისა.

ქართული თარგმანი მთლიანად შედარდა ბერძნულ რედაქციასა და სომხურ თარგმანს.

კირილე იერუსალიმელის „სიტყვათა“ ბერძნული ორიგინალისათვის ძირითადად ვისარგებლეთ აბატი მინის მიერ გამოცემული ტექსტით, ამასთანავე ვაეითვალისწინეთ სხვა გამოცემებიც¹.

სომხურ თარგმანთან შეჯერებისას გამოვიყენეთ მხითარისტა მიერ 1832 წელს გამოქვეყნებული ტექსტი².

ქართული რედაქციის შესწავლით გამომტკავნდა, რომ ქართულ თარგმანში მოიპოვება სომხურთან საერთო ხმარების რამდენიმე სიტყვა. ასე მაგ.:

ქ ა რ თ უ ლ ი	ს ო მ ხ უ რ ი	ბ ე რ ძ ნ უ ლ ი
1. ნავი	ნაჲ	εβ παγειω
2. პატივი	ჲჲჲჲჲჲ	εβ ζενιαμα



3. ავაზაკი	აღაყაყი	ბ ლეთჩე
4. ჭემპარიტი	ბღაყარაჩი	ბღეშინჯ
5. ჰასაკი	ჰასაყი	ჩე ჩესჩინა
6. ვარშამავი	ქაყარამაყი	ტბ თეჰაქსინთავ

მაგრამ ამ მაგალითების საფუძველზე შეუძლებელია დაეუშვათ, რომ კირილე იერუსალიმელის თხზულებანი სომხურიდან არის თარგმნილი, ვინაიდან ეს სიტყვები უცხო წარმოშობისაა და ქართულ ენაში აღრიდნენ არის დამკვიდრებული⁷. ნათარგმნ ძეგლებში უცხო სიტყვების ხმარებასთან დაკავშირებით სანტერესოა ე. ვარიტის მოსაზრება: ზოგიერთი უცხო სიტყვის ხმარება ტექსტში სრულიადაც არ არის თარგმანის მიმანიშნებელი, რადგანაც თუ ეს სიტყვა ხშირად იხმარება ენაში, იგი ამ ენის საკუთრებაც არის⁸.

ქართული ტექსტების შეჯერებამ ბერძნულ და სომხურ რედაქციებთან შესაძლებლობა მოგვცა გამოგვეთქვა მოსაზრება, რომ ქართული ტექსტი ბერძნულიდან მომდინარეობს (ერთადერთი საერთო ქართული თარგმანისა სომხურ ვერსიასთან მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილი ექვსი სიტყვაა). ამ მოსაზრების დასადასტურებლად განვიხილავთ შემდეგ მაგალითებს:

I. იდეოლოგიური ერთიანობა ბერძნულთან და სხვაობა სომხურ თარგმანთან.

ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ პირველი საუკუნეებისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია ქრისტიანი თეოლოგების ბრძოლა როგორც არაქრისტიანულ რელიგიებთან, ასევე თვით მის წრეში აღმოცენებულ სხვადასხვა ქრისტიანულ მწვალებლობასთან. რა თქმა უნდა, კირილე იერუსალიმელი, როგორც იერუსალიმის ეპისკოპოსი და ნიკეის სიმბოლოს დამკველი, გვერდს ვერ აუვლიდა საკამათო საკითხებს.

არიანელთა დამარცხების შემდეგ აღმოსავლეთში ფეხი მოიკიდა ნახევრად არიანულმა მიმდინარეობამ — მაკედონიანიზმმა⁹. მაკედონიანიზმის მიმდევარნი აღიარებდნენ წმ. სამებაში მამისა და ძის ღვთაებრიობას, ხოლო „სული წმიდას“ კი უგულვებელყოფდნენ. IV საუკუნეში „სული წმიდის“ შესახებ არსებულ პოლემიკას შესანიშნავად ახასიათებს გრიგოლ ნაზიანზელი: «Что касается до мудренов нашего века,—пишет он,—то одни почитают Его (Духа) действованием, другие—тварью, иные Богом: а иные не решились сказать о Нем ни того, ни другого из уважения, как говорят они, к Писанию, которое будто бы ничего не выразило о сем ясного, почему они не чтут и не лишаст чести Духа, оставаясь к Нему в каком-то среднем, вернее же сказать, весьма жалком расположении»¹⁰.

მაკედონიანიზმმა დიდი გავრცელება და გამოხმაურება პოვა აღმოსავლეთ ქრისტიანულ სამყაროში — განსაკუთრებით კი იმ ადგილებში, სადაც განმტკიცებული იყო არიანობა და ანტიოქიის ეკლესიის გავლენა. ეს მიმდინარეობა საბოლოოდ უარყოფლი იქნა კონსტანტინოპოლის მეორე მსოფლიო კრებაზე (381 წ.), რომელსაც 36 მაკედონიანელი ესწრებოდა.

მაკედონიანიზმის წინააღმდეგ არის მიმართული კირილე იერუსალიმელის მეჩვიდმეტე სიტყვა „განცხადებისათვის“, რომელიც იცავს „სული წმიდის“ ღვთაებრიობას — რომ იგი ერთარსია მამისა და ძისა.

კირილე იერუსალიმელის თხზულებათა სომხური თარგმანის შესახებ სა-

სომხურში ეს ადგილი საერთოდ გამოტოვებულია¹⁶.

ის ფაქტი, რომ სომხურ თარგმანში წმ. სამების ხსენებისას ზოგიერთ შემთხვევაში მაინც ვხვდებით „სული წმიდის“ ცნებას, ჩვენი აზრით, ორი გარემოებით შეიძლება აიხსნას. უპირველეს ყოვლისა გასათვალისწინებელია რომ ხელთ არა გვაქვს პირვანდელი სომხური ტექსტი: ხელნაწერები, რომელთაც ეს თარგმანები შემოგვინახეს, გვიანდელია. მხოლოდ ერთ მეცხრე საუკუნის ხელნაწერშია დაცული კირილე იერუსალიმელის „სიტყვათა“ სომხური ტექსტის ფრაგმენტები. ამრიგად, სრულიად დასაშვებია, რომ ჩვენთვის ცნობილი ტექსტი რედაქტორის მიერ იყოს გაჩაღებული. მეორე მხრივ, უფრო მეტად მოსალოდნელია, რომ თვით სომეხ მთარგმნელს გაეპარა ეს შეცდომა სრულიად უნებლიეთ, ყოველგვარ იდეოლოგიურ მოსაზრებათა გარეშე.

სომხური თარგმანისათვის ასევე დამახასიათებელია მონოფიზიტური დოქტრინის მტკიცე დაცვა. მონოფიზიტობის აღმსარებელთა აზრით, ქრისტეში მხოლოდ ღვთაებრივი სუბსტანციაა¹⁷. ისინი ქრისტეში უარყოფენ „ნამდვილი, სრული ადამიანის ხორციელ ბუნებას და მის ჰიპოსტასში მხოლოდ ღვთაებას ხედავენ“¹⁸.

მართლმადიდებლები კი მონოფიზიტთა საწინააღმდეგოდ ქრისტეში ორბუნებოვანებას აღიარებენ. მათი აზრით, ქრისტეში სრულად არის წარმოდგენილი როგორც ღვთაებრივი, ასევე კაცობრივი სუბსტანცია.

მეოთხე საუკუნის ავტორისათვის — კირილე იერუსალიმელისათვის, რა თქმა უნდა, სრულიად გამორიცხულია საკუთარ თხზულებებში მონოფიზიტობის დაცვა ან მისი გამიჯვნა დიოფიზიტობისაგან. ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს ქართულ თარგმანშიაც.

მაგრამ სომხური თარგმანის განხილვის შედეგად გამოქვამდა ორი შემთხვევა, რომელიც გვაფიქრებინებს, რომ სომეხი მთარგმნელი მონოფიზიტური დოქტრინის მტკიცე დამცველი იყო და ყოველ იდეოლოგიურად საეჭვო ადგილს უარყოფდა ტექსტში.

1. „მან მე მაღიღოს, რამეთუ ჩემგან მიიღოს და გითხრას თქვენ: ყოველივე, რომელი აქუს მამასა, ჩემი არს. ამისთვის გრქუა თქვენ, ვითარმედ ჩემგან მიიღოს და გითხრას თქვენ: აწ თუთ მხოლოდ-შობილისა სიტყუანი აღმოიკითხენ შენ, რაათა ერჩედ შენ კაცობრივთა სიტყუათა“ (A—144, გვ. 239).

ბერძნულში გვაქვს: Ἐκείνος. ἐμὲ διδάξει, ὅτι ἐκ τοῦ ἐμοῦ λήψεται, καὶ ἀναγγελεῖ ἡμῖν. Πάντα ἕνα ἔχει· ὁ Πατήρ, ἐμὰ ἑαυτῶν· διὰ ταῦτα εἶπον ἡμῖν, ὅτι ἐκ τοῦ ἐμοῦ λήψεται, καὶ ἀναγγελεῖ ἡμῖν. Ἀπὸ τοῦ τοῦ Μονογενοῦς νῦν ἀνέγνωσθε τοὺς φωνὰς, ἵνα μὴ προσέχητε ἀνθρώπινους ῥήμασι (col. 984).

ამ საკითხავის სომხურ თარგმანში ეს ნაწილი მთლიანად გამოტოვებულია.

2. „აწ ესე ხატად ჩუენდა იქმნა კაცად, იგივე თავადი ღმერთ არს, კაცი ხილვითა და ღმერთი ცნობითა, სრული სრულისაგან, მამისა არსებაჲ აქუს, ვითარცა ხატი არს ღმრთეებისა უფლებისაჲ...“ (A—95, გვ. 419).

ბერძნულში: ...καὶ νῦν αὐτὸς κατ' εἰκόνα τῆν ἡμετέραν γενόμενος ἀνθρώπου. Ἄνθρωπος, ἀλλὰ μὴ καὶ Θεὸς ὁ αὐτός· ἀνθρώπου τὸ ἄρρωμενον. Ἐὸς ὡς καὶ ἄνθρωπος αὐτὸς μετὰ τῶν ἐμῶν, ἵνα μὴ καθαρίσας τὸ σῶμα Θεὸς. τὸ νοούμενον, τέλος ἐκ τελείου Πατρὸς τῆν οὐσίαν ἔχω. Ὁς ἐν μορφῇ Θεοῦ σπάρχων δεσποτικῶν... (col. 1197).

ეს საკითხავი საერთოდ არ არის თარგმნილი სომხურად.

ზემოთ აღნიშნული ამ ორი შემთხვევის ახსნა შესაძლებელია მხოლოდ იმით, რომ სომეხი მონოფიზიტური მრწამსის აღმსარებელი მთარგმნელისათვის სრულიად გამორიცხული იყო ქრისტეში ორი ბუნების აღიარება (ამ შემთხვევაში კაცობრივი სუბსტანცია), საწინააღმდეგოდ დოფიზიტური დოქტრინისა.

კირილე იერუსალიმელის „სიტყვათა“ ბერძნულ-ქართულსა და სომხურ ვერსიათა შორის არსებული იდეოლოგიური სხვაობა ნებას გვაძლევს ქართული თარგმანისათვის გამორიცხოთ სომხური როგორც წყარო.

II. კირილე იერუსალიმელის „საკითხავთა“ ქართული თარგმანის წყაროს დადგენის მიზნით საინტერესო მასალას იძლევა აგრეთვე პირთა და გეოგრაფიული სახელები, კომპოზიტები, ბიბლიის ზოგიერთი წიგნის ციტრება, სიტყვათა რიგი ქართულ თარგმანში და სხვა. ყველა ამ ფაქტის გათვალისწინება ადასტურებს, რომ ქართული თარგმანი ბერძნულიდან მომდინარეობს.

1. პირთა და გეოგრაფიული სახელები. თარგმანის წყაროს დადგენისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება საკუთარ სახელებს. „საკუთარი სახელები ლექსიკის ერთადერთ ელემენტს წარმოადგენს. რომლის გამორიცხვაც შესაძლებელია თარგმანიდან, მაგრამ მხოლოდ ამ შემთხვევაში, თუ მათ ამოსავალი ენიდან ხმარების განსხვავებული ფორმა არ მიუღიათ“¹⁹.

ქართული თარგმანის განხილვისას ტექსტში აღმოჩნდა რამდენიმე საკუთარი სახელი — პირთა და გეოგრაფიული, რომელთა ხმარებაც ჩვენს ტექსტში მოცემული ფორმით მხოლოდ ბერძნული დედნის ზეგავლენით შეიძლება აიხსნას, მაგ.:

ფ ა რ ა ო — ბ Φ α ρ α ὺ — Φ α ρ α λ ο ι φ η „განთავისუფლებამ ისრაელი-სა და ფარაონს გან ზღვთა მით და განთავისუფლებამ ცოდვთაგან განბანითა მით წყლისაგან სიტყვათა“ (სინ. მრავ., გვ. 85).

...ἐλευθερία τῶν Ἰσραὴλ ἀπὸ τοῦ Φαράου διὰ τῆς θᾶλάσσης, καὶ ἐλευθερία ἀμαρτιῶν τῶν ἁσμεῖν διὰ τοῦ λουτροῦ τοῦ ὕδατος... (col. 433).

Աղատուխին իսրայելի 'ի ձեռաց Փարաւոյնի 'ի ձեռն մոխսիկ ընդ ծովն. և ագատուխին միգաւորաց աշխարհս 'ի ձեռն ջուրք աւաղանին... (გვ. 33).

ტ ა ბ ი თ ა — T α β ι θ α — Ἰ α ρ ι θ α

„წამებს აღდგომისა ქრისტესისა, რომელ-იგი სახელითა მისითა მკურდრეთით აღდგა ტაბითა“ (სინ. მრავ., გვ. 166).

Μαρτσαρὲ τῆ ἀναστάσει τοῦ Ἰησοῦ, καὶ ἡ ἐν τῶ ὀνόματι αὐτοῦ ἐκ νεκρῶν ἐγερθεῖσα Tαβιθά (col. 856).

վկայէ վարաւիւնն Քրիստոսի, և որ լանոն նորա 'ի մեռելոց վարուցեալ Ἰարիթալն (გვ. 293).

ნიკოდემოს — ნ ი კ ო დ ე მ ო ს — ნ ი κ ო δ ῆ μ ο ς — ნ ი κ ო θ ῆ μ ო ς

„და მოილო ნიკოდემოსს მური და ალო“ (სინ. მრავ., გვ. 160).

... καὶ ὁ Νικῶδῆμος φέρων μίγμα σμύρνης καὶ ἄλτης (col. 837).

և նիკոթემოს, ასე, ხსნ ხერხი ვაითა და ზოლთ ქათნსაჲლ (გვ. 282).
ლ უ ს ტ რ ა, კ ი ლ ი კ ი ა, გ ა ლ ა ტ ი ა, ფ რ ი გ ვ ა, მ უ ნ ს ვ ა, ფ ო ბ ე.

„...ლუსტრას შინა მკვლობელისა განკურნებამ, კილიკიას და გ-

ლატიას, ფრიგვიას და მუნსუნას ფილიპეს შინა ქადაგებდა...“ (A—144, გვ. 254).

... και τὰς ἐν λυστροῖς ἐπὶ τῆς τοῦ χαλσὸν θεραπειᾶς· και ἐν Κελικίᾳ, και Φρυγίᾳ, και Γαλατείᾳ, και Μυσίᾳ, και Μακεδονίᾳ· ἢ τὰ ἐν Φιλίππειοις τὸ κήρυγμα λέγω... (col. 1001).

...*სქტე* 'ი *ფაფაქინ* *ლხთარაგლიც* 'ი *ქირაქ* *სიფნიც* *მძღოქხან*, *ყუფანჯღიჩინ* *კირლიქიყლიც* *ყფიქიყაყლიც*. *ჩაქ* *ყ* *ფაყაათაყლიც* *ყნ*, *ჩაქ* *ყ* *ლხთარაგლიც*, *ჩაქ* *ყ* *საქიქიქიყაყლიც*. *ხ* *კამ* *ყაყნ* *ათაყიყ*, *ირ* 'ი *მქ* *ფიქიქიყაყლიც* *ყარიქიქინ* *ქრ*. (გვ. 388—389).

სპანია — Σπανία — სომხურში არ არის.

„შენ, კაცისა მცირეკისა და უძღურისა შორს არს გუთეთი და ჰინდოეთი და სპანია იგი სპარსეთ არს“ (A—144, გვ. 114).

Σοί, τῶ ἀνθρώπῳ μακροτέτῳ ὄντι και ἀθνηεῖ, μακρὰ τῆς Γοτθίας ἢ Ἰνδοκί, και Ἰσπανία [ვარიანტში არის Σπανία] Περσίδος (col. 1020).

ქხე *მარქი* 'ი *ყაყ* *ათის*, *ქიქრ* *ხ* *სქარ* *ხ*, *ხაქ* *ჩინქოქ* *აჯსარნ* *ხ* *ნყიყ* *ხ* *მქყ* *ხ* *ყარაქიყ* (გვ. 400).

გეოგრაფიულ სახელთაგან მეტად საინტერესოა ბერძნული ეთიოპიის (აქედან ეთიოპელი) გადმოღება ქართულ ტექსტებში. ბერძნულ ორიგინალში დადასტურებული *Αἰθιοπία*-ს (ეთიოპია) შესატყვისად ქართული თარგმანი იყენებს ჰინდოეთს, *Αἰθιοπια*-ს (ეთიოპელი) კი თარგმნის როგორც ჰინდოს. შესაბამის სომხურ ტექსტში კი ბერძნული *Αἰθιοπία* ზოგჯერ გადმოტანილია როგორც ეთიოპია, ზოგჯერ — როგორც ინდოეთი. მაგ.: „ხოლო მან ასწავა ჰინდოსა მას და ნათელსცა ჰინდოეთა, ქრისტესა ქადაგებდა წარაგლინნა, ვითარცა-იგი წერილ არს: „ჰინდოეთა ესწრაფენ ჯელისა მიცემად ღმრთისა, მერმე აღიტაცა იგი ანგელოზისა მისგან, და ქალაქსა მას მიმოვიღოდა და ქადაგებდა ქრისტესა — (A—144, გვ. 249).

... δὲ ἀξᾶς τὸν Αἰθιοπία, και βαπτίσας, και εἰς τῆς Αἰθιοπίαν Χριστοῦ κήρυκα πέμψας, κατὰ τὸ ψευραμμένον. Αἰθιοπία προφθάσει χεῖρα αὐτῆς τῶ Κυρίῳ και ἄρπασθεῖς ὑπὸ τοῦ ἀγγέλου, τὰς ἐφεξῆς πύλεις εὐγγელίζετο (col.) 997).

...*მათხა* *მარბხეა* 'ი *კათინ*, *ხ* *მქრთხაყ* *ყსქქიქიყაყიხ*: *ხ* *ათარხაყ* *ყარიყ* *ქაჯსარნ* *ხ* *ქქიქიყაყლიც*, *ირაყ* *ხ* *ყრქაქ*. *ხ* *ნყიქიქ* *ქაჯსარაყიჩ* *ძინ* *ათაყენ* *ათ* *სათათაძ*: *ხ* *ყარბხაქ* *ქაქიქოქიყაყ* 'ი *ხრქოთაქ* *ანთიქ*, *ხ* *ქაქ* *ყაყარენ* *ათსარარნქრ* (გვ. 384)

როგორც ვხედავთ, ბერძნულ რედაქციაში დამოწმებული ეთიოპიისა და ეთიოპელის შესატყვისად სომხურ თარგმანში ხან ეთიოპია-ეთიოპელი გვაქვს, ხან კი ინდოეთი-ინდოელი. — ქართულ რედაქციას კი ბერძნული ეთიოპია-ეთიოპელი ყოველთვის ვაღმოაქვს როგორც ჰინდოეთი-ჰინდო.

კირილე იერუსალიმელის „სიტყვათა“ ქართულ თარგმანში ბერძნული ეთიოპია-ეთიოპელის ვაღმოცემა როგორც ჰინდოეთი-ჰინდო მუდამ სტაბილურია და არ არის დამოკიდებული ამავე „სიტყვათა“ რომელიმე სხვა თარგმანზე. თვით ქართულისათვის ეთიოპია — ჰინდოეთისა და ეთიოპელ — ჰინდოს აღრევა უჩვეულო არ უნდა იყოს. იოანე ღმრთისმეტყველის ცხოვრების ერთი და იმავე ტექსტის ორ სხვადასხვა რედაქციაში ბერძნული ეთიოპელის შესატყვისად ერთგან იხმარება ეთიოპელი, მეორეგან — ჰინდო.



ამ ტექსტის ექვთიმე ათონელის მიერ შესრულებულ თარგმანში გვაქვს—
 ჰინდოა: „ხოლო მან თქუა: ოუვალო, ვითარ ვიბანებოდე მე, კაცი ჰინდოა
 მოვიდა და მომწითო მე“²⁰. ტექსტის მეორე რედაქციაში არის ეთიოპელი:
 „პრეტა ჰანტემან: უფალო, ვითარ ვიბანებოდე აბანოსა შინა, აღმოვიდა კაცი
 ეთიოპი ემბანისაგან და მომარჩო“²¹.

კომპოზიციები. კირილე იერუსალიმელის თხზულებათა ქართულ თარგმან-
 ში დადასტურებულ კომპოზიციათა უმრავლესობა ბერძნული დედნის გავლე-
 ნით არის შედგენილი. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

კლიტი-მპყრობელი—ილინიჲსი—ფილიპი

„ძალითა სულისა წმიდისათავე წინამძღუარმან მოციქულთამან და კლი-
 ტი-მპყრობელმან სასუფეველისა ცათამამან პეტრე ლუდას შინა,
 რომელსა ჰქვან დიოხ ქალაქ. განრღუეული ენია განჰკურნა (A—144, გვ. 250).

Ἐν τῇ θύρᾳ: ἐν τῷ ἀντὶ ἄριστον Ἰνεύματος, καὶ ὁ πρωτοστάτης τῶν
 ἀποστόλων καὶ τῆς βασιλείας τῶν οὐρανῶν ἰλινοῦσι Πέτρος, ἐν ἰσχυρῇ
 μὲν τῇ ὕψι Διοσχοῦ, ἐν τῷ ἰσχυρῇ, Χριστὸς τὸν παραλυτικὸν Ἰνέον ἐθε-
 ράπισεν (col. 997).

სანა სათავისოვენი ათავსივი ფილიპიანი ირჩივი ახორთი ἱ ფა-
 ჟიანი ქრისტიანი, ორ აქტივი ირამიანი ფაჯაჲ კიხიანი ἱ, ἱანიანი
 მრათი მრათიანი განყოფილნი იმჩივი ქარითანი (გვ. 385).

შესაკრებელ-თმთავარი—ბრჯისუნი—განანანი

„ხოლო წარმოვიღოთ აწ ასულისა მისთვის შესაკრებელთ —
 მთავრისა (A—144, გვ. 122).

... პარაფრეზისა ὕψι ἱ ἰσχυρῇ τῷ ბრჯისუნი

... პარაფრეზისა ὕψι ἱ ἰσχυρῇ τῷ ბრჯისუნი (col. 1036)
 მკრეხივი ἱ ἰსχυრῇ განანანი (გვ. 411).

თანამოსაყდრე—ბმბრონი

თანამოსაყდრე—ბმბრონი
 თანადიდებულნი—ბმბრონი
 „ესე არს, რომელი არს და პირველ იყო და მარადის მამისა თანა მყოფ
 არს. ერთი არსებია, თანამოსაყდრე, თანადიდებულნი“ (A—95,
 გვ. 418).

Ὁντὸς ἐστιν ὁ υἱ, καὶ πατὴρ, καὶ ἀπὸ τῶν Πατρὶ συμπαρῶν· ἰσοῦστος,
 ἰμῶντος, ἰμῶντος... (col. 1196).

ამ ტექსტის სომხური თარგმანი არ არის.

თანამზრახველი—ბმბრონი

„პრეტან მის სახელი დიდისა ზრახვისა ანგელოზი საკრველი, თანა-
 მზრახველი. დემოთი ძლიერი და კელმწიფე, მთავარი მშულობისა, მამა
 მერმეთა მათ საუკუნეთა“ — (A—95, გვ. 419).

... καὶ καλεῖται: τὸ θῆμιον ἀντὶ μὲγλης βουλης ἄγγελος· θυμαστος,
 σύμβουλος, Θεὸς ἰσχυρὸς, ἐξουσιαστικὸς (ὁ Ἰσραήλ), ἄρχων εὐρίτης, πατήρ
 τῶν μέλλοντος αἰῶνος. (col. 1197—1200).

სომხურში არ არის.

კელით-წერილი—ბმბრონი

„გუელი შემუსრა, შუვა კედელი განუქეთა, ბოროტი კელით-წერი-
 ლი განხეთქა, ცოდვა დათრგუნა, საცთური განაქარვა, ადამი აცხოვნა, ევა
 კულად შექმნა, წარმართთა მიუწოდა, სოფელი განანათლა“ (A—95, გვ. 421).

... τὸν ὄψιν συνέτριψε, τὸ μεσῶτοιχον διέκοψε, τὸ πονηρὸν χεῖρ ἰσχυρῶν
 τῶν ἁμαρτιῶν διέβρῆξε, τὴν ἁμαρτίαν ἐπάτησε, τὴν πλάγη κατέλυσε. τὴν
 9. მ. ც. ნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1980, № 1

κτίσιν ἀνέστησε. Τοῦτο τὸ παιδίον τὸν Ἀδᾶμ διέσωσε, τὴν Ἐὖαν ἀνέπλασε, τὰ
ἔθνη ἐκάλεισε, τὸν κόσμον ἐφᾶτισε (col. 1201).

სომხურში არ არის.

III. ციტატები ბიბლიის წიგნებიდან. კირილე იერუსალიმელის თხზულებათა ბერძნულ ორიგინალში ხშირად არის დამოწმებული ციტატები „ქება-ქებათა“-დან. შესაბამის სომხურ ტექსტში გვხვდება ზოგან „ქება-ქებათა“, ზოგან კი „ეკლესიასტე“; ქართული თარგმანი ყოველთვის ბერძნულს მისდევს. მაგ.: Θέλεις δὲ γῶναι καὶ τὸν τόπον; Λέγει πάλιν ἐν ᾿Ασμοσιν· Εἰς κήπον κάρνας κατέβην· κήπος γὰρ ἦν ὅπου ἐσταυρώθη (col. 829).

„და უკეთეს გენბავს ადგილისა მისცა უწყებად, იტყვს „ქებათასა“: მტილად ნიგულზოჲნათასა შევედ, რამეთუ მტილი იყო, სადა-იგი ჭუარს აცუეს“ (სინ. მრავ., გვ. 157).

ბერძნულ და ქართულ რედაქციებში აღნიშნულ „ქებათას“ ნაცვლად შესაბამის სომხურ ტექსტში გვაქვს *ქრყი ხრყიყენ* — „ქება-ქებათა“. (იმ შემთხვევაშიაც კი სადაც ბერძნულ-ქართულსა და სომხურ რედაქციებში ბიბლიის ერთი და იგივე წიგნია დამოწმებული, სომხური მაინც სხვაობს ბერძნული და ქართული ვერსიებისაგან):

Կամիս դիանկև գոხդին. სასև ხ ქრყი ხრყიყენ: Ի պարտեզ ընկուգասանի շրջիք: Եւ արգարի պարտեզ իսկ էր, ուր ՚ի խաչն հանին (გვ. 277).

სხვა მაგალითი:

...λέγει τοῖσιν ἐν τοῖς ᾿Ασμοσιν· Ἐν σχέπη Ἴτης πέτρας, ἐχόμενα τοῖς προταίχισματος (col. 833).

„აჲ იტყვს „ქებათასა“ შინა: საფარველსა კლდისასა, მახლობელად ზღუდის ზღუდესა“ (სინ. მრავ., გვ. 159).

...անդէն յերգիս հրգոցն սասև ընդ քուռս զիմին, սასև, սոսաջի պասոարին (გვ. 280).

ე. ი. ბერძნულსა და ქართულში დამოწმებულია „ქებათა“, სომხურში კი „ქება-ქებათა“.

სხვა შემთხვევებში ბერძნულსა და ქართულ ტექსტებში გვაქვს „ქება-ქებათა“, სომხური კი იმავე კონტექსტისათვის „ეკლესიასტეს“ იმოწმებს:

Ἄρα καὶ ταῦτα γέγραπται· λέγει τοῖσιν ἐν ᾿Ασμοσιν τῶν ἄσμάτων πρὸς Ἐπί κρήνην μου ἐζήτησα ὅν ἡγάπησεν ἡ ψυχὴ μου (col. 840).

„წერილ სამე არს ესეცა, რამეთუ იტყვს „ქებათასა-ქებათასა“: საწოლით გამოვეციებთ, რომელი-იგი შეიყუარა სულმან ჩემმან“ (სინ. მრავ., გვ. 160).

Արդև ևս ևս գրեալ իցէ. սասև հկլևսիաստէսն: ընդ անկողինսն խնդրիցի գոր սիրեսց անձն իմ. (გვ. 283).

სხვა მაგალითი:

... καὶ ἔλεγεν ἐκ προσώπου αὐτοῦ τὸ ᾿Ασμοσιν τῶν ἄσμάτων πρὸς τοὺς ἀγγέλους· Μὴ, ὅν ἡγάπησεν ἡ ψυχὴ μου, ἴδετε; ὅς μικρὸν, ὅτε παρήλιθον ἀπ' αὐτόν (τουτέστι, τῶν δύο ἀγγέλων), ἕως οὗ εὐρον ὅν ἡγάπησεν ἡ ψυχὴ μου· ἐκράτησαι αὐτόν, καὶ οὗκ ἀφήγα αὐτόν (col. 840).

„იტყვს ვითარცა პირისაგან მარიამისა „ქებათა-ქებათა“ ანგელოზთა მათ მიმართ: ნუუკუე სადამე იხილეთ, რომელ-იგი შეიყუარა სულმან ჩემმან? და ვითარცა წარვიდა მათგან, — ესე იგი არს ანგელოზთაგან ორთა —

ვიდრემდე ეპოვო იგი, რომელი შეიყუარა სულმან ჩემმან, შევიპყრა იგი და არა განუტეო იგი (სინ. მრავ., გვ. 160).

ჩაიყ ათქ ხეღხაქათასან ჰერქს 'ქ ნამანქ ფრხვთასან. შჩქქ ფორ სირქ ანანქ ჩამ თხანქჲ ფოდ: ჰერქს თასქათ ჩანჯ ანუქ ღნუქ ნთთა. ქანფრხან, თასქ, ძჩინჯა ფთჩუ, ფორ სირჩთავ ანანქ ჩამ. ჰაქაქ ღნა, ხ ი'ჯ ქთიფუქ ღნა (გვ. 283).

IV. სინტაქსი. ქართული თარგმანის სინტაქსი აშკარად განიცდის ბერძნული ორიგინალის გავლენას. სიტყვათა რიგი უმეტეს შემთხვევაში შეესატყვივება ბერძნულ დედანს, ხშირია ნომინალური წინადადებებიც, რომელთა არსებობაც ასევე ბერძნულის გავლენით შეიძლება აიხსნას.

ბერძნული დედნის ზუსტი, სიტყვა-სიტყვითი გადმოღება ქართულ ტექსტს მეტისმეტად ამძიმებს და ხშირ შემთხვევაში გაუგებარს ხდის ბერძნულის ვათვალისწინების ვარეშე.

მოვიყვანთ ერთ მაგალითს, რომელშიაც ნათლად ჩანს, თუ როგორი სიზუსტით ვადმოაქვს ქართველ მთარგმნელს ბერძნული დედანი:

Σὺ, Κύριε ὁ Θεὸς τῶν
δυσάμεων πρόσχεδ τὸν ἐπισχέ-
ψασθαι πάντα τὰ ἔθνη.
Δὲ γὰρ, ἔθνη,
καὶ ἡττάσθαι.

ა' Ἰδετε, Ἰουδαῖοι, καὶ
πεισθητε, ὅτι τοῦτο τὸ πα-
θεῖον ἠμῶν ἄγγελος.
τοῦτῃ προσκυνῶσιν
ἀρχαγγέλοι: τοῦτο
τρέμῶσιν ἐξουσία: τοῦτο
δοξάζουσι: θανάμει: τοῦτῃ
δοσλεύουσι: τὰ χερσὶν: τοῦτο
θεολογεῖ: τὰ σκεραφίμ.
Τῷτῃ δοσλεύει ὁ ἥλιος:
τοῦτῃ λειτουρგεῖ: σελήνη:
τοῦτῃ ἠπακούει: τὰ στοιχεῖα:
τοῦτῃ ἠποτάσσονται: αἱ πηγαί.
Τοῦτο τὸ παθεῖον ἰδοῦσθαι: πῶσαι
ἄδου: σὺν: τρεπῖ: ἡσσαν:
πῶσαι: δὲ: ἑσπῶσαι:
ἀνεπετάσθησαν²²

შენ, უფალო, ღმერთო
ძალთათ, იხილე
მოხედვად ყოველთა წარმართთა,
რომლისთჳსცა ცანთ წარმართთა
და იძლიენით,
იხილეთ ჰურიითა და
გრწმენინ, რამეთუ ამას
ყრმასა უფალობენ ანგელოზნი;
ამას თაყუანის სცემენ
მთავარანგელოზნი; ამისგან
ძწიან ჳელმწიფებანი; ამას
აღიღებენ ძალნი; ამას
ჰმსახურებენ ქერობინნი; ამას
ღმრთის-მეტყუელებენ სერაბინნი;
ამას ჰმონებს მზს;
ამას ჰმსახურებს მთავარს;
ამას ჰმორჩილებენ წესნი;
ამას დაემორჩილებიან წყარონი.
ესე ყრმანი იხილეს ბჳეთა
ჯოჯობეთისათა და დიღწუნეს,
ხოლო ბჳენი ცათანი
განებუნეს²³.

ზემოთ განხილული მასალის საფუძველზე როგორც უკვე აღვნიშნეთ, შესაძლებელია ითქვას, რომ კირილე იერუსალიმელის თხზულებათა ქართული თარგმანი მეტისმეტი სიზუსტით ვადმოსცემს ბერძნული ორიგინალის ტექსტს. მაგრამ მიუხედავად ამისა, მათ შორის მინც შეინიშნება მცირეოდენი განსხვავება. განსაკუთრებით უნდა შევვხვთ ორ საკუთარ სახელს: შ ი მ ო ნ ი და შ ა ფ ი რ ა.

„ნ უ უ კ უ ე შ ი მ ო ნ ი ს ე ბ რ მოხვდე ორგულებასა, ნათლის-ღებასა მას და ჰეშმარტებასა არა ეძიებდეს გული შენი“ (A—144, გვ. 258).



βλέπετε μή πῦτε κατὰ τὸν Σίμωνα προσέρχῃ τοῖς βαπτίζουσιν βιοχηρῶμα-
νος, ἢ δὲ ἀφῆκε σὺ σὲ ζῆτῆ τῆν ἀλήθειαν (col. 1009).

*მსაქრ, ვჟიჯ ქრხეღრ, ვოყხ ესთ იერხაჲსი სქიმოქსი მათაჯეჲსი
ჟო 'ხ მკათაოქრის თაჲრ სქიმოქსამარ, ხ სქრთ ვი ა'ჯ ქრხეღრ ვდამარ-
თაოქრს (გვ. 393).*

მართალია, სომხურში ამ კონტექსტში სიმონი გვაქვს, მაგრამ სხვა შემთხვევებში იხმარება შიმონი²⁴, ქართულში კი მხოლოდ ერთი შემთხვევაა ტექსტში ამ ფორმის გამოყენებისა.

ასევე საინტერესოა მეორე საკუთარი სახელიც — შაფირა. „და ანანია და შაფირა, რომელნი ეცრუენეს სულსა წმიდასა, შემსგავსებული სარჩელი მიიღეს შურის-გებისა“. (A—144, გვ. 247).

ბერძნულსა და სომხურში გვაქვს საფირა:

*Ἀνανίου δὲ καὶ Σαφείρης, τῶν φερόμεθα τὸ Πνεῦμα τὸ ἅγιον ἐπι-
χειροῦσάντων, τῆν πράσαντων δικαῶν βιοχηρῶματων (col. 993).*

ჩაჲე ანანიაჲსა ხ საფირა, ირ თახუნ ღამისჟან ვნოჲსნ თორჲ, ხ ვარძანსი ყათიქ ყათიანათჲე ვანდამარ თანაჲსნ (გვ. 382).

ორივე ეს საკუთარი სახელი შიმონი და შაფირა გვხვდება კირილე იერუსალიმელის თხზულებაში: „საკითხავი სულისა წმიდისა, თქმული წმიდისა კრიდლმ მთავარებისკოპოსისა იერუსალემისა“²⁵, რომელიც წარმოადგენს ბერძნულ რედაქციაში არსებულ ამავდ ავტორის მეთექვსმეტე და მეჩვიდმეტე „სიტყვების“ სინთესს.

მასადაამე, ჩვენ ხელთ არა გვაქვს ამ ტექსტის შესატყვისი ბერძნული ორიგინალი. ყოველივე ამის გამო, გამოეთქვამთ ვარაუდს, რომ ამ საკუთარი სახელების „შაფირა“ და „შიმონი“ ფორმების ქართულ ტექსტში დადასტურება არ შეიძლება აიხსნას მხოლოდ და მხოლოდ სირიული თარგმანის გავლენით, რადგანაც თვით ბერძნულშიაც, რომელიმე დიალექტში (მითუმეტეს რომ ეს „სიტყვები“ წარმოთქმულია იერუსალიმში), შესაძლებელია ყოფილიყო მსგავსი ფორმებიც.

ბერძნული ე ბერძნული ქართულში შ ბგერად ვადმოცემის ანალოგიურ მოვლენად შეიძლება დავასახელოთ ბერძნულიდან ნათარგმნ ძლისპირებში ბერძნ. ყ ბგერის ჯ ბგერით შეცვლა.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ ბერძნულ ყ ბგერის ზოგიერთ შემთხვევაში ჯ-თი ვადმოცემა დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო იმ ბერძნული წარმომავლობის ტექსტებისათვის, რომლებიც ქართულად ქრისტიანული არაბულიდან არის თარგმნილი²⁶. მაგრამ ძლისპირებთან დაკავშირებით არაბულის გავლენა სრულიად გამორიცხვულია. ასე რომ, ზემოთ აღნიშნული მოვლენა გამოხატავს „ბერძნული ბგერის გავრცელებულ გამოთქმას იმ ბერძნულ წრეში, სადაც ეს ხელნაწერები იქმნებოდა., ე. ი. IX—X სს-ის პალესტინის საბაწმინდაში, სადაც არაბული გავლენა ბერძნულზე საცვებით მოსალოდნელი იყო“²⁷.

ჩვენს ვარაუდს განამტკიცებს ისიც, რომ დღეისათვის ჯერ კიდევ არ არსებობს კირილე იერუსალიმელის თხზულებათა კრიტიკული გამოცემა, ხოლო ხელნაწერები, რომლებმაც ამ ავტორის ნაწარმოებები შემოგვიინახეს, მეათე საუკუნეზე ადრეული არ არის. ქართული თარგმანი კი 864 წლის სინურ მრავალთავშია შესული. ამდენად, ჩვენ მიერ გამოყენებული ბერძნული ორიგინალი შედარებით გვიანდელია, ვიდრე ქართული თარგმანი.



მაშასადამე, კირილე იერუსალიმელის სიტყვების „განცხადებისათვის“ ქართული თარგმანის წყაროა ბერძნული ორიგინალი. მაგრამ ძველი ქართული თარგმანი უნდა მომდინარეობდეს იმ უძველესი ბერძნული დედნიდან, რომელიც დღეისათვის ჩვენ ხელთ არა გვაქვს. ამით უნდა აიხსნას იმ მცირეოდენ განსხვავებათა არსებობაც, რომლებიც ამ ტექსტების შეკერებისას გამოჩნდა.

შენიშვნები და დამოწმებანი

1. კირილე იერუსალიმელის ზოგიერთი სიტყვის არაბული თარგმანი გამოქვეყნებულია 1924 წლის ჟურნალ „პაშრეში“, № 1—5. არაბულ თარგმანს განიხილავს გ. ჯაფარი: *Geschichte des christlichen arabischen Literatur, Studi Testi*, 118, 1959, გვ. 335—337. არაბულ თარგმანს ნაწილობრივ ეხება ო. ბარდუნიშვილი: *Geschichte der altkirchlichen Literatur*, bd. 3 Darmstadt, 1962, გვ. 281.
2. E. A. Wallis Budge, *Miscellaneous coptic texts*, London, 1915.
3. H. Duensing, *Christlich—palästinisch-aramäische Texte und Fragmente*, Göttingen, 1906, გვ. 41—62; J. P. N. Land, *Anecdota Syriaca*, 4, Leiden, 1875, გვ. 171—210.
4. J. P. Migne, *Patrologiae Graecae*, t. XXXIII, Parisiis, 1875. A. A. Toultée, *S. Cyrillus Archiepiscopus Hierosolymitanus*, Parisiis, 1720. J. G. Rodéci, *Томъ ѣвъ Πατρὸς ἱεροσολιμου Κυριλλου Ἱεροσολιμου*, Parisiis, 1640. Reischl und Rupp, *Κυριλλου Ἱεροσολιμου Ἀρχιεπισκοπικου*, München, 1848—1860. სიტყვები „საიდუმლოებათათვის“ გამოქვეყნებულია აბატი მინის გამოცემაში — P. Gr., t. XXXIII, col. 1065—1127. სიტყვები „საიდუმლოებათათვის“ კირილე იერუსალიმელის სახელით გამოცემულია აგრეთვე ა. პიფაგნელის მიერ: *Cyrille de Jérusalem, catécheses mystagogiques*, Paris, 1966.
5. ნუანსიონ ჩარჩი ნუასოჟნაჟ ნაიკაჟნაჟი, ლილიან რენკიკიან, *ქ. აღმწ.*, 1832.
6. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, უძველეს ქართულ „მრავალთავებში“ კირილე იერუსალიმელის მხოლოდ შვიდი სიტყვაა „განცხადებისათვის“. შვიდეუ სიტყვა ერთ თარგმანს წარმოადგენს და შეკერებისას საერთო სურათს იძლევა; ამის გამო ამ ტექსტებს ერთიანად განვიხილავთ.
7. ამ სიტყვათა მომდინარეობის შესახებ იხ: შხია ანდრონიკაშვილი, *ნარკვევები ირანულ-ქართულ ენათმეცნიერებაში ურთიერთობიდან*, თბილისი, 1966, გვ. 344, 264—265, 217—218, 407—408, 276—278, 206.
8. G. Garritte, *Traduttore traditore di se stesso*, *Bulletin de la classe des lettres et des sciences morales et politiques*, 5^e serie-tome LVII, 1971, Bruxelles, 1—3, გვ. 60.
9. იხ.: В. В. Болотов, *Лекции по истории древней церкви*, т. IV, Петроград, 1918; А. П. Лебедев, *Вселенские соборы IV и V веков*, *История вселенских соборов*, часть I, 1896. C. G. Ross, *The Oxford dictionary of the cristian church*, London, 1958. *Полный православный богословский энциклопедический словарь*, I, СПб., გვ. 1548—1549. *Деяния вселенских соборов*, т. I, 1859.
10. А. П. Лебедев, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 94.
11. W. J. Swans, *À propos des „Catécheses Mystagogiques“ alt ituéés à S. Cyrille de Jerusalem*, *Le Muséon*, 1942, 1—4, გვ. 25—26.
12. P. Gr., t. XXXIII, col. 630.
13. W. J. Swans, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 26.
14. ჩარჩი..., გვ. 140.
15. *სინთური მრავალთავი 864 წლისა*, აკაკი შანიძის რედაქციით, შინაირცევამობოთ და გამოკველივით, თბილისი, 1959.
16. ჩარჩი..., გვ. 31.
17. იხ.: В. В. Болотов, *Лекции...*, т. IV. А. П. Лебедев, *Вселенские соборы...* А. И. Бриллиантов, *Происхождение монофиситства*, *Христианское чтение*, 1906, გვ. 793—823. Н. Троицкий, *Изложение веры Церкви Армянской*, т. 4, СПб., 1875. *Деяния...*, т. 3, т. 4. M. Cozens, *A handbook of heresies*, London, 1945.

18. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ძველი-მწერლობა, ტ. I, თბილისი, 1960, გვ. 514.
19. G. Garitte, Traduttore..., გვ. 61.
20. ათონის ივერის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი აღაბები, თბილისი, 1901, გვ. 160.
21. ქართული ვერსიები აპოკრიფებისა მოციქულთა შესახებ, თბილისი, 1959, გვ. 83.
22. P. Gr., t. XXXIII, col. 1201.
23. ხელნ. ინსტ., A—95, გვ. 421.
24. შიშონი ასევე იხმარება მე-9 საუკუნის ახლად აღმოჩენილ სომხური ხელნაწერის ფრაგმენტშიც — იხ.: С. Коланджян, Новоткрытые древние фрагменты (IX в.), Полученный Кирилла Иерусалимского, Вестник Матенадарана, Ереван, т. 5, 1960, გვ. 201—239.
25. ხელნ. ინსტ. A—144, გვ. 230—260.
26. იოანე მოსხი, ლიმონარი, ტექსტი გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ილია აბულაძემ, თბილისი, 1960, გვ. 016; აკ. შ ა ნ ი ძ ე, ჯ ბ გერის წარმოშობის წყაროები ქართველურ ენებში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, 1960, № 2, გვ. 224, სქ. 2, გვ. 226; უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთაჲსა“ და გრიგოლ ნოსელის თარგმანებისა „კაცისა აგებულულისათჳს“, X—XIII სს-ის ხელნაწერთა მიხედვით გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ილია აბულაძემ, თბილისი, 1964, გვ. 18; Н. Я. Марр, Описание грузинских рукописей Синайского монастыря. М.—Л., 1940, გვ. 146, № 65 ხელნაწერის აღწერილობა. G. Garitte, La version géorgienne du Pré spirituel, Studi e Testi, №232, 1964, გვ. 171—185.
27. ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი, ორი ძველი რედაქცია X—XI სს-ის ხელნაწერების მიხედვით გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ელენე მეტრეველმა, თბილისი, 1971, გვ. 036; იხ. აგრეთვე: ს. ყ ა უ ხ ი ი შ ვ ი ლ ი, ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, თბილისი, 1963, გვ. 245. ნ. შ ა ხ ა რ ა ძ ე, ბიზანტიური ბერძნულის წარმოთქმის საკითხები, თბილისი, 1973, გვ. 44—46, 53—54.

Т. Г. МГАЛОБЛИШВИЛИ

К ВОПРОСУ ОБ ИСТОЧНИКЕ НЕКОТОРЫХ «ЧТЕНИЙ» ИЗ ДРЕВНЕГРУЗИНСКИХ «МНОГОГЛАВОВ».

Резюме

Древнегрузинские переводы «огласительных слов» Кирилла Иерусалимского до нас дошли в рукописях IX—XI веков, именуемых «многоглавами». «Огласительные слова» Кирилла Иерусалимского сохранены также на многих языках христианского востока (греческом, палестинно-сирийском, арабском, армянском и грузинском).

При сопоставлении грузинских текстов с остальными древними редакциями выяснилось, что грузинские тексты являются переводами греческого оригинала. В пользу этого соображения свидетельствуют следующие факты: 1. идеологическое единство грузинских и греческих текстов; 2. анализ личных и географических имен, композиций, цитат из некоторых библейских книг и последовательность слов в грузинской редакции.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის არქეოგრაფიის განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტმა

ელენე კოზორობიძე

მსაზღვრელთა ექსპრესიული ფუნქციონის

(ვახილ ბარნოვის თხზულებათა ენის მიხედვით)

მწერლის ენის ექსპრესიულობას მრავალი მომენტი განსაზღვრავს. ამიტომაც მხატვრული ნაწარმოების ენობრივ-სტილისტიკური ანალიზი რთული საქმეა. რთულია ჩვენება იმისა, თუ რომელიმე სიტყვა, „უბრალო“ და „ჩვეულებრივი“, როგორ იტვირთება გრძნობითი ელფერი; ერთ შეხამებაში შეუძენველი, მეორეში გამომსახველობითი ძალის მქონეა.

ალბათ არაეინ მიაქცევდა განსაკუთრებულ ყურადღებას მხატვრულ თვალსაზრისით ისეთ შესიტყვებებს, როგორცაა: „ხვავიანი კალო“, „ლაგამწყურილი ცხენი“, „იმოციქულა დესპანმა“, მაგრამ ხატოვანია გამოთქმები: „ლაგამწყურილი სიბოროტე“, „ამოციქულდნენ ხელშუბები“, „ხვავიანი დესპანობა“ და ა. შ.

რა არის ამ ხატოვანების საფუძველი? „რანაირად მონაწილეობენ წმინდა ენობრივი მონაცემები“! ამა თუ იმ მწერლის მხატვრული სტილის განსაზღვრაში?

ამჯერად ვცადეთ გვეჩვენებინა მსაზღვრელად გამოყენებული ზედსართავი სახელისა და მიმღეობის ექსპრესიული ფუნქციით გამოყენების შემთხვევები.

გრამატიკულად ზედსართავი სახელი და მიმღეობა ძირითადად მსაზღვრელება, თუ არსებით სახელთან გვხვდება, ვითარების გარემოება ან ე. წ. პრედიკატული განსაზღვრებაა ზმნასთან, ხოლო, არსებითი სახელის მნიშვნელობით ნახმარი, წინადადების სხვადასხვა წევრადაც გვევლინება.

მხატვრული ნაწარმოების ენის ანალიზისას ზედსართავისა და მიმღეობის ამგვარი დახასიათება არაფერს ამბობს. ასეთ შემთხვევაში მათი გამომსახველობითი ფუნქცია უნდა გამოვლინდეს.

მასალად ავიღეთ ვ. ბარნოვის მხატვრული პროზის ენა.

უპირველესად თვალში საცემია საგნის ან მოვლენის მრავალმრივი დახასიათება. ერთ რომელიმე საზღვრულთან ნაირ-ნაირი მსაზღვრელია შეხამებული: განსხვავებული ან ერთგვარი შინაარსისა და ისინი ისე ენაცვლებიან ერთმანეთს, როგორც სინონიმები.

მაგალითად, სიტყვა „ადგილი“ მხოლოდ „ხაზართა სასძლოს“ მიხედვითაც კი შეიძლება იყოს:

მ ა რ ჯ ე ე ა ნ მ ო ხ ე რ ხ ე ბ უ ლ ი: მარჯვე ადგილია: 328,2; გზა გადაეჭრაათ მისთვის მოხერხებულ ადგილას: 324,30.

ნ ა ბ რ ძ ო ლ ი ა ნ ნ ა ო მ ა რ ი: ნაბრძოლ ადგილას შავი რამ ზოლები დააჩნდა: 330,28; შეეპყრათ მათ ნაომარ ადგილებზე: 202,2.

ს ა ძ ნ ე ლ ო ა ნ ს ა ხ ი ფ ა თ ო: დააყენეს საძნელო ადგილებში: 300,13; გასცდნოდა სახიფათო ადგილებს: 308,30.

შ ე უ ვ ა ლ ი, შ ე უ ლ ა ხ ა ვ ი და უ შ ი შ ი: შავა შეუვალ ადგილებში ჩვენის მთებისა: 233,28; შეუვალი ადგილები, მტერთაგან შეუღალავი კიდევ

გვაქვს საქართველოში: 232,23; ეგრისში უნდა დაეღვა ბინა, როგორც უშიშ ადგილას: 229,27.

აგრეთვე, ადგილის მსაზღვრელებად გვხვდება — დაპყრობილი, დაცემული, განსასვენებელი, ჩასაფრებელი და წმინდა: აგარინი თრიალეთისკენ დაბრუნდა... დაპყრობილი ადგილების გასაფართოებლად: 307,26; შიში არ მოელის ამ დაცემულ ადგილს: 221,30; თავს ეგრანებდნენ წამებულის ადგილს განსასვენებელს: 222,8; არ მისცემენ წმინდა ადგილს შესაგინებლად: 319,24;

„ბრძოლა“ საზღვრულთან ოცამდე სხვადასხვა მსაზღვრელია შეხამებული. ზოგი აქაც სინონიმური შინაარსისაა. მაგალითად: ბრძოლა — დიდი, ბუმბერაზული, საარაკო: დიდი ბრძოლა მოუხდებოდა: 309,4; დაწყებულიყო ბრძოლა ბუმბერაზული: 231,15; გარდაეხადნა საარაკო რამ ბრძოლები: 333,15.

თავგანწირული, განწირული ან საშინელი: თავგანწირული ბრძოლა: 351,3; შეესძლოთ მათთან ბრძოლა განწირული: 271,10; იწყეს ბრძოლა საშინელი, თავგანწირული: 359,8.

სასტიკი, შეურიგებელი, მკაცრი: სასტიკი ბრძოლით გვეყავნა მტერს გზა: 292,32; იმისი შეიქმნებოდა გამარჯვება იმ სასტიკ და შეურიგებელ ბრძოლაში: 284,29.

გასაჭირი, გაჭირვებული: უფრო ძნელი შეიქმნებოდა მათთან ისეც გასაჭირი ბრძოლა: 271,17; იმედი არ ჰქონდა ბიზანტიისა გაჭირვებულ ბრძოლაში: 231,6.

ზოგი მსაზღვრელი ანტონიმური შინაარსისაა. მაგალითად: განმარტობებული და შენივთებული ან შეუაგული: მინახავს ეს ყმაწვილი განმარტობებული ბრძოლის დროსაც: 289,33. შდრ. გადმოესიგნენ შენივთებულ ბრძოლაში: 288,35, ან: სად უნდა ვიყო თუ არა შეუაგულ ბრძოლაში: 288,35.

მოგებული და წაგებული: თუნდ მოგებული ბრძოლა შენთვის მაინც წაგებული იქნება: 309,21.

„ბრძოლა“ შეიძლება იყოს, აგრეთვე: უიმედო, საბედისწერო: უიმედო ბრძოლა იყო ეს მტრისთვის, საბედისწერო: 318,5.

უსწორო: კვლავ განეგრძო უსწორო ბრძოლა: 228,6.
 წესიერი: წესიერი ბრძოლა აღარ შეუძლიათ: 313,11.
 ატეხილი: მიელო მონაწილეობა ატეხილ ბრძოლაში: 228,33.
 ნამდვილი: ნამდვილი ბრძოლა: 359,7.

„გრძნობასთანაც“, როგორც საზღვრულთან, მსაზღვრელები, ერთი მხრივ, სინონიმური შინაარსისა:

განმახული (მახვილი), მკვეთრი, შეუტყვეველი: განმახულმა გრძნობამ უკარნახა: 323,32; ეს გრძნობა მკვეთრი მაინც წუთიერი იყო: 295,22; იცნობდა... მის გრძნობას შეურყეველს: 302,28.

ნივთიერი, ეშხიანი: ნივთიერ გრძნობებს განაცდევინებდნენ ეშხიანს: 269,16.

მეორე მხრივ — ანტონიმური: მაგალითად: აგზნებული და მიმქრალი: ელვასავით მსწრაფლ ადგნებული და მყისვე მიმქრალი გრძნობა შენიშნა: 296,22.



„ხაზართა სასძლოში“ გრძნობის ეპითეტებად გვხვდება, აგრეთვე: პირადი: პირადი გრძნობა აღეგნო: 271,30.

სარწმუნოებრივი გაღვივდა სარწმუნოებრივი გრძნობა: 262,1.

საწყალი: ვერ ჰტყვიდა იგი რწმენა მის საწყალ გრძნობას: 268,22.

უარყოფითი: უარყოფითი გრძნობა აღეგნა თან: 267,25.

სიტყვა „თვალი“ ოცზე მეტ მსაზღვრელთან ქმნის წყვილს. „ხაზართა სასძლოში“ მიხედვით გვხვდება თვალი:

ამაყი და არწივისებური: ბღუჩანის ამაყნი თვალნი მიეპურნენ მეფისკენ: 358,29; შენიშნა შენმა არწივისებურმა თვალმა: 291,26.

ბნელი, უძირო, უკუნი, შავი, ჩაბნელებული, ჩათხრობილი, ღრმა: ქალწულის ბნელი თვალები უფრო ფართოდ გაშლილიყვნენ. 238,12; ბნელი თვალები უძირო, ცეცხლით შემწველით გაღვივებული: 260,14;

აბნელებდნენ მის უკუნ თვალებს: 238,18; აღევენება მორვევიით ღრმა თვალს უკუნსა: 277,30; უძირო თვალთაგან გადმომდინარე: 327,5; მის შავ თვალებში ცეცხლის რკალეზმა იწყეს ტრიალი: 347,6; შეეყენებნა სეგდისაგან ჩაბნელებული თვალები: 335,26; ჩათხრობილმა მისმა თვალებმა ექვით აავსეს: 336,9.

კონტექსტის მიხედვით, სინონიმური მნიშვნელობითაა ნახშირი:

ავი, სახარელი, წითელი: ავად მიიზიდაეს ავ თვალს: 240,19.

საზარელი თვალები ჰქონდა: 281,15; შეხედა წითელ თვალებში: 289,9.

გვხვდება, აგრეთვე:

აღგზნებული თვალი: ჩაანათებდა აღგზნებულ თვალებს: 337,5.

ზოგჯერ მწერალი ძირითად შინაარსს ზმნისართით აკონკრეტებს. ზმნისართები დადებითი ან უარყოფითი შინაარსის გაძლიერებას ემსახურება და ანტონიმური შინაარსის წყვილები უპირისპირდება ერთმანეთს.

გვაქვს თვალი: ბოროტად აღგზნებული და სათაყვანოდ აღგზნებული: თვალი მიებურო შეშანისაკენ, სათაყვანოდ აღგზნებული თვალები: 267,5. შდრ. ჩაავკირდა ვაზირს ბოროტად აღგზნებულ თვალებით: 273,21.

გვხვდება, აგრეთვე, თვალი:

ბრწყინვალე: რა პირითლა წარსდგებოდა მის ბრწყინვალე თვალთა წინაშე: 332,4.

გამჰკვრეთი: უმოძრაოდ გამჰკვრეტნი მისნი თვალნი: 321,8.

დიდრონი, დახრილი, წამწამთ ტევრებით მთლად დაჩრდილული: მისი დიდრონი თვალნი, წამწამთ ტევრებით მთლად დაჩრდილულნი დღესაც წინ მიდგანან: 227,2.

თილისმა: ჩახედავდა მას თილისმა თვალებში: 299,19.

მიმსკვეალული: ველარ მოაშორო... მასზე მიმსკვეალული თვალი შენი: 326,30.

მწველი: განიცდიდა ლამაზ შეხებას მწველ თვალებზე: 289,13.

ცისფერი, ფართოდ მოხაზული, ნამნაბკურები: ცისფერი თვალები ფართოდ მოხაზული, ნამნაბკურები: 267,14.

„ხაზართა სასძლოში“ 600-მდე ასეთი წყვილი გამოიყოფა. ყველას წარმოადგენს შეუძლებელია და ამიტომ აქ შევჩერდებით.

ეს მრავალმხრივი დახასიათება, ერთ საზღვრულთან ნაირნაირი მსაზღვრელის მისადაგება, შემთხვევითი არ არის ვასილ ბარნოვის ენაში. მწერალი

სწორედ ამ მრავალფეროვნებაში ხედავდა ენის სიმდიდრეს და მხატვრული ნაწარმოების ენის აუცილებელ პირობადაც მიიჩნევდა².

როგორც თვითონ იტყოდა, ამ „ფერად-ფერადი“ ლექსიკიდან კონკრეტულ შემთხვევაში ერთ-ერთს ირჩევს მწერალი, იმას, რომელიც ზედმწევნით გამოხატავს მის ჩანაფიქრს, უკეთ გამოავლენს მოსაუბრის დამოკიდებულებას სათანადო პირისადმი.

მაგრამ, როგორც ზემოთ მოყვანილი ინდექსი გვიჩვენებს, განსაკუთრებულნი ექსპრესიულობით არ გამოირჩევა ზედსართავები და მიმღობები, რომლებიც, როგორც მხატვრული ხერხი, ამა თუ იმ საგნის აღმნიშვნელი სახელის სამკაულად ითვლება. მწერლის ოსტატობა კი სწორედ ის არის, რომ მარჯვედ შეარჩიოს ეს სამკაული, საგნის მრავალმხრივი დახასიათება შეძლოს, სიტყვას მხატვრული ძალა შესძინოს და თანაც ზომიერება დაიცვას.

რა გამოავლენს ზედსართავი სახელის ექსპრესიულობას განსაკუთრებით მაშინ, როდესაც თვითონ ლექსიკურად არ არის წონადი?

ს ი ნ ო ნ ი მ ე ბ ი. ვ. ბარნოვის ენისათვის დამახასიათებელია მდიდარი ლექსიკა, საგნის ან მოვლენის მრავალმხრივი დახასიათება, ამასთან — უხვი სინონიმიკა³.

სინონიმებს იყენებს მწერალი არა მარტო საგნის დასახელებისას, არამედ მისი დახასიათების დროსაც. მაგალითად, ერთგან თუ ნახშირია განძი **დაცული**: 237,201, სხვაგან გვაქვს: განძი **დაფლული**: 237,20 ან **დაკრძალული**: 237,26; ასევე: დრო **მარჯვე**: 328,21 და **მოხერხებული**: 232,5; ჯარი **სამარქაუო**: 317,21 და ჯარი **მშველელი**: 319,22; ჯარი **საუკეთესო**: 332,12 და ჯარი **რჩეული**: 237,31.

ზუსტად, ზედმიწევნით რომ წარმოსახოს საგანი ან მოვლენა, ხშირად მიჯრითაა ნახშირი ერთნაირი მნიშვნელობის ზედსართავები, როგორც მსაზღვრელები. მაგალითად: ძლიერ პირადი იყო ქალწულის განცდა **ნაზი**, სათუთი: 238,25; კაცი **გამოცდილი**, **დაკვირვებული**, გასაჭირში **მარჯველ მოაზრე**, მილად სანდო შენი: 275,34.

ერთზე მეტი სინონიმური მსაზღვრელის შემთხვევაში უფრო ხშირად საზღვრულს შუა პოზიცია უკავია. მსაზღვრელს ორივე წყობით შეიხამებს. პოსტპოზიციური მსაზღვრელები დამაზუსტებლის, ამხსნელის როლში გამოვლინდნენ. თანაც ამ წყობით ფრაზა უფრო რიტმულ-მუსიკალურია⁴.

ფრთხი შესხმოდა მის ნივთიერ არსებას უკვე **შემძიმებულს**: 244,2; ეწერა მისთვის **უცნობი** ასობით **გაურკვეველით**: 299,21; გაეღვიძნა **მოქნილ** გონებას **მოხერხებულს**: 303,27; ვერ უგრძნეს მტაცებლებს **ვერაგული** მოძრობა **ბოროტი**: 279,11; უარყოფს ჩვენგან **გაწვდილ** ხელს, **დამხმარეს**: 238,31.

თუ მსაზღვრელი ორზე მეტია, შეიძლება ერთი პრეპოზიციური იყოს და ორი — პოსტპოზიციური, ან პირიქითაც. მაგალითად: ვინ შეჰპართოს **განძვინებულ** ლომს **ფაფარაშლილს**, **თვალბეცეცხლიანს**? 351,1; **უმინშენელო**, **უბრალო** რამ აჩრდილი ღირებულებას მთლად მოკლებული: 350,37.

აღსანიშნავია ისიც, რომ რამდენიმე სინონიმური მსაზღვრელის შემთხვევაში ერთი ხშირად გათიშულია ზმნით. გათიშული მსაზღვრელები განკერძოებულის შთაბეჭდილებას ტოვებენ. მწერალი მათ ხან გამოყოფს პაუზით, ხან არა. ასეთი მსაზღვრელები სემანტიკურად შთამბეჭდავია, წონადი. ფრაზის რიტმულობაც გაზრდილია: **საშინელი** უფსკრული გაპიბილიყო **შესაზარავი**:

350,34; უთღელი ლოდი მოაგორებს უზარმაზარი: 331,27; მისი ხმა შორეულ ძახილად მოესმოდა მინელბეზულად: 345,32.

სინონიმური ზედსართავეების ასე მიჯრით ხმარება ვ. ბარნოვის სტილის არსებითი ნიშანია. ამიტომვე ბუნებრივია მისი ენისათვის ორცნებიანი კომპოზიტები, რომელთა კომპონენტები სინონიმური შინაარსის ზედსართავეები ან მიმღეობებია. ასე, მაგალითად: აღარ იყო ეხლა დედოფალი ამღვრეთულ-აზეზილი: 385,17 ტ. წ... მიეცემოდა ნათელ სიამეს უხინჯ-უჩრდილოს: 385,19 ტ. წ. ნაქვითი სახე წყნარად მოზომილ-მოხაზული: 267,19 ხ. ს. დამდაბლებულ-დაკინებული სამეფო სახლი ორად იყოფოდა: 237,28 ხ. ს. შენიშნა მაშინ ეამთა დენით გამოცდილ-დაბრძნობილმა სახლთუხუცესმა: 296,23 ხ. ს. უზომელ-უწონელი სიტყვა არ უყვარდა: 249,3 ხ. ს. რალა იყო სიცოცხლე მათთვის, უკვე მიცვალებულთათვის, სურვილებ ჩამქრალ-ჩანელბეზულთათვის: 259,6 ხ. ს. მათ სასოებით ლოცვა მეც მიცხოველებს ვედრების სურვილს ლალადეზში ნაწრთობ-გამოცდილს: 264,24 ხ. ს. ბევრჯერ გამოვიდოდა წმინდა სავანიდან... გრძნობა განმტკიცებულ-გაღრმავებულნი: 266,10 ხ. ს. უნდა ებრწყინა მთელ ხაზარეთში, ვით რამ მნათობს დაუჩრდილავ-შეუბინდებელს: 333,7 ხ. ს.

უხვი სინონიმია საუკეთესო საშუალება საგნის თუ მოვლენის დეტალური, მკაფიო დახასიათებისათვის. „სინონიმები ხელს უწყობს არა მარტო მხატვრული ფრაზის შინაარსობრივი მხარის გამოკვეთას, არამედ ემოციური შემოქმედების გაძლიერებასაც“⁵.

II. ანტონიმები. „... ანტონიმები, პირველ ყოვლისა, თვისების აღმნიშვნელ სიტყვებში გამოიყოფა“⁶ და მათი ფუნქცია დაპირისპირების გაღრმავებაა. ანტონიმები კონტრასტული სურათების დასახატავდაა გამოყენებული. რაც აღლიერებს მკითხველისა და მსმენელის შთაბეჭდილებას, წინადადებით გამოხატულ აზრს მეტ მკაფიობას და ემოციურობას ანიჭებს⁷.

ვ. ბარნოვის ენაში შეინიშნება ანტონიმური შინაარსის ზედსართავეთა პარალელური ხმარება. კონტრასტებს ქმნის შემდეგი წყვილები:

ბოროტი და კეთილი, ჩაბნელებული და პირშუქებული: ბოროტი დასაბამი... ჩაბნელებული 334,26 ხ. ს. და კეთილი დასაბამი... პირშუქებული: 334,29 ხ. ს.

წმინდა და უწმინდური: ქართველთა წმინდა სისხლი და უწმინდური სისხლი იმათ მტრებისა: 330,23 ხ. ს.

ბნელი და ნათელი, სამსიარულო: დავუნაცვლოთ ბნელ გზას ჩვენის ტყვეებისას ნათელი შარა სამხიარულო: 338,28 ხ. ს.

ვ. ბარნოვის „ტრფობა წამებულის“ მიხედვით „შავი დარღის“ საპირისპიროდ ცნობილია „თეთრი იგი სიხარული“, რომელიც სპეტაკ-სითბოს აშუქებდა მთელს არსებაში, თეთრად აღნობდა თვით ნასახსაც შავი დარღისა: 187,9 ტ. წ.

თვისების აღმნიშვნელი ანტონიმური ზედსართავეებით მწერალს ანტითეზისის სტილისტიკური ხერხი შემოაქვს თხრობაში.

ანტითეზისს ქმნიან ანტონიმური წყვილები შემდეგს მაგალითებში: გახადეს შუქურის სამოსი სამხიარულო, ფერად-ფერადი, შემოსეს შავი ძაძა, სიხარულის ბნელად შამდობი, სამგლოვიარო: 371,3 ტ. წ. მე, დედოფალ გურანდულხტს, შარავანდედმოსილ დედას მთელს საქართველოსას, ქმარს მტაცებს ჩემს სასახლეში მოახლე დამცირებული, მხევალი ზენშეჩირებული, დედათა შორის მიწამდინ დამდაბლებული: 323,29 ტ. წ.

აგრეთვე: ვის ეკუთვნოდა ეშხიანი კოცნა იგი მშენიერისა, საყვარელ მე-
 ულესს დაავადებულს, თუ მიმავალ ბუმბერაზს, ძლიერების შარავანდელით
 შუბლგაშუქებულს? 186,31 ტ. წ.

ამ წინადადებაში არა მარტო ეპითეტებად, არამედ პერიფრაზად წარმოდ-
 გენილი ზედსართავებიც ანტონიმური შინაარსის შემცველია, რაც ამუქებს
 კონტრასტულობას და ემოციურობას აძლიერებს.

ანტონიმური შინაარსის სიტყვათშეხამებები (მეუღლე დაავადებული და
 ბუმბერაზი, ძლიერების შარავანდელით შუბლგაშუქებული) უძლიერისა და
 ძლიერის, მოტეხილისა და შემართებულის დაპირისპირების შევრძნევას ქმნის.

ამაფრებს კონტრასტულობას და შთაბეჭდილებას აძლიერებს ანტითეზის-
 ში მონაწილე მსაზღვრელ-საზღვრულის ანტონიმური წყვილები. ასე, მაგალი-
 თად: ნუ ინებებ, მეფე ბატონო, მე საწყალი ჭვრთვი დედაცაცო, შენ დიდებუ-
 ლი მფლობელი საქართველოსი; მე საბრალო მხევალთაგანი, შენ — მბრძანებე-
 ლი მეფეთა-მეფე: 286,12 ტ. წ.

ამგვარ დაპირისპირებათა წყარო პირველ რიგში ხალხური სიტყვიერებაა,
 თუმცა მხატვრულ ლიტერატურაშიც არაიშვიათია. ამგვარი კონტრასტები
 „ხელს უწყობს მეტყველების მოსწრებულობას, მოხდენილობას, ლაკონიუ-
 რობას, აზრის სხარტად და ემოციურად გადმოცემას“, ერთი სიტყვით, ექს-
 პრესიულობას.

III. გამეორება. ზედსართავი სახელის ექსპრესიულობას მისი გა-
 მეორებაც წარმოაჩენს, რადგანაც გამეორება მოვლენის ან რაიმე ნიშნის ემო-
 ციურ-ლოგიკური ხაზგასმის საშუალებაა¹⁰.

გვხვდება გამეორების რამდენიმე სახეობა, რომელშიაც აუცილებელ კომ-
 პონენტად ზედსართავი ივარაუდება.

ა) ერთმანეთის გვერდით ნახმარია ერთი და იმავე ძირისაგან ნაწარმოები
 სიტყვები. მაგალითად: ...და ბოროტად შეხედავდა შუქურს შუქთამფენს:
 319,21 ტ. წ. წყალობა უყო მეფემ მეფური: 315,6 ტ. წ. მაგრამ მე ისევ ზარ-
 ხოზადა ვარ ნექტრის სიტყბითი სახესებით სახესე: 160,16 გ. ს.

ამავე რიგისაა გამოთქმები: „წესი უწყისო“, „სჯული უსჯულო“ და სხვა,
 სადაც მსაზღვრელად წარმოდგენილია საზღვრულის ძირისაგან ნაწარმოები
 უქონლობის სახელი. ამგვარი შეხამება თავისთავად პარადოქსალურია და ეს
 პარადოქსალურობაც აპირობებს ასეთი წყვილის ექსპრესიულობას: მისი ბე-
 წიერი ყოფა ბილიკს უკვალავს საქართველოსკენ აგარიანთა წესს უწყისოს:
 335,32 ტ. წ. დაამკვიდროს მის ნანგრევებზედ სჯული უსჯულო; ბნელით მოვ-
 ლინებულნი წესდება უწყისო: 340,1: ამ უგზო გზებით ვერ ივლის ჯარი მისაშ-
 ველბლად: ა. მ. 285,16; ეტყოდა მონღოლს უსიტყვო სიტყვით: 403,16 თ. მ.
 და ა. შ.

ბ) ერთ წინადადებაში, ერთმანეთის მომდევნო წინადადებაებში ან აბზაც-
 ში ზედსართავი მეორდება. ეს გამეორება გრადაციულია და ამდენად, თბრო-
 ბაც ეფექტურია. ასეთ გამეორებას „გარკვეული ლოგიკური მახვილის ფუნქ-
 ცია ეკისრება“¹¹. მაგალითად: თეთრ ცხენზე იჯდა მეფე ლუარსაბ, თეთრ ხა-
 ვერდში გამოწყობილი, თავსარქმელად თეთრივე ქუდი, აღმასის ჭილით დამშ-
 ეენებული: 39,8 გ. ს. ან კიდევ: ... გამოვიდა ორი მხედარი. წითელ ტაიშებზედ
 ისხდნენ წითლით მოსილნი; ხელით გასანთლული საგდებლები ეჭირათ წით-
 ლად ნალები: 358,9 ხ. ს.

აგრეთვე: შავად იყო კუბო შემკული (410,11); შავად მოსჯროდნენ მო-

ნახები (410,13): შავი ღრუბელი ჩამოწოლილიყო სამეფო ციხე-დარბაზში (411,1) ტ. წ.

მართალია, ბოლო წინადადება შედარებით დაცილებულია პირველ ორ-თან, მაგრამ მათ შორის პერიოდს ქმნის დიალიზი და ამდენად, მიუხედავად საკმაო დაცილებისა, გამოვარების ეფექტი აშკარაა.

„ეს გამოვარებანი არა მარტო ახლოებენ თხრობას სასაუბრო მეტყველებასთან... არამედ იმ სტილისტურ ფუნქციასაც ასრულებენ, რომ უფრო აძლიერებენ შთაბეჭდილებას, ე. ი. ინტენსიფიკაციის ამოცანას ექსპანზიონთან“¹². მწერალი მას მიმართავს შთაბეჭდილების გამძაფრების მიზნით, რთული ფიქლოგიური პასაჟების გადმოსაცემად, როდესაც „პერსონაჟთა მოქმედების დეფინიციის მსმენელის ყურადღების დაქაზვას მოითხოვს“¹³.

IV. პერიფრაზი. ზოგჯერ ჩვეულებრივი სახელწოდების ნაცვლად ობიექტს ხატოვანი დახასიათებით ასახელებს მწერალი. გამონათვის ამ ხერხს პერიფრაზს უწოდებენ¹⁴. ამ მნიშვნელობით გვხვდება განმარტოებული მასწავლებლები, ძირითადად ზედსართავეები და მიმლოცებები, რომლებიც ქვემდებარის ამ დამატების (ზოგჯერ სხვა წყერის) მნიშვნელობით ვეველიონებთან და თანაც გარკვეულ ნიშან-თვისებას გამოხატავენ. რითაც მიღწეულია თხრობის ექსპრესიულობა, ლაკონურობა და თავიდან აცილებულია ერთფეროვნება¹⁵.

მოქმედი პირის პერიფრაზით დასახელება ნაშანდობლივია ვ. ბარნოვის სტილისათვის. ასე მაგალითად: მამ თავადობაც არ ეყოფა გაზვიადებულს: (ვ. სააკაძეს) 104,7 გ.ს. დაინდო იგი თვით კაცთმოძულემ: (აგარიანთა მბრძანებელმა ასიმმა) 226,7 6, ს. ავიწყდებოდა ზვიადს, რომ იგი გვირგვინი დიდებისა მიენიჭა ბაგრატიონთა წინაპარს... (დედოფალ გურანდუხტს) 142,22 ტ. წ. თბილი სიტყვა შეპყინებოდა ჯულღამეზებულს (მეუღლეზე გამწერალ გურანდუხტს): 143,12 ტ. წ.

პერიფრაზით წარმოდგენილია არა მხოლოდ ქვემდებარე, არამედ დამატებებიც: როგორც პირმიმართი, ასევე უბრალო. მაგალითად: ვერა შეასმინეს რა უგრძნობელს (გრიგოლ ხანათელს): 256,23 ტ. წ. მიიმეფ ფიქრობდა მამამძემეც ლუარსაბისა: 159,6 გ.ს. ბოროტით აღივსო სული ვაჟკაცისა გურანდუხტისადმი: 351,21 ტ. წ. მე მის დუშმანი, იგი ჩემი ავის მსურველი: 164,6 გ.ს.

პერიფრაზულ გამოთქმებში ხშირად ასახულია მოლაპარაკის სუბიექტური განწყობილება. სწორედ ამიტომ უშუალოდ თვალთ დასახული საკანის („ხაზართა სასძლო“): უძღები მტარავლია 349,3; უსჯულო 343,24, წელთა სიმრავლით შემძიმებული: 351,17. ეს კი სრულიად ბუნებრივია, რადგანაც, როგორც აღნიშნავენ: „მოლაპარაკე არა მხოლოდ ატყობინებს რასმე მსმენელს, არამედ დაინტერესებულია მსმენელი დაითანხმოს, თანამოაზრედ ვახადოს...“

... ცდილობს მსმენელის გულში გარკვეული გრძნობებიც აღძრას, მსმენელის არა მარტო ფიქრი, არამედ გრძნობაც თავის (მოლაპარაკის) ნებაზე წარმართოს; რის გამოც მკვეთრ, შთაბეჭდვად გამოთქმებს არჩევს“¹⁶.

გასუბსტანტივებული ზედსართავეები ისე წარმოაჩენენ აღნიშნულ თვისებას, როგორც საგნის ძირითად ნიშანს. ამიტომაც სახასიათო ნიშანი განსაკუთრებულად გამოკვეთილია, შთაბეჭდავია. ამის ძირითადი მიზეზი კი ალბათ ისიც არის, რომ ქვემდებარის ფუნქციით გამოყენებული ზედსართავეები (და მიმლოცებები) არ ქმნიან შემასმენელთან ჩვეულებრივ რიგს: ქვემდებარე + შემასმენელი... ტრადიციული რიგი დარღვეულია, რაც, აგრეთვე, იწვევს სიახლის

განცდას¹⁷ და ექსპრესიულობას აძლიერებს. ამიტომაც მხატვრულ ნაწარმოებში ინვერსიას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

V. ი ნ ვ ე რ ს ი ა. ზედსართავი სახელი წინადადებაში ძირითადად მსაზღვრელია. რიგის მიხედვით, პრეპოზიციური, ან პოსტპოზიციური.

პრეპოზიციური მსაზღვრელი ცალკე, როგორი სახიერიც უნდა იყოს ის, საზღვრულთან ერთად ცნებად აღიქმება, თანაც ყურადღება უფრო დასახელებულ საგანზე მახვილდება, ვიდრე ამ საგნის დამახასიათებელ პრეპოზიციურ მსაზღვრელზე, ამის გამო მსაზღვრელის სემანტიკა რამდენადმე იზრდებოდა¹⁸.

პოსტპოზიციურმა მსაზღვრელმა კი, რამდენადაც მისთვის უჩვეულო ადგილი დაიკავა, როგორც სახსლემ, მეტი ყურადღება მიიპყრო და აღქმის სიმღიერით გაუთანაბრდა საზღვრულს. ამით მას მიეცა საშუალება საკუთარი სემანტიკის უფრო ძლიერად გამოხატვისა¹⁹.

საგნებისა და მათი მოქმედების აქცენტირება, გამოსახვის სხვა ხერხებთან ერთად, ინვერსიის მეშვეობითაც ხორციელდება²⁰. ასე რომ, მახვილდება ყურადღება როგორც საზღვრულზე, ისევე მსაზღვრელზე. მაგ.: ნუ მისპობთ **სხაზრულს ერთადერთს**: 283,30 ტ. წ. დასტიროდა მის აჩრდილს **ჭირისხუფალი ერთადერთი** 411,6 ტ. წ. გულწრფელად **იხარებდა ერი მრავალტანჯული**: 134,27 ტ. წ.

ე. ი. მსაზღვრელ-საზღვრელის ინვერსიულ წყობაში უფრო სრულფასოდ ნად აღიქმება ზედსართავი სახელი, შესაძლებელი ხდება სიტყვის მეტი გამომსახველობითი ძალის ჩვენება.

... მაგრამ ზედსართავი სახელი წინადადებაში ვითარების გარემოების მნიშვნელობითაც გვხვდება. ინვერსიას ემორჩილება ისიც.

ვითარების გარემოებისა და შემასმენლის ინვერსია გარკვეულ შემთხვევებში დასტურდება, როცა:

ა) პასაჟი რიტმულია: გაპყლოდა მეუღლედ იმ კაცს (9); რომელიც ერთხელ უარყო მ კ ა ც რ ა დ (9); დაჰგმო, აგინა (5) 302,17 ხ. ს.

ბ) ვითარების გარემოება დაკავშირებულია ძლიერი ემოციის ან ენერგიული მოქმედების გამოხატველ ზმნა-შემასმენლთან²¹. მაგ.: სიმები ააკვნესა **სევდა-ნაჰარბად**: 409,27 ტ. წ. იტანჯებოდა **გამოუთქმელად**: 321,25 ხ. ს. იმდულრებოდა **საბრალოდ**: 298,2 ხ. ს. ეტრფიალები მას **უნუგეშოდ**: 326,30 ხ. ს. ან კიდევ: ბღუჩანი მომგვარეთ **სწრაფად**: 356,28 ხ. ს.

... ინვერსია უმაღვე გამოყოფს ფრაზიდან სიტყვებს, გამოთქმებს და მასზე გადააქვს მკითხველის ყურადღება. ინვერსიული წყობის თავისებურება არ შეიძლება შეუქმნეველი დარჩეს მკითხველს. სწორედ ამიტომ ინვერსიულადა დალაგებული განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აზრების გადმოცემისას წინადადების წევრები²².

VI. მ ს ა ზ ღ ვ რ ე ლ - ს ა ზ ვ რ უ ლ ი ს გ ა თ ი შ ვ ა. ზედსართავი სახელის მნიშვნელობა განსაკუთრებით მძაფრად აღიქმება მსაზღვრელ-საზღვრელის ან ვითარების გარემოებისა და შემასმენლის გათიშვის დროს, ორმაგად ეფექტურია პოსტპოზიციური მსაზღვრელ-საზღვრელის გათიშვა. ამ ხერხის გამოყენებისას აქტიურდება ყველა წევრი — გათიშულიც და გათიშველიც. ინვერსია და გათიშვა სინტაგმის წევრებს აცალკეებს და ამით ხაზს უსვამს მათ...²³.

გათიშვის შემთხვევები ჩვეულებრივ დამახასიათებელია იმ პასაჟებისათვის, რომლებიც განსაკუთრებული გრძნობითი ელფერით არიან დატვირთულ-

ნი (ივარაუდება, რომ ამგვარი ადგილების უმრავლესობა ე. ბარნოვთან რიტ-მულია)²⁴.

ა) მსაზღვრელ-საზღვრულის გათიშვის ნიმუშებია: სიომ დაპკრა მწვერვა-ლებიდან მაგრილებელმა: 141,18 ტ. წ. და საგონებელს მიეცა მამიმეს; 158,36 გ. ს. დარად მისცემოდა ბატონი უნათებელსა: 409,16 ტ. წ. ფიქრს მისცემოდა მწარეს ღირსი გრივოლიც. 373,23 ტ. წ.

ბ) ვითარების გარემოებისა და შემასმენლის გათიშვა: გავაპო მარტომ ზღუ-დე უტეხი მთლად უმწველელდე?! 159,32 გ. ს. ბრძანა არაგვის ერისთავმა იმედიაანად: 151,13 გ. ს. მოსპო ისინი უჭირველად მტერმა ყველანი: 161,11 გ. ს.

VII. მსაზღვრელი სიტყვების განკერძოება. კიდევ უფრო სრულფასოვნად აღიქმება ზედსართავი სახელის მნიშვნელობა განკერძოებისას. ამიტომ მეტი სემანტიკური წონა აქვთ განკერძოებულ მსაზღვრელებს. მათი საშუალებით სახასიათო ნიშანი იკვეთება; ზუსტდება და ივსება ჩვეულებრი-ვი განსაზღვრებით თუ გარემოებით გადმოცემული აზრი. სწორედ ეს ტვირ-თავს განკერძოებულ მსაზღვრელებს გრძნობითი ელფერით და ემოციურობას ანიჭებთ მათ. მაგალითად;

ა) განკერძოებული განსაზღვრების ნიმუშებია: ნათელი სიტყვა იცის, მოაზრებული: 372, 20 ტ. წ. გაქევეებული იდგა თებრონია, გარკინავეებული: 407,25 ტ. წ. არ სძინავს ვეჯკაცს, სამშობლოსათვის თვედადებულს: 269,15 ტ. წ. იოვანეს სავალი უფრო ძნელი მოჩანდა, სახიფათო: 299, 7 ზ. ს.

უფრო შთამბეჭდავია განკერძოება, როდესაც იგი მიმყოლი სიტყვებითაა და იმეორებს საზღვრულ სიტყვას, რომელიც კვლავ იხსნება სხვა განკერძოე-ბით. აქ, რა თქმა უნდა, გარკვეულ როლს თამაშობს გამეორების მხატვრული ხერხი, კერძოდ, გამეორება საზღვრულისა, რომელზედაც მოდის ლოგიკური მახვილი:

უხმო ხმას ჩაეწვეთებინა ეს მისთვის პატარა ყურში, მარგალიტის ნაჟურ-სავით პატარა ყურებში: 235,15 ტ. წ. საომრად მიმავალმა მეფემ ერთს წამს თვალი შეაჩერა მასზედ, განცვიფრებული თვალი, დიადი განცდის მსახველ-მხატველი: 230,28 ტ. წ. ... მაგრამ ფრთა არ ემორჩილებოდა მძლედ გასაშლე-ლად, საწყალი ფრთა, ისრით განგმირული: 187,31 ტ. წ. მხოლოდ აშოტს შეეძ-ლო ეს დიდი საქმეები, დიდ აშოტს სათაყვანებელს: 195,29 ტ. წ. თვალეზედ ცრემლი წამოადგა, მადლით სავსე სათნო თვალეზედ: 230,9 ტ. წ. მხოლოდ ნეტარს შეეძლო კოცნით შეეშრო იგი თვალეები, მხურვალე კოცნით გახშირე-ბულით: 232,9 ტ. წ.

ბ) განკერძოებული გარემოების ნიმუშებია: ამყად იდგა დედოფალი, დიდ-მედიდურად: 150,31 ტ. წ. საზრიანად მოაწყო გურანდუხტმა სამეფო ოჯახი, დიდებულად: 167,14 ტ. წ.

ხშირად ერთზე მეტი გარემოებაა განკერძოებული, რითაც მწერალი აზუს-ტებს სათქმელს, უფრო ნათლად წარმოსახავს საგანს: ჩაეკტილიყო დედოფა-ლი თავის ნიჟარაში და ცივად გამოიყურებოდა იქიდან, ბოროტად, მედგარად: 355,26 ტ. წ. მერმე შეხედა ჩამქრალი ხედვით, ცივად, უაზროდ: 378, 24 ტ. წ.

გ) ზოგჯერ დამაზუსტებელი, განკერძოებული სიტყვა ახლავს შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილს, მაგალითად:

ვკითხავ აშოტს, ის მეტყვის მართალს: ქვენიანია, ფიქრგამქვირვალე: 372,19 ტ. წ. შეჭარათ: მთელი სახე წითლად იყო ავარგარებულნი, ამწვარ-აშუმუხული,

კანგადამძვრალი: 407,4 ტ. წ. ვაჟაკი შეყვითლებული იყო, გამხდარ-გამხდარი: 177,25 ტ. წ.

როგორც მითითებენ, განკერძოებული სიტყვების საერთო ნიშანი ის არის, „რომ მათ მეტი სემანტიკური წონა აქვთ, გამოყოფენ, ხაზს უსვამენ დეტალს, რომელსაც ისინი აღნიშნავენ“²⁵.

VIII. სინტაქსური პარალელიზმი. სწორად შერწყმულ წინადადებაში ერთგვაროვანი წევრი საზღვრულის როლშია და თითოეულს ახლავს შესაბამისი შინაარსის ზედსართავი, როგორც მსაზღვრელი. ასეთ შემთხვევაში ეფექტურობა გაორმაგებულია, რადგანაც ექსპრესიულობის საფუძველი უპირველესად თვით ამ ტიპის წინადადებას ბუნებაშია: საზღვრულ სიტყვათა განმეორებაში. ამასთან, თხრობის რიტმის გასაწონასწორებლად ყველა ერთგვარი წევრი მსაზღვრელიანია, ასეთ შემთხვევაში წინადადება თითქოს შერწყმულია სინტაგმათა მიხედვით, მსაზღვრელ-საზღვრულის მიხედვით. მსაზღვრელები სინონიმური მნიშვნელობის სიტყვებს ეხამებიან და ესეც აერთმნიშვნელოანებს მათ. „ნეტარებისა“ და „სიამის“ გვერდით „სიცოცხლეც“ მათი შინაარსით აღიქმება.

ასე, მაგალითად: ვაჟაკს მტკიცედ ეპირა ქალი მძლავრ მკლავებში, როგორც სიცოცხლე უძვირფასესი, ვით ნეტარება მისთვის სორცხსმული, როგორც სიამე გამოუთქმელი: 353,31 ტ. წ.

ან კიდევ: ... განკერძოებულ საკანში უნდა ეპოვებოდა მყუდროება ტკბილი, ურთიერთობა სურნელოვანი, აღერხი ვარდისებური: 211,21 ტ. წ. ვერ მომიწიებია ჩემი ქვეყნისათვის დიდება ადერკისეული, სვესრულია მირიანისებური, ძალთამძლეობა გორგასლური: 148,12 ტ. წ.

სინტაქსურ პარალელიზმს ქმნის განკერძოებული განსაზღვრებები, რომლებიც შერწყმულ წინადადებაში ერთგვაროვან წევრებს აზუსტებენ და ხატოვნად წარმოაჩენენ: მოაკამამე ცასაღით უძირო თვალთაგან ქალისა იხედებოდა იმ წამს მისი გული, მძლავრად დღედილი, მისი არსება, საამოდ განციფიფრებული: 149,10 ტ. წ. წაპლექავდა ყოველსავე: სიდრთხილეს, მოსაზრებას შემეკავებელს, ადათს, წმინდად მიჩნეულს, კანონს, მტკიცედ დაფუძნებულს: 241,1 ტ. წ.

როგორც ვხედავთ, სინტაქსური პარალელიზმი „ერთნაირი სინტაქსურა წყობით, სიტყვიერი მასალითა და ინტონაციით აგებული ორი თუ მეტი დამოუკიდებელი წინადადებაა“²⁶. ისინი ყოველთვის ერთმანეთის გვერდითაა წარმოდგენილი და ამყარებენ აზრთა მთლიანობას, იგივეობას.

სინტაქსური პარალელიზმის მომარჯვებით აგებული წინადადებების მხატვრული ფუნქციაც წარმოსახვის მომენტის ვაძლიერებაა²⁷.

IX. ხარისხის შინაარსის გამოხატვა. ზედსართავი სახელის შინაარსს, მის მნიშვნელობას აძლიერებს ხარისხის ფორმებიც. მაგრამ ვ. ბარნოვის ენაში იშვიათად გვხვდება ზედსართავი ხარისხის ფორმით, მაგალითად, ამგვარი: დატკბი უტკბესო გოლეულისა: 354,13 ტ. წ.

ამ შინაარსს მწერალი უფრო აღწერითი, ლექსიკური საშუალებებით გამოხატავს. მაგალითად, ჩვეულებრივია: მეტად ძვირფასი: 562,26 ა. მ., ძლიერ სწრაფად განვლეს მთელი გზა: 378,3 ხ. ს. სადაც ნიშნის სიჭარბე „ძლიერ“, „მეტად“ ლექსეულებითაა გამოხატული. მაგრამ ვ. ბარნოვი უფრო ხატოვან ეკვივალენტებს გვთავაზობს. ასეთებია: მკვეთრ ბოროტისაგან მიწად დახრილი

დაეყრდნო: 298,22 ნ. ს. უნაკლოდ შეჭურვილი და მსწრაფლ მოძრავი: 456,23 ა. მ.

როგორც მაგალითებიდან ჩანს, უფროობითი ზარისხის შინაარსით გვხვდება ზედსართავთან შეხამებული ზმნისართი, ან ორი ზედსართავი, რომელთაგან ერთი ძირითად შინაარსს გადმოსცემს, ხოლო მეორე ვითარების გარემოების მნიშვნელობით ეხამება ძირითადი თვისების გასაძლიერებლად.

სხვა ნიმუშები: მკიდრად შეკუმშული ბაგე: 325,29 ნ. ს. ღრმად მოხუც დემურჩს: 249,30 ნ. ს. ბღუჩან შეუნდობლად შემცოდვე: 357,29 ნ. ს. მარჯვედ მოწყობილ-მოსაზრებული: 311,16 ნ. ს. და ა. შ.

ამავე შინაარსით გვხვდება, აგრეთვე, ზედსართავები, რომელთაც - ვით თანდებულებანი არსებითი სახელები ეხამება. მაგალითად: მესხით სწრაფი; 412,22 ტ. წ. მესხით მკვეთრი: 353,7 ნ. ს. ელვასავით სწრაფი: 353,7 ნ. ს. ტყვისავით მძიმე: 346,14 ნ. ს.

ამგვარ სიტყვათშეხამებებს მსგავსებითს შედარებას უწოდებენ. „მსგავსებითი შედარების ძირითადი ფუნქციაა, რომ ობიექტთა საერთო ნიშნის რაოდენობრივ-ინტენსიური ვითარებების პროცესი ასახოს: აქედან გამომდინარეობს ნიშნის სიჭარბის კონსტატაცია მსგავსების ერთ-ერთი ... წვერისათვის ... დევივით დიდი კაცი — ძალზე დიდი კაცი“²⁸.

სიტყვათა ამგვარი შეხამებები ზარისხის ფორმათა საკომპენსაციო საშუალებებია. ეს განსაკუთრებით დამახასიათებელია ვ. ბარნოვის ენისათვის, სადაც ხშირად გვხვდება მიმართებითი ზედსართავები, რომელთა უპირავლესობა ავტორის სიტყვათშემოქმედების ნიმუშია. ასეთ ზედსართავებს კი ზარისხის ფორმები არ ეწარმოება, თუმცა თავისი სიახლით მაინც ექსპრესიულნი და შთამბეჭდავნი არიან. ზედსართავების უპირავლესობაში მეორე კომპონენტი ვნებითი გვარის მიმდებარებაა. მაგალითად: პატრონმოშლილი: ტ. წ. 229,8, რომელიც დაქვრივებულის, მარტოდარჩენილის მნიშვნელობითაა ნახმარი; სევდანაქვარბი: ტ. წ. 627,13 — უზომოდ დასევდიანებული; ფიქრგამჭვირვალი: ტ. წ. 372,19 — ნათლად მოაზროვნე, ჰკვიანი; დავლამრავალი: ხ.ს. 77,7 — ვისაც უხვად მიუტოვებია ნადავლი; დარდდარეული: ტ. წ. 378,21 — აშოტი, რომელსაც მთელს არსებაში განსჯდომია სევდა-მწუხარება; აგრეთვე: ზრუნვამოსნისი: ც. ს. 254,8, მუხლმოღებული ა. მ. 262,31 და ა. შ.

X. ზედსართავთა ლექსიკური შერჩევა. ზედსართავი სახელის ექსპრესიულობა იმიტაცაა შეპირობებული, თუ რომელ სიტყვას უხამებს მწერალი საგანგებოდ შერჩეულ ზედსართავს:

1. დიდია მხატვრული ღირებულება იმ ზედსართავებისა, რომლებიც განყენებულ, აბსტრაქტულ სახელებთან ქმნიან წყვილს.

მაგალითად, ჩვეულებრივია გამოთქმა: „ლაგამწყარილი ცხენი“, მაგრამ ზოტურია და ამდენად ექსპრესიული: ლაგამწყარილი სიბოროტე: 345,21 ხ.ს. ან სიბოროტე თვალცეხლიანი: 319,18 ხ.ს. ასევე ხატოვანია: უმზეო სურვილი: 266,26. ხ. ს. შებიჯრება... სიკვდილისფერი: 359,9 ხ. ს. და ა. შ.

აღსანიშნავია, რომ შინაარსის მიხედვით ნათელი ფერები კეთილის საწყისია, ბნელი ფერები კი — ბოროტებისა, სიკვდილისა. მაგალითად, „ტრფობა წამებულის“ მიხედვით ცნობილია: ვარდისფერი სიამე: 248,28 ტ. წ., ფრთათეთრი ნატვრა: 207,16 ტ. წ. თეთრი სიხარული: 187,9 ტ. წ. კეთილის საწყისია, აგრეთვე: მაღლიანი ნათელი ცისფერი 213,11 ტ. წ. სამაგიეროდ, ავის მომასწავებელია: ლაშლაყვარდი: სიკვდილი ლაშლაყვარდი: 117,11 გ. ს. ქუფ-10. მა ც ნ ე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1980, № 1



რი: ქუფრი ლანდები: 130,2 გ. ს. შავი: შავნი აჩრდილნი: 105,15 გ. ს. სივე შავი: 355,11 ტ. წ.

ზოგჯერ ერთი და იგივე ფერი შეიძლება იყოს კეთილის საწყისიც და ბოროტისაც. მაგალითად, ვ. ბარნოვის ენაში ტროპული მნიშვნელობით ნახ-მარია თეთრი ფერი. ერთი მხრივ, გვაქვს: თეთრი ხელმწიფე, თეთრი კეისარი: 34,12 გ. ს. (ბოროტების საწყისია), ხოლო, მეორე მხრივ: ესროდნენ ერთურთს მიმავალნი ჰაზრებს თეთრს თუ შავს: 45,4 გ. ს., სადაც თეთრი ფერი შავის ანტონიმია.

2. განსაკუთრებით ექსპრესიულია ზედსართავი სახელი მაშინ, როდესაც შინაარსით სულეერი თვისების აღმნიშვნელი უსულო სახელებს ეხამება. ამით მწერალს გაპიროვნების ხერხი შემოაქვს თხრობაში. სწორედ ამაში ვლინდება მისი ხატოვანებაც. მაგალითად: მინელდა დაღლილ მდინარეთა მაღალი ხმე-ბი: 12,11 გ. ს. მხოლოდ ამომბდნენ გულგატეხილ ფოთოლს თუ მდელის: 56,8 გ. ს. გამარჯვებულ სინათლეს წინ წაექცია ღონემიხდილი ბნელი უკუნი: 12,7 გ. ს.

ბუნება დახასიათებულია, როგორც მერძობიარე: 263,28 გ. ს. გულცივი: 327,13 გ. ს. ეტრათი უსულგულო: 255,5 ტ. წ. სიბოროტე თვალცეცხლიანი: 319,18 ზ. ს. უმზეო სურვილი: 266,26 ც. ს. მდნარი იმედი 314,32 ზ. ს. და ა. შ.

ზედსართავი სახელის ტროპული მნიშვნელობით ხმარება სიტყვას პოეტურს ხდის, შინაარსით ტვირთავს, სემანტიკური თვალსაზრისით ამრავალფეროვნებს და ამდიდრებს ენის ლექსიკურ მარაგს.

3. არაიშვიათად რიტმი და რითმა განსაზღვრავს ზედსართავის არჩევანს ლექსიკური თვალსაზრისით. საგანგებოდ შერჩეული ზედსართავები.

ა) ალიტერაციასა და ასონანსს ქმნიან წინადადებაში: სულის სიღრმეში ხანძარი მძაფრი: 63,14 გ. ს. გამჭრიახი ჰაზრი გამჭვრეტეი: 88,9 გ. ს.

ბ) ზოგჯერ რითმასაც: ისარი მათ ორბისფრთიანი, ხმალი ფხიანი: 141,12 გ. ს. არმაზ ბრწყინვალე, დამიბრუნე თვალთა სინათლე: 323,7 ა. მ. იყუჩე, გ უ ლ ო, აფეთქებულიო: 191,1 გ. ს.

დ) რითმისთვის საგანგებოდ შერჩეულ ზედსართავებს კიდევ უფრო ნათლად წარმოაჩენს დიალოგები, მაგალითად: — აღმასხანი ხარ? — მე გახლავარ, ბატონო მეფე. — რა საწყალი ხარ: 70,16 გ. ს.

შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი (საწყისი) შერითმულია საკუთარ სახელთან.

ან კიდევ: — ჩავუსმენივარ ენას ბოროტსა. — კეთილის მდომსა: 31,8 გ. ს.

XI. ზედსართავი სახელის ხმარება გარკვეული კოლორიტის შემოსატანად. ზოგჯერ მწერლის მიერ შერჩეულ ზედსართავს ნაწარმოებში აღწერილი სიტუაცია განაპირობებს: ფორმის, საზღვრულთან შეხამების თუ ლექსიკური თვალსაზრისით.

მსაზღვრელის მნიშვნელობით გამოყენებულ ზედსართავს ძირითადად გარკვეული კოლორიტის შექმნა დაჰკისრება. ასე, მაგალითად, გარდასულ ეპოქათა გასაცოცხლებლადაა ნახმარი: კეთილი, ესე, სახიერი, აღმსარებელი, მოწამებრივი... და სიტყვათა ინერსიული რიგი შემდეგს წინადადებაში: კეთილად დაიფარე დედაკაცი ესე. მტკიცედ დაიკვე საფარველისა ქვეშე წმიდისა ამისა სავანისასა, რა ჟამს ძიება ჰყოს მეფემან აშოტ.: 367,7 ტ. წ. დამერთო სახიერო, მიიღე ჩემგან სული ჩემი ტანჯული, დამხსენ წამებას დაუსრულე-

ბელს: 267,13 ტ. წ. ეს გზა, დაო ჩემო სულიერო, რომელს უკვე დაადექ შენ, არის სავალი სჯულის აღმსარებელთა, გზა წამებისა, იქნებ მოწამებრივის აღსარულებისაც, იცოდე ეს შენ: 369,31 ტ. წ.

განსხვავებული ლექსიკა, ზედსართავი სახელის გამარტივებული ფორმები საქირო, რომ ავტორმა ხელოსნის სამყარო გვაგარძნობინოს.

ხარატს ბალიაურის ქალი მოეწონა და მაშინვე ჩუქურთმას შეადარა: რა ჩუქურთმას! ხარატული სახე, ეშხით ჭდეული ნაკვთი: 29,25 ხ; დედის მიერ ამორჩეული კი დაიწუნა, რადგანაც არ იყო: შნოიანად მოხარატებული: პირის ყდა მომრულეო, ნახჩი — მიძიმე, კობტანდ მოჭრილი: 74,17 ხ.

ცხადია, ზედსართავი სახელი ერთ-ერთი კომპონენტი იმ მრავალსახოვან საშუალებათა შორის, რომელთაც მიმართავს მწერალი ეპოქის ან სხვაგვარი კოლორიტის შესაქმნელად. აქ ერთდროულად ანგარიშგასაწევეია გრამატიკული თავისებურებებიც: ზმნური ფორმები, სახელთა ბრუნება, კავშირი... და ა. შ. მაგრამ ამჯერად ჩვენ მხოლოდ მსაზღვრელები გვაინტერესებდა.

ზედსართავი სახელის ექსპრესიულობა სხვადასხვა მწერლის ენაში ნაირნაირად გამოვლინდება. ამ მრავალფეროვნებას დროთა ვითარებაში მხატვრული ნაწარმოების ენისა და სტილის ანალიზი უჩვენებს (რომლის ერთ-ერთი ცდაა ეს წერილი). იქნება განზოგადების შესაძლებლობაც.

ივარაუდება, რომ ქართული მწერლობის ენის ამ კუთხით შესწავლა საინტერესოსა და ახალს კიდევაც წარმოაჩენს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

1. გრ. კ ი კ ნ ა ძ ე, ვაჟა-ფშაველას პოემა „ბახტრიონი“, ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონი“, თბილისი, 1972, გვ. 28.
2. მსაზღვრელ-საზოგადოებრივი და ვითარების გარემოება-შემასმენლის ამგვარი ინდექსი წარმოდგენილი ილია ჭავჭავაძის პროზის ენის მიხედვით: იხ. გ. შ ა ლ ა მ ბ ე რ ი ძ ე, ილია ჭავჭავაძის ენა, თბილისი, 1966, გვ. 200-258.
3. ე. კ ო შ ო რ ი ძ ე, ვასილ ბარნოვის ენა ისტორიული რომანების მიხედვით, თბილისი, 1966, გვ. 43-52.
4. იქ30, გვ. 138.
5. ჯ. ჭ უ მ ბ უ რ ი ძ ე, ანაფორა, სინონიმია, პოემა „ბახტრიონი“, თბილისი, 1972, გვ. 215.
6. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ენათმეცნიერების შესავალი, 1950, გვ. 190-191.
7. გ. შ ა ლ ა მ ბ ე რ ი ძ ე, ილია ჭავჭავაძის ენა, თბილისი, 1966, გვ. 169.
8. ა. ჭ ი ლ ა ი ა, ლიტერატურათმცოდნეობის ძირითადი ცნებები, თბილისი, 1971, გვ. 48.
9. იქვე, გვ. 47.
10. К. М. Морен, Н. Н. Тетере́вникова, Стилистика современного французского языка, М., 1960, გვ. 277.
11. ი. კ ა ვ თ ა რ ა ძ ე, ილიას ქართული: ილია ჭავჭავაძე, საიუბილეო კრებული, თბილისი, 1957, გვ. 234.
12. გრ. კ ი კ ნ ა ძ ე, მეტყველების სტილის საკითხები, თბილისი, 1957, გვ. 244.
13. ალ. ლ ო ნ ტ ი, ხალხური პროზის ენისა და სტილის საკითხები, თბილისი, 1975, გვ. 22.
14. А. И. Ефимов, Стилистика художественной речи, М., 1961, გვ. 273.
15. თ. ი ნ ჯ ი ა, კონსტანტინე გამსახურდიას ენა და სტილი, სადისერტაციო ნაშრომი, 1975, გვ. 170.
16. ბ. ფ ო ჩ ხ უ ა, სიტყვის გრძნობითი ელფერი, „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1977, № 4, გვ. 26.
17. შ. ა ფ რ ი დ ო ნ ი ძ ე, ინვერსიის სტილისტური დანიშნულებისათვის, „ოსუ შრომები“, ტ. 149, გვ. 65.

18. Г. Пауль, Принципы истории языка, М., 1960, გვ. 290.
 19. შ. აფრიდონიძე, დსახ. ნაშრომი, გვ. 59-68.
 20. ახინთიბიძე, ინვერსია, პოემა „ზახტრონი“, თბილისი, 1972, გვ. 210.
 21. შ. აფრიდონიძე, დსახ. ნაშრომი, გვ. 62-63.
 22. ახინთიბიძე, დსახ. ნაშრომი, გვ. 212.
 23. შ. აფრიდონიძე, დსახ. ნაშრომი, გვ. 60-61.
 24. ე. კოშორიძე, დსახ. ნაშრომი, გვ. 31, 42.
 25. А. Н. Гвоздев, Очерки по стилистике русского языка, М., 1955, გვ. 357.
 26. ა. ქილაია, დსახ. ნაშრომი, 1971, გვ. 309.
 27. იქვე, 310.
 28. თ. კვაჭანტირაძე, მსგავსებითი შედარება ქართულში, თბილისი, 1978, გვ. 63.

შემოკლებათა განმარტება

- ა. მ. — „არმაზის მსხვერვა“.
 გ. ს. — „გორგი საყაძე“.
 თ. მ. — „თამარ მრწემი“.
 ტ. შ. — „ტრფობა წამებული“.
 ხ. ს. — „ხაზართა სასძლო“.
 ხ. — „ხარატი“.

Е. А. КОШОРИДЗЕ

ОБ ЭКСПРЕССИВНОЙ ФУНКЦИИ ОПРЕДЕЛЯЮЩИХ

Резюме

На материале языка художественной прозы В. Барнова рассмотрены случаи использования прилагательных (в широком смысле слова) в экспрессивной функции. Показано, что экспрессивность прилагательного прежде всего выявляется при многосторонней характеристике предмета либо явления. Однако, если предмет характеризуется обыкновенными прилагательными и последние не выделяются особой лексической весомостью, тогда и повседневно употребляемые прилагательные приобретают экспрессивность — если их употребление имеет стилистическую основу, или они используются для внесения определенного колорита, или они встречаются в тексте в качестве синонима, антонима, средства повторения, перифразы.

В создании экспрессивности прилагательных значительную роль играют такие синтаксические средства, как инверсия, дислокация, обособление и синтаксический параллелизм.

Эту же цель преследуют лексический подбор прилагательных и передача значения степени при помощи лексем.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი
 ქართული ენის კათედრა
 წარმოადგენს საქართველოს სსრ მეცნიერებათა
 აკადემიის აკადემიკოსმა შ. ძიძიგურმა

ა მ თ ა ნ დ ი ლ ა რ ა ბ ა უ ლ ი

 თ უ რ მ ე მ ო გ ი თ ი ს ა ნ ა ლ ი ზ შ რ ი წ ა რ მ ო მ გ ი ს თ ა ვ ი ს ე ბ უ რ ე მ ა
 ქ ა რ თ ვ ე ლ უ რ ე ნ ა თ ა ზ ო გ დ ი ა ლ ე ბ ტ ო ნ

I. ხევისურული დიალექტი უნახაობის გამოსახატავ საშუალებად „თურმე“ ნაწილაკს არ იცნობს, მაგრამ ეს დანაკლისი სხვა საშუალებებითაა ანაზღაურებული: ამ ნაწილაკის ადგილზე გამოდის ფუნქციურად „თურმე“-ს ფარდი ოდენობა — „ყოფილამ“, რომელიც ზმნური წარმონაქმნია, მაგრამ გაქვევებულა და ნაწილაკად ქცეულა.

„ყოფილამ“ ნაწილაკის მოხმარება ზუსტად „თურმე“-ს მსგავსია: ერთვის ნამყო უწყვეტლისა და წყვეტილის, აგრეთვე აწმყოს ზმნურ ფორმებს და გადმოსცემს თურმეობითის შინაარსს. მისი ადგილიც, „თურმე“-ს მსგავსად, განსაზღვრული არაა — უშუალოდ თუ გათიშულად მოსდევს ან უსწრებს ზმნის ფორმას. უღლების დროს, ჩვეულებრივ, ზმნა იცვლება პირების მიხედვით, ნაწილაკი უცვალებელია. საერთოდ, „ყოფილამ“ ნაწილაკის ქცევა მთლიანად თანხვედრა „თურმე“ ნაწილაკისას. ეს იქნება მწკრივებთან მიმართება, პო-ზიცია ზმნასთან თუ შინაარსობრივი მომენტები (შედარებისათვის იხ. ივ. ქ ა ვ - თ ა რ ა ძ ე, უნახაობის კატეგორიის ისტორიისათვის ქართულში, იკე, VIII, 1956, გვ. 179—182).

აღნიშნული ნაწილაკი, როგორც ჩანს, დღემდე ფიქსირებულ ტექსტებში არ მოხვედრილა და ამიტომ მეცნიერებაშიც გაუთვალისწინებელი დარჩენილა. გამოქვეყნებული ტექსტებიდან ერთადერთი მაგალითი შეგვხვდა „ქართულ დიალექტოლოგიაში“: „ქაცხავ ტილ ყოფილამ ამძიმებსაც“ (დიალ., გვ. 17, სტრიქონი 20). ჩვენმა დაკვირვებამ მისი საკმაოდ ინტენსიური ხმარება დაადასტურა, თუმცა ტექსტების ფიქსირება მხოლოდ ერთ სოფელში (ჭუთაში) მოხდა. იძულებული ვართ ჭერჭერობით მხოლოდ ამ ნიმუშებს დავეყრდნოთ.

ა) ზმნა ნამყო წყვეტილის ფორმითაა: „... ერთხანაც ყოფილამ არხვატს ქისტების ლაშქარ დაეც“ (2,6) (=თურმე დაეცა, დასცემია); „... თიობა/დ/ყოფილამ წავიდ-ა-დ' ზევე მასელივ“ (14,10) (=თურმე წავიდა, წასულა); „... იდინეს ყოფილამ აისრ წუხრამდე (10,14) (=იდინეს თურმე, უღენიათ).

ბ) ზმნა ნამყო უწყვეტლის ფორმითაა: „... კარგს წინავ პატივს ყოფილამ უზიდევდეს, ცუდს—კალთას შპრიდეს“ (22,11,12) (=თურმე უზიდავდენ, უზიდათ და თურმე სპრიდენ, უპრიათ).

გ) ზმნა აწმყოს ფორმითაა: „... ის ქვე რაიმ გამიგონავ, ციხე ყოფილამ აქვავ სულეთშიავ (21,4) (=თურმე აქვსო) (ამავე ჭკუფში შემოვა „ქართული დიალექტოლოგიიდან“ ზემოთ მოყვანილი მაგალითი: „ყოფილამ ამძიმებსაც“).

შერწყმულ წინადადებაში ორ და მეტ ზმნასთან დიალექტი ნაწილაკის გამეორებას ვერიდება, ჩვეულებრივად ურთავს ერთ-ერთს: „... გავჩვენების ყოფილამ იქავ ახლუაში ეს ჭიკვი და გაექცევის, ესრევსა-დ' ვერ ახვედრებს“ (10, 12-14).

საგულისხმოა, რომ „ყოფილამ“ ნაწილაკით ხევისურული აწარმოებს III ხოლმეობითის აღწერით ფორმებსაც (ზმნური ნაწილი აქ ხოლმეობითის მწკრივია: უწყვეტლის ან II-ის).



II. თურმეობის გამოსახატავად მსგავსი ოდენობის ხმარება აღნიშნულია ინგილოურ დიალექტშიც. გრ. იმნიშვილი ფაქტის აღნიშვნის შემდეგ იძლევა საილუსტრაციო ნიმუშებს, რომელთა შორის აწმყოსა და თვით პირველი თურმეობითის ფორმებიც ჩანს (ჩამოდის ყოფილ, ცხოვრობენ ყოფილ, დატყარგავ ყოფილ, დატყერი ყოფილ, უსშენაყე ყოფილა, გატყვენია ყოფილა, უტყერია ყოფილა¹).

ეს საგულისხმო მოვლენაა: როგორც ჩანს, „თურმე“-ს ფარდი ამ ნაწილაკის ფუნქცია და ადგილი ინგილოურში ისე მკაცრად აღარაა განსაზღვრული, როგორც ზეესურთულში; ფუნქციის დაჩრდილვას უნდა გამოეწვეა მისი დართვა თურმეობითის ფორმებზე.

ინგილოურის მავალთებს ახლავს ავტორის ასეთი განმარტება: „ყოფილ[ა] იხმარება უმთავრესად მაშინ, როცა არ არის განსაზღვრული, თუ როდის მომხდარა მოქმედება; მაგ.: „იმა ფურ დაუკარგავ ყოფილ“, მაგრამ „იმა გუშინ ფურ დაუკარგავ“². ასეთი რამ ზეესურთულში არ დასტურდება.

III. ახლა კი ნაწილაკის ფორმობლივი მხარე ორივე დიალექტის გათვალისწინებით:

აღნიშნული ნაწილაკი წარმოშობით აღწერთი წარმოებისა და წარმოადგენს „ყოფნა“ ზმნის პირველი თურმეობითის III პირის ფორმას: ყოფილა —ყოფილ+არს (შდრ. ძვ. ქართ: „ეგევითარი სული არაეის უყნოსიეს, ვინაათი-ვან სოფელი ესე ყოფილ არს“ (ცხ. იოვ. ორპელ. 323,14-15) და ხევს: „იმის შლოკვიად' სიციხის მიცემა ერთ ყოფილას“ (დიალ. გვ. 17), „ხოვანის მინდი დედსერთა ყოფილ (დიალ. 18).

ეს ფორმა დასაწყისში, როგორც ჩანს, მეშველი ზმნის ფუნქციას ასრულებდა: რომელიმე მწკრივის ფორმას ერთვოდა და შეჰქონდა თურმეობის, უნახაობის გაცემა. შემდეგ მოხდა ამ ფორმის გაქვავება და პირდაპირი მნიშვნელობის დაჩრდილვა, იგი იქცა თურმეობის გამომხატველ „თურმე“-ს ტოლ ნაწილაკად, რომელიც ინგილოურში თვით ორგანულ თურმეობითებსაც კი დაერთვის, ე. ი. თურმეობა გადმოიცემა ორი საშუალებით — მორფოლოგიურით და ლექსიკურით. ზეესურთულში მისი ფუნქციები მტკიცედ განსაზღვრა და გაქვავების შემდეგ ამ ფორმას კიდევ დაემატა განუსაზღვრელობითი ნაწილაკი -მე (შდრ. ინგ. ყოფილ(ა) —ხევს. ყოფილამ—ყოფილა+ მე —ბოლო ხმოვნის მოკვეცის ტენდენციით). საგულისხმოა ამ მოვლენის შედარება „თურმე“ ნაწილაკის ისტორიასთან: ძველ „თურე“-ს ისტორიულად ჩვენ თვალწინ დაერთო -მე ნაწილაკი → თურმე³. ა. შანიძეს მიაჩნია, რომ მ ჩაერთო „მერმე“ და „როგორმე“-ს ანალოგიით⁴.

IV. დაბოლოს, თურმეობითის ამგვარი წარმოების წარმოშობას უნდა შევეხოთ.

გრ. იმნიშვილი თავის წერილში დაასკვნის, რომ «ზმნის ამგვარი წარმოება აზერბაიჯანულის ძლიერი და ხანგრძლივი გავლენით შეიძლება აიხსნას.

¹ გრ. ი მ ნ ი შ ვ ი ლ ი, პირველი თურმეობითისა და სტატიკურ ზმნათა წარმოება ინგილოურში, იყ, VII, 1955, გვ. 122-23.

² იქვე.

³ ივ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, უნახაობის კატეგორიის ისტორიისათვის ქართულში, იყ, VIII, 1956, გვ. 179-180,

⁴ ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1973, გვ. 614.

პირველი თურმეობითის აღწერილობითი წარმოება საცესებით ემთხვევა თურქულ ენებში ძლიერ გავრცელებულ ე. წ. თურმეობით მოდალობას. ასეთი ფორმები... აზერბაიჯანულის შესიტყვების კალკია⁶ იქ, როგორც ნაჩვენებია, ზმნის ფორმას ერთვის იმიშ: кэлир იმიш (ჩამოდის ყოფილ).

ასეთი ვარაუდი მოსალოდნელი იყო მაშინ, როდესაც აღნიშნული წარმოება მხოლოდ ინგილოურის თავისებურებად თვლებოდა. ახლა კი, როდესაც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ერთ-ერთ დიალექტში წარმოების ანალოგიური საშუალება აღმოჩნდა, სხვა ენობრივ სამყაროში გამოსავალს ვეღარ დავუწყებთ ძებნას. ორ ურთიერთდაცილებულ (გეოგრაფიულადაც და ისტორიულადაც) დიალექტში მეტერიალურად და ფუნქციურად ტოლფარდი სპეციფიური ელემენტის ხმარება ადასტურებს, რომ ორივე შემთხვევაში მიზეზი ქართულ ენობრივ სამყაროში უნდა ვეძიოთ.

მართალია, ამ შემთხვევაში შესაძლებელი იყო ყურადღება ხევესურეთის მოსაზღვრე ქისტურ-ჩახნური ენებისათვის მიგვეპყრო და არცთუ უსაფუძვლოდ, რადგანაც აქ აღნიშნულია თურმეობითების აღწერითი წარმოება⁷, მაგრამ, რაც მთავარია, წარმოების ეს სისტემა სრულიადაც არ თანხვდება ზემოთ განხილულს — ის ზუსტად შეესაბამება საერთოდ ქართულში მოქმედ მეშველ-ზმნიან წარმოებას: მიძღობა + მეშველი ზმნა შესაბამისი პირის ფორმით; თანაც ეს წარმოება ქისტური ჯგუფის ენებში ახალ წარმონაქმნად ივარაუდება⁸, თუმცა ფრიალ საგულსსხო მონაცემებს იძლევა.

ქისტური ჯგუფის ენებში კიდევ რომ აღმოჩენილიყო ქართული ენის დიალექტებში დადასტურებულის მსგავსი წარმოება, ძიება პირველ რიგში მაინც ქართული ენის მონაცემებზე უნდა წარგვემართა.

V. ქართულში და საერთოდ ქართველურ ენებში ძირითადად თურმეობითის სამგვარი წარმოება გვაქვს: ერთი ორგანული და ორიც ანალიზური; ერთი — მიძღობა + მეშველი ზმნა პირებში და რიცხვში ცვალებადი და მეორე — ზმნის პირიანი ფორმა + გაქვევებული მეშველი ზმნა (რომელიც იგივე ნაწილაკია), ანდა ნაწილაკი.

ქართული ენა ყველაზე უკეთ იძლევა ამ სახეებს: მ-ი-ხატ-ავ-ს, წავსულვარ (წასულ + ვარ), გვაკეთე თურმე.

ჭანურში კარგადაა წარმოდგენილი ანალიზური წარმოების მეორე სახე: პირიან ფორმას აქ ერთვის გაქვევებული მეშველი ზმნის ფორმა: დორენ ან ერ-ე. აღნიშნულია, რომ მეშველი ზმნა უცვლელად რჩება, ხოლო წინა ნაწილი (ნამყო უწყვეტელი ან წყვეტილი) იცვლება პირების მიხედვით (ბ-ზუმ-უმ-ტი დორენ ბ-ზიმ-უფ-ტ-ერე „თურმე ვზომავდი“⁹). როგორც ვხედავთ, ეს წარმოება სრულიად შეესაბამება ქართულის „თურმე“ ნაწილაკიან წარმოებას, ოღონდ აქ მეშველი ზმნის გაქვევებული ფორმა გვაქვს.

ნ. მარი ჭანურში გამოყოფს აგრეთვე მეორე ტიპის აღწერით წარმოებას: მიძღობას + მეშველი ზმნა: ჭარერი ვორე, ორე...⁹

⁶ გრ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 123.
⁷ დ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, თურმეობითი ქისტური ჯგუფის ენებში, ივე, VI, 1954, გვ. 337.
⁸ იქვე, გვ. 339.
⁹ არნ. ჩ ი კ ო ბ ა ვ ა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი (ტექსტებითურთ), თბილისი, 1936, გვ. 141-156.
⁹ Н. М а р р, Грамматика чанскаго (лазскаго) языка, СПб., 1910, გვ. 61.

ნ. მარი ახასიათებს მეშველ ზმნას რ ძირით: სრული ფუძეა ორე, შეკვეცილი — რე...

ლო ზმნისწინით ხშირად იხმარება აწმყო: მე-2 პ. დ-ორე, მე-3 პ. დ-ორენ...¹⁰

დამხმარე ზმნა რ-ძირით: რინა, სრული ორე „ვარ“ (ხოლო შეკვეცილი — რე, რომელიც ჩვეულებრივ გამოიყენება) მეგრულშიცაა გამოყოფილი. მისი ხმარება უღლებადი ფორმით შეიმჩნევა მიმღეობებთან (ჭოფილი ვორექ). უკვე ფუძესთან შეზრდილი ჩანს მისი შეკვეცილი გაქვავებული ფორმა (ბ, ვ-ქარელ-ექ-დაწერილი ვარ (ადრე) მიმღეობა ქარილი და ვორექ¹¹). ეს ზმნა დამოუკიდებლადაც გვხვდება და სხვა ფუძეებთან მიერთებულიც¹², მაგრამ, სამწუხაროდ, მესამე სერიის აღწერითი წარმოება ცალკე გარკვევით არაა გამოყოფილი, თუმცა ეს მითითებულია გნებით გვარის ზმნებისათვის¹³.

სვანურშიც თურმეობითები ძირითადად მეშველი ზმნით იწარმოება. ერთ შემთხვევაში (მოქმედებითი გვარის ზმნებთან) მეშველი ზმნა ერთვის ზმნის პირიან ფორმას: ხტაკუშ-ინა-ხტი, ხაკუშ-ინა-ხი (ეუტეხდი, უტეხდი თურმე)¹⁴. ეს ფორმულა თითქოს ვარდება საერთო სისტემიდან, მაგრამ ასეთი წარმოება: პირიან ფორმას + პირებში ცვალებადი მეშველი ზმნა მთლად ძველი არ უნდა იყოს (ანალოგიური მოვლენები ქართულშიც გვაქვს: შდრ. ძვ. ვდგა — ახალი: ვდგა-ვარ). სვანურში ამ შემთხვევის გვიანდლობას (ალბათ ანალოგიით გაჩენას) ისიც უნდა მიუთითებდეს, რომ მესამე პირში მეშველი ზმნა არა ჩანს.

მეორე შემთხვევაში (გნ. გვარის ზმნებში) აღწერითი ფორმები მიმღეობაზე მეშველი ზმნის დართვით მიიღება ქართულის მსგავსად: ჩო-ლშიხე ხტი, ო-ლშიხე ხი, ო-ლშიხე ლი (= „დავმწვარავარ, დამწვარახარ, დამწვარა“) ¹⁵. ამ სისტემაშივე შემოვა „ნაშენება-ვარ“ ტიპებიც, რაც სვანურში შეიმჩნევა და ქვემოიმერულშიც გვაქვს¹⁶.

მაგრამ ამჟამად განსაკუთრებით საგულისხმოა ჩვენთვის, რომ აღნიშნულია თურმეობის ნაწილაკის იშვიათი ხმარება ზმნის პირიან ფორმებთან, ე. ი. მესამე ტიპი. ეს ნაწილაკია: ქვსვ. ესრენ, ზსვ. ესნარ, ლხმ. ესნერ „თურმე“¹⁷. სამწუხაროდ, ნაწილაკის დახასიათება და ანალიზი დაწერალებით არაა მოცემული. ეს ნაწილაკი ძველი მოვლენის ნაშთილა უნდა იყოს, რადგანაც მისი ხმარება ჩამოყალიბებული თურმეობითის ფორმებთან იჩენს თავს (ე. ი. ფუნქციურად უმოქმედოა. შდრ. ინგილოურში დადასტურებული მსგავსი შემთხვევა): „ესრენ ურწყულ ლმარ ი ეჯლა დეშ ლმებერვინ“ (— „თურმე უწმინდური ყოფილა და ამისათვის ვერ ნაბედავა“).

მაშასადამე, შედარებიდან ცხადი ხდება, რომ თურმეობითის აღწერითი წარმოების ერთი ტიპი სამივე ქართველურ ენაში სრულიად ერთგვარადაა წარმოდგენილი, რაც ზოგადად ასე შეიძლება გადმოიცეს:

¹⁰ იქვე, გვ. 67.

¹¹ И. К и п ш и д з е. Грамматика мингрельского (иверского) языка, СПб., 1914, გვ. 54, 101.

¹² იქვე, გვ. 90-91.

¹³ იქვე, გვ. 101 და 86.

¹⁴ ვ. თოფურია, შრომები, I, თბილისი, 1967, გვ. 130 და შ.

¹⁵ იქვე, გვ. 204-205.

¹⁶ გ. როგავა. დრო-კალთა მეთოხე ჯგუფის ნაკვები ქართველურ ენებში, იყ, ტ, V, 1953.

¹⁷ ვ. თოფურია, დასახ. ნაშრომი, გვ. 193, აგრეთვე: 134-135.

ზმნის რომელიმე მწკრივის¹⁸
საკურო პირის ფორმა + { ქართ. თურმე—თურმე
ზან. ერეკლე (6)—დორე (6)
სვან. ესრენ

სამივე ეს მინაერთი დღეს შეიძლება მივიჩნიოთ ნაწილაკად, რადგანაც ისინი გაქვევებულ ფორმით მზამზარეულად გამოიყენებიან თურმეობის საწარმოებლად. ისტორიულად ზანურის ერეკლე(6) — დორე(6), როგორც ზემოთ ვნახეთ, რძირიანი მემველი „ორენ“ ზმნის ფორმებია. შეუძლებელი არ ჩანს თუ რე ნაწილაკში შემადგენელი ელემენტების ძიება, კერძოდ, რეს გამოსაყოფად თუ-ს ნაწილაკობა უეჭველი ფაქტი.

აქ კი საგულისხმოა ხევსურულ დიალექტში დადასტურებული თუ ნაწილაკის ერთი ფუნქცია.

ხევსურულს თურმეობითის აღწერითი წარმოების კიდევ ერთი საშუალება მოეპოვება, ესაა ნაწილაკი თუ. გარდა ჩვეულებრივი მნიშვნელობისა, რაც მას, როგორც კავშირს, ახასიათებს და პირობითობის გამოხატვაში მდგომარეობს (ესაა მისი ძირითადი მნიშვნელობა ქართულში), თუ, როგორც ნაწილაკი, ხევსურულში ზუსტად „თურმე“-ს როლს ასრულებს (მისი კიდევ ერთი მნიშვნელობა — „აღბათ“ ა. შანიძეს აქვს აღნიშნული: საფუძვლები, გვ. 614). ასეთი წარმოება არცთუ ხშირია, მაგრამ სიძველით შეიძლება „ყოფილამ“ ნაწილაკით წარმოებას არც ჩამორჩებოდეს, უფრო—პირიქით. თუ ნაწილაკის ეს ფუნქცია მინიშნებულია სპეციალურ ლიტერატურაში: ა. შანიძე ვაბუშურის მასალებსადმი დართულ ლექსიკონში თუ-ს თურმე-დ განმარტავს, ხოლო ივ. ჭავჭავაძე წერს, რომ „ხევსურულისა და მოხერის თუ-ს გამოყენება თურმე-ს მნიშვნელობით ახალი არაა...“¹⁹.

მაგალითები: „... ეს ქალუნდაურ გურეელი თუ ზის სოფლის ძირში და თხრის ყანაში ზიდხოლას“ (გაბ. 158, 19-20); „... სამნ მოხოვარან თუ არიანა' სხენ რიყეში...“ (ჭინჭ. 353,24-25); „... ქალის ქმარ თუ იცდის იქავ წყალზე...“ (გ. დოლ. 46,25) და სხვა.

საყურადღებოა, რომ თუ ნაწილაკის პოზიცია ზმნისთან თითქმის ყოველთვის წინაა, ვადანაცვლება სტილურ ნიუანსებთან უნდა იყოს დაკავშირებული; აქვს პროკლიტიკის (ვადანაცვლებულს ენკლიტიკის) მიდრეკილება: „... ცხოვრობენ თუ კარგად, კარგებ სახლებ ექნ...“ (ჭინჭ. 329,9); „... წამავიდ თუა, და მივიდ ი ციხესთან...“ (გ. დოლ. 47,3).

საგულისხმოა, რომ თუ ნაწილაკი ასეთი ფუნქციით მოხეურში და ფშაურშიც დასტურდება, თუმცა იშვიათი ჩანს, რამდენადაც ამ დიალექტებში თუ რმე ნაწილაკია დამკვიდრებული.

მოხეურის: „ერთი ბატონის ქალი ყოფილა იმ სახელმწიფოში და იმის ქალს თურმე ითხოვს იმ ხელმწიფის შვილი, მაგრამ ქალი სწუნობს. ქალის ძმებმა თუ უთხრეს ღურბელას...“ (დიალ. 43, 8-9).

ფშაურის: „...გაუჭსნავ და მაჭარ თუ ვადმანჯიოდა პირთანთა ი ტიკს“ (დიალ. 134,3); „... ერთ ბებერ თუ არის...“ (დიალ. 136,4); „... თუ მიიყვანეს ერთ ციხის კარზედა“ (დიალ. 138,24).

¹⁸ ჩვეულებრივ გვხვდება ნამყო სრული და უსრული, აგრეთვე აწყო, ხოლო თურმეობითის ჩამოყალიბებულ ნაკვთზე ამ ნაწილაკის დართვა (სვანურში, ინგილურში), აღრევს, ნაწილაკის ფუნქციის დაკარგვის გამო უნდა ხდებოდეს. ან აქ უძველესი ვითარებას ვადმონავითა, როცა თურმეობითის ფორმა ახლანდელ ფუნქციას არ შეიცვალა: იხ.: ივ. ქავთარაძე, უნახაობის კატეგორიის ისტორიისათვის ქართულში, იყე, VIII, 1956, გვ. 179-193.

¹⁹ ივ. ქავთარაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 183.

ამგვარად, „თურე“ შეიძლება მივიჩნიოთ ორი ნაწილად: შერწყმით მიღებულ ოდენობად (თუ+რე)²⁰, ანდა დავუშვათ ასეთი ვარაუდი: ხომ არ არის რე მეშველი ზმნის ნაშთი (როგორც ეს მეგრულშია), მაგრამ, ასე იქნება თუ ისე, ერთი ამჟამად: იმ ეტაპზე, როცა ეს ნაწილაკი ჩამოყალიბდა, თუ ნაწილაკს უნდა ჰქონოდა ის ფუნქცია, რასაც დღეს კიდევ გვიჩვენებს ხევსურული დიალექტი — უნახაობის, თურმეობის ფუნქცია; თურმეობითობის შინაარსი მხოლოდ მისგან უნდა მოდიოდეს.

დამაფიქრებელია აგრეთვე ორივე („ყოფილა“ და „თურე“) ელემენტებზე ერთი და იმავე ნაწილაკის — მეს- დართვა, ალბათ, განუსაზღვრელობითი შინაარსის გასაძლიერებლად.

ამრიგად, ქართულ დიალექტებში „ყოფილა“ || „ყოფილამ“ ნაწილაკის ჩამოყალიბების საფუძველი რომელიმე სხვა ენობრივ სამყაროში საძიებელი არა გვგონია. ის წმინდა ქართული მოვლენა ჩანს.

²⁰ ივ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 180.

შ ე მ ო კ ლ ე ბ ა თ ა გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა

1. გ ა ბ ე.— ხევსურული მასალები — ბეს. გაბუურის მიერ შეკრებილი, პროფ. ა. შანიძის რედაქციითა და მის მიერვე შედგენილი ლექსიკონითურთ, ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწადიური, I-II, ტფ., 1923-24.
2. ჭ ი ნ ჭ.—ალ. ჭ ი ნ ჭ ა რ ა უ ლ ი, ხევსურულს თავისებურებანი (ტექსტებითა და ინდექსით, თბ., 1960 წ.
3. გ. დოღ.— გ. დოღიძე, ხევსურული ტექსტები (ლექსიკონითურთ), თბ., 1975.
4. დიალ.— ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961.
5. ცხ. იოვ. ორბაქელი — К. Кекелидзе, Жизнь и подвиги св. Иоанна, католика Урхайского, XV, т. II, в. III, СПб., 1914.

А. И. АРАБУЛИ

ОСОБЕННОСТИ АНАЛИТИЧЕСКОГО ОБРАЗОВАНИЯ ЗАОЧНОСТИ В НЕКОТОРЫХ ДИАЛЕКТАХ КАРТВЕЛЬСКИХ ЯЗЫКОВ

Резюме

В хевсурском и ингилойском диалектах функционирует специфическая частица «qorila || qorilam», которая по значению соответствует грузинской частице «turme» (-оказывается) и в сочетании с разными временными формами глагола обозначает заочность.

Эта частица по происхождению является описательной формой вспомогательного глагола (ars) в результивном первом (qoril-a←qoril+ars), которая в хевсурском диалекте осложняется частицей «me» (ср. turme←ture+me).

При объяснении такого вида образования следует предусмотреть формы аналитического выражения заочности в картвельских языках и тенденции их развития.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ
ენათა განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა

ბაღრი ცხადაძე

-ო ლ-ა სუფიქსებიან მასდართა ერთი ჯგუფისათვის
ძველ ქართულში

-ო ლ- სუფიქსი გამოყოფილი ნაზმნარ სახელთა ერთ ჯგუფში. ამ სუფიქსის ფუნქციისა და შედგენილობის შეფასებაში არაა ერთგვარობა. -ო ლ, ა. შანიძის აზრით, გარდაუვალი ზმნების საწყისის მაწარმოებელია. კერძოდ, ივა ენების უძველესი ნიშანია ძველ ქართულში, რომელიც წარმოშობით იგივე უნდა იყოს, რაც სვანურის ო ლ, რომელიც ენებითი გვარის ზმნათა სავრცობა: ტეხნი („ბრუნდება“), ტენოლ („ბრუნდებოდა“) და მისთ (1, გვ. 563; 2, გვ. 137).

გ. დეეტერსის მიხედვით, -ო ლ // -ომ სუფიქსებში ო მიღებულია ოსაგან ფუძისეული ვინის ან მომდევნო მ'ანის გაელენით; წვ-ო-ლ-ა→წოლა; დვი-მ-ა→დვომა (3, § 407, გვ. 217; § 411, 412, გვ. 218).

რჩ მხოლოდ სიტყვის თავდაპირველ სტრუქტურაშია რეალიზებული და აბ არის მიღებული სუბსტიტუციის ან მეტათეზისის შედეგად: მუს ორჩუ „რას ერჩის“ (ყიფ. 311); დორჩაფილი „დაგებული“ (ეტიმ. „დარეცილი“) (ყიფ. 311).

რგ: რგუფა „რგვა“ (ყიფ. 304). რგ—გრ: რგილი (←გრილი) (ცაგ. II, 53); მარგალი (←*მარგალი—მეგრელი) (ყიფ. 276); მარგატელი (←მარგატელი/მავრატელი. შდრ. *Маргат*) (ყიფ. 304).

აქცესიური გრ, როგორც ჩანს, მეგრულში იცვლება დეცესიური რგ-თი, მაგრამ ქართულის გავლენით გრ კომპლექსიც რეალიზებულია ახლად ნასესხებ სიტყვებში: გროში ([14], 398, სტრ. 210), გრანიცა (граница) (ყიფ. 219); გრიპი, გრადუსი („თერმომეტრი“) და სხვა.

რკ: რკინება „ჭიდაობა“, „შერკინება“: რკ—კლ: რკება (←კლება) (ყიფ. 307); აქცესიურ კრ-ს თავიდან აცილებს მოტივიც (სხვა ფაქტორთან ერთად) განსაზღვრავდა ქართ. კრ-ს ფარდი კომპლექსის რ-ს ვოკალიზაციას მეგრულში: ქართ. კრავი, მეგრ. კირიბი (←*კრიბ—*კრობ—კრაბ) ([5], გვ. 111); ქართ. კრება, მეგრ. კორობუა (←კრობუა) ([5], გვ. 341; 356. შდრ. [13], გვ. 463—467).

აქცესიური კრ რეალიზებულია მხოლოდ ახლად ნასესხებ სიტყვებში: კრუხი (შდრ. ამავე მნიშვნელობის მეგრ. „მოკვა“), კრამიტი (ეს სიტყვა ბერძნულიდან არის ქართულში შემოსული, ქართულიდან — მეგრულში (ჯგჟჟჟჟ, =მისე).

რქ—ქრ: ორქო (←ოქრო) (ცაგ. II, 53; ყიფ. 52,22); ფირქი (←ფიქრი) (ცაგ. II, გვ. 52; ყიფ. 8,22). ცხადია, „ფიქრი“ ([14], 391, სტრ. 302) ახალი ფორმაა; რქელი (←ქერივი) (ცაგ. II, 53).

რქ—ქლ: ბორქომი (←ბოქლომი) (ყიფ. 206); არქემი (←აქლემი) (ყიფ. 197). ბუნებრივი რქ კომპლექსი ანლაუტში მარტივდება: ქა (←რქა) (ყიფ. 341); აქცესიური ქრ-ც, რა თქმა უნდა, მარტივდება: ქისე (ქირსე) „შობა“ (ეტიმ. „ქრისტე“) (ყიფ. 345). ქართ. ქრთამი მეგრულში ორგვარად მარტივდება: რთამი, ქთამი; ქისტი (ქრისტი—ქრისტინე).

სპირანტებთან (ზ ს, უ შ, ლ ხ-სთან) რ წ ი ნ ა პ ო ზ ი ც ი ა ს იკავებს და გაურბის მომდევნო პოზიციას:

რზ შეიძლება მიღებული იყოს: ა) ზრ-საგან რ-ს გადასმით: გარზახ (←განზრახ), არზი (←აზრი) (ყიფ. 196), შდრ. ახლად შესული „აზრი“ ([14], 391, სტრ. 307); მერზაფუ „მეზაფრა“ (ყიფ. 236); ტანს გამარზილუ „ტანში გამაქრეოლა“ („გამაზრიალა“); ბ) ს უ ბ ს ტ ი ტ უ ც ი თ: ორზოლი (←ოგზოლი „სავაზალი“), ორზანს (←ოგზანს „ავაზნებს“; მიარზუ „შეაძლია“).

რს ხშირად მიღებულია ა) ხრ-საგან რ-ს გადასმით: რსიოლი (←ხრიალი) (ყიფ. 309); დუდიშ რსიოლი „თავბრუს დახვევა“ (ეტიმ. „თავის სრიალი“);

რსულას (←სრულად) (ხუბ. 181,20); ბ) ს უ ბ ს ტ ი ტ უ ც ი ი თ: რს—სლ/სლ: ნირსი (←ნიხლი) (ცაგ. II, 53); ქურბი/ქურტი (←ქუსლი „წიხლი“) (ციფ. 347); ბორსობა (←ბოხლობა „ძველი დღესასწაული“) (ციფ. 206); ბურს (←ბულს „ბალს“) რს←ქს: ლერხი (←ლექხი, ლწჷც) (ციფ. 273); არხენტი (←აქსენტი) ([6], გვ. 505).

რუ ნაკლებად რეალიზდება. რუ←ურ: რუილი (←ურიალი) (ციფ. 309).

რშ ზოგჯერ მეორეულია, მეტათეზისისა და სუბსტიტუციის შედეგი: რშაილი (←შრაილი) (ციფ. 311); ქს←რშ: დორშვილი „დაქსელილი“ ([12], გვ. 361. შდრ. რშვინუა „სტვენა“, სადაც ჭერ შტ კომპლექსის ტ დაკარგულა (შდრ. შტერი←შერი „გეი“) და შემდეგ რ განვითარებულია ([12], გვ. 315).

რღ ბუნებრივი და გავრცელებული კომპლექსია: ნორღვა „ნაღვერდალი“, (ციფ. 310); დურღენი „მაყვლის ბუჩქი“ (ციფ. 229); რღვაუა „ყრა“ (ეტიმ. „ღვრა“?), (ციფ. 310). ზოგჯერ ის მიღებულია დღ-საგან (ღ-ს ენაცვლება რ და წინ გადაისმის): რღია (←იღლია) (ციფ. 310); თნარღუ „ენაღვლება“ (ხუბ. 64,17); ინარღუ „ინაღვლება“ (ხუბ. 23,24); ნარღი („ნაღველი“, „დარღი“) (ციფ. 67,26). ღრ უჩვეულოა, მაგრამ იშვიათად დასტურდება: ღრისი (←ღირსი) (ციფ. 352).

რხ ზოგჯერ მეორეულია და მიღებული: ა) რ-ს გადასმით, ხრ←რხ: რხილი (←ხრიალი) (ხუბ. 191,4); ბ) ს უ ბ ს ტ ი ტ უ ც ი ი თ: ლხ←რხ: რხინი (←ლხინი), სარხინო „სალხინო“ (ციფ. 314); ხარხი (←ხალხი) (ხუბ. 191,4); გ) ს უ ბ ს ტ ი ტ უ ც ი ა — მეტათეზისით: მუარხე (←მოახლე) (ცაგ. II, 53), შდრ. ქართულის გავლენით: მუახლე ([14], 386, სტრ. 136).

რ აშკარად გაღრბის სონორ ლ, მ, ნ, ვ ბგერებთან შეხვედრას, როგორც წინა ასევე მომდევნო პოზიციაში, რაც გასაგებია; ქართულშიც უპირის სონორ ბგერას სონორთან ბგერათკომპლექსის რეალიზება ([16], გვ. 99). ამიტომაც რომ ო₂-ის ნიშანი რ (resp. გ) სონორ ლ-სთან ვერ ძლებს და გადაისმის: რლახუნს→ლარხუნს „გეცმს“: მუშენი ლარხუა „რატომ გაგლახაო“ (ხუბ. 53,14).

V. განვითარება, რ ვითარდება იმავე თანხმოვნების წინ (ბავისმიერთა გამორიცხვით), რომლებთანაც ის მეტათეზისით იკავებდა წინა პოზიციას. არცერთი შემთხვევა არა გვაქვს, რომ რ განვითარებული იყოს თანხმოვნის მომდევნო პოზიციაში. ასეთ შემთხვევაში განვითარებული რ ან ღია მარცვალს ხურავს ან ისეთ თანხმოვანთა კომპლექსების წინ რეალიზდება, რომელთა განაწილება მარცვლებზე არ ხდება.

ა) განვითარებული რ ღია მარცვალს ხურავს: დ-ს წინ: გოკორ-ღე „გინდოდე“ (ციფ. 113,7) (გოკორღე←*გოკოოდე); ტ-ს წინ: წიწმარტე „წიწმატი“ (ციფ. 379); არ-ტაჟა (←зтаж): არტაჟიანი „სართულიანი“ ([14], 385, სტრ. 127); თ-ს წინ: მურ-თაქა/მურ-თაგა (←*მუთაქა“ (ციფ. 283); ც-ს წინ: ეორ-ცუ („ეოცა“) (ციფ. 313); გ-ს წინ: არ-გუსო (←*აგუსტო, „აგვისტო“, augustus) (ცაგ. II, 53); ქ-ს წინ: ჰირ-ქა (←ჰიქა) (ცაგ. II, 52); შ-ს წინ: ყორ-ში (←კოშკი) (ცაგ. II, 52); ლაყურ-ში (←ლაყური) (ციფ. 10,34); ხ-ს წინ: ქორ-სა (←ქოსა) (ციფ. 345); ფირ-სა (←ფისი) (ციფ. 336); ზ-ს წინ: ბორ-ზალი (←ბოძალი) (ციფ. 206).

ბ) რ ვითარდება თანხმოვანთა კომპლექსის წინ. რ-ს

გარეშე ასეთი კომპლექსი მომდევნო მარცვლისაა, მათზე მარცვალთგამყარა არ გადის და წინა მარცვალი ღიაა. განვითარებული რ კი მიეკვრის წინა ღია მარცვალს, რადგან დეცესიურ ბგერათკომპლექსის დაშლა არ ხდება, ე. ი. კომპლექსის თანხმოვნები არ ნაწილდება წინა და მომდევნო მარცვლებზე. ასეთ შემთხვევაში მეგრული ცდილობს, მარცვალთა ბგერათ შედგენილობაში არსებულ დამატებას დაძლიოს განვითარებული რ-ს ღია მარცვალთან მიკვრიო, მარცვლის დახურვით და რამდენადმე „გააწონასწოროს“ მარცვალთა ფონემური შედგენილობა:

ღგ→რღგ: არ-დგილი (—ადგილი) (ყიფ. 105,26; 82,11).

ძღ→რძღ: დირ-ძღეს „გაძღნენ“ (ხუბ. 182,3).

ცხ→რცხ: ურ-ცხო (—უცხო) (ეაგ. II, 52).

ჩგ→რჩგ: ორ-ჩგინუ „აჯობა“, შდრ. უ-ჩგ-უ(ნ) „სჯობა“ ([12], გვ. 436).

ჩქ→რჩქ: მორ-ჩქუ „მოჩანს“, შდრ. რჩქუ(ნ)|ჩქუ(ნ) „ჩანს“ ([12], გვ. 378).

წყ→რწყ: ორ-წყენა „ხედავენ“ (ხუბ. 182,11); შდრ. წყ ძირის მ-წყემ-ს-ი, ეტიმ. „მაყურებელი“ ([12], გვ. 398).

წვ→რწვ: მარ-წვენი|მარ-წვინი „მაწონი“ (ყიფ. 278). შდრ. ეგვეე კომპლექსი ანლაუტში: რწვანე (—წვანე—მწვანე) (ყიფ. 07).

დასკვნები: მეგრულის ფონემატური სტრუქტურის შექმნაში რ ყველაზე აქტიურ და გამორჩეულ როლს თამაშობს. მისი მონაწილეობა რამდენიმე ფონეტიკურ მოვლენაში, განსაკუთრებით სუბსტიტუციასა და მეტათეზისში მოტივირებულია ბუნებრივი ბგერათკომპლექსების მიღების აუცილებლობით, ხოლო მისივე გაჩენა-განვითარება თანხმოვნების წინ — ღია მარცვლის დახურვით მარცვალთა ფონემური შედგენილობის „გააწონასწორებლად“; რ მეტად „დამყოლი“ ბუნებისაა: ის ყველა თანხმოვანს ეგუება, გარდა სონორებისა, და ჩვეულებრივ თანხმოვნების წინა პოზიციას ირჩევს (მხოლოდ ბავისმიერ ბ, პ, ფ და ნაწილობრივ კბილისმიერ დ, ტ, თ-სთან ხშულებთან იკავებს მომდევნო პოზიციას, რათა აცილებულ იქნეს მოსალოდნელი აქცესიური კომპლექსები):

ა) ბგერათშენაცვლებიას თანხმოვნებთან წინა პოზიციას იკავებს;

ბ) ბგერათგადასმისას ასევე წინა პოზიციას იკავებს;

გ) გაჩენა-განვითარების შემთხვევაშიც ყოველთვის თანხმოვანთა წინა პოზიციაში რეალიზდება.

ღ-ს საერთო შეუგუებლობა თანხმოვნებთან წინა თუ მომდევნო პოზიციაში, ასევე ზოგიერთი სხვა ბგერის (გ, ქ, ხ...) შეუთავსებლობა გარკვეულ თანხმოვნებთან წინა პოზიციაში, აშკარად წარმოაჩენს რ-ს გაზრდილ როლს ბგერათგანლაგების მოწესრიგების საქმეში, რადგან ის დასახელებულ ბგერათა შემცვლელად გვევლინება.

ლიტერატურა

1. А. Цагарели, Мингрельские этюды, I (тексты), II (опыт фонетики), СПб., 1880.
2. И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка, СПб., 1914.
3. ს. ქლდუაძე, ჰანურ-მეგრულის ფონეტიკა, თბ., 1953.
4. ს. ქლდუაძე, რ. ფონემა მეგრულ-ჰანურში, რჩეული შრომები, თბ., 1965.
12. შაბაძე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1980, № 1

5. თ. გამყრელიძე, გ. მაქავარიანი, სონანტა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965.
 6. გ. როგავა, ქართველურ ენათა შესატყვისობიდან: მეგრ. რ., ქართ. გ., სმამ, X, № 8, 1949.
 7. ტ. გულდავა, ფუძედრეკადი ზმნები მეგრულში, "მაცნეა", ენისა და ლიტერატურის სერია, № 4, 1974.
 8. თ. ქაჩია, ლ. ფონემისათვის მეგრულის მარტივლურ-ბანაჟურ თქმაში, სტალინის პედინსტ. შრ., III, 1957.
 9. გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის შესავალი, თბ., 1956.
 10. მ. ციკოლია, მეგრულს სამურზაყანულ-ზუგდიდური კილოკავის ფონეტიკური მიმოხილვა, დ. გულის სახელობის აუზაზეთის ენის, ლიტერატურის და ისტორიის ინსტიტუტის შრ., XXV, 1954.
 11. ი. ყიფშიძე, ასიმილაციისა და დისიმილაციის წესი ქართულსა და მეგრულში, ტფ. უნ-მოამბე, I, 1919.
 12. ა. ჩიქობავა, ქანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938.
 13. ტ. გულდავა, მეგრულ-ქანური სრულზმონობის ახსნის ცდა, სმამ, XI, №7, 1950.
 14. ა. შანიძე, ეკური ქალაქიანი, "ლიტერატურული ძიებანი", XI, თბ., 1958.
 15. ა. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942.
 16. თ. უთურგაიძე, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბ., 1976.
- რ ხ უ ბ.— მ. ხ უ ბ უ ა, მეგრული ტექსტები, ტფ., 1937.

К. Д. ДАНЕЛИА

О ФУНКЦИИ ЗВУКА **г** ПРИ УПОРЯДОЧЕНИИ РАСПРЕДЕЛЕНИЯ СОГЛАСНЫХ В СЛОВЕ

Резюме

Активное участие согласного **г** в субституции и в метатезисе определяется необходимостью получения естественных звуковых комплексов.

г терпит соседство всех согласных, кроме сонорных и обычно занимает позицию перед согласными (исключение составляют губные согласные **ბ**, **პ**, **ფ**). Во избежание акцесивных комплексов рядом со смычными согласными **გ** занимает последующую позицию.

Особенно усиливает роль звука **გ** при упорядочении распределения согласных тот факт, что невозможно сочетание звука **ლ** **ლ** **ც** согласными. В таких позициях везде звук **გ** занимает место звука **ლ** **ლ**.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი-
ქართული ენის კათედრა
წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა-
აკადემიის აკადემიკოსმა ა. შანიძემ

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

„ზოგადი და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საკითხები“, თბილისი, 1978

გამომცემლობა „მეცნიერება“ საქართველოს ალკე ცენტრალური კომიტეტის ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს (ენათმეცნიერების განყოფილების) გრიფით გამოსცა კრებული „ზოგადი და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საკითხები“. მასში თავმოყრილია მუდმივმოქმედი სემინარის „საენათმეცნიერო საუბრების“ მასალები, რომლებიც მოხსენებებად იქნა წაკითხული 1974-77 წლებში.

კრებული შეიცავს ჩვიდმეტი ავტორის ცხრამეტ სტატიას. წარმოდგენილია ლინგვისტიკის თითქმის ყველა უბანი: ფონეტიკა, გრამატიკა, ლექსიკოლოგია-სემასიოლოგია; განხილულია ქართული დიალექტოლოგიისა და კავკასიური ენების შესწავლის ისტორიის საკითხები; ორი სტატია ეტიმოლოგიურ ძიებებს შეიცავს; კრებულში ასახვა პოვა ქართული ტოპონიმიკის საკითხებმაც. რაც შეეხება კონკრეტულ ენობრივ მასალას, იგი იბერიულ-კავკასიური ენებითაა წარმოდგენილი.

ბ. ჭორბენაძის ზოგადთეორიულ წერილში „მუდმივი და ცვლადი ენაში“ ნავარაუდევია პოტენციისა და რეალიზაციის, მუდმივისა და ცვლადის ურთიერთობის გარკვევა, რისთვისაც ავტორი მიმართავს, ერთი შეხედვით, შემოვლით გზას; სინამდვილეში კი ეს გზა უშუალოდ აკავშირებს ერთმანეთთან მუდმივისა და ცვლადის საკითხს ტრადიციულ სინქრონია-დიაქრონიის საკითხთან. ავტორი შერჩევით მიმოიხილავს ამასთან დაკავშირებულ სპეციალურ ლიტერატურას (გრიმიდან მოყოლებული კოსერაუთი დამთავრებული) და ცდილობს განსაზღვროს, ონტოლოგიური მონაცემია ეს საკითხი თუ მეთოდოლოგიური. ამ საკითხის გადაწყვეტისას ავტორი ითვალისწინებს დინამიკის შინაგან თავისებურებას; დინამიკიდან გამოყოფს პირობითად დაშვებულ სტატიკას და, ამრიგად, იღებს ობიექტის მყოფობის (ყოფიერების) ორ სახეობას.

წერილში განხილულია აგრეთვე ენის როგორც შემოქმედების და ენის როგორც შედეგის საკითხი. ეს უკანასკნელი, ავტორის აზრით, გვევარაუდებინებს ენაში მუდმივი მონაცემის არსებობას, პირველი კი — „ენაში ცვლილებათა და გარდაქმნათა გარკვეული კანონზომიერების არსებობას“ (გვ. 16). ცვლილებათა შორის ბ. ჭორბენაძე გამოყოფს შენაცვლევას, რომელიც სისტემის მხოლოდ ერთ წევრს შეეხება და გავლენას ვერ ახდენს სისტემის შინაგან მიმართებაზე, და განვითარებას, რომელიც აისახება სისტემის ყველა ან რამდენიმე რგოლში მაინც და აპირობებს სისტემის მთლიანი ფორმობრივი იერსახის შეცვლას; ხოლო ის, რაც ენაში მუდმივია, უცვლელი, რაც ენას თავისთავადობას უნარჩუნებს, — ესაა ფორმათა მიმართება. სწორედ მას მიიჩნევს ავტორი ენის შინაგანი სტრუქტურისა და ენის მდგრადობის განმაპირობებლად. ეს მიმართებანი რეალურ მონაცემს წარმოადგენს და ენობრივი კვლევაც, ავტორის აზრით, მათი გამოვლენისაკენ, მათ სახეობათა დადგენისა და წარბოშშობ მიხეზთა კვლევისაკენ უნდა წარიმართოს. ვფიქრობთ, აჯობებდა, ავტორს უფრო მკაფიოდ გამოეკვეტა, რა კავშირია ენის პოტენციას, როგორც მუდმივ მონაცემსა, და ენის „მუდმივისა“ — ფორმათა მიმართებას შორის.

ცნობილია, რომ მთის იბერიულ-კავკასიური ენების ერთი სპეციფიკური და საერთო ნიშანია ნივთისა და პიროვნების კლასთა გამოხატვის მორფოლოგიური სისტემა, რომლის რელიქტები ქართველურ ენებშიც არის დადასტურებული. ერთი ამგვარი ფაქტი აქვს გამოვლენილი მ. სუხიშვილს სტატიაში „პიროვნებისა და ნივთის სემანტიკური გარჩევის ერთი შემთხვევისათვის ქართულში“. კრიტიკულად აღებულია კითხვითი ვინ და რა ნაცვალსახელთა დაპირისპირება. სტატიაში ყურადღება ექცევა იმას, რომ, ინდოევროპული ენებისაგან განსხვავებით, ქართველურ ენებში ბავშვი რა კატეგორიას განეკუთვნება. დასახელებულია საგულისხმო მაგალითი ძველი ქართულიდან: „რაჲ კშევე?“ მაშასადამე, ქართულის ვითარება აქაც ეხმაურება ზოგიერთი მთის კავკასიური ენისას, რომლებშიც ეს კატეგორიები გრამატიკულადაც განირჩევა. ქართველური ენები, ადიღურისა და ყაბარდოულის მსგავსად, ამჟამად ამ კატეგორიებს მხოლოდ სემანტიკურად ასხვავებს, ისტორიულად კი, ავტორის ლოგიკური დასკვნით, ქართველურ ენებშიც უნდა ყოფილიყო გრამატიკულად გამოჩხული პიროვნებისა და ნივთის კატეგორიები.

მორფოლოგიის საკითხებისადმი მიძღვნილი ყველა სტატია უშუალოდ თუ შუალობითად ეხება ზმნას — ქართველურ ენათა გრამატიკის ამ ურთულეს საკითხს.

გ. ჯოგოლაშვილის წერილში „შერეული პარადიგმები ნამყო ძირითადის წარმოებაში“ დამაჩვიებლადაა ახსნილი, თუ საიდან გაჩნდა აორისტიში მესამე სუბიექტური პირის **ო** სუფიქსი, როცა I და II პირის ფორმები ე სუფიქსს არ დაირთავს და არც მათი უმარცვლო ფუძე შეიცავს ვ თანხმოვანს (ჩვეულებრივ, **ო** გამოწვეულია ვ-იანი კომპლექსებით). ავტორმა XIX-XX საუკუნის ლიტერატურაში მიაგნო ისეთ მაგალითებს, სადაც ნულოვანი წარმოების ზმნებს ე სუფიქსი დაერთვის I და II პირის ფორმებში (აღაპურე, შეიცენე...). მაშასადამე, მათში დატულია ორივე პირობა III სუბ. პირში **ო** სუფიქსის გამოვლენისათვის: ფუძე უმარცვლოა და ნამყო ძირითადის I—II პირის ფორმებში მას ე დაერთვის. ეს პარადიგმა წერილში ახლად ჩამოყალიბებულადაა მიჩნეული. გვიანდელმა პარადიგმამ წინამორბედის ადგილი დაიკარა და ნორმატულად იქცა (შევიპყარ, შეიპყარ, შეიპყრო); ავტორი მას შერეულ პარადიგმას უწოდებს.

რ. შეროზიას სტატიაში „ენებითი გვარის ზმნებისა და პოტენციალისის საკითხისათვის ქართულსა და სვანურში“ დაზუსტებულია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც პოტენციალისის გამოხატვა ამ ენებში მხოლოდ **ი** პრეფიქსიან ვნებითებს ეკისრება. საილუსტრაციო მაგალითებში უნიშნო და სუფიქსიანი ვნებითები პრეფიქსსაც დაირთავს. სვანურში მათ გვერდით დასახელებულია ფლექსიით გარჩეული ვნებითები. ავტორის დასკვნით, პოტენციალისის გამოხატვა ქართულსა და სვანურში პრინციპულ სხვაობას არ იძლევა.

მეორე წერილი „ნო-პრეფიქსიან ზმნათა ფუნქციის საკითხისათვის მეგრულში“ მიზნად ისახავს გავარკვიოს, რატომ იყენებს ზოგჯერ I თურმეობითი აწმყოფის ფუძეს. განხილულია მეგრული ზმნების ნო-პრეფიქსიან ფორმები, რომლებიც სინტაქსური კონსტრუქციის მხრივაც დრო-კილოთა პირველი ჯგუფის ნაკვთებს მისდევენ (თინა ნოპკირუე თის: გარდამავალი ზმნის სუბიექტი სახელობითშია, პირდაპირი ობიექტი — მიცემითში). შესწავლალაა ნო-პრეფიქსის ერთი — პოტენციალისის გამოხატვის — ფუნქცია, რომელიც სპეციალურ ლიტერატურაში ჯერ არ ყოფილა აღნიშნული. ამ კატეგორიას გამოხატავს თურმეობითის ფორმა, რომელსაც ორი მნიშვნელობა აქვს: საკუთრივ

თურმეობითისა და პოტენციალისისა. განსხვავებას სინტაქსური კონსტრუქცია წარმოაჩენს: თურმეობითის გამოხატვისას ზმნა სუბიექტისაგან სახელობით მოითხოვს, პოტენციალისის გამოხატვისას — მიცემითს. ამ კანონზომიერების დადგენას, ვფიქრობთ, სათანადო მნიშვნელობა მიენიჭება მეგრულის ფუნქციონალურ გრამატიკაში.

თურმეობითისავე ფუნქციებს, ოღონდ ამჯერად ქართულში, განიხილავს **დ. ფხაკაძე** „რელატიურ გარდამავალ ზმნათა პირველი თურმეობითის ფუნქციები ძველსა და გარდამავალი ხანის ქართულში“.. I თურმეობითის ერთ-ერთ მთავარ მნიშვნელობად მიჩნეულია მოქმედების შედეგი, რაც ძირითადად აღნიშნულია აწმყოში. გარდამავალი ხანის ქართულში შეინიშნება ამ ფორმების წარმოება მეშველი ზმნით. ავტორის აზრით, მისი წყარო ცოცხალი მეტყველებაა. აღწერითი წარმოებისათვის გამოყენებული სტატიკური ვნებითის აწმყოს ფუძე ავლენს I თურმეობითისა და აწმყოს მჭიდრო კავშირს, რაც შეინიშნება სხვა ქართველურ ენებშიც. მეორე ფუნქციას — მოქმედების მრავალჯისობის ჩვენებას — ავტორი ძველი ქართულიდან მომდინარედ თელის და ამ ფუნქციის დამადასტურებლად ხოლმეობითისეულ *ო-ს* მიიჩნევს; მესამე ფუნქციად კი ნაწარაუდევია უნახაობის, დაუსწრებელი მოქმედების (III პირისათვის) ჩვენება. ამის ილუსტრაციები ავტორის დადასტურებული აქვს XII—XVII სს. ძეგლებში.

სტატიის მნიშვნელობას განსაზღვრავს, გარდა საანალიზო ფორმის ფუნქციების აღნიშვნისა, ზოგიერთი ობიექტური მონაცემის გამოვლენა, კერძოდ, რიცხვითი მნიშვნელობის სიტყვების ხმარება მრავალჯისობის აღნიშვნისას. ავტორი ცდილა გამოყოფილი ფუნქციები ქრონოლოგიურადაც დაეფიქსირებინა (თუმცა ვაუგებრობას ქმნის ძირითად ტექსტსა და დასკვნებში მოყვანილი მსჯელობა უნახაობის ფუნქციის ქრონოლოგიაზე: პირველის მიხედვით, იგი XII—XVII სს. ძეგლებში გვხვდება, დასკვნების მიხედვით — XVII საუკუნიდან). შევნიშნავთ, რომ ყოველთვის ევროპული ენებიდან ამისვლა პერფექტლობაზე მსჯელობისას (გვ. 226, 230, 234) უხერხულია, მით უმეტეს, რომ ქართული გარდამავალი ზმნები ორგანულ წარმოებას მისდევს, რაც ევროპული ენებისათვის არსებითად უცხოა.

III სერიის ერთ-ერთ ფორმას, ე. წ. „მესამე ხოლმეობითს“ განიხილავს **ა. არაბული** სტატიაში „მესამე ხოლმეობითი ხევსურულში“. ეს საკითხი ისტორიული მორფოლოგიის, საერთოდ, ქართული ენის ისტორიული გრამატიკის ერთი მნიშვნელოვანი საკითხთაგანია. დღემდე მოპოვებული შედეგების მიხედვით, ეს ფორმა დადასტურებულია X—XIII სს. ძეგლებში, აგრეთვე, ხევსურულში. მისი ხმარება შეზღუდული იყო გარდამავალი ზმნის ფორმებით. ყაზბეგის რაიონის ს. ჭუთის მეტყველების შესწავლის შედეგად **ა. არაბულმა** საგულისხმო ფაქტებს მიაკვლია. აღმოჩნდა, რომ: 1. III ხოლმეობითი მოპოვება გარდაუვალ ზმნებასც და მისი მექანიზმი II თურმეობითისას ემთხვევა, ოღონდ ირთავს სპეციფიკურ *ო-ს*; 2. ორგანულ წარმოებასთან ერთად, ეს ფორმა ხევსურულში აღწერით წარმოებასაც მიმართავს — ყ ო ფ ი ლ ა მ ნაწილაკის დართვით (მსგავსად ინგილოურის თურმეობითისა). ორივე წარმოების დადასტურება ავტორის ავარაუდებინებს, რომ III ხოლმეობითი მტკიცედ უხდა არსებულყოფი ს. ჭუთის მეტყველებაში. ამიტომ მისი გავრცელების ინტენსივობა მთელ ხევსურულ დიალექტში უნდა იქნეს გამოკვლეული. ავტორის აზრით, III ხოლმეობითის ფორმებით ხევსურული X—XIII სს. ქართულის მონაცე-

მებს უკავშირდება. ხევსურულს ეს ფორმები ენიდან — რომელიმე დიდი დიალექტიდან უნდა მოეტანა, თუმცა გარდაუვალი ზმნების სათანადო ფორმები, შესაძლოა, თვით ხევსურულის კორექტივი ყოფილიყო.

გ. ბურჭულაძის სტატიაში „ინტერესის მიცემითის შესახებ ქართულში“ ერთდროულად თავს იყრის მორფოლოგიის, სინტაქსისა და სემანტიკის საკითხები. ვანალიზებულია ე. წ. ინტერესის მიცემითის წარმოშობა და მისი ადგილი ზმნის ობიექტებს შორის: დაზუსტებულია პირიანობის ცნება; ავტორის აზრით, პირიანობა უნდა განისაზღვროს არა ობიექტების რაოდენობით, არამედ სათანადო მორფემებით. ქართულ ზმნას არ შეუძლია და არც ისტორიულად შეეძლო ორზე მეტი პირის მორფოლოგიურად ასახვა, მაგრამ, ვინაიდან ენაში არ გამოირიცხება პირთა კლება-მატება, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პირთა მატების შემთხვევებს და სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილ მავალითებს საკუთარსაც უმატებს. ამ მასალის მიხედვით, ზმნების III სერიაში გადაყვანისას, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ორობიექტიან გარდამავალ ზმნებს, რომელთა ირიბი ობიექტი თვის თანდებულს დაერთავს, ობიექტების ბრუნვა ერთია — მიცემითი. მაგრამ ამათაგან ავტორი მიჯნავს სხვა ტიპის მატებას — პოსესორი ანუ მფლობელი ირიბი ობიექტის მატებას, ზმნაში რომ მორფემას აჩენს (დამიყარე შენ მე ის მას). სათანადოდ იცვლება ირიბი ობიექტის ფუნქცია: იგი „მოქმედების ადრესატი“ იყო და გახდა „ინტერესის მიცემითი“ (მოქმედება მისი ინტერესებისთვისაა გამიზნული). ფოგტი მას *dativus ethicus*-ს უწოდებს. მხოლოდ III სერია ავლენს ნამდვილ ირიბ ობიექტს და პოსესორს (დავიყარა შენ ჩემი ცხენისთვის თევა). დამაჯერებელია ავტორის დასკვნა, რომ ინტერესის მიცემითი წარმოშობით ირიბი ობიექტია, შექნილი ირიბი ობიექტი კი, მიუხედავად ზმნაში მორფემის გაჩენის უნარისა, ფიქტიურია. დღევანდელი ინტერესის მიცემითი ნამდვილი ირიბი ობიექტია — მოქმედების ადრესატი. ასეთი ზმნური ფორმა ჩვეულებრივი ორობიექტიანი გარდამავალი ზმნის ტრანსფორმირებული სახეა, სადაც ირიბ ობიექტს ატრიბუტად ახლავს კუთვნილებითი ნაცვალსახელი (შენ ჩემს ცხენს დაუყარე ჩალა — შენ მე დამიყარე ჩალა ცხენსა).

ამ საკითხებთან დაკავშირებით საინტერესო იქნებოდა, ავტორს ეჩვენებოდა თავისი დამოკიდებულება ე. წ. უპირო ზმნებისადმი, რომლებშიც პირის მორფემა მაინც არის, ან მცირე ტიპის ზმნებისადმი, სადაც ორი პიროვნული აქტივი ვგაქვს. შევნიშნავდით აგრეთვე, რომ ირიბი ობიექტის ცვალებადი ფუნქციები ტერმინოლოგიურად სხვადასხვა სიბრტყეზეა განხილული: „მოქმედების ადრესატი“ — სემანტიკურ კატეგორია — ფორმალურისკენ იხსცვლებს, როცა იგი „ინტერესის მიცემითად“ გადაიქცევა.

ნ. ზარდიაშვილის წერილში „სიტყვათგანლაგების როლისათვის ინგლისური და ქართული წინადადების აქტუალური დანაწევრების პროცესში“ სიტყვათგანლაგება წარმოდგენილია როგორც სინტაქსისა და სემანტიკის გადაკვეთის უბანი. დირემა განხილულია სინტაქსურ და სემანტიკურ წყობათა თვალსაზრისით, რომლებიც შეიძლება თანხვედეს ან არ თანხვედეს ერთმანეთს. სტატიაში ვხვდებით ტრადიციულ მსჯელობას ანალიზურ და სინთეზურ ენებში (აქ: ინგლისურსა და ქართულში) სიტყვათგანლაგებასა და „სტრუქტურულ-სინტაქსურ“ თუ „სემანტიკურ-სინტაქსურ“ კავშირს შორის ურთიერთობის თაობაზე. ამასთან დაკავშირებით აღნიშნულია წინადადების წევრის პოზიციის განმსაზღვრელი როლი თემა-რემული ურთიერთობების გამოკვეთისას. დადასტურებულია

„ინტონაციური ქარგის“ მნიშვნელობა ინგლისურის რემული კომპონენტისათვის, რომლისთვისაც ქართულში ავტორი რელევანტურად ბოლო პოზიციას მიიჩნევს, ინგლისურს კი ასეთი კომპონენტი შეიძლება სხვადასხვა ჰქონდეს, იმისდა მიხედვით, თუ რომელ კომპონენტს მოუღის მახვილი წინადადებაში. საილუსტრაციოდ მოყვანილ მაგალითში ავტორი სხვადასხვაგვარად ანაწილებს მახვილებს ინგლისურ წინადადებაში, რაც იძლევა სხვადასხვაგვარ კომუნიკაციურ დატვირთვას (აქვე დავძენთ, რომ ფრაზული მახვილის ამგვარი განაწილება ქართულისთვისაც იმავე შედეგს გვაძლევს. შდრ. მან ფული 'მოიტანა და: მან 'ფული მოიტანა).

ნაშრომში განხილულია ე. წ. რეგრესული წყობაც, როცა პრედიკატის ჯგუფი გადმოტანილია წინადადების თავში. სასურველი იყო, ავტორს გამოეხატა თავისი პოზიცია, ერთი მხრივ, ამავე მნიშვნელობით ნახმარი „სუბიექტური წყობისადმი“ („ობიექტურის“ საპირისპიროდ, ტერმინი ა. ალხაზიშვილს ეკუთვნის), მეორე მხრივ, შ. ბალისეული პროგრესიისა და ანტიციპაციისადმი, მით უფრო, რომ ავტორის მიერ ნახმარი „ჩვეულებრივი წყობა“ არ არის სპეციფიკურად „აქტუალური დანაწევრებისათვის“ დამახასიათებელი ტერმინი.

სტატიაში ჯეროვნადაა შეფასებული საკითხის პრაქტიკული მნიშვნელობა ერთი ენიდან მეორეზე თარგმნისას (განსაკუთრებით, სხვადასხვა სისტემისა და ტიპის ენათა შემთხვევაში) საკომუნიკაციო პერსპექტივის სწორად გადმოცემისათვის.

საკუთრივ სინტაქსის საკითხებს შორის მსაზღვრელ-საზღვრული ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ერთ-ერთ ყველაზე უკეთესად შესწავილულ ბანს წარმოადგენს, მაგრამ ბ. შავიშვილი კიდევ ერთხელ უბრუნდება ამ საკითხს თავის სტატიაში „მსაზღვრელ-საზღვრული ერთ ძველ X საუკუნის გამოკრებილ იადგარში“. სტატია იმითაცაა საინტერესო, რომ მასში მოცემულია ცდა ხელნაწერის გადათარგმნისა: გადასინჯულია ბ. ინგოროყვას და კ. კეკელიძის მოსაზრებანი, რომელთა მიხედვით ეს ხელნაწერი X—XI საუკუნეთა მიჯნით ან XI საუკუნით თარიღდებოდა. აქვე აღვნიშნავთ, რომ, ვინაიდან თარიღი საპოლემიკოა, მისი ამ სახით სათაურში გატანა ვაუშარბლებელია.

ნაწევრიან სახელთა ბრუნების ანალიზისას საყურადღებოა ავტორის დაკვირვება, რომ უგანსაზღვრებო სახელთან პრეპოზიციური ნაწევარი მოცემულ ხელნაწერში მხოლოდ პირველ პირთან სიახლოვეზე მიუთითებს. სტატიაში აღნიშნულია გარკვეული თავისუფლება მსაზღვრელ-საზღვრულის რიგისა, თუმცა საილუსტრაციო მაგალითები ერთი რიგისა არ არის: ოპოზიციები მათში ყოველთვის არ არის აღნიშნული. ამას გარდა, ნიმუშები ზოგჯერ არ შეესაბამება დებულებას (მართული მსაზღვრელისა და საზღვრულის მაგალითებადა დასახელებული: სულისა წმიდისამან, მონისაჲ საყურელისაჲ, მქლავრისაჲ... მეფისაჲ): მსაზღვრელ-საზღვრულის შეუთანხმებლობის ნიმუშებადა მიჩნეული ე-ზე ფუძემგათავებულ საზღვრულთა ხმარება ი/ა-ს გარეშე (გვ. 92), მაშინ როცა თვით ხმოვანფუძიან სახელებში ი/ა-ს მოშლაზე უნდა იყოს მსჯელობა, და არა სინტაქსურ ურთიერთობაზე (სხვაწარად ვერ აიხსნება სინტაგმის მთავარი წევრის — საზღვრულის ხმარება ბრუნვის ნიშნის გარეშე).

ძველი ქართულის საკითხების კვლევაში აღსანიშნავია ვ. იმანიშვილის ლექსიკოლოგიურ-ეტიმოლოგიური ხასიათის სტატია „ძველი ქართული ენის ლექსიკიდან“. ავტორი ეყრდნობა პროფ. ლოპუხინის მოსაზრებას, რომ მარკოზის სახარებაში ნახსენები „ასური ზღუსკიდელი“ ეროვნებას მიუთითებს, და გან-

მარტავს ქართულ ტექსტებში დადასტურებულ კომპოზიტს „ზოგს-კიდელი“. ბერძნულ, ლათინურ, სომხურ, გერმანულ და რუსულ რედაქციებთან შედარებაში ავტორს გაარკვევინა, რომ ამ სიტყვის მნიშვნელობა საზოგადო კი არ არის, არამედ საკუთარი: აღნიშნავს სადაურობას (ფინიკიელს ანუ ქანანელს). თვით სხვადასხვა ქართულ რედაქციაში ისინი ერთმანეთს ენაცვლებიან (ასური ზღვსკიდელი II ასური ფვნიკელი ნათესავით), რამდენიმეგან კი გვხვდება კონტამინირებული ფორმაც: ასური ფინიკელი ზღვსკიდით. მათს სინონიმურობას, ავტორის აზრით, სათანადო ფაქტი განაპირობებს (ფინიკიის მღებარეობა ხმელთაშუა ზღვის ნაპირზე). სასურველი იყო ავტორს აეხსნა, რატომ მოხდა, რომ მხოლოდ ქართულმა გამოიყენა საზოგადო სახელი საკუთარის მნიშვნელობით, სხვა ენებში კი მხოლოდ საკუთარი სახელები მოქმედებს.

ეტიმოლოგიური ძიებებიდან ყურადღებას იპყრობს ვ. შენგელიას სტატია „მეგრული ჭირკუთ სიტყვის ეტიმოლოგიისათვის“. ეს სიტყვა, რომელიც იხმარება ვაშლის ან მსხლის აღსანიშნავად, ქართულში ნიშნავს „წვრილს“. მას ქართველურ ენებში ფონეტიკური შესატყვისობები არა აქვს. სტატიის ავტორი მას ადიდეურიდან შეთვისებულად მიიჩნევს — უშუალოდ ან აფხაზურის მეშვეობით (აფხ. აჭგრაჟა „მიწავაშლა“), რის საფუძველსაც ადიდეური სიტყვა ჭყურჯაქიშ „მიწავაშლა“ იძლევა (ყაბარდოული სპრჯკჷმ ამ ენებს შორის რეგულარულ შესატყვისობებს ეყრდნობა). სემანტიკურა გადასვლაც სავსებით დასაშვებია: „მიწავაშლა“ — „წვრილი ვაშლი“ — „წვრილი“. ჭირკუთსთან მიმართებით ჭირკუთ ფორმა მეორეულადაა მიჩნეული: ხავარაუდევიარს დაკარგვა. ვ. შენგელიასეული ეტიმოლოგია სანდო და დამაჯერებელი ჩანს: სესხების გზა რეალურია, მტკიცება — მკაცრად ლოგიკური. რეალურადვე უნდა მივიჩნიოთ როგორც ფონეტიკური, ისე სემანტიკური გადასვლები.

ს. მელიქიძის სტატიაში „ეტიმოლოგიური ძიებანი ქართული ტოპონიმიებიდან“ მოცემულია ცდა ბორჯომის ხეობის რამდენიმე ტოპონიმის ეტიმოლოგიზაციისა. ბარზონ დეჯვარი მიჩნეულია, სათანადო ლექსიკოგრაფიული წყაროებისა თუ გამოკვლევების მოხმობით, საშუალო სპარსულიდან მომდინარედ, სადაც burz „მაღალს“, „მაღლობს“ აღნიშნავს. ეს სიტყვა რამდენიმე კავკასიურ ენაშიც არის დადასტურებული ბორცვბარც ფორმებით (შდრ. ქართ. ბორცი). ოსური ფორმა ბარზ ტოპონიმში ბარზონ დედ ფორმდება. ავტორი მას ბარძუმის ამოსავლად მიიჩნევს, რომელსაც დაერთო საზღვრული „ჯვარი“ (გვ. 108). ეს უკანასკნელი ტოპონიმში დეზუარი ფორმით დასტურდება. ამრიგად, სამივე ვარიანტში (ბარზონდეჯვარი || ბარძუმდეჯვარი || ბარძუმდეზუარი) შერწყმულია ქართული და ოსური ელემენტები, რომლებიც ერთმანეთზე გავლენას ახდენენ.

ჩუხურის იდენტიფიკაცია ჩუღურთან ეჭვს არ უნდა იწვევდეს არც ფონეტიკური და არც სემანტიკური თვალსაზრისით. ოღონდ თურქული Çukur ფორმის ქართულად გადმოცემა შებრუნებული რიგით უნდა მომხდარიყო: Çukur — ჩუხურ — ჩუღურ (და არა ასე: თურქული ფშინიეიერს გამჟღერება ქართულში და შემდეგ ისევე დაყრუება). უფრო დასაშვებია ერთგვარადი პროცესი.

ტოპონიმ ხუღევს ორი სავარაუდო ეტიმოლოგია აქვს: ერთი ფლორას უკავშირდება, მეორე **სახლის**, **ქიხის** სინონიმია. სათანადო არგუმენტაცია არ იძლევა იმის საშუალებას, რომ უპირატესობა რომელიმე მათგანს მივანიჭოთ.

ტოპონომიკის საკითხებს ეხება აგრეთვე **მ. ბერიძის** სტატია „ურ, -არ, -ელ სუფიქსთა ფუნქციისათვის სამცხე-ჯავახეთის ტოპონომიაში“, რომელშიც ბოლო წლების სპეციალური ლიტერატურის კვალობაზე ამ სუფიქსთა ტრადიციულ სადაურობის ფუნქციასთან ერთად აღნიშნულია კუთვნილების ფუნქცია. საგულისხმოა ავტორის დაკვირვება, რომ -ურ სუფიქსის დართვისას ეს ორი ფუნქცია ფორმობრივად იმიჯნება: ანთროპონიმიდან წარმოებისას მას წინ უძღვის -ა ან -ია სუფიქსები, ტოპონიმიდან წარმოებისას — არა. ამ წესის მოქმედება ავტორის აღადგენინებს სამცხე-ჯავახეთში დადასტურებულ რამდენიმე სახელს (აბჯარა, ასკილა და მისთ.) და გვარს. ძალზე საინტერესოა დასახელებული ფაქტები -უ ლ სუფიქსის დართვისა რ-ს უქონელ ფუძეებზე, თუქცა მათი არგუმენტირებული ახსნა სტატიაში არ არის მოცემული (ტოპონომი აბული, ვფიქრობთ, საანალოგიოდ არ გამოდგება, რადგან მისი მთლიანად გაფორმება, შესაძლოა, არაქართულ ნიადაგზეა მომხდარი).

საგულისხმოა ავტორის მსჯელობა ადამიანთა წარმომავლობის -არ სუფიქსზე და, განსაკუთრებით, ახალი ნიმუშების მოშველიება იმის დასამტკიცებლად, რომ სამცხე-ჯავახეთის არეალში ეს წარმოება -ელ-ის პარალელურად გამოიყენებოდა და ამიტომ აუცილებელი არაა მისი მიჩნევა მეგრულ-ქანურ წარმოებად. მაგრამ ისიც აშკარაა, რომ თვით პარალელური ფორმებიც სავსებით ნებისმიერი არ არის და მათი ურთიერთმიმართების (ქრონოლოგიური, არეალური) საკითხი მაინც გასარკვევია.

ქართული დიალექტების, კერძოდ იმერულის, შესწავლის თვალსაზრისით, აღსანიშნავია **ბ. ცხადაძის** სტატია „იმერულის თავისებურებანი თერჯოლისა და ზესტაფონის რაიონების მცხოვრებთა მეტყველების მიხედვით“. საბოლოო კოტერმინის „შუაიმერულის“ შესახებ არსებული ლიტერატურის მოკლედ მიმოხილვის შემდეგ ავტორი ნაკლები კატეგორიულობით მას თქმის დონეზე გამოყოფს და აანალიზებს იმ თავისებურებებს, რომლებიც ზემო-ან ქვემო-იმერულში შედარებით იშვიათად ან საერთოდ არ დასტურდება. თუკი ამა თუ იმ მოვლენას ანალოგიები მოეპოვება სხვა დიალექტებში ან ძველ ქართულში, სტატიაში ეს სათანადოდ აღნიშნულია. საინტერესოა მახვილის საკითხი, რომელიც, ავტორის თქმით, შუა-და ზემოიმერულში განსხვავებულადაა წარმოდგენილი. სამწუხაროდ, საამისო მასალა ძალზე მწირია (თითო წინადადება) და ფიქსაციის სისწორესაც (ტექნიკური აპარატის გარეშე) ბოლომდე სანდოდ ამ ეტაპზე ვერ მივიჩნევთ. მორფოლოგიიდან განსაკუთრებით საინტერესოა მეშველზმნიანი ფორმების დადასტურება ერთიორიან ზმნებში: ბოდავსარ, იციინისარ... მოყვანილა სათანადო ინგილოური ანალიზებით, -ელ და -ულ სუფიქსების ხმარება ერთმანეთის ნაცვლად მიმღობებში (მორთილი, მოწყობული). ლექსიკიდან გამოვლენილია ძველი ქართული სიტყვის — რ ო ნ ი ნ ი — ლოკალური ფორმები: რონიანი, რონიანოვს, ურონიანია. საგულისხმოა ავტორის აზრი, რომ წ—წკ განვითარება შუაიმერულში მხოლოდ ხმაბაძვით სიტყვებში გვხვდება, თუმცა ამ მოსაზრების შემოწმების საშუალება არა გვაქვს. აქვე შეენიშნავთ, რომ წვილ—წკვილ-ის განვითარების ანალოგიით ვერ დავუშვებთ კავილ—წკავილ-ის განვითარებას: ჩვეულებრივ, აფრიატებს უვითარდებათ უკანანისმიერი თანხმოვანი, და არა პირუტყვ.

რ. ფარულაძის სტატია „მასალები ქისტური სამშენებლო ლექსიკისათვის“ დარგობრივ ლექსიკას ეხება, კერძოდ, მასში თავმოყრილია და გაახალიზებული პანკისის ხეობის ქისტური სამშენებლო ლექსიკა. ეს რეგიონი იმითაა

საინტერესო, რომ იგი წარმოადგენს ქართულისა და ქისტურის დარგობრივ ტერმინთა შეხვედრის ასპარეზს. წერილში აღნიშნულია სამშენებლო ლექსიკის ინტენსიური სესხება ქართულიდან (ხე, დურგალ, ხელოსან...); ზოგი მთავანისათვის დასახელებულია პარალელური ვარიანტებიც (ჯაღ||ხრემ, ნაფოტა||შოხქ...).

სტატიას გარკვეული მნიშვნელობა აქვს ქისტურის ისტორიული ფოხეტიკისათვის და სხვა ენებთან მისი ურთიერთობის გამოსავლენად. განსაკუთრებით საგულისხმოდ გვეჩვენება იმ ფონეტიკურ სახესხვაობათა დადასტურება, რომლებიც, ჩვეულებრივ, ახასიათებს აღმოსავლეთი საქართველოს შთახეთის მეტყველებას (მუარ—„მორი“, კუაჰ—„კოჰი“, პუალ—რუს. „იტაკი“—კოქებზე დაგებული ფიცარი). ვი კომპლექსისა და უ-ს მონაცვლეობა (ავგირ||ოჯურ „აჯური“, შდრ. ლეჩხ. შვიდი-შუდი, წვიმა—წუმა). სასურველი იქნებოდა ამ მიმართულებით მუშაობის გაგრძელება, რადგან, ეკვი არ არის, უფრო დიდი მასალა გაცილებით მეტ და უფრო მყარ წესებსა თუ კანონზომიერებებს გამოავლენს ქართულისა და ქისტურის ურთიერთობაში.

იბერიულ-კავკასიურ ენათა კვლევის ისტორიაში სათანადო ადგილი უჭირავს იობ ცისკარიშვილის ნაშრომს „მოკლე წოვა-თუშური გრამატიკა“ და ანტონ შიფნერის მონოგრაფიას „ცდა თუშთა ენის შესახებ ანუ ქისტური კილოს შესახებ თუშეთში“, რომელთა დეტალურ ანალიზს ეძღვნება **ი. ჯოღბორდის** ორი სტატია. პირველ წერილში აღნუსხულია როგორც ი. ცისკარიშვილის სწორი დაკვირვებანი, ასევე შეცდომები და უზუსტობანი. მათ წერილის ავტორი ხშირად ნ. გრენის გრამატიკას მიაწერს, რომელიც წოვა-თუშურთან მისასადაგებლად, გასაგები მიზეზის გამო, მოუხერხებელი აღმოჩნდა. სტატიაში ჯეროვნადაა შეფასებული ფარინგალური თანხმოვნებისათვის ი. ცისკარიშვილის მიერ ახალი ასო-ნიშნების შემოტანა, გრამატიკულ კლასთა მიხედვით არსებით სახელთა დაყოფა (თუმცა კლასის მაგივრად ტერმინი ს ქ ე ს ი ა ნახმარი), ერვატიული ბრუნვის ფუნქციის სწორი ახსნა და ა. შ. ხაზგასმითაა აღნიშნული სალექსიკონო და ტექსტობრივი მასალის განუზომელი მნიშვნელობა წოვა-თუშურის შესწავლისათვის.

მეორე წერილში განხილულია ა. შიფნერისეული ინტერპრეტაცია წოვა-თუშურის თანხმოვანთა სისტემისა (ეს ნაწილი თარგმნილია გერმანულიდან); გამოვლენილია გერმანელი მეცნიერის მუშაობის პრინციპები და სისტემა. დასახელებულია შიფნერის მიერ გამოყოფილი ბგერათა ჯგუფები საწარმოთქმო რაგვარობის მიხედვით, თანხმოვანთა ჯგუფების განაწილება ორ ძირითად მორფოლოგიურ სფეროში—სახელსა და ზმნაში და სხვ. ჯეროვანი ლინგვისტური მომზადება, მის ხელთ არსებულ სპეციალურ ლიტერატურასა და ლექსიკონებთან შეჯერება ი. ჯოღბორდს საშუალებას აძლევს გააანალიზოს და შეამოწმოს ყველა ის დებულება, რომლებიც ა. შიფნერმა წამოაყენა (მაგალითად, ანლაუტში ვ-ს დაკარგვის თაობაზე შიფნერის მსჯელობას ი. ჯოღბორდი უპირისპირებს საკითხს უფინო ფორმების პირვანდებობაზე) და, ამრიგად, წარმოაჩინოს მისი დიდი როლი იბერიულ-კავკასიურ ენათა კვლევაში.

თითქმის შეუსწავლელ უზანს ეხება **დ. გოცირიძის** სტატია „ქართული სათაურის სტრუქტურულ-ფუნქციონალური განვითარების საკითხისათვის“. კომუნიაციური მიზანდასახულობის მიხედვით ავტორი გამოყოფს სათაურთა სამ ფუნქციას: ნომინატურს, რეკლამურს და ინფორმაციულს (შეიძლება და გვედავა მათი გამოყოფის ნიშნის ერთიანობაზე; ერთი ფუნქცია შეიძლება არ

გამორიცხავდეს მეორეს). ნაშრომში მათი ურთიერთობა დინამიკაშია ნაჩვენებში. სტატიის ერთი ღირსებაც სწორედ ამაში მდგომარეობს. სათაურთა დიაქრონიული განხილვისათვის აღებულია ოთხი ქრონოლოგიური მონაკვეთი, რითაც ერთმანეთს ემიჯნება ძველი და ახალი ქართულის, სამოციანელთა და ქართულ საბჭოთა ნაწარმოებებში გამოყენებული სათაურები. თვალსაჩინოებისათვის შედგენილია სათანადო ცხრილი ქრონოლოგიური ჯგუფებისა და სათაურთა სტრუქტურების გათვალისწინებით. ავტორმა დაადასტურა სათაურთა ინფორმაციული ფუნქციის უპირატესობა I და IV პერიოდებში, ნომინატიურისა — II და III პერიოდებში, რასაც გარკვეული დასაბუთება ეძებება. შესაძლოა, სტატიაში ზოგი კლასიფიკაცია დასახვეწი იყოს. სასურველი იყო უფრო დეტალური მსჯელობის გაშლა ამა თუ იმ სათაურის მქონე ნაწარმოების ქანობრივი სპეციფიკის შესახებ, მაგრამ ამჟამად მთავარი ის არის, რომ ავტორის მიერ ჩატარებულ დაზვერვითს მუშაობას სათაურთა ამ თითქმის ხელუხლებელ უბანში საიმედო პერსპექტივა უჩანს.

აჯობებდა კრებულში ერთიანი ნორმები და პრინციპები გატარებულიყო ორთოგრაფიული თუ ტექნიკური თვალსაზრისით: პარალელურად იხმარება: ნ უ ლ ი და ნ ო ლ ი, ი ნ ფ ო რ მ ა ც ი უ ლ ი და ი ნ ფ ო რ მ ა ტ ი უ ლ ი, რ ე მ უ ლ ი და რ ე მ ა ტ უ ლ ი, „კონსტანტას“ აღსანიშნავად უნდა იხმარებოდეს ქართული ტერმინი მ უ დ მ ი ვ ა და არა მ უ დ მ ი ვ ი და ა. შ. კრებული არაა დაზღვეული ცალკეული კორექტურული შეცდომებისგანაც.

დასასრულს, სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტისა და ენათმეცნიერების ახალგაზრდა მეცნიერებმა ამ კრებულთ თავისებურად აღნიშნეს აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას დაბადების ოთხმოცი წლისთავი. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩატარებული მუშაობა კვლავაც გაგრძელდება და გარლმავდება, და პირველ კრებულს სხვებიც მოჰყვება.

შუშია აფრილონიძე

Contes populaires persans du Khorassan, v. I, analyse thématique
 accompagnée de la traduction de trente-quatre contes par A. Boulvin,
 Paris, 1975; v. II, trente-six contes, traduits par A. Boulvin et
 E. Chocourzadeh, Paris, 1975

ხორასნული სპარსული ხალხური ზღაპრები, ტ. I, შემდგენელი ა. ბოლვინი,
 პარიზი, 1975, 166 გვ.; ტ. II, თარგმანი ა. ბოლვინისა და ე. შუქურზადესი,
 პარიზი, 1975, 123 გვ.

ირანული ზღაპართმცოდნეობის განვითარებაში მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს ა. ბოლვინის ნაშრომი „ხორასნული სპარსული ხალხური ზღაპრები“.

ზღაპართა სიუჟეტურმა საძიებელმა, რომელიც ა. აარნემ 1910 წელს შეადგინა, საფუძველი დაედო ზღაპრების საერთაშორისო სიუჟეტების სისტემატურ კატალოგიზაციას¹. ა. აარნეს შრომის მიხედვით ნ. ანდრეევმა შეადგინა რუსული ხალხური ზღაპრების სიუჟეტური კატალოგი, ი. ბოლთემ და გ. პოლოევამ დაამუშავეს ძმები გრიმების ზღაპრები². მოგვიანებით ს. თომფსონმა კვლავ შეავსო აარნეს კატალოგი³. ანალოგიური სამუშაო შესრულდა მრავალი ხალხის ფოლკლორში⁴.

ამჟამად ზღაპრის პუბლიკაციის დროს, როგორც წესი, მიუთითებენ საერთაშორისო საძიებელში მისი სიუჟეტის ნომერს.

მიუხედავად იმისა, რომ ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც ირანული ზღაპრები მეცნიერული კვლევის ობიექტია, მათი კატალოგიზაცია და სიუჟეტური სტრუქტურის თანმიმდევრული აღწერა არ მომხდარა. მოიპოვება სპარსული ხალხური ზღაპრების მეცნიერული მნიშვნელობის გამოცემები, სადაც სიუჟეტური ნომრები მითითებულია საერთაშორისო კატალოგის მიხედვით, მაგრამ სპეციალური კვლევა ამ საკითხზე არ ჩატარებულა.

1975 წელს პარიზში ა. ბოლვინმა გამოსცა ხორასნული ხალხური ზღაპ-

¹ Antti Aarne, Verzeichnis der Märchentypen (FFC №3), Helsinki, 1910.

² Н. П. Андреев, Указатель сказочных сюжетов по системе Аарне, Ленинград, 1934; I. B. Olte und J. Polivka, Anmerkungen zu den Kinder-und Hausmärchen der Brüder Grimm, Leipzig, B. I—V. 1913—1932.

³ Aarne-Thompson, The types of the folk-tale, a classification and bibliography, Helsinki, 1961 (პირველად აარნეს კატალოგი მან ინგლისურად თარგმნა 1928 წელს (FFC №74). მანვე შეადგინა მსოფლიო ფოლკლორში გავრცელებული სიუჟეტების მაჩვენებელი: Motif-Index of folk-literature, Bloomington, 1935-1936 (FFC №№ 106-109, 116, 117).

⁴ W. Eberhard und P. Boratav, Typen türkischer Volksmärchen, Wiesbaden, 1953; 1978 წელს ფოლკლორისტიკის საერთაშორისო ფედერაციის ორგანომ გამოსცა ჩინური ხალხური ზღაპრების მაჩვენებელი «A type index of Chinese folktales», by Nai Tung Ting, (FFC №223).

ქართული ხალხური ზღაპრების სიუჟეტური საძიებელი შეადგინეს ე. ვირსალაძემ და თ. ქურდიანმა. იხ. ე. ვირსალაძე, ზღაპართა სიუჟეტური საძიებელი, ვერს. „ლიტერატურული ძიებანი“, ტ. XIII, თბ., 1960, გვ. 353-363; Т. Курдованидзе, Сюжеты и мотивы грузинских народных сказок, კრებ. „ლიტერატურული ურთიერთობანი“, ტ. VI, თბ., 1976, გვ. 240-263.



რების 2 ტომი, სადაც პირველად მოცემული სპარსული ხალხური ზღაპრების მეცნიერული თემატური ანალიზი, რომელსაც თან ახლავს კლასიფიკაცია აარნე-თომფსონის კატალოგის მიხედვით.

შრომას საფუძვლად უდევს 103 ზღაპარი, რომელთა უძრავლესობა შეკრებილი იყო 1963-69 წლებში მეშვედში, ხოლო 38 ზღაპარი ავტორს მიაწოდა ა. შექურზადემ თავისი არქივიდან, რისთვისაც იგი ა. ბოლვინთან ერთად გვევლინება აღნიშნული გამოცემის მეორე ტომის ავტორად.

ზღაპრები პასპორტიზებულია და ამის მიხედვით დაყოფილია ოთხ ჯგუფად (Meched I, Meched II, Meched III, Meched IV). ჯგუფების შესახებ განმარტება მოცემულია წინასიტყვაობაში.

აღნიშნული 103 ზღაპრიდან ორტომეულში შესულია 70 ზღაპარი (1 ტომში — 34, 11 ტომში — 36). როგორც ავტორი წერს, მისი მიზანი იყო გამოეჩეყებინა მხოლოდ ძირითადი ვერსიების თარგმანები, რომ ადგილი არ ჰქონოდა გამეორებას (ტ. 1, გვ. XII). ამიტომ ის ზღაპრები, რომლებიც ვარიანტებად იქნა მიჩნეული, წიგნში არ შესულა.

ზღაპრების თემატიკური ანალიზი წარმოდგენილია პირველ ტომში სპეციალურად გამოყოფილ თავში — *Analyses thématiques* (გვ. 1-88). როგორც წინასიტყვაობიდან ირკვევა, თავისი ნაშრომის ამოსავალ პუნქტად ავტორი მიიჩნევს აარნე-თომფსონის კატალოგს. აქედან გამომდინარე, აარნე-თომფსონის რომელიმე ტიპთან ახლოს მდგომი ვერსია გამოცემაში მიჩნეულია ძირითად ვერსიად. იგი აღნიშნება **a** ასოთი და მოცემულია მისი თემატიკური ანალიზი.

ანალიზი შედგება ოთხი ნაწილისაგან: I — მოტივები, II — ვერსიები (მითითებულია კრებულები, რომლებშიც გამოქვეყნებულია **a** ჯგუფის ზღაპრის ვერსიები), III — ვარიანტები (ვერსიების მოტივები შედარებულია **a** ვერსიასთან და აღნიშნულია განსხვავებები), IV — შენიშვნები (სხვათა შორის აქ მოცემულია შესატყვისები თურქული ხალხური ზღაპრების კატალოგთანაც).

სულ განხილულია სიუჟეტების 95 ტიპი, რომელთაგანაც 16-ს შესატყვისი არ ეძებნება ან წარმოადგენს უკვე ცნობილი სიუჟეტების სინთესს.

თემატიკური ანალიზის დროს გათვალისწინებულია სპარსული ხალხური ზღაპრების მრავალი გამოცემა. შესატყვისები ამ კრებულებიდან „ვერსიების“ პუნქტშია მითითებული.

წიგნს ახლავს წინასიტყვაობა, ბიბლიოგრაფია, საძიებლები და უცხო სიტყვათა განმარტება. იგი განკუთვნილია როგორც სამეცნიერო საზოგადოებისათვის, ასევე ირანული ფოლკლორით დაინტერესებული მკითხველებისათვის.

ა. ბოლვინს აღებული აქვს ირანის ერთ რაიონში — კერძოდ მეშვედში შეკრებილი ზღაპრები, მათში არჩევს ძირითად ვარიანტებს და მათთან მიმართებაში განიხილავს დანარჩენ ვერსიებს. ამ გარემოების გასამართლებლად იგი იშველიებს ანრი მასეს, რომელიც ერთ-ერთ წერილში ა. ბოლვინს სწერს: „ოქვენ კარგად შენიშნეთ მეშვედის ფოლკლორის კომპოზიციის ხასიათი, რომელიც აქ ჩამოიტანეს სხვადასხვა დროის პილიგრიმებმა სხვადასხვა რაიონებიდან. მეშვედს ეტაპს წარმოადგენდა აბრეშუმის გზაზე და კომერციული შეთანხმებების ცენტრი იყო მუდამ. ყოველივე ეს კი აიოლებდა ზღაპრების სიუჟეტების შემოჭრასა და გასვლას“ (იხ. ტ. 1, გვ. VIII—IX). ავტორი მიმოიხილავს

ირანს როგორც აღმოსავლეთისა და დასავლეთის შემავრთებელ ქვეყანას და აღნიშნავს, რომ თურქულმა, ქურთულმა და სომხურმა ენებმა, რომელზედაც ლაპარაკობენ ირანში, ხელი შეუწყვეს მეზობელ ქვეყნებთან კულტურულ ურთიერთობას (იქვე).

ავტორის შენიშვნა სამართლიანია, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ უმჯობესი იყო სპარსული ხალხური ზღაპრების სიუჟეტური საძიებელი პირველ რიგში იმ რაიონების ზეპირსიტყვიერების ბაზაზე შეედგინათ, სადაც ნაკლებად შეინიშნებოდა ამგვარი ურთიერთობანი და გაცილებით უკეთ იქნებოდა დაცული ირანული ეროვნული ელემენტი. მაგრამ როგორც ნაშრომის წინასიტყვაობიდან ჩანს, პატივცემულ ავტორს ეს მიზნად არ ჰქონია. თუმცა იგი ირანულ კულტურას დიდ პატივს სცემს, მაგრამ, როგორც ფოლკლორის მკვლევარი, სხვა პოზიციაზე დგას და ირანული ხალხური ზღაპრების თემატიკური ანალიზის საშუალებით სპარსული ზღაპრის ტექნიკურ დამუშავებას კი არ ისახავს მიზნად, არამედ სიუჟეტების მიგრაციით არის გატაცებული. იგი წერს: „ეს მნიშვნელოვანი ნაშრომი (ლაპარაკია აარნე-თომფსონის სიუჟეტურ საძიებელზე) ფოლკლორისტებს აძლევს იმის საშუალებას, რომ შედარების საფუძველზე უკეთ გაირკვეს ზღაპრების მიგრაციის საკითხი. ჩვენი სურვილია შევიტანოთ ჩვენი წვლილი ამ ფართო პროექტში ხორასნული სპარსული ხალხური ზღაპრების შესწავლით“ (ტ. 1, გვ. XI).

მიგრაციული ან, უფრო სწორად, ფინური სკოლა, რომელიც მე-20 საუკუნის დასაწყისში კ. კრონმა ჩამოაყალიბა, ძირითად მიზნად ისახავდა სიუჟეტების გეოგრაფიული გავრცელების შესწავლას და მათი წარმოშობის ადგილის განსაზღვრას. ამ სკოლის წარმომადგენლებმა თავიანთი დიდი როლი შეასრულეს სიუჟეტების კატალოგიზაციის და ტექნიკური დამუშავების საქმეში, მაგრამ ისინი ამით მიზნად ისახავდნენ სიუჟეტის წინარე ფორმის ძიებას, რასაც აშკარა სქემატიზმამდე და ფორმალიზმამდე დაჰყავდა ფოლკლორისტიკა როგორც მეცნიერება. აღნიშნული სკოლის თეორიული ნაკლოვანებები არა მხოლოდ საბჭოთა მეცნიერების მიერ იყო შენიშნული⁵, არამედ აღინიშნა ამავე სკოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენლის—შვედი მეცნიერის სიდოვის მიერ 1932 წელს ქ. ლუნდში (შვეცია) გამართულ ფილოლოგების VII კონგრესზე⁶.

ამრიგად, ა. ბოლვინი თავის შრომას თანამედროვე ფოლკლორისტიკის სამსახურში კი არ აყენებს, მდიდარი და მრავალფეროვანი სპარსული ხალხური შემოქმედების სისტემატიზაციას კი არ მიუძღვნის მას, არამედ მოძველებულ მიგრაციულ მიმდინარეობას აღრმავებს, რომელიც თავისთავად მცდარია და სიუჟეტების წინარე ფორმის უშედეგო ძიებას წარმოადგენს.

ავტორი მოერიდა ვარიანტების გამოქვეყნებას, რაც არასწორად მიგვაჩნია. ამის მიზეზიც მიგრაციული თეორიის სქემატიზმში უნდა ვეძებოთ, თორემ ხალხის მხატვრული აზროვნების განვითარების დადგენისათვის სწორედ

⁵ А. И. Никифоров, Финская школа перед кризисом, «Советская этнография», № 4, 1934; Н. Д. Андреев, Финская школа и формализм в сравнительном сказковедении. сб. М. К. Азадовский, История русской фольклористики, т. II, Москва, 1963, гл. 288—290.

⁶ сб. Ю. М. Соколов, Русский фольклор, Москва, 1941, гл. 72—74; Д. К. Зеленин, Международная конференция фольклористов-сказочников в Швеции, «Советская этнография», № 1-2, 1934.

ვარიანტები იძლევა თვალსაჩინო მასალას. ამითვე აიხსნება, რომ ავტორმა საჭიროდ არ ჩათვალა საილუსტრაციო მასალის სპარსულ ენაზე გამოქვეყნება.

ავტორს დაძებნილი აქვს 16-მდე უცნობი სიუჟეტი. დასაშვები იყო, რომ მათთვის საერთაშორისო სიუჟეტურ მაჩვენებელში მიეჩინა შესაბამისი ნომერი, მაგრამ იგი მხოლოდ მსგავსი ვარიანტების დაძებნით დაკმაყოფილდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ავტორს სპარსული ხალხური ზღაპრების მრავალი გამოცემა აქვს გამოყენებული თავის შრომაში. სამწუხაროდ, იგი არ იცნობს საბჭოთა მეცნიერების შრომებს, კერძოდ ა. რომასკევიჩის მიერ გამოცემულ სპარსულ ხალხურ ზღაპრებს⁷. ა. რომასკევიჩის მიერ შეკრებილი ზღაპრების სიუჟეტების ვათავლისწინება და, მითუმეტეს, მისი შენიშვნები უთუოდ დიდ სარგებლობას მოუტანდა წინამდებარე შრომას.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, ა. ბოლგინის ნაშრომი „ხორასნული სპარსული ხალხური ზღაპრები“ ახალ ეტაპს წარმოადგენს ირანული ფოლკლორის შესწავლის საქმეში.

დაპირ კონიამი

⁷ А. А. Ромаскевич, Персидские народные сказки, Ленинград, 1934.

ბ ხ ა ლ ი ფ ი ბ ნ მ ბ ი

გამომცემლობა „მეცნიერება“

ჭონღო ბარდაველიძე, ქართული ხალხური ლექსი

რედაქტორი მ. ჩიქოვანი.

ნაშრომში განხილულია ქართული ხალხური ლექსთწყობის უძველესი ფორმები, ნაჩვენებია ხალხური ლექსის შვიდრო კავშირი სიმღერასა და შესრულების საფერხულო წესებთან. ცალკეა განალიზებული ლექსის ძირითადი კომპონენტები — რფერენი, სტროფი, რითმა. დასაბუთებულია მახვილის მნიშვნელობა ქართული ხალხური ლექსის რიტმიკის ფორმირებაში. ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი უეირავს აგრეთვე ანდაზებისა და შელოცვების რიტმული წყობის ანალიზს.

206 გვ., ფასი 1 მან. 30 კაპ. ტირაჟი 1500.

ვარლამ თოფურია, შრომები, III
რედაქტორი ანტ. კიჭორია.

ვ. თოფურიას შრომების III ტომში თავმოყრილია ავტორის გამოკვლევები ქართველურ ენათა საერთო საკითხებზე. სტატიები გამოქვეყნებული იყო სხვადასხვა პერიოდულ გამოცემაში და მათი უმრავლესობა დღეს ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს.

პირველად ქვეყნდება ავტორის სამი გამოკვლევა.

ტომს ერთეის პირთა, სიტყვაფორმათა და პორტოლოგიურ ელემენტთა საძიებლები.

344 გვ., ფასი 2 მან. 60 კაპ., ტირაჟი 1000.

მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, VII

ტომის რედაქტორი ელ. მეტრეველი. „მრავალთავის“ VII ტომი ეძღვნება ქართული მწერლობის გამოჩენილი მკვლევარის, აკადემიკოს ქ. კეკელიძის დაბადების 100 წლისთავს. ეს გარემოება განაპირობებს კრებულიის შედგენილობას. მასში წარმოდგენილია ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ უკანასკნელ ხანებში ხელნაწერთა ფონდებში გამოვლენილი და შესწავლილი ახალი მასალები, რომლებიც ეხმარებიან აკად. ქ. კეკელიძის მრავალმხრივ სამეცნიერო პრობლემატიკას და დიდი მნიშვნელობა აქვთ ქართული ენის, მწერლობისა და საქართველოს ისტორიის კვლევასათვის.

218 გვ., ფასი 1 მან. 80 კაპ., ტირაჟი 900.

არსენი საფარელი, განყოფილათეს ქართველთა და სომეხთა

ტექსტი კრიტიკულად დაადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ზ ა ზ ა ა ლ ე ქ ს ი ძ ე მ.



სერიის რედაქტორი: ვ. გაბაშვილი.
 ტომის რედაქტორი: რ. კვიციანიძე.
 ქვეყნდება არსენი საფარლის ტრექტატის კრიტიკულად დადგენილ ტექსტს, გამოკვლევათა და კომენტარებით. გამოკვლევაში არქეოგრაფიულ საკითხებთან ერთად დიდი ადგილი აქვს დათმობილი ძველის დათარიღებისა და სპარტელო-სომხეთის საველსისო ურთიერთობის ისტორიის საკითხებს.
 220 გვ., ფასი 1 მან. 35 კაპ., ტირაჟი 5000.

М. С. К л д и а ш в и л и, Русские писатели о Грузии (О. Форш, Ю. Тынянов, В. Гольцев).

Редактор: Г. Ш. Цицишвили.
 В представленной книге рассматриваются произведения известных русских советских писателей — Ольги Форш, Юрия Тынянова, Виктора Гольцева с точки зрения отражения в них грузинской темы. Каждому из них посвящены отдельный очерк, где кратко освещаются основные вехи их биографии и исследуются те стороны их творчества, в которых так или иначе освещается тема Грузии. Книга восполняет пробел, существующий до сих пор в изучении этого аспекта в творчестве трех известных русских писателей.
 104 стр., цена 55 коп., тираж 1200.

Проблемы эстетики и теории литературы.
 Ответственный редактор М. И. Дудучава.

В книге рассмотрены такие актуальные вопросы эстетики и теории литературы, как например, интуиция в научном и художественном мышлении, критерий красоты, генезис художественного языка, роды литературных произведений, художественная условность, своеобразие грузинского стихосложения, а также некоторые аспекты эстетической сущности комического.
 264 стр., цена 1 руб. 65 коп., тираж 1000.

П. К. У с л а р, Этнография Кавказа, Языкознание, VII, Табасаранский язык.

Рукопись подготовлена к печати, снабжена комментариями и вводной статьей доктором филологических наук, проф. А. Магомедовым.

Редактор издания — академик АН ГССР, проф. А. н. Ч и к с б а в а.

«Табасаранский язык» П. К. Услара — последняя, седьмая монография одного из

основоположников научного изучения горских иберийско-кавказских языков, члена-корреспондента С.-Петербургской Академии наук, автора шести опубликованных монографий: «Абхазский язык», «Чеченский язык», «Аварский язык», «Лакский язык», «Хюркилинский язык», «Кюриинский язык», служавших и поныне настольными книгами лингвистов-кавказоведов. Эти монографии П. Услара были изданы в Тифлисе в 80-х—90-х годах прошлого столетия.

«Табасаранский язык» П. Услар при жизни не успел издать, после его смерти рукопись была утеряна и обнаружена в 40-х годах нашего столетия.

«Табасаранский язык», как и другие монографии П. Услара, посвященные исследованию горских иберийско-кавказских языков, представляет научную и историческую ценность для современной кавказоведческой лингвистики.

1070 стр., цена 3 руб. 90 коп., тираж 1200.

Т. Е. Г у д а в а, Историко-сравнительный анализ консонантизма дидойских языков.

Редактор И. И. Церцвадзе.
 Работа представляет собой первое монографическое исследование истории консонантной системы дидойских языков Дагестана. Реконструкция исходной системы основывается на диахронической интерпретации закономерных звукосоответствий, прослеживающиеся в аварско-андийских языках. Проводятся параллели и по другим дагестанским языкам.
 224 стр., цена 95 коп., тираж 600.

Субмат Давитис-дзе, История и повествование о Багратионах.

Перевод, введение и примечания М. Д. Лордкипанидзе.

Редактор серии Р. К. Кикнадзе.
 Редактор тома З. В. Анчабадзе.

Публикуется русский перевод «Истории и повествования о Багратионах» Сумбата Давитис-дзе (XI в.). В сочинении дается генеалогия рода Багратиони, определено время получения ими власти в Картли и изложена история их царствования.

«История» Сумбата содержит ценные сведения также и о соседних с Грузией государствах и народах.

70 стр., цена 45 коп., тираж 2500.

633/33



ფასი 1 მან.

Индекс 76 198

81-ტ